

# ADR YEARBOOK



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

## დავის ალტერნატიული გადაწყვეტა

წელიწდეული

2022

სპეციალური გამოცემა

Special Edition



# წ ე ლ ი ნ ღ ე უ ლ ი

2022

საპეციალური გამოცემა

**IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY**  
**NATIONAL CENTER FOR ALTERNATIVE DISPUTE RESOLUTION**

# **Alternative Dispute Resolution**

**Yearbook**

**2022**

**SPECIAL EDITION**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
დავის ალტერნატიული განახლებების ეროვნული ცენტრი

## დავის ალტერნატიული განახლებების ეროვნული ცენტრი

წელწიეულ

2022

სპეციალური რეპორტი



უნივერსიტეტის  
გამომცემლობა

UDC (უკ)  
347.95+341.98  
დ - 145

### **მთავარი რედაქტორი**

ირაკლი ბურდული (პროფ., ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

### **მმართველი რედაქტორი**

ნათია ჩიტაშვილი (ასოც. პროფ., ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

### **სარედაქციო კოლეგია:**

ქეთრინ გ. ბარნეთი (პროფ., ჰიუსტონის სამხრეთ ტეხასის სამართლის სკოლა, აშშ)

ჯეიმს ჯ. ალფინი (პროფ., ემერიტუს დეკანი, ჰიუსტონის სამხრეთ ტეხასის სამართლის სკოლა, აშშ)

ელიზაბეთ ა. დენისი (პროფ., ჰიუსტონის სამხრეთ ტეხასის სამართლის სკოლა, აშშ)

ირაკლი ყანდაშვილი (პროფ., გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი)

აკაკი განერელია (პროფ. ასისტენტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ირაკლი ადვიშვილი (სამართლის დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

დემეტრე ეგნატაშვილი (პროფ. ასისტენტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

### **ტექნიკური რედაქტორი:**

ირაკლი ლეონიძე (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

### **Editor-in-Chief**

Irakli Burduli (Prof., Iv. Javakhishvili Tbilisi State University)

### **Managing Editor**

Natia Chitashvili (Assoc. Prof., Iv. Javakhishvili Tbilisi State University)

### **Editorial Board:**

Catherine G. Burnett (Prof., South Texas College of Law Houston, USA)

James J. Alfini (Prof., Dean Emeritus, South Texas College of Law Houston, USA)

Elizabeth A. Dennis (Prof., South Texas College of Law Houston, USA)

Irakli Kandashvili (Prof., Grigol Robakhidze University)

Akaki Gatsferelia (Prof. Assistant, Iv. Javakhishvili Tbilisi State University)

Irakli Adeishvili (Doctor of Law, Iv. Javakhishvili Tbilisi State University)

Demetre Egnatashvili (Prof. Assistant, Iv. Javakhishvili Tbilisi State University)

### **Technical Editor:**

Irakli Leonidze (Iv. Javakhishvili Tbilisi State University)

*გამოცემულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით*

*Published by the decision of Ivane Javakhishvili Tbilisi State University Publishing Board*

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2023

P-ISSN 1987-9199

E-ISSN: 2720-7854

## შინაარსი

### **სულხან ონიანი**

მორავის წინაშე არსებული თანამედროვე გამოწვევები და პრობლემები..... 7

### **ნათია ჩიტაშვილი, თამარ ქალიძე**

საოჯახოსამართლებრივი დავის განხილვის თავისებურება მედიაციაში და შესაძლო ეთიკურ-სამართლებრივი დილემები..... 30

### **ნათია ჩიტაშვილი, ანა მღვდელაძე, ჯულია კახნიაშვილი**

მედიატორის მომსახურების საფასურისა და პროცესის ხარჯების სამართლიანი განაწილების პრინციპის რეგულირების საკითხისათვის..... 144

### **დავით ჭიჭიკოშვილი**

მხარეთა ავტონომიისა და შინაარსობრივი სამართლიანობის თანაზომიერება მედიაციის პროცესში ..... 179

### **თამარ გობეჯიშვილი, გვანცა ტაკაშვილი**

მედიაციაში საადვოკატო წარმომადგენლობის ეთიკური საფუძვლები და რეგულირების მნიშვნელობა ..... 197

### **ნანული შაკინოვი**

მიუკერძოებლობისა და ნეიტრალობის პრინციპთა არსობრივ-პროცესუალური შინაარსი მედიაციის პროცესში ..... 225



## მორავის\*\* წინაშე არსებული თანამედროვე გამონვევები და პრობლემები

სტატია ეძღვნება სვანი მედიატორების წინაშე არსებულ პრობლემებსა და გამონვევებს. თავდაპირველად განხილულია ის მიზეზები, რის გამოც სვანური ადათობრივი სამართალი და მისი უმთავრესი გამოხატულება – სამედიატორო სასამართლო – სვანეთში დღემდე ცოცხალ ყოფაში არსებობს და კვლავ თანამედროვე რეალობის განუყოფელ ნაწილად რჩება. რის შემდეგაც, ჩამოთვლილია ის პრობლემები, რომელიც ამ ინსტიტუტის გაქრობას უწყობს ხელს. სტატიაში ღიად არის დატოვებული საკითხი, თუ როგორ შეიძლება მოხერხდეს ამ პრობლემების მოგვარება და სვანური სამედიატორო სასამართლოს ტრანსფორმაცია და ადაპტირება სამომავლო პერსპექტივის თვალსაზრისით.

**საკვანძო სიტყვები:** მედიაცია, სამედიატორო სასამართლო, ადათობრივი სამართალი, ჩვეულებითი სამართალი, სვანეთი, მორავი.

### 1. შესავალი

ბოლო რამდენიმე წელია, საქართველოში აქტიურად ინერგება სიახლე – მედიაციის ინსტიტუტი,<sup>1</sup> რომელიც, მართალია, თანამედ-

---

\* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი.

\*\* ტერმინი „მორავი“ („მორავი“) მედიატორის სვანური სახელწოდებაა, რომელიც ქვემო სვანეთში „მორავის“, ბალსზემო სვანეთში - ამჟამად „მორავის“ ფორმით გამოითქმის, თუმცა, ბესარიონ ნიჟარაძის ქართულ-სვანურ ლექსიკონში იგი „მორავის“ ფორმით გვხვდება. იხ. ნიჟარაძე ბ., ქართულ-სვანური ლექსიკონი, ბალსზემოური დიალექტი, თბ., 2007, 149; ასევე, იხ. ლიპარტელიანი ა., სვანურ-ქართული ლექსიკონი, ჩოლურული კილო, თბ., 1994, 224.

<sup>1</sup> იხ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, 12/06/2015; მედიაციის შესახებ საქართველოს კანონი, 18/09/2019.



როვე ქართული კანონმდებლობის გადასახედიდან ერთგვარი ინოვაციაა, მაგრამ, სინამდვილეში, იგი „კარგად დავინწყებული ძველია“ – რადგან ქართული სამართლებრივი კულტურისთვის სრულიად ბუნებრივი მოვლენაა და მისი ტრადიცია ჩვენს ქვეყანაში მრავალ საუკუნეს ითვლის.

ძველი ქართული სამართლისთვის, ისევე როგორც მსოფლიოს არაერთი ხალხის ისტორიული სინამდვილისთვის, მედიაცია საზოგადოების თვითრეგულაციის ერთ-ერთ ყველაზე დამახასიათებელ და ფართოდ გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს.<sup>2</sup> სამედიატორო სასამართლო მოდავე მხარეთა მიერ, მათი სურვილით, ერთი კონკრეტული საკითხის გადასაწყვეტად ჩამოყალიბებული სასამართლო შემადგენლობაა, რომლის წევრებსაც მხარეები ირჩევენ ცალცალკე ან ერთად, ურთიერთშეთანხმებით, და რომლებიც შუამავლებად და მომრიგებლებად გვევლინებიან.<sup>3</sup>

<sup>2</sup> ჰ. ბერმანის სამართლიანი შენიშვნით, ისევე როგორც არადასავლურ კულტურებში, ევროპის ხალხთა სამართალი VI-X საუკუნეებში არ წარმოადგენდა ზემოდან თავსმოხვეულ წესთა ერთობლიობას, არამედ უფრო მეტად კოლექტიური ცნობიერების განუყოფელი ნაწილი იყო, ერთგვარი „კოლექტიური სინდისი“ საზოგადოებისა. თავად ხალხი ქმნიდა სამართალს და სასამართლოს თავის კრებებზე; ...გვაროვნული, სენიორიის, ტერიტორიული თემის კავშირები იყო კიდევ კანონი და თუ ვინმე ამ კავშირს შეურაცხყოფდა, პირველი იმპულსი იყო სამაგიეროს მიზღვის სურვილი, მაგრამ შურისძიებას უკან უნდა დაეხია – და როგორც წესი, უკან იხევდა კიდევ კომპენსაციის ოდენობის შესახებ მოლაპარაკებების წინაშე, რასაც მოსდევდა შერიგება. სასამართლოს გადაწყვეტილება ხშირად მორიგების აქტი იყო. ამ გზით დარღვეული მშვიდობა საბოლოოდ დიპლომატიის საშუალებით აღდგებოდა. სამართლის, უფლებისა და ბრალეულობის საკითხებზე მაღლა იდგა მოშულლართა მორიგების საკითხი. იგივე შეიძლება ითქვას ბევრი ე.წ. პრიმიტიული თემის შესახებაც, რომლებიც ახლაც არსებობს აფრიკის, აზიისა და სამხრეთ ამერიკის რიგ ადგილებში. იგივე ითქმის ბევრი ცივილიზაციის შესახებ წარსულშიც და ანმყოშიც. იხ. ციტირება: *Берман Г. Дж., Западная Традиция Права: Эпоха Формирования, 2-е издание, М. 1998, 86.*

<sup>3</sup> იხ. ციტირება: *დავითაშვილი გ., სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2004, 4.*

XXI საუკუნის საქართველოში აღნიშნული ინსტიტუტი კვლავ ცოცხალია სვანეთში და, საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით, ყველაზე მეტად არის შემონახული, მაგრამ ობიექტური გარემოებები ყოველდღიურად ცვლის სოციალურ რეალობას და მის ეკონომიკურ საფუძველს, რაც სვანური ადათობრივი სამართლის თანდათანობით გაქრობას იწვევს, ხოლო მის კვალდაკვალ, სვანური სამედიატორო სასამართლოც თვალსა და ხელს შორის წარსულს ბარდება. ამის კარგი მაგალითია ქვემო სვანეთი, სადაც აღნიშნული ინსტიტუტი ძალზე სუსტად ფუნქციონირებს. ქვემო სვანეთთან შედარებით იგი ოდნავ უკეთ არის წარმოდგენილი ზემო სვანეთის ბალსქვემო ნაწილში, ხოლო ყველაზე სრულყოფილად იგი ამჟამად ბალსზემო სვანეთის თემებში გვხვდება, თუმცა, აქაც არის დასახლებები, სადაც სამედიატორო სასამართლო, პრაქტიკულად, უკვე წარსულის კუთვნილებაა (მაგალითად, იფარის თემი<sup>4</sup> რომლის მოსახლეობა, მედიაციის სურვილის შემთხვევაში, იძულებული იქნება, დახმარებისთვის სხვა თემებიდან მონვეულ მედიატორებს მიმართოს და ეს მაშინ, როდესაც ისტორიულად იფარის თემი ერთ-ერთი გამორჩეული მხარე იყო ადათობრივი სამართლის სამაგალითო დაცვის თვალსაზრისით, რასაც სამედიატორო სასამართლოს მიერ წარსულში მიღებული არაერთი განჩინებაც ადასტურებს<sup>5</sup>).

ამჟამად სვანური სამედიატორო სასამართლო გაქრობის რეალური საფრთხის წინაშე დგას და ის მედიატორები, რომლებიც მედიაციის პროცესს ჯერ კიდევ ახორციელებენ, ამ საქმის „უკანას-

<sup>4</sup> 2015 წლის 20-30 ივნისის საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის დროს იფარში, სამწუხაროდ, მორავი აღარ დაგვხვდა, მასპინძელმა, ლაქტო (გალაქტიონ) გულბანმა (74 წლის, დაბადებული 1942 წ.) გულისტკივილით აღნიშნა: „მინამ შეჭამა და ქარმა წაიღო“, შემდეგ კი ქარელში მცხოვრებ სვანური ადათების მცოდნე ოთარ პირველისგან გვიჩინა ინტერვიუს აღება.

<sup>5</sup> იხ. ციტირება: *კეკელია მ.*, სასამართლო ხასიათის დოკუმენტები ბალსზემო სვანეთიდან, კრებულში: ქართული ჩვეულებითი სამართალი, *კეკელია მ.*, (რედ.), ტ. 2, თბ., 1990, 155-157; *კეკელია მ.*, დოკუმენტები ბალსზემო სვანეთიდან, კრებულში: ქართული ჩვეულებითი სამართალი, *კეკელია მ.*, (რედ.), ტ. 4, თბ., 1993, 218.

კნელი მოჰიკანების“ როლში გვევლინებიან. არსებული სოციალურ-ეკონომიკური ტენდენციებისა და გლობალიზაციის პირობებში შეიძლება იმის ვარაუდი, რომ სვანური სამედიატორო სასამართლო არცთუ ისე შორეულ მომავალში, დიდი ალბათობით, აღარ იარსებებს. ბოლო წლების დინამიკა ამის ნათელი დადასტურებაა. თუმცა, არც ის არის გამორიცხული, რომ ყველაფრის მიუხედავად, აღნიშნულმა ინსტიტუტმა, კიდევ უფრო დიდ ხანსაც გაძლოს.

ამ უკანასკნელი მოსაზრების ერთგვარ გამამყარებელ არგუმენტად შეიძლება გასული საუკუნის 90-იანი წლების პერიოდის გამოცდილება გამოდგეს: საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სვანეთის მოსახლეობამ კოლექტივიზაციის პროცესის შედეგად ჩამორთმეული მამა-პაპისეული მიწა (სახნავ-სათესი, სათიბ-საძოვარი და ტყეები) დაიბრუნა და ხალხი მასიურად მიუბრუნდა ძველ სვანურ სამართალს – არაერთი სამედიატორო პროცესი გაიმართა სამეზობლო დავების ოფიციალური სასამართლოსადმი მიმართვის გარეშე მოსაგვარებლად. ფაქტიურად, სვანებმა ზედმეტი დავიდარაბის გარეშე გადაინაწილეს თავიანთი კუთხის მიწა-წყალი: სოფლებსა და თემებს შორის გაავლეს საზღვრები და გამოიწვეს სოფლის შიგნით ამა თუ იმ გვარისა და ოჯახის კუთვნილი ტერიტორიები.<sup>6</sup>

<sup>6</sup> საყურადღებოა, რომ იმავე პერიოდში ადათობრივი სამართლის პრინციპებზე დაფუძნებულმა მედიაციამ გაცილებით დიდი როლი შეასრულა აფხაზებსა და კოდორის მოსახლეობას შორის წლების განმავლობაში მოლაპარაკებებისა და მშვიდობიანი ურთიერთობების წარმართვის პროცესში, ვიდრე – სახელმწიფოს ოფიციალურმა ღონისძიებებმა. ამ უკანასკნელმა, ფაქტიურად, პირიქით – კოლაფსამდე მიიყვანა მანამდე შემუშავებული „სტატუს კვო“ და შედეგად, – 2008 წლის აგვისტოს ომმა მისი სრული ანულირება მოახდინა. გასათვალისწინებელია, რომ სამომავლო პესპექტივაში აფხაზებთან მოლაპარაკებების და შერიგების თვალსაზრისით, მედიაციამ, არ არის გამორიცხული, კიდევ ერთხელ თქვას თავისი სიტყვა, რადგან კავკასიის ხალხები მრავალი საუკუნის განმავლობაში იყენებდნენ ჩვეულებითი სამართლის საერთო პრინციპებს და მედიაცია ყოველთვის იყო ისტორიული შერიგების ინსტრუმენტი. აფხაზეთის მოსახლეობისთვის, შესაძლოა, სწორედ მედიაცია და ტრადიციული სამართლის პრინციპები გახდეს უფრო მეტად მისაღები ფორმატი ქართველებთან მოლაპარაკების მაგიდაზე დასასხდომად, ვიდრე ქართული სახელმწიფოს ოფიციალური საკანონმდებლო ბაზა.

თუმცაღა, აქვე უნდა აღინიშნოს ერთგვარი კონტრარგუმენტიც: მას შემდეგ, რაც XXI საუკუნის პირველი დეკადიდან ტურიზმის განვითარების შედეგად სვანეთის მიწის ფასმა არნახულად იმატა, ზოგიერთი სვანი, განსაკუთრებით, ტურისტულ ზონებში მოსახლე, ადათობრივი სამართლის წესების უხეში უგულვებლყოფით ყველანაირ საშუალებას მიმართავს საკუთარი ეკონომიკური უპირატესობის მოსაპოვებლად. თვალსაჩინო მაგალითად გამოდგება სვანური ადათობრივი სამართლის ფუნდამენტური პრინციპის, უძრავ ქონებაზე უპირატესი შესყიდვის უფლების, რღვევა, კერძოდ: ძველი სვანური ადათით ყოველი სვანი, რომელიც მიწის ნაკვეთს გასაყიდად შეელოდა, ვალდებული იყო, მიეყიდა თავისი თემისთვის და თუ თემში ვერავინ შეძლებდა გასაყიდი მიწის ფასს შესწვდომოდა, პატრონს მხოლოდ მაშინ ეძლეოდა უფლება, მიეყიდა ახლობელ-ნათესავებისთვის, გარეშე კაცებისთვის. სახლ-კარის მიმართაც ანალოგიური წესები მოქმედებდა: ისიც უთუოდ თემშივე უნდა გაყიდულიყო. თუ ერთი მოსახლე ვერ გასწვდებოდა ფასს, მას მთელი თემი აგროვებდა და ყიდულობდა. თემის შემდეგ სახლ-კარი შეიძლება გამყიდველის სიძეებს შეესყიდათ, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი სიძეები იმავე სოფლის მკვიდრნი იყვნენ. სხვა სოფელს, თუნდაც სიძეებს, ადგილობრივი სოფელი ყიდვას არ დაანებებდა.<sup>7</sup> მართალია, ადათობრივი სამართლის ეს ნორმები მოსახლეობის დიდ ნაწილში კვლავ ცოცხლობს<sup>8</sup>, მაგრამ ზოგ შემთხვევაში ადგილი აქვს მათ უგულვებლყოფას – დღეს უკვე თავისუფლად შეხვდებით სვანს, რომელიც მზადაა, უძრავი ქონება ნებისმიერ პირს (როგორც საქართველოს მოქალაქეს, ისე – უცხოელს) მიჰყიდოს. ეს დამოკიდებულება კი თანამედროვე სვანებს რადიკალურად განასხვავებს მათივე წინაპრებისგან.

<sup>7</sup> იხ. ციტირება: ნიჭარაძე ბ., ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, ტ. I, თბ., 1962, 114-115.

<sup>8</sup> იხ. ციტირება: ონიანი ს., დავითაშვილი გ., ჩვეულებითი სამართლის მოქმედება თანამედროვე ბალსზემო სვანეთში, 2015 წლის 20-30 ივნისის საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის სამეცნიერო-მოსხენებითი ანგარიში, თბ., 2016, 151.

„დრონი იცვლებიან და მათთან ერთად ვიცვლებით ჩვენც“<sup>9</sup> – ამიტომ მოცემული სტატია მორავის წინაშე არსებული თანამედროვე გამოწვევებისა და პრობლემების შესახებ მიმოხილვას ისახავს მიზნად, მაგრამ თავდაპირველად იმ მიზეზებზე უნდა იქნეს გამახვილებული ყურადღება, რომლებმაც სვანური ადათობრივი სამართლის და, მათ შორის, სამედიატორო სასამართლოს ასე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არსებობა განაპირობა. ფაქტი სახეზეა – საქართველოს სხვა კუთხეებისგან განსხვავებით, სვანური სამედიატორო სასამართლო ჯერ კიდევ თანამედროვე რეალობის ნაწილად რჩება.

## **2. სვანური ჩვეულებითი სამართლის და სვანური სამედიატორო სასამართლოს სიცოცხლისუნარიანობის მიზეზები**

უპირველესი და უმთავრესი ისტორიული მიზეზი, რომელმაც ადათობრივი სამართლის და მისი უმთავრესი გამოვლინების, სამედიატორო სასამართლოს, სიცოცხლისუნარიანობას ხელი შეუწყო, მთელი გვიან-ფეოდალური პერიოდის განმავლობაში სვანეთში სახელმწიფო ინსტიტუტების არარსებობა და თემური ცხოვრების წესია, რომელიც საზოგადოების თვითორგანიზაციას განაპირობებდა.<sup>10</sup>

მეორე მიზეზი XIX საუკუნის II ნახევრიდან რუსული მმართველობის დამყარებაა. აღნიშნული სწორედ მეორე მიზეზად იმიტომ უნდა დასახელდეს, რომ, ერთი შეხედვით, მას ჩვეულებითი სამართლის გავლენის ხანა უნდა დაესრულებია და სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერება დაეწყო, მაგრამ მოხდა სრულიად საწინააღ-

<sup>9</sup> “Mutantur Tempora et Nos Mutamur in illis” იხ. ციტირება: *ჭაბაშვილი მ.*, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, მე-3 შესწორებული და შევსებული გამოცემა, თბ., 1989, 585.

<sup>10</sup> იხ. ციტირება: *დავითაშვილი გ.*, სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2004, 30-31.

მდეგო: მართალია, მთავრობა ენერგიული მუშაობით ცდილობდა, სვანური ადათები სახელმწიფოებრივი კანონებითა და წესებით შეეცვალა, მაგრამ სვანეთის მოსახლეობამ სწორედ რუსეთის მიერ თავსმოხვეული სამართალი მიიჩნია უცხოდ და მიუღებლად. რუსულ სასამართლოებს არავინ მიმართავდა, დაზარალებული ამჯობინებდა, დავა სვანური სამართლის საფუძველზე მოეგვარებია, ვიდრე დამნაშავესთვის ეჩივლა, რამაც, საბოლოოდ, რუსული ადმინისტრაცია იძულებული გახადა, შერიგებოდა ადგილობრივი სვანური სამედიატორო სასამართლოების ფაქტობრივად შეუზღუდავ მოქმედებას.<sup>11</sup> სწორედ რუსეთის საიმპერიო მმართველობის პირობებში ჩამოყალიბდა სვანეთში ეს ერთგვარი „გაუთქმელობის პრინციპი“.<sup>12</sup>

მესამე მიზეზად შეიძლება დასახელდეს საქართველოს გასაბჭოების შემდგომ პერიოდში ათეიზმის აგრესიული ქადაგება, რამაც სვანური ადათობრივი სამართალი კიდევ უფრო მეტად „წყალქვეშა დინების“ რეჟიმში გადაიყვანა, რადგან სვანეთის მოსახლეობის დიდ ნაწილს კვლავ ჰქონდა შენარჩუნებული რწმენა, საეკლესიო სინამდვიეთა მიმართ პატივისცემა და ხატის წინაშე ცრუ დაფიცების შიში.<sup>13</sup> თანაც, ისევე როგორც რუსეთის იმპერიის ხანაში, საბჭოთა მმართველობის დროსაც სასამართლოს მიერ დამნაშავესთვის თუნდაც მრავალწლიანი მსჯავრის მისჯა სულაც არ იყო იმის გარანტი, რომ სასჯელის მოხდის შემდეგ სოფელში დაბრუნებული დამნაშავეს მიმართ დაზარალებული მხარე ადათით გათვალისწინებულ შურისძიებას არ განახორციელებდა. ეს რომ არ მომხდარიყო, დაპირისპირებულ მხარეთა შორის საჭირო იყო ტრადიციული

<sup>11</sup> იქვე, 27.

<sup>12</sup> იხ. ციტირება: *ონიანი ს., დავითაშვილი გ., ჩვეულებითი სამართლის მოქმედება თანამედროვე ბალსზემო სვანეთში, 2015 წლის 20-30 ივნისის საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის სამეცნიერო-მოხსენებითი ანგარიში, თბ., 2016, 5, 181.*

<sup>13</sup> იხ. ციტირება: *დავითაშვილი გ., სასამართლო მტკიცებულებანი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2003, 9-10.*

სვანური სამედიცინო სასამართლოს მეშვეობით მორიგება.<sup>14</sup> სვანი მედიკორები თავიანთ გადაწყვეტილებას ყოველთვის მხარეთა მიერ მოსამართლეთა წინაშე დადებული „ერთგულების ფიცით“ განამტკიცებენ, რაც სამედიცინო გადაწყვეტილების უპირობო შესრულების გარანტიაა.<sup>15</sup>

მეოთხე მიზეზი სვანეთის კლიმატურ-გეოგრაფიული გარემოა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში სვანეთის მოსახლეობას აიძულებდა, დიდ ოჯახებად ეცხოვრათ.<sup>16</sup> მეურნეობის წარმოების პრიმიტიული საშუალებები მცირერიცხოვანი ოჯახისთვის ღირსეულად თავის გატანას შეუძლებელს ხდიდა. სვანური ოჯახი მრავალსულიანი, მრავალშვილიანი და მრავალთაობიანი იყო, რაც გვაროვნული ინსტიტუტების გაძლიერებას უწყობდა ხელს.<sup>17</sup> გვაროვნული ინსტიტუტების სიძლიერე კი განაპირობებდა „სისხლის ალების“ ჩვეულებისა<sup>18</sup> და მისი ეფექტური შემზღუდავი მექანიზმის – სამედიცინო სასამართლოს არსებობას.

სვანური ადათობრივი სამართლის თავისებურებებს არქიტექტურული ფაქტორიც ემატებოდა: სვანური საცხოვრებელი ნაგებობები, როგორც წესი, ოთახებად სეგმენტირებული არ იყო,<sup>19</sup> რაც

<sup>14</sup> იხ. ციტირება: *ონიანი ს., დავითაშვილი გ.*, ჩვეულებითი სამართლის მოქმედება თანამედროვე ბალსზემო სვანეთში, 2015 წლის 20-30 ივნისის საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის სამეცნიერო-მოსხენებითი ანგარიში, თბ., 2016, 181.

<sup>15</sup> იხ. ციტირება: *დავითაშვილი გ.*, სამედიცინო სასამართლო სვანეთში, თბ., 2002, 81.

<sup>16</sup> იხ. ციტირება: *ხარაძე რ.*, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბ., 1939, 46-47.

<sup>17</sup> იხ. ციტირება: *Харадзе Р. Л.*, Грузинская Семейная Община, Т. 2, Тбилиси, 1961, 16.

<sup>18</sup> იხ. ციტირება: *დავითაშვილი გ.*, შურისძიება და შერიგება ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2021, 41-42.

<sup>19</sup> მთავრობამ 1925 წელს მესტიაში შეიძინა ნესტორ ჯაფარიძის სვანური სახლი. იგი მთლიანად ოთახებად გადააკეთეს. ეს იყო სვანური სახლის ოთახებად გადაკეთების პირველი მაგალითი, რომელმაც შემდეგ ფართო გავრცელება ჰპოვა მოსახლეობაში. იხ. ციტირება: *ჩართოლანი მ.*, ახალი ტიპის საცხოვრებელი ნაგებობები სვანეთში 1961 წლამდე,

ოჯახის წევრთა შორის (ბიჭვივიორისტული თვალსაზრისით) იმაზე უფრო მეტ დაახლოებას იწვევდა, ვიდრე თანამედროვე (ოთახებად სეგმენტირებულ) სახლში გაზრდილ ადამიანს შეუძლია წარმოიდგინოს. ძველ სვანებს გაცილებით უფრო ვიწრო სოციალური ზონა<sup>20</sup> გააჩნდათ, ვიდრე მათ დღევანდელ შთამომავლებს, ამიტომ „სისხლის ალების“ სუბიექტთა წრეც ფართო იყო და შერიგებაში მონაწილე სუბიექტთა რაოდენობაც.<sup>21</sup>

კრებულში: სვანეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, ჩართოლანი მ., (რედ.), თბ., 1970, 43.

<sup>20</sup> იხ. ციტირება: პიზი ა., პიზი ბ., სხეულის ენა, (მთარგმნელი) დოლიძე გ., თითმერია თ. (რედ.), პირველი გამოცემა, თბ., 2016, 174-175.

<sup>21</sup> დიდ ოჯახებად ცხოვრება ერთდროულად მრავალშვილიანობას და მრავალთაობიანობას გულისხმობდა. ამიტომ ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც მაგალითად, უფროს ძმასა და ნაბოლარა ძმას შორის ასაკობრივი სხვაობა, შესაძლოა, 10-15 წელი ყოფილიყო. როდესაც უმცროსი ძმა პატარა ასაკის იყო, მის უფროს ძმას შეიძლება უკვე შვილიც კი ჰყავდა, რომელიც მისი თანატოლი იყო და ფაქტიურად ნათესაობრივი ხარისხის მიხედვით ბიძა და ძმისწული – დაახლოებით ერთი ასაკისანი იყვნენ, ანუ ისინი დიდ ოჯახში ერთად გაიზრდებოდნენ როგორც „ძმები“. ხოლო როდესაც ეს უკანასკნელნი საქორწინო ასაკს მიაღწევდნენ და თავის მხრივ მათაც ეყოლებოდათ თავიანთი შვილები, იგივე განმეორდებოდა შემდეგ თაობაშიც და მათი ბავშვები ერთმანეთისთვის, მართალია, უკვე გარე-ბიძასა და ბიძაშვილის-შვილის ნათესაობრივ ხარისხში იქნებოდნენ, მაგრამ რეალურად გაიზრდებოდნენ როგორც „ძმები.“ აღნიშნულზე ყურადღების ასეთი გამახვილება იმიტომ გახდა საჭირო, რათა მართლაც აიხსნას დღევანდელი გადასახედიდან უცნაური მოვლენა, რომ დამნაშავეს ნაცვლად შურისძიების ობიექტად შესაძლოა მისი მამა, ძმა, ბიძა, ბიძაშვილი და გარე-ბიძაშვილიც კი ქცეულიყო. ეს ადამიანები ერთმანეთის მიმართ იმდენად მონოლითურ საოჯახო კავშირში იმყოფებოდნენ, რომ ნებისმიერი მათგანის სიკვდილი ოჯახის ყველა წევრის მიერ უმძიმესად აღიქმებოდა. დღეს კი, როდესაც ადამიანის ინდივიდუალიზაციის ხარისხი მეტია და არათუ ბიძაშვილები, არამედ ძმებიც კი, შესაძლოა, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ცხოვრობენ და წლების განმავლობაში ერთმანეთს არც კი ნახულობენ – „სისხლის ალების“ მოტივით დამნაშავეს ნაცვლად მის ნათესავეებზე შურისძიება ლოგიკურ საფუძველს უკვე სრულიად არის მოკლებული.



შემდეგი მიზეზი იყო კუთხური კარჩაკეტილობა, რომელიც მიცვალებულის დასაფლავების თავისებური წესის შემუშავებას უწყობდა ხელს – სვანებისთვის წარმოუდგენელი იყო როგორც სვანეთს გარეთ ცხოვრება, ისე – მიცვალებულის დასაფლავებაც.<sup>22</sup> თუ ბარში სამუშაოდ ჩამოსული სვანი გარდაიცვლებოდა, მას მისი მეგობრები ან სვანეთში გადაასვენებდნენ, ან კი – თუ ამის საშუალება არ ექნებოდათ (უგზობის, დიდთოვლობის ან სხვა მიზეზით), დროებით დაკრძალავდნენ, რათა ხელსაყრელი პირობების შექმნისთანავე (მაგალითად, თოვლის გადნობა და გზის გახსნა) ექსჰუმაცია მოეხდინათ და მიცვალებული აუცილებლად საგვარეულო სასაფლაოზე დაეკრძალათ. ეს პრინციპი დღემდე არსებობს სვანებში: მიუხედავად იმისა, რომ XXI საუკუნეში უამრავი სვანი სვანეთს გარეთ სასაფლაოებზე განისვენებს და მეტიც, უცხოეთის სასაფლაოებზეც უკვე არაერთი მიცვალებულია დაკრძალული, სვანების საკმაოდ დიდი ნაწილი ამჟამადაც ცდილობს, ცხედარი საგვარეულო სასაფლაოს მიაბაროს. ბარში გარდაცვლილი ადამიანის სვანეთში გადასვენება კვლავ ჩვეულებრივი მოვლენაა.<sup>23</sup>

<sup>22</sup> იხ. ციტირება: *ონიანი ს., დავითაშვილი გ., ჩვეულებითი სამართლის მოქმედება თანამედროვე ბალსზემო სვანეთში, 2015 წლის 20-30 ივნისის საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის სამეცნიერო-მოსხენებითი ანგარიში, თბ., 2016, 367-368.*

<sup>23</sup> ზოგჯერ ადგილი აქვს საპირისპირო შემთხვევებსაც: როდესაც მოხუცი თაობა სოფელში ცხოვრობს, ხოლო მათი შვილები ქალაქში სახლობენ, მშობლები გარდაეცვლებათ, შვილები მათ სოფლიდან ქალაქში გადმოსვენებენ და ქალაქის სასაფლაოზე დაკრძალავენ (იმ ლოგიკით, რომ საკუთარი მშობლის სასაფლაოს იქ უფრო მიხედავენ, სადაც თვითონაც ცხოვრობენ და არა სვანეთში – სადაც ხშირად წლობით ვერ ახერხებენ ჩასვლას ან მხოლოდ ზაფხულობით თუ სტუმრობენ მშობლიურ კუთხეს), ხშირია ხოლმე ასეთი დაკრძალვების დროს სამგლოვიარო ცერემონიაზე მისული სვანების დიალოგებში ჭირისუფლის ამ საქციელის ერთგვარი განკითხვისმაგვარი აზრის მოსმენა: გარდაცვლილები, რომელთაც მთელი ცხოვრება სვანეთში გაატარეს, რატომ უნდა დაესაფლავებიათ შვილებს თბილისში (თუ ეს თბილისში ხდება, ან შესაბამის ქალაქსა თუ რაიონში) უცხო ხალხის სასაფლაოზე და არა იქ, სადაც

სვანების ეს დამოკიდებულება ერთი შეხედვით, შეიძლება, უცნაურად ჩანდეს, მაგრამ ქართული საზოგადოება გაუცნობიერებლად ზუსტად იმავე პრინციპით ოპერირებს: დღევანდელი კანონმდებლობა უცხოეთში დაღუპული საქართველოს მოქალაქის ნეშტის გადმოსვენების ხარჯებს სახელმწიფოს აკისრებს.<sup>24</sup> ერთი შეხედვით, რატომ უნდა ჰქონოდა მნიშვნელობა, თუ სად დაიკრძალება მიცვალებული: ესპანეთში, გერმანიაში, ამერიკაში თუ სხვაგან? მაგრამ – საქართველოს მოსახლეობის საკმაოდ დიდ ნაწილს კვლავ მტკიცედ სჯერა, რომ უმჯობესია, თუკი გარდაცვლილი მამიც სამშობლოს მიწას იქნება მიბარებული.

აღნიშნული წესი განაპირობებდა იმას, რომ სვანებს არ უნდოდათ თავისი ნებით სვანეთის დატოვება, რაც ხელს უწყობდა მათ შორის კონფლიქტების მოლაპარაკების გზით გადაჭრას: როდესაც დაპირისპირებულ ოჯახებს შორის გარკვეული ძალთა ბალანსი მყარდებოდა (ე.ი. თუ ვერცერთი ოჯახი ვერ ახერხებდა: ა. მეორე სრულიად გაენადგურებინა ან ბ. იმდენად შეევიწროებია, რომ ეს უკანასკნელი თვითონ წასულიყო სოფლიდან, თემიდან, თუ საერთოდ – სვანეთიდან), სამედიატორო სასამართლო მორიგების, დაპირისპირებულ მხარეთა შორის წინააღმდეგობის აღმოფხვრის და სვანეთის ტერიტორიაზე მათი მშვიდობიანი თანაცხოვრების გაგრძელების გარანტი იყო. შემთხვევითი არ არის, რომ შერიგების რიტუალი ხშირად დანათესავებით (დამოყვრება, ნათელ-მირონობა, შვილება, დაძმობილება) გვირგვინდება და უწინდელი მოსისხლე მხარეები სულიერი ნათესავები ხდებიან.<sup>25</sup>

---

გარდაცვლილებს ცხოვრება გაუტარებიათ და სადაც მათი წინაპრებია დასაფლავებული.

<sup>24</sup> იხ. ციტირება: საზღვარგარეთ გარდაცვლილ საქართველოს მოქალაქეთა საქართველოში გადმოსვენების ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 ივლისის N330 დადგენილების დანართი (საზღვარგარეთ გარდაცვლილ საქართველოს მოქალაქეთა საქართველოში გადმოსვენების ხარჯების ანაზღაურების წესი), მუხლი 3.

<sup>25</sup> იხ. ციტირება: დავითაშვილი გ., შურისძიება და შერიგება ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2021, 325-326, 329.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზი დღეს ან შესუსტებულია, ან კიდევ საერთოდ აღარ არსებობს: აღარ არის ფეოდალური პერიოდი, აღარც რუსული იმპერია და აღარც საბჭოთა კავშირი; ტექნიკური პროგრესის გამო აღარ არსებობს დიდ ოჯახებად ცხოვრების აუცილებლობა; საცხოვრებელი სახლებიც უკვე თითქმის ერთი საუკუნეა ოთახებად არის სეგმენტირებული; მეორე მსოფლიო ომში უამრავი ადამიანი უგზო-უკვლოდ დაიკარგა და მათი საფლავები სრულიად უცნობია; სვანების საკმაოდ დიდი ნაწილი რამდენიმე ათეული წელია მიგრირებულია ბარში (სტიქიური უბედურებების მიზეზით თუ საკუთარი არჩევანით); უმაღლესი განათლების მიღების სურვილით გამოწვეულ მიგრაციას კი კვლავაც ყოველწლიურად აქვს ადგილი. მაგრამ მაინც არის რამდენიმე მიზეზი, რომლებიც დღესაც ხელს უწყობს სვანური ჩვეულებებისა და ამ ჩვეულებების საფუძველზე მოქმედი სამედიატორო სასამართლოს არსებობას:

პირველი და უმთავრესი ფაქტორი არის სვანური ენა. სვანების უმეტესი ნაწილი კვლავ ორენოვანია, მიუხედავად იმისა, სვანეთში ცხოვრობენ, თუ სვანეთს გარეთ. მართალია, სვანური და ქართული მონათესავე ენებია, იდენტური გრამატიკით და მსგავსი ლექსიკური მარაგით, მაგრამ ეს არ ცვლის იმ ფაქტს, რომ სვანურ ენაზე საუბრის შინაარსს დანარჩენი ქართველები ვერ გაიგებენ. ამიტომ, სვანური ენა კვლავ რჩება თვითიდენტიფიცირების კარგ საშუალებად.

მეორე მიზეზი სვანეთის ფიზიკური გეოგრაფიაა – ყაზბეგის ხეობასთან შედარებით, მაგალითად, სვანეთი არ არის ტრანზიტული და მოსახლეობა ცხოვრობს გარეშემოსაზღვრულ ადგილზე, რაც ასევე ხელს უწყობს იდენტობის შენარჩუნებას.

ბოლო და უმთავრესი მიზეზი, რომელიც სვანური ჩვეულებითი სამართლის სიცოცხლისუნარიანობას განაპირობებს, ბანალურია – მოსახლეობისთვის ჩვეულებითი სამართალი უფრო ახლოა, ვიდრე სახელმწიფოს მიერ მიღებული კანონები. აღნიშნულ საკითხს უფრო ვრცლად გაშლა ესაჭიროება:

საქართველოში რამდენიმე ათასი კანონი და კანონქვემდებარე აქტი არსებობს და ქვეყნის მოსახლეობის უმეტესობას ეს კანონები არც კი წაუკითხავს. მეტიც, რომც წაიკითხო, ხშირ შემთხვევაში, ვერ შეძლებს ზუსტი იურიდიული შინაარსის გამოტანას. ეს უკანასკნელი იურისტების კომპეტენციას განეკუთვნება. მაგრამ საინტერესო ის არის, რომ თვით პროფესიით იურისტებიც კი კანონებს არათუ არ კითხულობენ, არამედ იურისტის პროფესია ისედაც არ გულისხმობს ყველა კანონის ზეპირად ცოდნას. იურისტი არის ადამიანი, რომელსაც თავის პროფესიულ ენაზე – იურიდიულ ენაზე აზროვნება და მეტყველება შეუძლია.<sup>26</sup> იურისტის ფუნქციაა სოციალური ურთიერთობის მარეგულირებელი სწორი ნორმის მოძიება, მისი სწორად მორგება არსებულ სოციალურ ურთიერთობაზე და ნორმის შინაარსის სწორად განმარტება.<sup>27</sup>

მარტივი გონებრივი ან რეალური ექსპერიმენტი შეიძლება ჩატარდეს: ნებისმიერ პროკურორს დაესვას კითხვა: – როდის წაიკითხა მან ბოლოს სამოქალაქო კოდექსის კონკრეტული მუხლები? ასევე, სამოქალაქო სამართლის სპეციალისტს (ადვოკატს, მოსამართლეს და ა.შ.) შეიძლება დაესვას კითხვა: – ბოლოს როდის გაეცნო სისხლის სამართლის კოდექსში შესულ ცვლილებებსა და დამატებებს? პასუხების უმეტესობა შეიძლება ასე ჟღერდეს: – სტუდენტობის დროს.

გარდა ამისა, არსებობს მთელი რიგი სამართლის დარგები, რომლებიც ახალი ჩამოყალიბებულია ან მხოლოდ ახლა ყალიბდება ან, თუნდაც, იხვეწება და არაერთი ხანგრძლივი სტაჟის მქონე მა-

<sup>26</sup> იხ. ციტირება: ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბ., 2004, 124.

<sup>27</sup> აღნიშნული ზედმიწევნით არის ასახული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე (ასევე, 377-ე) მუხლის შინაარსში, სადაც საკასაციო (და სააპელაციო) საჩივრის საფუძვლად მითითებულია სასამართლოს მიერ ა. იმ კანონის გამოყენება, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, ბ. იმ კანონის არგამოყენება, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გ. სწორად გამოყენებული კანონის არასწორად განმარტება. იხ. ციტირება: საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 14/11/1997, მუხლი 377, 393.

ლაღკვალიფიციური იურისტის სტუდენტობის დროს, უნივერსიტეტებში დისციპლინების და საგნების სახით არც კი ისწავლებოდა.

იურისტებისთვის ცნობილია, რომ კანონის არცოდნა არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან,<sup>28</sup> ასევე, კანონები ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე ან გამოქვეყნებიდან გარკვეულ ვადაში,<sup>29</sup> რაც იურიდიულ ენაზე იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ყველა მოქალაქე კანონის გამოქვეყნებისთანავე უნდა ეცნობოდეს მის შინაარსს, ხოლო თუ არ ეცნობა, ეს მისი პირადი პასუხისმგებლობაა. მაგრამ ეს არ ცვლის იმ რეალობას, რომ კანონთა უმეტესობის შინაარსი მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის სრულიად უცნობია, ხოლო გამოქვეყნებისა და ძალაში შესვლის თარიღებით ცოტა ვინმე თუ ინტერესდება.<sup>30</sup>

კიდევ ერთი მაგალითი: იურისტებმა კარგად იციან, რომ კანონი კრძალავს ქორწინებას მხოლოდ: 1. პირდაპირ აღმავალი ან დამავალი შტოს ნათესავებს შორის და 2. ბიოლოგიურ და არაბიოლოგიურ და-ძმას შორის, ასევე, 3. ნაშვილებსა და მშვილებელს შორის,<sup>31</sup> მაგრამ, საქართველოს მოქალაქისთვის, რომელსაც იურიდიული განათლება არ აქვს, როგორი შოკისმომგვრელი იქნება ინფორმაცია, რომ სახელმწიფო სრულიად ლეგალურად მიიჩნევს ქორწინებას: დეიდაზე, მამიდაზე, ბიძაზე, დისშვილზე, ძმისშვილზე, ბიძაშვილზე, დეიდაშვილზე, მამიდაშვილზე და ა.შ. საბედნიეროდ, ეს საკითხი აბსოლუტურად არააქტუალურია რეალურ ცხოვ-

<sup>28</sup> იხ. ციტირება: საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 26/06/1997, მუხლი 3.2.

<sup>29</sup> იხ. ციტირება: ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონი 22/10/2009, მუხლი 22, 23, 26, 27.

<sup>30</sup> ეს ვითარება მხოლოდ საქართველოს მოსახლეობისთვის დამახასიათებელი როდია. იგივე სურათია სხვა ქვეყნებშიც. ამიტომ რა გასაკვირია, თუკი სვანებს, კვლავ თავიანთი ადათობრივი სამართლის ნორმების მიმართ აქვთ უფრო მეტი ნდობა, ვიდრე მათთვის უცხო თანამედროვე კანონების მიმართ, რომელთა შედგენაშიც მათ უშუალოდ არ მიუღიათ მონაწილეობა და თავიანთი უშუალო თანხმობაც არ გაუციათ.

<sup>31</sup> იხ. ციტირება: საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 26/06/1997, მუხლი 1120.

რებაში. ეს იმიტომ, რომ ნათესავთა შორის ქორწინების აკრძალვაზე ქართული კულტურის მატარებელი ნებისმიერი ადამიანის ცნობიერებაში მზა პასუხი არსებობს, რომელიც ე.წ. „მოხსნილი მოტივაციის“ სახით არის წამოდგენილი და გადასინჯვა-გადახედვას (მოტივაციის პროცესს) არ ექვემდებარება.<sup>32</sup> ეს კი სწორედ იმ ადათ-წესების დამსახურებაა, რომელიც ისტორიულად არსებობს საქართველოში და რომლის საკანონმდებლო მონესრიგება-არმონესრიგება არანაირ გავლენას არ ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე (ამ შემთხვევაში, საქორწინო ურთიერთობებზე).

ასე რომ, სოციალური ურთიერთობები, ცხადია, მხოლოდ კანონებით არ იმართება. სოციალურ ურთიერთობებზე გავლენას ჩვეულებები, მორალი, რელიგია, კულტურა და თვით მოდაც კი ახდენს. სამართალი კი ჩამოთვლილთა შორის მხოლოდ ეთიკურ მინიმუმს ქმნის.<sup>33</sup>

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ სვანური ადათობრივი სამართლის მიმართ ნდობა სვანეთის მოსახლეობაში უფრო მეტია, ვიდრე ოფიციალური კანონის მიმართ, მაგრამ, მაშინ, რა არის ის ხელის შემშლელი გარემოებები, რომელსაც თანამედროვე სვანური მედიაციის ინსტიტუტი შეეჯახა?

<sup>32</sup> „მოტივაციის შემდეგ, თუ სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორებს შორის რაიმე არსებითი ცვლილება არ მოხდა, ადამიანი პრაქტიკულად მოქმედებს იმ მოდელით, რომელიც მოტივაციის პროცესში ჩამოყალიბდა. პირველად განხორციელებული მოქმედების შედეგის დადებითი უკუკავშირის შემთხვევაში, სხვა დროს, იმავე სიტუაციაში მოქმედება მოტივაციის გარეშე მეორდება, ხოლო მრავალგზის განმეორების შემდეგ მოტივაციის ფაქტორთა სისტემისა და რწმენით გამოწვეული ცვლილებები პიროვნების თვისებად, მოქმედება კი – ჩვევად იქცევა.“ იხ. *კიკნაძე დ.*, მოტივაცია, როგორც ადამიანის შინაგანი მოქმედება, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, სამართლის სერია, *ზოიძე ბ.*, (რედ.), №1, თბ., 1998, 83.

<sup>33</sup> იხ. ციტირება: *ხუბუა გ.*, სამართლის თეორია, თბ., 2004, 63.

### **3. მორავის წინაშე არსებული თანამედროვე გამოწვევები და პრობლემები**

უპირველესი გამოწვევა რაც თანამედროვე მორავის წინაშე დგას, ისტორიული რეალობის ცვლილებაა:

აღარ არსებობს ეკონომიკური და სოციალური საფუძველი, რომელიც ადათობრივი სამართლის ერთადერთ უალტერნატივო სამართლად არსებობას განაპირობებდა – აღარც დიდი სვანური ოჯახი და არც კუთხური ჩაკეტილობის ის ხარისხი, რაც წარსულში იყო.

სვანების განსახლების არეალი ამჟამად მთელ საქართველოს მოიცავს, რაც მათ ასიმილირებას ხელს უწყობს და სვანური ადათების დაცვას ისინი ნელ-ნელა თავს ანებებენ. განსაკუთრებით ეს დიდ ქალაქებში შეიმჩნევა. ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენს სვანების კომპაქტური დასახლებები საქართველოს რამდენიმე რეგიონში, სადაც ისინი სოფლად ან რამდენიმე სოფლად ცხოვრობენ. ასეთ სოციუმებს ადათობრივი სამართალი და სამედიატორო ინსტიტუტი მეტ-ნაკლებად კვლავ შენარჩუნებული აქვთ.

შემდეგი არის რწმენის ფაქტორი – მოსახლეობაში ნელ-ნელა იკარგება ხატზე ცრუ დაფიცების შიში. აღნიშნულის პირველი მიზეზია საბჭოთა პერიოდში მიზანმიმართული იდეოლოგიური მუშაობის შედეგად დამკვიდრებული ათეიზმი და საიქიო ცხოვრებისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება, რომელმაც XXI საუკუნეში მაინც თავისი ნაყოფი გამოიღო. სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი ინდიფერენტულია რელიგიის მიმართ. ხოლო მეორე მიზეზი სრულიად პოლარულია: პარადოქსია, მაგრამ ეს მიზეზი მართლმადიდებლური ქრისტიანობის აქტიური ქადაგებაა. ქართულ ეკლესიას არ აქვს თავისი ცალსახად ჩამოყალიბებული პოზიცია ხატზე დაფიცების სვანურ ტრადიციასთან დაკავშირებით. არც თუ იშვიათია შემთხვევები, როდესაც სასულიერო პირები არ იწონებენ ეკლესიაში ხატზე დაფიცების წესს და მას არამართლმადიდებლურად და არაქრისტიანულად, ზოგჯერ – წარმართულადაც კი მიიჩნევენ. შესაბამისად, სვანების გარკვეული ნაწილი, იმ მოტივით, რომ ეს ქცე-

ვა არაქრისტიანულია, უკვე თავს იკავებს მსგავსი რიტუალის აღსრულებისგან. ასე რომ, დღეს სვანური ადათობრივი სამართლისა და სამედიატორო სასამართლოს ქვაკუთხედი, ხატზე დაფიცება, ორ ცეცხლს შორის არის მოქცეული.

შემდეგი ფაქტორი მედიატოროთა ასაკია – მათი უმეტესობა 50-80 წლის შუალედს განეკუთვნება, ყოველწლიურად ასაკი ემატებათ და უფროსი თაობა ნელ-ნელა მიდის, უმცროს თაობას კი – ციფრული ტექნოლოგიების ხანაში გაზრდილს, ნაკლებად აინტერესებს სვანური ტრადიციული სამართალი. დღეს უკვე ძნელი წარმოსადგენია 30-40 წლის ასაკის სვანი მორავის არსებობაც კი.

შემდეგი ხელისშემშლელი გარემოებაა ე.წ. „შავი გაგების“ გავრცელება სვანურ რეალობაში, რასაც საფუძველი საბჭოთა პერიოდში ჩაეყარა და კონკურენციაშიც კი შევიდა ტრადიციულ სამედიატორო სასამართლოსთან. სვანებისთვის, როგორც საერთოდ მთის მოსახლეობისთვის, დამახასიათებელი ვაჟკაცური ბუნება კარგად იქნა გამოყენებული რეკეტული დანაშაულის ადეპტების მიერ და არაერთი ახალგაზრდა დაადგა კრიმინალურ გზას. შემდგომ, 90-იან წლებში სახელმწიფო ხელისუფლების შესუსტების კვალდაკვალ, „ქურდული სამყარო“ განსაკუთრებულად გაძლიერდა და მხოლოდ მოგვიანებით, XXI საუკუნის პირველ დეკადაში, სახელმწიფო საპოლიციო აპარატის მხრიდან უპრეცედენტო ღონისძიებების გატარების შედეგად მოხერხდა „შავი სამყაროს“ გარკვეულ არტახებში მოქცევა. სწორედ ამან განაპირობა ტურიზმის სფეროს განვითარება და სვანეთის მოსახლეობის ეკონომიკური წინსვლა, თუმცა, „ქურდური გაგების“ სრულ აღკვეთაზე საუბარი ჯერჯერობით ნაადრევია.

ეს ბოლო ფაქტორი თავის მხრივ განაპირობებს იმას, რომ არცერთ მორავს არანაირი სურვილი არ აქვს, ასოცირდებოდეს ე.წ. „კანონიერ ქურდთან“ ან რეკეტულ დანაშაულთან. ამიტომ ზოგჯერ არის შემთხვევები, როდესაც მორავი თავს არიდებს უცხო პირთა წინაშე თავისი სამედიატორო გამოცდილების აფიშირებას. პირად საუბარში სიფრთხილეს იჩენს და ერიდება იმის გამხელას, რომ მო-



რავია. ცხადია, იგი არ არის იურისტი და არ იცის, რამდენად ლეგიტიმურია სახელმწიფოს გადასახედიდან მისი საქმიანობა.<sup>34</sup>

ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ სვანურ მედიაციას არანაირი საერთო არ აქვს „ქურდულ სამყაროსთან“ – თუკი რეკეტი მიზნად ისახავს სარგებლის ან უპირატესობის მიღებას, ძალაუფლების და გავლენის მოპოვებას,<sup>35</sup> მორავი არანაირ პირად სარგებელს არ იღებს და პირიქით, ფაქტიურად, თავის საუკეთესო ცხოვრებისეულ რესურსს (დროს) უთმობს საზოგადოებრივად სასარგებლო მაღალი მორალური პრინციპებით ნაკარნახევ საქმიანობას – მედიაციას.<sup>36</sup> თვითონ სიტყვა „მორავიც“ ხომ სვანურ ენაში სიბრძნის, პატიოსნების, ღირსების და საუკეთესო თვისებების მქონე ადამიანის ეპითეტია. მეტიც – მართალია „ქურდული სამყარო“ ცდილობდა, ჩაენაცვლებინა მორავების გავლენა, მაგრამ როდესაც სვანეთში 90-იან წლებში სახელმწიფო კონტროლი შესუსტდა, სწორედ ისევ მორავების ინსტიტუტი იცავდა სვანეთის საზოგადოებას

<sup>34</sup> მართლაც, საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციების დროს უცხო ექსპედიტორის წინაშე მორავმა, როგორც რესპოდენტმა, შეიძლება დაადასტუროს, რომ სვანეთში სამედიატორო სასამართლო კვლავ ფუნქციონირებს, რომ არიან მორავები, რომლებიც მედიაციას დღემდე ახორციელებენ, თუმცა კონკრეტული პირების დასახელებისგან თავი შეიკავოს, ხოლო საკუთარ თავზე კატეგორიულად უარყოს, რომ ის მორავია ან ოდესმე რაიმე ფორმით მიუღია შერიგების პროცესში მონაწილეობა. იგივე ადამიანი მისთვის სანდო ინტერვიუერთან, რომლის მიმართაც ნდობის ნაკლებობას არ განიცდის, არ უარყოფს, რომ ნამდვილად მორავია და მონაწილეობაც მიუღია ამა თუ იმ სამედიატორო პროცესში. საბედნიეროდ, უფრო ხშირად პირიქით ხდება და მორავი არავისთან არ ერიდება თავისი საქმიანობის წარმოჩენას, მაგრამ ზემოდასახელებული თუნდაც ერთეული შემთხვევების არსებობაც კი უკვე თავისთავად მიუთითებს სიტუაციის პრობლემატურობაზე.

<sup>35</sup> იხ. ციტირება: ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ საქართველოს კანონი 20/12/2005, მუხლი 3.2.

<sup>36</sup> იხ. ციტირება: ონიანი ს., დავითაშვილი გ., ჩვეულებითი სამართლის მოქმედება თანამედროვე ბალსზემო სვანეთში, 2015 წლის 20-30 ივნისის საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის სამეცნიერო-მოსხენებითი ანგარიში, თბ., 2016, 18, 21.

სრული ქაოსისგან. მორვეები ყოველთვის საზოგადოებრივი ნდობით აღჭურვილი, კეთილსინდისიერებით გამორჩეული ადამიანები იყვნენ და არიან. სწორედ ისინი ქმნიდნენ და დღესაც ქმნიან „შავი სამყაროს“ საწინააღმდეგო სოციალურ ვექტორს. ბევრჯერ ყოფილა შემთხვევა, როდესაც სწორედ სოფლის და თემის მორვეებს და უხუცესებს ძველი სვანური ადათების შესაბამისად მთელი ხეობის მოსახლეობა ხატზე დაუფიცვებიათ ქურდობის ფაქტების აღსაკვეთად.<sup>37</sup>

თუ დაინტერესებული პირი სვანური სამედიატორო სასამართლოს ინსტიტუტს საფუძვლიანად გაეცნობა, მისთვის ცხადი გახდება, რომ მორვეების საქმიანობა არანაირად არ ეწინააღმდეგება სახელმწიფოს ინტერესებს და „კანონით აუკრძალავის დაშვებულობის პრინციპი“ მასზე ცალსახად უნდა გავრცელდეს, მაგრამ არ არის გამორიცხული, იურისტებმა მაინც მოახერხონ რაიმე ნორმის მოძიება, რითაც, მინიმუმ, უხერხულობას შეუქმნიან სვან მედიატორებს. მაგალითად, გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული პრინციპი („ის რაც კანონით არ არის აკრძალული, მოქალაქისთვის დასაშვებია“) სისხლის სამართლის მეცნიერებაში ეჭვქვეშ არის დაყენებული.<sup>38</sup> ამიტომ ესეც ერთგვარი გამოწვევაა მოქმედი მორვეებისთვის. წარსულში, რუსული იმპერიალისტური და რუსული საბჭოთა მმართველობის პირობებში, მათთვის ცხადი იყო სვანური სამართლის უპირატესობა უცხო ქვეყნის მიერ თავსმოხვეული სამართლის მიმართ და „მთავრობის კანონს ცვილის ცხვირი აქვსო“, ე.ი. როცა უნდათ შეცვლიანო, ამბობდა კიდევ სვანური ანდაზა,<sup>39</sup> მაგრამ დღეს, როდესაც საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა და თავისი კანონმდებლობა აქვს, სვან მორვეებს კარგად ესმით, რომ კანონი უკვე ყველა ჩვენთაგანის კუთვნილებაა და მის მიმართ ისინი ვერანაირად ვერ გამოიჩენენ ანტაგონისტურ დამოკიდებულებას.

<sup>37</sup> იქვე, 42.

<sup>38</sup> იხ. ციტირება: ნაჭყებია გ., კანონით აუკრძალავის ნებადართულობის შესახებ, ჟურნ. „სამართალი“, №1, 1992, 14, 19-22.

<sup>39</sup> იხ. კოძაია ა., ლაპრაკდ არი, სვანური ანდაზები, თბ., 2000, 74.

აქ ისიც აღსანიშნავია, რომ თუკი ძველ პერიოდში სვანური სამედიატორო სასამართლო ძირითადად მართლმსაჯულებისა და მორიგების ფუნქციებს თანაბრად ინაწილებდა, ბოლო პერიოდში შეიმჩნევა მედიაციისკენ მკვეთრი გადახრა და მართლმსაჯულების ფუნქციას მორვეები უფრო და უფრო ნაკლებად ატარებენ. მაგრამ მიუხედავად ამისა, მორავთა უმეტესობისთვის სრულიად უცნობია, რა შეფასება შეიძლება მოჰყვეს სახელმწიფოს მხრიდან მათ საქმიანობას – ხომ არ არის ეს საქმიანობა რაიმე სახით აკრძალული და არალეგალური? შესაძლოა, საქართველოს კანონმდებლობა არალეგალურად არ მიიჩნევს სვანურ ტრადიციულ მედიაციას, მაგრამ კიდევ ერთი საკითხი დგება დღის წესრიგში: საქართველო ევროპული ოჯახის წევრობისკენ მიისწრაფვის და ჩვენი საკანონმდებლო ბაზა ევროპულ კანონმდებლობასთან ადაპტირების პროცესშია, ამიტომ გასარკვევია – რამდენად ტოლერანტულია ევროპული კანონები სვანური მედიაციის ინსტიტუტის მიმართ?

საქართველოს კონსტიტუცია განამტკიცებს პრინციპს, რომ სახელმწიფო ზრუნავს ეროვნული ფასეულობებისა და თვითმყოფადობის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაზე,<sup>40</sup> მაგრამ რეალობაში რამდენად სრულდება ეს დანაწესი?

ყველა ეს კითხვა ამ ეტაპზე ცალსახად პასუხგაცემული ნამდვილად არ არის.

#### 4. დასკვნა

მართალია, სვანური მოსახლეობის დიდ ნაწილში ამჟამად დაკარგულია როგორც სვანურ ადათთა უმეტესობა, ისე სადავო საქმის სვანური სამედიატორო სასამართლოს მეშვეობით მოგვარების ტრადიცია, მაგრამ საქართველოს დანარჩენ მოსახლეობასთან შედარებით, ჩვეულებითი სამართალი სვანებისთვის მაინც უფრო ახლოა და მედიაციის შინაარსის განმარტებას ან მედიაციის ინსტი-

<sup>40</sup> იხ. ციტირება: საქართველოს კონსტიტუცია 24/08/1995, მუხლი 5.6.

ტუტის მიმართ სახელმწიფოს მხრიდან რაიმე სახით სპეციალურ დაინტერესებას სვანები ნამდვილად არ საჭიროებენ. სვანეთის მოსახლეობისთვის სიტყვა „მედიატორი“ დიდად საპატივცემლო ადამიანის სინონიმია. მედიაცია მათთვის კარგად ნაცნობი, ტრადიციული ინსტიტუტია. სვანებმა იციან მედიაციის ბუნება, იციან თუ რა უპირატესობები აქვს საქმის მორიგებით დასრულებას, შერიგების აქტს და დავის მშვიდობიან დასასრულს.

მორავის საქმიანობა არ ეწინააღმდეგება სოციუმის მიზანს – საზოგადოებაში დამყარდეს მშვიდობა და შეიქმნას უკეთესი თანაცხოვრების პირობები. ამიტომ სანამ სვანეთის მოსახლეობაში, შეიძლება ითქვას, თვითდინებით იქნება მოთხოვნა სვანური ადათის მიხედვით სადავო საქმეების მოგვარებაზე, აღნიშნული ინსტიტუტი იარსებებს, ხოლო თუ მოთხოვნა გაქრება, აღარც მიწოდებას იქნება ადგილი.<sup>41</sup>

რაც შეეხება ქართულ სახელმწიფოს, დღეს უკვე მასზეცაა დამოკიდებული, თუ რა პოლიტიკას აირჩევს სვანური მედიაციის მიმართ: რაიმე ფორმით ხელს შეუწყობს? დააკონსერვებს? თუ – აკრძალავს? ასევე, სახელმწიფოზეა დამოკიდებული იმის განჭვრეტა, თუ რა მოწყვეტა თითოეულ ამ ღონისძიებას.

რა გზას დაადგება ხალხური მედიაცია – გაქრება თუ ტრანსფორმირდება? ამ კითხვებზე საბოლოო პასუხს მხოლოდ მომავალი გასცემს.

## ბიბლიოგრაფია

1. საქართველოს კონსტიტუცია, 24/08/1995.
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 26/06/1997.
3. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 14/11/1997.
4. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, 12/06/2015.
5. ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონი, 22/10/2009.

<sup>41</sup> იხ. ციტირება: *მენქიუ გ.*, ეკონომიკის პრინციპები, (ქართულ გამოცემაზე მუშაობდნენ: *ახვლედიანი ა., კახნიაშვილი ა., მანჩხაშვილი ნ., ქადაგიძე ლ., ჭაბაშვილი ა.*), მე-2 ქართული გამოცემა, თბ., 2008, 77.

6. ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ საქართველოს კანონი, 20/12/2005.
7. „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონი, 18/09/2019.
8. საზღვარგარეთ გარდაცვლილ საქართველოს მოქალაქეთა საქართველოში გადმოსვენების ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 ივლისის №330 დადგენილების დანართი (საზღვარგარეთ გარდაცვლილ საქართველოს მოქალაქეთა საქართველოში გადმოსვენების ხარჯების ანაზღაურების წესი).
9. *დავითაშვილი გ.*, სამედიატორო სასამართლო სვანეთში, თბ., 2002, 81.
10. *დავითაშვილი გ.*, სასამართლო მტკიცებულებანი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2003, 9-10.
11. *დავითაშვილი გ.*, სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2004, 4, 27, 30-31.
12. *დავითაშვილი გ.*, შურისძიება და შერიგება ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2021, 41-42, 325-326, 329.
13. *კეკელია მ.*, სასამართლო ხასიათის დოკუმენტები ბალსზემო სვანეთიდან, კრებულში: ქართული ჩვეულებითი სამართალი, *კეკელია მ.*, (რედ.), ტ. 2, თბ., 1990, 155-157;
14. *კეკელია მ.*, დოკუმენტები ბალსზემო სვანეთიდან, კრებულში: ქართული ჩვეულებითი სამართალი, *კეკელია მ.*, (რედ.), ტ. 4, თბ., 1993, 218.
15. *კიკნაძე დ.*, მოტივაცია, როგორც ადამიანის შინაგანი მოქმედება, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, სამართლის სერია, *ზოიძე ბ.*, (რედ.), №1, თბ., 1998, 83.
16. *კორძია ა.*, ლაჰრაკდ არი, სვანური ანდაზები, თბ., 2000, 74.
17. *ლიპარტელიანი ა.*, სვანურ-ქართული ლექსიკონი, ჩოლურული კილო, თბ., 1994, 224.
18. *მენქიუ გ.*, ეკონომიკის პრინციპები, (ქართულ გამოცემაზე მუშაობდნენ: *ახვლედიანი ა.*, *კახნიაშვილი ა.*, *მანჩხაშვილი ნ.*, *ქადაგიძე ლ.*, *ჭაბაშვილი ა.*), მე-2 ქართული გამოცემა, თბ., 2008, 77.
19. *ნაჭყებია გ.*, კანონით აუკრძალავის ნებადართულობის შესახებ, *ჟურნ. „სამართალი“*, №1, 1992, 14, 19-22.
20. *ნიჟარაძე ბ.*, ქართულ-სვანური ლექსიკონი, ბალსზემოური დიალექტი, თბ., 2007, 149.
21. *ნიჟარაძე ბ.*, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, ტ. I, თბ., 1962, 114-115.

22. *ონიანი ს., დავითაშვილი გ.*, ჩვეულებითი სამართლის მოქმედება თანამედროვე ბალსზემო სვანეთში, 2015 წლის 20-30 ივნისის საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის სამეცნიერო-მოსწენებითი ანგარიში, თბ., 2016, 5, 18, 21, 42, 151, 181, 367-368.
23. *პიზი ა., პიზი ბ.*, სხეულის ენა, (*მთარგმნელი*) *დოლიძე გ., თითმერია თ. (რედ.)*, პირველი გამოცემა, თბ., 2016, 174-175.
24. *ჩართოლანი მ.*, ახალი ტიპის საცხოვრებელი ნაგებობები სვანეთში 1961 წლამდე, კრებულში: სვანეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, *ჩართოლანი მ., (რედ.)*, თბ., 1970, 43.
25. *ჭაბაშვილი მ.*, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, მესამე შესწორებული და შევსებული გამოცემა, თბ., 1989, 585.
26. *ხარაძე რ.*, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბ., 1939, 46-47.
27. *ხუბუა გ.*, სამართლის თეორია, თბ., 2004, 63, 124.
28. *Берман Г. Дж.*, Западная Традиция Права: Эпоха Формирования, 2-е издание, М. 1998, 86.
29. *Харадзе Р. Л.*, Грузинская Семейная Община, Т. 2, Тбилиси, 1961, 16.

## საოჯახოსამართლებრივი დავის განხილვის თავისებურება მედიაციაში და შესაძლო ეთიკურ-სამართლებრივი დილემები

სტატია ეთმობა საოჯახოსამართლებრივი დავის მედია-ციის სამართლებრივი ბუნების, არსობრივი თავისებურებებისა და თვისობრივი ეთიკური დილემების ანალიზს, საოჯახოსამართლებრივი დავის პროცესში მედიატორის ქცევის სპეცი-ალური ეთიკური სტანდარტებისა და საკანონმდებლო გარან-ტიების დადგენის მნიშვნელობის მეცნიერულ-პრაქტიკულ გა-აზრებას. ნაშრომი ითვალისწინებს ეთიკურ დილემებთან გამ-კლავების პრაქტიკულ რეკომენდაციებს მედიატორთა ეთიკუ-რი ვალდებულებების თანაზომიერი განხორციელებისა და მე-დიაციის პროცესის ეთიკური მთლიანობის დაცვისთვის, რაც საბოლოოდ ემსახურება პროცესში მონაწილე პირთა, მათ შო-რის, არასწრულწლოვნის ლეგიტიმურ ინტერესთა ჯეროვანი რეალიზების მიზანს, მათი ავტონომიურობის, თვითგამორკვე-ვისა და ინფორმირებული თანხმობის პრინციპთა გავლით.

კვლევაში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა მედიაცი-ის პროცესში მედიატორის დარგობრივი კომპეტენციის მნიშ-

---

\* სამართლის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სა-ხელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, თანამედროვე კერძო სამართლის ინსტიტუტის წევრი, სა-ქართველოს მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი, მედიატორი, კოლექტიური შრომითი დავის მედიატორი, მედიატორთა ტრენერ-შემფასებელი, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი.

\* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსი-ტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი, სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მედიატორთა ერთიანი რეესტრის წევრობის სერტიფიცირებული კანდიდატი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მთავარი კონსულტანტი - მოსამართლის თანაშემწე.

ენელობის, პროცესში არასრულწლოვნის მონაწილეობის, კვალიფიციური სპეციალისტების მონაწილეობის, სამედიცინო მორიგების შინაარსობრივ-სოციალური სამართლიანობისა და დავის შედეგის მიმართ მედიატორის ნეიტრალობის პრინციპის შეზღუდვის საკითხებს.

**საკვანძო სიტყვები:** საოჯახოსამართლებრივი დავა, მედიაცია, ეთიკა, თვითგამორკვევა, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი, სასამართლო, ნეიტრალობა, თვითგამორკვევა, თანასწორობა, მართლმსაჯულება.

## 1. შესავალი

ადამიანთა თანაცხოვრებას სხვადასხვა ხასიათის დაპირისპირებები ახასიათებს, რაც ხშირად კონფლიქტშიც გადაიზრდება. საოჯახო ხასიათის დავებზე ადამიანების თანაცხოვრების თანმდევი და მათი სიმრავლე მართლმსაჯულების სისტემებზე მნიშვნელოვან გამოწვევებს უქმნის. სერიოზული ხასიათის დავის გადასაჭრელად ადამიანები უმთავრესად დავის გადანყვეტის ე.წ. ტრადიციულ მეთოდს, სასამართლოს მიმართავენ. თუმცა, ზოგჯერ კონფლიქტი ბევრად მეტია, ვიდრე სამართლებრივი დავა და სასამართლოს გადანყვეტილების მიუხედავად, აღმოუფხვრელი რჩება, რადგან სასამართლო პროცესის მეშვეობით მიიღება სამართლებრივი გადანყვეტილება, რომლის შედეგად სახეზეა გამარჯვებული და დამარცხებული მხარე<sup>1</sup>.

ზოგიერთი მოსაზრებით, სასამართლოების მიერ მედიაციის პროექტების განხორციელების უმთავრესი მიზანი წვრილმანი დავებისგან სასამართლოს განტვირთვაა<sup>2</sup>, თუმცა, ამასთან ერთად, წარმატებული სასამართლო თუ კერძო მედიაცია დავის საბოლოოდ გადანყვეტას უზრუნველყოფს და, ამ მხრივ, სასამართლოს

---

<sup>1</sup> ოსტერმილერი ს.მ., სვენსონი დ. რ., დავის გადანყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, საბაზისო სახელმძღვანელო, თბ., 2014, 130.

<sup>2</sup> ცერცვაძე გ., მედიაცია, თბ., 2010, 170.



გადანყვეტილების „ნაკლოვანების“ გამოსწორების მიზანსაც ემსახურება<sup>3</sup>. დავის მოგვარების აღნიშნული მექანიზმი მხარეებს უტოვებს შესაძლებლობას დავა იმგვარი გზებით გადაწყვიტონ, რომელიც ხელმისაწვდომი არ არის სასამართლო პროცესების ან დავის გადაწყვეტის სხვა პროცესების ფარგლებში. შესაბამისად, ბოლო პერიოდში მედიაციის, როგორც დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მშვიდობიანი გზის, პოპულარობა<sup>4</sup> იზრდება.<sup>5</sup>

მედიატორის ჩართულობით, ერთმანეთთან მხარეთა სწორი კომუნიკაცია შესაძლოა მათ შორის სამომავლო ურთიერთობების

<sup>3</sup> ADR-ს მჭიდრო კავშირი აქვს სასამართლო საქმის წარმოებასთან, ერთი მხრივ, მისი ალტერნატივაა, რომელიც გაცილებით უფრო ეფექტურ და ნაკლებხარჯიან პროცესს სთავაზობს მხარეებს, თუმცა სასამართლო მედიაციის მაგალითზე (court –attached mediation/court-annexed, court related, court-linked) კარგად ვლინდება, რომ ალტერნატიული საშუალება კავშირშია სასამართლოსთან, რომელიც თავის მხრივ მეტი დროის და ფინანსების საჭიროებას იწვევს, ხშირად შევხვდებით იურიდიულ ლიტერატურაში მითითებას იმასთან დაკავშირებით, რომ „რაც გვიან მიაღწევნ მხარეები სასამართლო დავაზე შეთანხმებას, მით უფრო ძვირი უჯდება ეს ორივე მხარეს“. სასამართლო მედიაციის მაგალითზე ევროპული ქვეყნების გამოცდილებით შეინიშნება მოდელები, როდესაც მხარეებს მესამე დამოუკიდებელი ნეიტრალური პირის ჩართულობით შეუძლიათ მედიაციის პროცესის წარმოება და არის შემთხვევები, სადაც ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მიმართებაში ადამიანის უფლებების დარღვევას. აღნიშნულ არგუმენტაციასთან დაკავშირებით არსებობს მეორე მოსაზრებაც, რომლის თანახმად სავალდებულო მედიაციის ეტაპის გავლა არ წარმოადგენს ადამიანის უფლებების მე-6 მუხლის დარღვევას, კერძოდ, სასამართლოსათვის მიმართვის უფლების დარღვევას, რადგან მედიაციის წარუმატებლად დასრულების შემთხვევაში არაფერი ზღუდავს მხარეებს მიმართონ სასამართლოს. იხ. *ყანდაშვილი ი., საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები*, თბ., 2018, 37-38, <[http://press.tsu.ge/data/image\\_db\\_innova/Kandashvili%20Irakli.pdf](http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Kandashvili%20Irakli.pdf)> [23.05.2022].

<sup>4</sup> იქვე, 40.

<sup>5</sup> *კაკოიშვილი დ., მედიატორის ეთიკური ვალდებულებები მედიაციის პროცესში*, თბ., 2020, 2, <<http://www.library.court.ge/upload/46302020-12-01.pdf>> [20.05.2022].

შენარჩუნების საწინდარი გახდეს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ დავებში, სადაც კონფლიქტი უფრო პირადი ხასიათისაა (საოჯახო<sup>6</sup>, შრომითი და ბიზნესპარტნიორებს შორის დავები).<sup>7</sup> სამართლის პროფესია ფორმალურად აღიარებს საოჯახო მედიაციას, როგორც ღირებულ პარტნიორს სასამართლოსა და ადვოკატებისთვის<sup>8</sup> საოჯახო დავების გადაჭრის პროცესში.<sup>9</sup>

მედიაციის პოპულარობის ზრდასთან ერთად, იზრდება საკითხების ჩამონათვალი<sup>10</sup>, რომლებიც პრობლემური შესაძლოა

<sup>6</sup> მედიაცია მხარს უჭერს ფილოსოფიას, რომ წყვილების უმეტესობას აქვს შესაძლებლობა, ახლებურად მოაწყონ თავიანთი ცხოვრება პირად, კონფიდენციალურ გარემოში, მათი პირადი პრეფერენციების შესაბამისად, მედიატორის შედარებით შეზღუდული დახმარებით, რომელიც ფოკუსირებულია კონკრეტულ საკითხებზე. იხ. იქვე, გვ. 7: განქორწინებული მშობლების უმეტესობას შეუძლია შეეგუოს განქორწინებას და განცალკევებას ინტენსიური ჩარევისა და სასამართლოს გადანყვევების გარეშე, რაც საჭიროა კონფლიქტური ოჯახებისთვის. ამ მშობლებს უნდა ნახაღისონ, რომ შუამავლობდნენ თავიანთ დავებს, რათა დაზოგონ საკუთარი ემოციური და ეკონომიკური რესურსები ოჯახების რეორგანიზაციის დროს საჭირო კორექტირებისთვის და თავიდან აიცილონ დაბალი დონის კონფლიქტის მაღალ კონფლიქტურ ომში გადასვლა. იხ. *Schepard A., An Introduction to the Model Standards of Practice for Family and Divorce Mediation, Fam. L. Q. a, Vol. 35, 2001, 4.*

<sup>7</sup> *ორჯონიკიძე ე.*, მედიაციის გზამკვლევი, თბ., 2021, 15, <[https://www.ge-undp.org/content/georgia/ka/home/library/democratic\\_governance/mediation-guide.html](https://www.ge-undp.org/content/georgia/ka/home/library/democratic_governance/mediation-guide.html)> [20.05.2022].

<sup>8</sup> ერთ-ერთი უდიდესი ცვლილება, რომელიც დღეს პროფესიას ემუქრება, არის მისი კომერციალიზაცია. პროფესიის წევრების წარმომადგენლები მიდრეკილნი არიან დაიცვან პროფესიული სტანდარტები და საზოგადოების სულისკვეთება. სამოქალაქო საქმეების სასამართლოში წასვლა უნდა იყოს ბოლო „კურორტი“. ვინც ახორციელებს სამართლის პრაქტიკას თავიანთ მიმღე პასუხისმგებლობებს საჭირო სერიოზულობით უნდა მოეკიდონ. ადვოკატთა პროფესიულ პასუხისმგებლობაზე იხ. *Phillips F., Ethics of the Legal Profession, Routledge-Cavendish, New York, 2016, first published 2004.*

<sup>9</sup> *Schepard A., An Introduction to the Model Standards of Practice for Family and Divorce Mediation, Fam. L. Q. a, Vol. 35, 2001, 1.*

<sup>10</sup> წარსულში დავების გადანყვევების პრაქტიკა მკვეთრად შეიცვალა რამდენიმე ათეულ წელში. ტრადიციული სამართალწარმოების მოდელი

იყოს თავად მედიაციის პროცესში. ამგვარი საკითხია მედიატორის ქცევის წესებიც.<sup>11</sup> მედიაციის პროცესში შეიძლება წამოიჭრას ეთიკური საკითხები, რომელიც მნიშვნელობას იძენს მედიატორისთვის, მხარეებისთვის და მართლმსაჯულების სისტემისთვის. მედიატორები, მოსამართლეების ან არბიტრების მსგავსად, ფლობენ დიდ ძალაუფლებას, გავლენას მედიაციაში ჩართულ პირებზე. ეს ძალაუფლება შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც კეთილი, ისე არაკეთილსინდისიერი მიზნებისთვის. მაშინ, როცა მოსამართლეები და არბიტრები მხარეებისგან განყენებას ცდილობენ და მათ მხოლოდ შეზღუდულ, ოფიციალურ გარემოში ხვდებიან, მედიატორები მხარეებთან მთელ რიგ კერძო შეხვედრებს მართავენ, რათა კონფიდენციალურ გარემოში მათი დამოკიდებულებები, ინტერესები, პრობლემები და შიშები მოისმინონ. ისინი ზოგჯერ მხარეების დარწმუნებას ცდილობენ. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული, რო-

---

სულ უფრო და უფრო უთმობს ადგილს დავების გადაწყვეტის მრავალფეროვანი პრაქტიკის „მრავალკარიან“ ხედვას. დავების განხილვის ფუნქციურ ცვლილებასთან ერთად, წარმოიშვა გადაუდებელი აუცილებლობა ამ მრავალფეროვანი პრაქტიკის მრავალფეროვანი ეთიკური გამოწვევების გადაწყვეტის მიზნით. დავების გადაწყვეტის ეთიკა არის საოცარი წვლილი ამ ძალისხმევაში. *nb. Cohen J. R., DR Ethics Book Brings It All Together, 8 No. 4 Disp. Resol., Mag. 26, 2002, <<http://scholarship.law.ufl.edu/facultypub/571>> [15.06.2022].*

<sup>11</sup> *კაკოიშვილი დ., მედიატორის ეთიკური ვალდებულებები მედიაციის პროცესში, თბ., 2020, 2, <<http://www.library.court.ge/upload/46302020-12-01.-pdf>> 20.05.2022]; *nb. Peppet S. R., ADR Ethics, J. Legal Education, Vol. 54, 2004, 72 <<https://scholar.law.colorado.edu/articles/501>> [15.06.2022].* ავტორი ყოფს ADR-ის ეთიკის თემას ორ ურთიერთ დაკავშირებულ ნაწილად: გაცვლის ეთიკა (the ethics of exchange), რომელიც ეხება მოლაპარაკებისას მორალურ და სამართლებრივ შედეგებს, და დახმარების ეთიკა (the ethics of assistance), რომელიც ეხება ეთიკურ საკითხებს, რომლებიც წარმოიქმნება, როდესაც მესამე მხარე „იჭრება“ დავაში. მესამე მხარის დახმარების ეთიკა შეიძლება შემდგომ განვითარდეს. საჭიროა მეტი ფიქრი იმაზე, თუ რა ეთიკურ ვალდებულებებს იღებს მედიატორი ან არბიტრი, როგორ იცვლება ეს როლები სხვადასხვა კონტექსტში და თუ როგორ უნდა დარეგულირდეს დამხმარე პროფესიების ეთიკა.*

გორც წესი, მხარეთა საერთო ინტერესებს ემსახურება, არსებობს ბევრი ეთიკური პრობლემა, რომელიც ამ დროს იჩენს თავს.<sup>12</sup>

ჯეიმს ჯ. ალფინის აზრით, პრობლემა ისაა, რომ ჩვენ დავის მოგვარების კულტურის მხარდასაჭერად არ შეგვიქმნია აუცილებელი ეთიკური ფუნდამენტი, ეთიკის წესები. საქართველოსა და აშშ-ში სამართალწარმოების პროცესის ეს მნიშვნელოვანი ასპექტი მრავალი თვალსაზრისით მოუწესრიგებელია. ჩვენი ქცევის სამართავად მცირე რაოდენობის წესები არსებობს. შედეგად, მდგომარეობა მომართულია ბევრი დისფუნქციური ქცევისკენ, რომელიც (1) ხელს უშლის სამოქალაქო საქმეების სამართლიან გადაწყვეტას, (2) დისკრედიტაციით ემოქრება ჩვენს იურიდიულ პროფესიებსა და სამოქალაქო მართლმსაჯულების სისტემებს.<sup>13</sup> ის, რასაც ჯეიმს ჯ. ალფინი „დავის მოგვარების ეთიკას“ უწოდებს აქტუალურია დავების ალტერნატიული გადაწყვეტის ფორმებისთვისაც და, მათ შორის, მედიაციისთვისაც.

მედიატორის ეთიკა გამომდინარეობს თავად მედიატორის უფლება-მოვალეობებიდან და მედიაციის არსიდან. ამდენად, არსებული სამართლებრივი ჩარჩოც შეიძლება ჩაითვალოს მედიატორის ეთიკურ ვალდებულებათა წყაროდ.<sup>14</sup> ეთიკური ქცევის სტანდარტის არსებობა ბევრი პროფესიისთვის თვისობრივი მახასიათებელია, თუმცა მედიატორის ქცევის წესების დადგენა იმთავითვე გულისხმობს კონცეპტუალურ წინააღმდეგობას მედიაციის ბუნებასთან, რამეთუ მისი არსობრივი ნიშნული ნებაყოფლობითობა და არამბოჭავი ხასიათია, ხოლო პროცესის მოქნილობა – მედიაციის

<sup>12</sup> *ოსტერმილერი ს.მ., სვენსონი დ.რ.*, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, საბაზისო სახელმძღვანელო, თბ., 2014, 177.

<sup>13</sup> *ალფინი ჯ. ჯ.*, დავის მოგვარების ეთიკა, მთარგმნელები: *უზნაძე ნ., ჩიტაშვილი ნ., ჟურნ.* „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა წელიწდეული“ 2020-2021, 8, <[https://ncadr.tsu.ge/images/file/adr\\_2020\\_2021\\_d.pdf](https://ncadr.tsu.ge/images/file/adr_2020_2021_d.pdf)> [20.05.2022].

<sup>14</sup> *ორჯონიკიძე ე.*, მედიაციის გზამკვლევი, თბ., 2021, 29-30, <[https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/library/democratic\\_governance/mediation-guide.html](https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/library/democratic_governance/mediation-guide.html)> [20.05.2022].

ერთ-ერთი უმთავრესი უპირატესობა.<sup>15</sup> როგორც ეთიკური ნორმებისათვის არათავსებადია ზედმეტი მოქნილობა, ისე მედიაციისათვის არსობრივად შეუსაბამოა გარკვეული ჩარჩოების, სტანდარტების დანესება და მათი მკაცრი აღსრულების უზრუნველყოფა.<sup>16</sup> თუმცა, იმ გავლენის გათვალისწინებით, რაც მედიაციამ შეიძლება მოახდინოს პიროვნებათა ცხოვრებაზე, მედიატორის ქცევის რეგულირება გარდაუვალი აუცილებლობა ხდება.<sup>17</sup>

მედიაციის სტანდარტების დადგენა გულისხმობს არა მხოლოდ მედიატორის, არამედ, მხარეებისა და მათი წარმომადგენლების ეთიკური ბოჭვის ფარგლების განსაზღვრას. მეტიც, ეთიკური ბოჭვის ადრესატებად მოიაზრებიან მედიაციის პროვაიდერი<sup>18</sup> ორგანიზაციები და სასამართლოც<sup>19</sup>. ამასთანავე, მედიატორის ქცევის

<sup>15</sup> ჩიტაშვილი ნ., მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2016, 26, <<https://tsu.ge/assets/media/files/8/Publications/Sam-Journ-N1-2016G.pdf>> [20.05.2022].

<sup>16</sup> იქვე, 26.

<sup>17</sup> იქვე, 28.

<sup>18</sup> დავის გადაწყვეტის პროფესიამ უნდა გადადგას დადებითი ნაბიჯები მესამე მხარის დამფინანსებლებსა და პროცესის ნეიტრალურ წარმმართველებს შორის რეალური და აშკარა ეთიკური შეჯახების, დაპირისპირების მოსაგვარებლად. ეს ნაშრომი გეთავაზობს ეთიკურ მითითებებს და საუკეთესო პრაქტიკას, რომელიც ითვალისწინებს დავების გადაწყვეტის პროვაიდერების მიერ საქმის მიღების პროცედურების შეცვლას, მესამე მხარის დამფინანსებლების ვინაობის გამჟღავნებას და საჭირო ტრენინგების აუცილებლობას. იხ. *Greenberg E. E., Hey, Big Spender: Ethical Guidelines for Dispute Resolution Professionals when Professionals when Parties are Backed by Third-Party Funders*, Arizona State Law Journal, 51:0131, 2019, <[https://scholarship.law.stjohns.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1187&context=faculty\\_publications](https://scholarship.law.stjohns.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1187&context=faculty_publications)> [15.06.2022].

<sup>19</sup> იხ. *Sharon P., Mediator Ethical Breaches: Implications for Public Policy*, 6 Yearbook on Arbitration and Mediation, 2014, 107-169, <<http://open.mitchellhamline.edu/facsch/420>> [15.06.2022]. ავტორმა სასამართლო მედიაციის საჯარო პოლიტიკის მიზნების მისაღწევად, პროგრამული კომპონენტები განსაზღვრა: 1. უნდა იქნეს მიღებული ეთიკური სტანდარტები, რომლებიც მართავს მედიაციის და მედიატორის ქცევას, რომლებიც შეესაბამება მედიაციის ძირითად ღირებულებებს. 2. კვალიფიციური მედიატორები

მონესრიგება უნდა განხორციელდეს მისთვის მოქმედების თავისუფლების გარკვეული ფარგლების შენარჩუნებით.<sup>20</sup>

ვინაიდან მედიაცია ინტერდისციპლინურ სფეროსთან დაკავშირებული კატეგორიაა, რომელიმე მომიჯნავე პროფესიული ეთიკის სტანდარტების ავტომატური გავრცელება მასზე, ბუნებრივია, არ იქნება გამართლებული. ასევე, არ შეიძლება ითქვას, რომ მედი-

---

უნდა იყოს ადვილად იდენტიფიცირებადი მხარეთა მიერ. ეს კვალიფიკაციები უნდა იყოს დაკავშირებული მედიაციის პრაქტიკასთან (და არა სხვა საგანმანათლებლო ან გამოსაცდელ კრიტერიუმებთან). შუამავლები, რომლებიც იდენტიფიცირებულნი არიან როგორც „კვალიფიცირებულნი“, უნდა დაეთანხმონ ეთიკური სტანდარტების დაცვას. 3. ეთიკურ სტანდარტებს თან უნდა ახლდეს საჩივრების, დისციპლინური წარმოების პროცესი, „არაეთიკური“ მედიატორების „კვალიფიცირებულთა“ სიიდან ამოსაღებად. საჩივრის პროცესის ფილოსოფია უნდა იყოს სარეაბილიტაციო შედეგებისდაგვარად. მომჩივანებისთვის უნდა არსებობდეს შეზღუდული გამონაკლისები მედიაციის კონფიდენციალობის დებულებებიდან რათა მათ საჩივრები გამარტივებულად შეიტანონ თავიანთი შუამავლების წინააღმდეგ. 4. საჩივრის განხილვის პროცესი ხელმისაწვდომი უნდა იყოს მხარეთათვის და უზრუნველყოფდეს სათანადო პროცესს შუამავლებისთვის. 5. საჩივრები უნდა გადაწყდეს მაქსიმალურად დაბალ დონეზე (რგოლზე) და სადაც ეს ხელმისაწვდომია მოიცავდეს მედიატორებისა და მომჩივანებისთვის შეხვედრის შესაძლებლობას, რათა გაიგონ, რატომ იქნა წარდგენილი საჩივარი და როგორ შეცვალოს მედიატორმა თავისი ქცევა მომავალში. 6. იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი უნდა გადაეცეს მოსმენის პანელს, უნდა არსებობდეს მტკიცებულების ორმხრივი სტანდარტი. ოფიციალური ბრალდებები უნდა შეიცავდეს განცხადებას იმის შესახებ, უნდა განხორციელდეს თუ არა დესერტიფიცირება. თუ მოსმენის კოლეგია არ აპირებს დესერტიფიკაციას, არამედ რაიმე სხვა სანქციას (სარეაბილიტაციო ზემოქმედების ზომას), სტანდარტი უნდა იყოს მტკიცებულების უპირატესობა. თუ დესერტიფიცირების მოთხოვნაა წარდგენილი, მტკიცების ტვირთი უნდა იყოს ნათელი და დამაჯერებელი. იხ. ასევე, გურიელი ა., მოსამართლის უფლებამოსილება სასამართლო მედიაციის წარმართვის პროცესში, თბ., 2019, 54.

<sup>20</sup> ჩიტაშვილი ნ., მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2016, 28, <<https://tsu.ge/assets/media/files/8/Publications/Sam-Journ-N1-2016G.pdf>> [20.05.2022].

ატორები მათი თავდაპირველი პროფესიის ეთიკის წესებით უნდა იყვნენ შებოჭილნი, რამეთუ ეს წესები შესაძლებელია შეუთავსებელი აღმოჩნდეს მედიაციის კონტექსტისათვის.<sup>21</sup> სხვა სფეროს პროფესიული სტანდარტები არათუ არსობრივად შეუთავსებელია მედიაციასთან, არამედ, ხშირად ერთმნიშვნელოვნად ეწინააღმდეგება მედიაციის ფარგლებში მოქმედ ზოგიერთ (მაგალითად, მედიატორის ნეიტრალობის) პრინციპს, რაც, მეტად გამოკვეთს მედიაციის სფეროში დამოუკიდებელი ეთიკური სტანდარტების დადგენის აუცილებლობას.<sup>22</sup>

მედიატორებისთვის ეთიკური დილემები სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენს, განსაკუთრებით საოჯახო დავებში, რადგან, ხშირად, სასწორზე დევს მხარეთა პირადი ურთიერთობები, არასრულწლოვნების ან სხვა მონყვლადი პირების უფლებები და საზოგადოების ინტერესებიც კი.<sup>23</sup> მნიშვნელოვან იურიდიულ უფლებებზე, როგორცაა მეურვეობა, ბავშვის დახმარება და ქონების განაწილება გავლენას ახდენს მედიაციაში მიღწეული შეთანხმებები.<sup>24</sup>

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საოჯახო საქმეთა განმხილველ მედიატორთა ეთიკურ-სამართლებრივ გამონვევებს და მათი გადაჭრის პრაქტიკული და ეფექტიანი გზების ძიებას მრავალ

<sup>21</sup> იქვე, 26.

<sup>22</sup> გურიელი ა., მოსამართლის უფლებამოსილება სასამართლო მედიაციის წარმართვის პროცესში, თბ., 2019, 53.

<sup>23</sup> შდრ. Saikia N., The Role of Mediation in Family Law Cases, Should it be Mandatory?, Bangalore Institute of Legal Studies 5<sup>th</sup> Year, B.A. LL.B. (Hons.), Vol. 1, Issue 2, 2020. ცოლქმრული დავა არ არის კრიმინალური ხასიათის, ისინი არ აყენებენ ზიანს ფართო საზოგადოებას. ასე რომ, ასეთი დავების განხილვა საჭიროა ცალკე შუამავლობით და არა ხანგრძლივი სასამართლო პროცესით. პროგრესულია მიდგომა - ოჯახური ძალადობა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით არ წარმოადგენს კრიმინალურ დანაშაულს. იხ. ასევე, deMayo R. A., Practical and Ethical Concerns in Divorce Mediation: Attending to Emotional Factors Affecting Mediator Judgment, Mediation Quarterly, Vol. 13, №3, 1996, <<https://onlinelibrary.wiley.com/doi/abs/10.1002/crq.3900130307>> [02.09.2022]; Dibble, C. M., Bargaining in Family Mediation: Ethical Considerations, Mediation Quarterly, №4, June 1984.

<sup>24</sup> Shepard A., An Introduction to the Model Standards of Practice for Family and Divorce Mediation, Fam. L. Q. a, Vol. 35, 2001, 2.

ვალმხრივი გააზრება სჭირდება. წინამდებარე ნაშრომი სწორედ, საოჯახო მედიაციის პრაქტიკაში არსებული დილემების წარმოჩენასა და მათთან გამკლავებისთვის პრაქტიკოსი მედიატორებისა და მედიაციის პროვადერებისათვის რეკომენდაციების შეთავაზებას ისახავს მიზნად. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, ნაშრომში შესწავლილია საოჯახოსამართლებრივი დავების განხილვის დროს პოტენციური ეთიკური დილემები<sup>25</sup> ხოლო მათი გადაჭრისათვის შემოთავაზებულია რეკომენდაციები, ეროვნული ეთიკის კოდექსისა და მოდელური ეთიკის კოდექსებთან შედარებითი ანალიზის გზით.

## 2. ეთიკის წესების მნიშვნელობა მედიაციაში

ერთგვაროვანი სამედიაციო პრაქტიკის დასამკვიდრებლად, საჭირო ხდება გარკვეული ინსტრუქციებისა და ქცევის წესების შემუშავება, რომლებიც გვხვდება პროფესიული ეთიკის კოდექსისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის წესების ფორმით. ეთიკურად ითვლება დამკვიდრებული პროფესიულ სტანდარტებთან შესაბამისი ქცევა. მისი შესწავლა კი გულისხმობს მორალური გადაწყვეტილებების კვლევას, მათი ავკარგიანობის განსაზღვრას მორალური ვალდებულებების თვალთახედვით.<sup>26</sup> „ეთიკის ნორმების განმტკიცება შესაბამისი სფეროს პროფესიად ჩამოყალიბების მანიშნებელია,“ რადგან „თვითრეგულირებადი პროფესიები, როგორც წესი, ითხოვენ მათი წარმომადგენლების განსაზღვრული ეთიკის ნორმებისადმი დაქვემდებარებას.“ ეთიკის წესების დადგე-

<sup>25</sup> საკითხზე დაწვრილებით იხილეთ: *deMayo R. A.*, Practical and Ethical Concerns in Divorce Mediation: Attending to Emotional Factors Affecting Mediator Judgment, *Mediation Quarterly*, Vol. 13, №3, Spring 1996, <<https://onlinelibrary.wiley.com/doi/abs/10.1002/crq.3900130307>> [02.09.2022]. იხ. ასევე, *Roberts M.*, Systems or Selves? Some Ethical Issues in Family Mediation, *Conflict Resolution Quarterly*, Vol. 10, Issue 1, 1992.

<sup>26</sup> *ჩიტაშვილი ნ.*, მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2016, 25, <<https://tsu.ge/assets/media/files/8/Publications/Sam-Journ-N1-2016G.pdf>> [20.05.2022].



ნა მეტყველებს, რომ შესაბამისი სფეროს წარმომადგენლები მზად არიან, იკისრონ პასუხისმგებლობა საკუთარ პროფესიულ ქმედებებზე.<sup>27</sup> ეთიკის ნორმების შემუშავება უნიკალური საშუალებაა პროცედურულ და სოციალურ სამართლიანობას შორის კავშირის უზრუნველსაყოფად და ამასთან, ის მედიატორებისთვის სახელმძღვანელო კომპასია მედიაციის პროგრამებში მონაწილეობის პროცესში. ეთიკური სტანდარტების დადგენა ხელს უწყობს მედიაციას, რომ იგი იქცეს შესაბამისი სპეციალისტებისათვის პროფესიულ მონოდებად.<sup>28</sup>

2014 წელს თავის სიტყვაში, ჯეიმს ჯ. ალფინი ყურადღებას ამახვილებდა პრობლემაზე, რომელსაც ის ეთიკის შავ ხვრელსაც კი უწოდებდა და მის წარმომშობად მოიაზრებდა, რომ უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში ჩვენ შევქმენით „დავის მოგვარების კულტურა“, მაგრამ არ შეგვიქმნია აუცილებელი ეთიკური ფუნდამენტი ამ კულტურის მხარდასაჭერად.<sup>29</sup> საუბრობს რა ადვოკატთა და მოსამართლეთა როლზე მედიაციის და მსგავსი პროცესების მხარდაჭერის საქმეში, იგი ნუხს, რომ ამ პროფესიების ეთიკური კოდექსები მცირე ხელმძღვანელობას უწევს ამერიკელ მოსამართლეებსა და ადვოკატებს. ფაქტობრივად, ამ ეთიკის კოდექსებით ხელმძღვანელობამ, შეიძლება ნაახალისოს კიდევ არასწორი ქმედება.<sup>30</sup> მაშასადამე, ძალზედ ზოგადი ეთიკური წესები მედიატორებისთვისაც შეიძლება პრობლემად ჩაითვალოს, რამეთუ ფართო ასპარეზი რჩება ინტერპრეტაციისთვის და დისკრე-

<sup>27</sup> იქვე.

<sup>28</sup> ჩიტაშვილი ნ., ადვოკატ-მედიატორის ცალკეულ ეთიკურ ვალდებულებათა თავისებურება და რეგულირების აუცილებლობა, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2016, 30, <<https://tsu.ge/assets/media/files/8/Publications/Sam-Journ-N2-2016G.pdf>> [20.05.2022].

<sup>29</sup> ალფინი ჯ. ჯ., დავის მოგვარების ეთიკა, მთარგმნელები: უზნაძე ნ., ჩიტაშვილი ნ., ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა“, წელიწდეული 2020-2021, 8, <[https://ncadr.tsu.ge/images/file/adr\\_2020\\_2021\\_d.pdf](https://ncadr.tsu.ge/images/file/adr_2020_2021_d.pdf)> [20.05.2022].

<sup>30</sup> იქვე, 10.

ციისთვის, ხოლო შემდგომ დისციპლინური ღონისძიების განსაზღვრაც თითქმის შეუძლებელია<sup>31</sup>.

მედიაცია არის სამართლებრივი, სოციალური სტაბილურობისა და დიალოგის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი მექანიზმი და სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების აპოლიტიკური საშუალება.<sup>32</sup> სახელმწიფოს მიერ ნებისმიერი საშუალების საკანონმდებლო დონეზე განმტკიცება ნიშნავს პასუხისმგებლობის აღებას, შესაძლებლობის ფარგლებში განისაზღვროს ყველა – მათ შორის ეთიკური სტანდარტი, რაც საჭიროდ მიიჩნევა მოქალაქეთათვის მაქსიმალური სარგებლის უზრუნველყოფის მიზნით.<sup>33</sup> მედიაციის ეთიკის საკითხების რეგულირება სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილია, რამეთუ ის უნდა ეფუძნებოდეს და ითვალისწინებდეს ეროვნულ

<sup>31</sup> *მაგალითისთვის*, ჯეიმს ჯ. ალფინი 2014 წელს თავის სიტყვაში მიუთითებდა, რომ შეერთებული შტატების უმაღლესი სასამართლოები ორი მიზეზით არ განუსაზღვრავენ დისციპლინარულ სასჯელს მოსამართლეებს მათ მიერ დავის მოგვარების პროცესში იძულებითი ჩარევისთვის. პირველი, ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის (ABA) სამოსამართლო ქცევის მოდელური კოდექსის მოდავე მხარეთა მორიგებასთან დაკავშირებული ფორმულირება არის ძალიან ზოგადი და სუბიექტური საიმისოდ, რომ ნათლად უხელმძღვანელოს მოსამართლეს. მეორე, სწორედ მე-16 მუხლისა და ანალოგიური პროცესუალური ინოვაციების საშუალებით, სახელმწიფოს უზენაესი სასამართლოების უმეტესობა, როგორც სახელმწიფო სამართლებრივი სისტემის ადმინისტრაციული ორგანოები, თავიანთი კანონშემოქმედებითი უფლებამოსილების ფარგლებში, ჩვეულებრივ, აქტიურ ღონისძიებებს ატარებენ დავის მოგვარების კულტურის ხელშეწყობის მიზნით. ამიტომ გასაგებია, რომ ისინი თავს უხერხულად იგრძნობდნენ დისციპლინარული სასჯელის იმ მოსამართლისთვის განსაზღვრით, რომელიც ზედმეტად გულმოდგინედ შეეცადა დავის მხარეთა მორიგებას. (*ალფინი ჯ. ჯ.*, დავის მოგვარების ეთიკა, მთარგმნელები: *უზნაძე ნ., ჩიტაშვილი ნ.*, *ჟურნ.* „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა წელიწდეული“, 2020-2021, <[https://ncadr.tsu.ge/images/file/adr\\_2020\\_2021\\_d.pdf](https://ncadr.tsu.ge/images/file/adr_2020_2021_d.pdf)> [20.05.2022].

<sup>32</sup> *ჩიტაშვილი ნ.*, ადვოკატ-მედიატორის ცალკეულ ეთიკურ ვალდებულებათა თავისებურება და რეგულირების აუცილებლობა, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2016, 29, <<https://tsu.ge/assets/media/files/8/Publications/Sam-Journ-N2-2016G.pdf>> [20.05.2022].

<sup>33</sup> *გურიელი ა.*, მოსამართლის უფლებამოსილება სასამართლო მედიაციის წარმართვის პროცესში, თბ., 2019, 52.

მორალურ ღირებულებებსა და ერის სოციალურ ურთიერთობათა კულტურას. ამიტომ ეთიკის წესების დადგენა ვერ განხორციელდება აღნიშნულ სფეროში რომელიმე უნივერსალური კოდექსის ავტომატური რეცეფციით.<sup>34</sup> მედიატორის ეთიკური სტანდარტების რეგულირების მოდელის შემუშავება დამოკიდებულია მისთვის მინიჭებული როლისა და უფლებამოსილების ფარგლებზე, ასევე სხვადასხვა ტექნიკების გამოყენების სტილზე მედიაციის პროცესში.<sup>35</sup> მედიაციის ეთიკის წესების შემოღებით უზრუნველყოფილი სამი უმთავრესი მიზანი ნათლად გამოიკვეთა მედიატორთა ქცევის მოდელური სტანდარტების პრეამბულაში: მედიატორთა ქცევის რეგულირება, მონაწილე მხარეთა ინფორმირება და საზოგადოების ნდობის ამაღლება მედიაციის, როგორც დავის მოგვარებაზე ორიენტირებული პროცესის, მიმართ.<sup>36</sup> ეთიკის კოდექსით რეგულირდება მედიატორის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის საკითხები; კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება; მედიატორის კვალიფიკაციის შესაბამისობა დადგენილ სტანდარტებთან და ვალდებულება, მუდმივად იზრუნოს პროფესიულ განვითარებაზე; მედიატორის ვალდებულება, ხელი შეუწყოს მედიაციის პროცესში მხარეთა თვითგამორკვევას (რაც გულისხმობს, რომ მხარეებს უნდა შეეძლოთ იძულებისგან თავისუფალი და ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღება); მედიატორის ვალდებულებები პროცესის დაწყებამდე, მისი წარმართვისას და დასრულების შემდგომ.<sup>37</sup>

<sup>34</sup> ჩიტაშვილი ნ., ადვოკატ-მედიატორის ცალკეულ ეთიკურ ვალდებულებათა თავისებურება და რეგულირების აუცილებლობა, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2016, 30, <<https://tsu.ge/assets/media/files/8/Publications/Sam-Journ-N2-2016G.pdf>> [20.05.2022].

<sup>35</sup> იქვე, 31.

<sup>36</sup> ჩიტაშვილი ნ., მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2016, 47, <<https://tsu.ge/assets/media/files/8/Publications/Sam-Journ-N1-2016G.pdf>> [20.05.2022].

<sup>37</sup> ორჯონიკიძე ე., მედიაციის გზამკვლევი, თბ., 2021, 29-30, <[https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/library/democratic\\_governance/mediation-guide.html](https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/library/democratic_governance/mediation-guide.html)> [20.05.2022].

მედიაციის საკანონმდებლო მონესრიგების კვალდაკვალ ეთიკის წესების დროული დადგენა შესაბამისი პრაქტიკის სრულფასოვანი განვითარებისათვის გარდაუვალი აუცილებლობაა. ეთიკის სტანდარტებით ბოჭვის ადრესატებად საერთაშორისო პრაქტიკაში განიხილავენ არა მხოლოდ მედიატორს, არამედ მედიაციაში მონაწილე მხარეთა წარმომადგენლებს, მესამე პირებს, მედიაციის ადმინისტრირების განმახორციელებელ სამედიაციო ცენტრებს – ე.წ. „სერვისპროვაიდერებს“. მედიაციის ეთიკის სტანდარტების არსებობა შესაბამისი სფეროს პროფესიად ფორმირების – „პროფესიონალიზაციის“ – მანიშნებელია, რამეთუ მისი წარმომადგენლები საკუთარ პროფესიულ ქცევებზე პასუხისმგებლობას კისრულობენ ზემოაღნიშნული სტანდარტების შესაბამისად.<sup>38</sup> მედიაციის პროცესში ეთიკური სტანდარტების მნიშვნელობა და მათი არსებობის აუცილებლობა საერთაშორისო სამართლებრივ სივრცეში<sup>39</sup> უპირო-

<sup>38</sup> ჩიტაშვილი ნ., მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2016, 24, <<https://tsu.ge/assets/media/files/8/Publications/Sam-Journ-N1-2016G.pdf>> [20.05.2022].

<sup>39</sup> მითითებული საკითხების მარეგულირებელი სამართლებრივი ინსტრუმენტის სახით უნდა გამოიყოს ევროკავშირის მასშტაბით მოქმედი მედიატორთა ქცევის ევროპული კოდექსი. ხოლო, აშშ-ის მასშტაბით ეთიკის წესების დადგენის სფეროში ლიდერად შესაძლებელია ჩაითვალოს კოლორადოს შტატის დავების გადაწყვეტის ცენტრი, რომელმაც, 1982 წელს პირველად შეიმუშავა მედიატორთა ქცევის კოდექსი. აღნიშნული აქტი ამავე წელს მიიღო კოლორადოს მედიაციის საბჭომ. 1986 წელს მსხვილმა ინტერდისციპლინურმა ასოციაციამ – დავების გადაწყვეტის სპეციალისტების საზოგადოებამ (SPIDR) – მიიღო ეთიკის წესები და გაავრცელა მათი მოქმედება დავის გადაწყვეტის პროცესში მონაწილე ყველა ნეიტრალურ პირზე, მათ შორის, მედიატორზე. აშშ-ს მასშტაბით მოქმედებს ეროვნული დონის (National level) ორი ძირითადი კოდექსი. ერთი, მხრივ The Model Standards of Conduct for Mediators (Joint Standards), რომელიც შემუშავებულია AAA-ს (American Arbitration Association), ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის (ABA) და კონფლიქტის გადაწყვეტის ასოციაციის მიერ (Association for Conflict Resolution) 1994 წელს. ხოლო მეორე მხრივ - Model Standards of Practice for Family and Divorce Mediation. მედიატორის პროფესიული ეთიკის ნორმებით განსაზღვ-

ბოდ აღიარებულია.<sup>40</sup> სტანდარტების უმეტესობა მოიცავს მოთხოვნებს მედიატორთა პრაქტიკის და კომპეტენციის შესახებ<sup>41</sup>. კერძოდ, ეს სტანდარტები უმეტესწილად ადგენენ მინიმალურ მოთხოვნებს მედიატორთა მიერ პრაქტიკის განხორციელების დროს.<sup>42</sup> მედიაციის პროცესში ეთიკური ბოჭვის სტანდარტების განსაზღვრისას, ფუძემდებლური წესის სახით უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ პროცესში მოქმედ, აღიარებულ ეთიკურ პრინციპებს შორის არ უნდა არსებობდეს რაიმე დადგენილი იერარქია, არ შეიძ-

---

რულია მედიატორთა ქცევის წესი. მასში გაერთიანებული და ჩამოყალიბებულია ის ღირებულებები, რომლებითაც მედიატორი უნდა ხელმძღვანელობდეს თავისი საქმიანობისას. [კოდექსების] უმრავლესობა მოიცავს ნორმებს, რომლებიც ეხება მედიატორის კომპეტენციას, ნეიტრალობას, თვითგამოხატვას, ხარისხს, კონფიდენციალობას, მომსახურების რეკლამირებასა და ანაზღაურებას. ამას გარდა, სხვა პროცესების მსგავსად, მედიაციის საქმისწარმოებისას, ფუძემდებლურად უნდა ჩაითვალოს სამართლიანობის პრინციპი, რომელიც აწესებს შესაბამისობას მოქმედებასა და მის სოციალურ შედეგებს შორის იხ. *გურიელი ა.*, მოსამართლის უფლებამოსილება სასამართლო მედიაციის წარმართვის პროცესში, თბ., 2019, 28-29.

<sup>40</sup> *გურიელი ა.*, მოსამართლის უფლებამოსილება სასამართლო მედიაციის წარმართვის პროცესში, თბ., 2019, 53.

<sup>41</sup> ეთიკური პრობლემების შეჯამების უმარტივესი გზა იმ სტანდარტის ჩამოთვლაა, რომელიც განსაზღვრულია მედიატორთა ქცევის მოდელური სტანდარტებით. ეს სტანდარტებია: სტანდარტი 1 - თვითგანსაზღვრა; 2 - ობიექტურობა; 3 - ინტერესთა კონფლიქტი; 4 - კომპეტენცია; 5 - კონფიდენციალობა; 6 - პროცესის ხარისხი; 7 - რეკლამა და ინფორმირება; 8 - ჰონორარი და სხვა ხარჯები; 9 - მედიაციის პრაქტიკის განვითარება. შდრ. ქცევის ევროპული კოდექსი მედიატორებისთვის ჩამოთვლის შემდეგ სტანდარტებს: 1. მედიატორთა კომპეტენცია, დანიშვნა და მომსახურების საკომისიო და მათი მომსახურების წახალისება 2. დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა 3. მედიაციის ხელშეკრულება, მორიგების პროცესი 4. კონფიდენციალობა. იხ. *ოსტერმილერი ს. მ., სვენსონი დ. რ.*, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, საბაზისო სახელმძღვანელო, თბ., 2014.

<sup>42</sup> *კაკოიშვილი დ.*, მედიატორის ეთიკური ვალდებულებები მედიაციის პროცესში, თბ., 2020, 8, <<http://www.library.court.ge/upload/46302020-12-01-pdf>> [20.05.2022].

ლება წინასწარ განისაზღვროს რომელიმე სტანდარტის იმთავითვე აღიარებული უპირატესობა და უნივერსალურობა<sup>43</sup> მედიაციის არსობრივ ღირებულებათა სისტემაში.

მედიატორთა ქცევის ევროპული კოდექსის<sup>44</sup> თანახმად, პროვაიდერმა ორგანიზაციებმა შესაძლებელია, ასევე დაადგინონ დარგობრივი მედიაციის კოდექსები საოჯახო და სამომხმარებლო დავების სფეროში. მედიატორთა ქცევის მოდელური სტანდარტების მიხედვით, პროვაიდერი ორგანიზაციები, მედიაციის პროგრამის ადმინისტრატორები, სასამართლო და ამ სფეროში არსებული სხვა დაწესებულებები უფლებამოსილი არიან, მედიატორებს ამ ორგანიზაციების წევრობის ან მათ რეესტრში ჩარიცხვის წინაპირობად დაუდგინონ მედიაციის ეთიკის ზემოაღნიშნული წესებისადმი დაქვემდებარება.<sup>45</sup>

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ეთიკის კოდექსების როლი მედიატორის პასუხისმგებლობის შინაარსისა და ფარგლების განსაზღვრის საქმეში. ცხადია, მედიატორის საქმიანობის გაუმჯობესებისათვის ეთიკის კოდექსების ნებისმიერი სახეობა მისაღებია, თუმცა მარეგულირებელი კოდექსების რეალური პრაქტიკული ღირებულება შეიძლება ცოტა განსხვავდებოდეს დანარჩენებისაგან. ცხადია, ეს არ აკნინებს სხვა კოდექსების მნიშვნელობას. თუ ეთიკის კოდექსებს ყურადღება ექცევა, მათ დაცვას მხოლოდ დადებითი ეფექტი შეიძლება ჰქონდეს, მიუხედავად იმისა, რა სახის კოდექსებთან გვაქვს საქმე.<sup>46</sup> ერთ-ერთი შეხედულებით, ეთიკის კო-

<sup>43</sup> გურიელი ა., მოსამართლის უფლებამოსილება სასამართლო მედიაციის წარმართვის პროცესში, თბ., 2019, 53-54.

<sup>44</sup> European code of Conduct for Mediators, 06/04/2004, <<https://www.kearns.co.uk/wp-content/uploads/2017/06/European-code-of-conduct-for-mediators.pdf>> [22.05.2022].

<sup>45</sup> ჩიტაშვილი ნ., მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2016, 46, <<https://t.ge/assets/media/files/8/Publications/Sam-Journ-N1-2016G.pdf>> [20-05.2022].

<sup>46</sup> დოქტრინაში გამოყოფენ ეთიკის კოდექსების სამ სახეობას: ა) წამახალისებელი (aspirational), რომელიც ადგენს იმ სტანდარტებს, რომელთა

დექსის, როგორც ასეთის, დამტკიცება, თავისთავად უზრუნველყოფს მედიატორთა დადგენილი წინდახედულებისა და ქცევის სტანდარტებით შებოჭვას. თუმცა განსხვავებული, დომინირებული და უფრო სარწმუნო მოსაზრების თანახმად, მედიაციის შემთხვევაშიც, წესების შესრულებისა და აღსრულებისათვის აუცილებლად მიიჩნევა პასუხისმგებლობის ზომების დადგენა. მაგალითად, ისეთის, როგორიცაა: ლიცენზიის ჩამორთმევა, საქმიანობის შეზღუდვა, მედიატორთა ასოციაციების მიერ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაწესება, საჭიროების შემთხვევაში სისხლის ან სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრება.<sup>47</sup> მედიატორის ქცევის ეთიკურად შეფასება მედიაციის მონაწილე სხვა პირების მხრიდან და პროფესიული ავტორიტეტის, რეპუტაციის დაცვა შეუძლებელია გარკვეული წესების არსებობის გარეშე. ამიტომაც ეთიკური ქცევის სტანდარტების დადგენა იმთავითვე არა მხოლოდ მედიაციაში მონაწილე სხვა პირების, არამედ თვით მედიატორის დაცვის უზრუნველყოფი მექანიზმია.<sup>48</sup> ამგვარი სტანდარტები იცავენ მედიატორების რეპუტაციას აიძულებენ რა მათ „ყოველთვის ფორმაში“<sup>49</sup> იყვნენ.<sup>50</sup> საერთაშორი-

---

მიღწევაც მხარეთა მიზანს, მათ მოტივაციას უნდა წარმოადგენდეს. ბ) საგანმანათლებლო-შემეცნებითი (educational) - ასეთი კოდექსი ცდილობს გააადვილოს დადგენილი მოთხოვნების გაგება და შესრულება შესაბამისი სტანდარტების კომენტირებისა და სხვადასხვა სახის ინტერპრეტაციის გზით. გ) მარეგულირებელი (regulatory) კოდექსი, რომელიც განსაზღვრავს ქცევის შესაბამის ნორმებს და ადგენს პროცედურას, რომელიც გამოიყენება ასეთი ნორმების დარღვევის შემთხვევაში. ეთიკის კოდექსის სახეობებზე იხ. *ცერცვაძე გ.*, მედიაცია, თბ., 2010, 267-268.

<sup>47</sup> *გურიელი ა.*, მოსამართლის უფლებამოსილება სასამართლო მედიაციის წარმართვის პროცესში, თბ., 2019, 65-66.

<sup>48</sup> *ჩიტაშვილი ნ.*, მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2016, 28, <<https://tsu.ge/assets/media/files/8/Publications/Sam-Journ-N1-2016G.pdf>> [20.05.2022].

<sup>49</sup> *შდრ. Peppet S.R.*, ADR Ethics, J. Legal Education, Vol. 54, 2004, 78, <<https://scholar.law.colorado.edu/articles/501>> [15.06.2022]; ჩვენ ვრჩებით დეცენტრალიზებულ და შედარებით არაორგანიზებულ პროფესიად. ეთიკის კოდექსები უხვადაა, მაგრამ ბევრი შუამავალი პრაქტიკაში იგნო-

სო დონეზე არსებობს ბევრი რეგულაცია, რომელიც ითვალისწინებს გასაჩივრების პროცედურას მედიატორის ეთიკური ვალდებულებების დარღვევის გამოვლენისას.<sup>51</sup>

როდესაც მედიატორი იმავდროულად სხვა პროფესიის ეთიკის ნორმებითაც არის შეზღუდული, პასუხისმგებლობის დამკისრებელი სუბიექტის განსაზღვრა ერთმნიშვნელოვნად შეუძლებელია.<sup>52</sup> ნებისმიერი სფეროს ეთიკისათვის საერთოა არაჯეროვნების, სიცრუის, ინტერესთა კონფლიქტისა და არაკეთილსინდისიერების პრევენციის მიზანი. თუმცა, საერთო ჯამში, სხვა სფეროს პროფესიული სტანდარტები არათუ არსობრივად შეუთავსებელია მედიაციასთან, არამედ ხშირად პირდაპირ ეწინააღმდეგება მედიატორის ნეიტრალობის პრინციპს, რაც კიდევ ერთხელ გამოკვეთს მედიაციის სფეროში დამოუკიდებელი ეთიკური სტანდარტების აუცილებლობას.<sup>53</sup> ეთიკური დილემა წარმოიშობა მაშინ, როდესაც მედიატორი, თავისი პროფესიიდან გამომდინარე, შეზღუდულია სხვა პროფესიის, მაგალითად, ექიმის, იურისტის, ფსიქოლოგის, პედაგოგის, პროფესიული ეთიკის სტანდარტებით და გამოსაყენებელი ქცევის

---

რირებას უკეთებს მათ სტანდარტებთან შესაბამისობას. რამდენიმე შტატს აქვს ცენტრალიზებული ლიცენზირების ან დისციპლინური განხილვის პროცედურები. კანონის მითითებები ისეთ საკითხებზე, როგორცაა კონფიდენციალობა და იმუნიტეტი, ძალიან განსხვავდება იურისდიქციათა მიხედვით. დიდი გზა გვაქვს გასავლელი, სანამ მედიაციის საზოგადოება მიაღწევს ისეთ თანმიმდევრულობას, შიდა რეგულირებას და სტრუქტურას, რომელიც მას ნამდვილ პროფესიად აქცევს.

<sup>50</sup> *კაკოშვილი დ.*, მედიატორის ეთიკური ვალდებულებები მედიაციის პროცესში, თბ., 2020, 8, <<http://www.library.court.ge/upload/46302020-12-01-.pdf>> [20.05.2022].

<sup>51</sup> *ჩიტაშვილი ნ.*, ადვოკატ-მედიატორის ცალკეულ ეთიკურ ვალდებულებათა თავისებურება და რეგულირების აუცილებლობა, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2016, 31, <<https://tsu.ge/assets/media/files/8/Publications/Sam-Journ-N2-2016G.pdf>> [20.05.2022].

<sup>52</sup> *ჩიტაშვილი ნ.*, მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2016, 27, <<https://tsu.ge/assets/media/files/8/Publications/Sam-Journ-N1-2016G.pdf>> [20.05.2022].

<sup>53</sup> იქვე.



ნესების განსაზღვრის საკითხი დგება დღის წესრიგში. შესაბამისად, „ქცევის წესების კონკურენციასთან ერთად მნიშვნელოვანი ხდება უფლებამოსილი ინსტიტუციის განსაზღვრა, რომელსაც შეეძლება, აამოქმედოს სანქციები და პასუხისმგებლობის ზომები ეთიკის წესების დარღვევაზე რეაგირების სახით.“ ზოგადად, ეს ინსტიტუცია შეიძლება იყოს სხვადასხვა ქვეყანაში მედიაციის პროვაიდერი ორგანიზაცია, სააგენტო, მედიატორთა ასოციაცია, სავალდებულო მედიაციის განმახორციელებელი სასამართლო და სხვ.<sup>54</sup>

## 2.1. მედიატორთა ქცევის მომწესრიგებელი ეროვნული მოდელი

მედიაციის ეთიკა თვისებრივად განსხვავებულ კონცეპტუალურ ანალიზს მოითხოვს, რადგან აქ იურიისტის პროფესიული ქცევის სტანდარტები და მედიატორის ეთიკის ნორმები ურთიერთგადაჯაჭვულია.<sup>55</sup> ეთიკური სტანდარტების არსებობა უზრუნველყოფს როგორც მედიატორთა საქმიანობის რეგულირებას, ისე მთლიანად ქვეყნის მასშტაბით მოქმედი მედიაციის პროგრამების გამართულ ფუნქციობას.<sup>56</sup> საქართველოში მედიაციის ინსტიტუტი მხარდაჭერილია სახელმწიფო პოლიტიკით და მისი წარმატებული

<sup>54</sup> იქვე.

<sup>55</sup> იქვე, 25.

<sup>56</sup> იქვე, 47; *შდრ. Rogers C. A., Fit and Function in Legal Ethics: Developing a Code of Conduct for International Arbitration*, 23 Mich. J. Int'l L., Vol. 23, 2002, 341. მე უარყოფ იურიდიული ეთიკის კლასიკურ კონცეფციას, როგორც წმინდა დეონტოლოგიურ პროდუქტს, რომელიც გამომდინარეობს პირველი პრინციპებიდან. მე ვამტკიცებ, რომ ეთიკა გამომდინარეობს სასამართლო სისტემაში ადვოკატის ურთიერთდამოკიდებული ფუნქციონალური როლიდან და რომ ეთიკური რეგულირება უნდა იყოს დაკავშირებული სისტემის სტრუქტურულ ოპერაციებთან. ეთიკასა და პროფესიის ფუნქციას შორის შესაბამისობა, არა მხოლოდ აღწერით დონეზე ასახავს მიზეზებს, რის გამოც მსოფლიოს სხვადასხვა ერებმა მიიღეს განსხვავებული ეთიკური რეჟიმები.

ფუნქციონირება, დავის გადაწყვეტის მექანიზმების ერთიან ჯაჭვში, სისტემაში, საჯარო ინტერესის გამოხატულებაა.<sup>57</sup>

„მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი განსაზღვრავს მედიატორის ცნებას<sup>58</sup>, კერძოდ, მედიატორი<sup>59</sup> – მედიატორთა ერთიან რეესტრში რეგისტრირებული ფიზიკური პირია, რომელიც აკმაყოფილებს ამ კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და თანახმაა, წარმართოს მედიაცია, მიუხედავად მისი სტატუსისა და არჩევის/დანიშვნის წესისა. „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ წესდების მე-7<sup>1</sup> მუხლის<sup>60</sup> თანახმად, მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ პირის ასოციაციაში განევრიანებაზე დადებითი გადაწყვეტილე-

<sup>57</sup> ჩიტაშვილი ნ., ადვოკატ-მედიატორის ცალკეულ ეთიკურ ვალდებულებათა თავისებურება და რეგულირების აუცილებლობა, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2016, 29, <<https://tsu.ge/assets/media/files/8/Publications/Sam-Journ-N2-2016G.pdf>> [20.05.2022].

<sup>58</sup> საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 4954-Is, 18/09/2019, მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4646868?publication=2>> [20.05.2022].

<sup>59</sup> იხ. *ორჯონიკიძე ე.*, მედიაციის გზამკვლევი, თბ., 2021, <[https://www.ge-undp.org/content/georgia/ka/home/library/democratic\\_governance/mediation-guide.html](https://www.ge-undp.org/content/georgia/ka/home/library/democratic_governance/mediation-guide.html)> [20.05.2022]. მედიატორი არის ნეიტრალური მესამე პირი, რომელიც დავაში მონაწილე მხარეებს ეხმარება კეთილგონიერული მოლაპარაკების წარმოებაში. იგი თავისი საქმიანობისას უნდა იყოს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი. მნიშვნელოვანია, მედიატორს ჰქონდეს გამორჩეული პიროვნული მახასიათებლები, როგორცაა სანდოობა, აქტიური მოსმენის უნარი, ეთიკურობა, გუნდური მუშაობის უნარი, ემპათიურობა, მიმღებლობა, თავმდაბლობა და პრინციპულობა ამავედროულად, მოთმინება, ორგანიზებულობა და ლიდერული უნარ-ჩვევები. მედიატორს არ უნდა ჰქონდეს პირადი ინტერესები მედიაციის შედეგის მიმართ. ასეთი ინტერესი, რა თქმა უნდა, მისი თვითაღივების საფუძველია. მედიატორს არ აქვს უფლება, რაიმე გავლენა მოახდინოს მედიაციის საბოლოო შედეგებზე, ვინაიდან მისი ფუნქცია არ არის გადაწყვეტილებების მიღება და გარკვევა, თუ რომელ მხარეს დგას სამართლიანობა, განსხვავებით მოსამართლისა და არბიტრისაგან იგი მხარეებს არ უწევს სამართლებრივ ან სხვა სახის კონსულტაციას და არ გასცემს რჩევებს.

<sup>60</sup> სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ წესდება, 2021 წლის 18 დეკემბრის რედაქციით, მე-7<sup>1</sup> მუხლი, <<https://mediators.ge/uploads/files/6-1e5461953578.pdf>> [20.05.2022].

ბის მიღების შემდგომ, პირის მიერ ასეთი შეტყობინების მიღებიდან 14 კალენდარული დღის ვადაში იგი წერილობითი სახით დებს და ხელმოწერით ადასტურებს შემდეგი შინაარსის მედიაციის პრინციპების ერთგულების ქარტიას: „ვფიცავ, ვიყო დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და კეთილსინდისიერად შევასრულო მედიატორის მოვალეობები მხარეების საჭიროებებისა და საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, დავიცვა კანონი, მედიაციის ძირითადი პრინციპები და მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსი.“

„მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-9 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით<sup>61</sup> მედიატორთა ასოციაციის საერთო კრების ფუნქციებს შორისაა მედიატორთა ერთიან რეესტრში რეგისტრირებულ მედიატორთა ეთიკის ერთიანი სტანდარტის, აგრეთვე მათ მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელების წესის დამტკიცება. ამავე კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის<sup>62</sup> მიხედვით, მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო უზრუნველყოფს მედიატორთა სერტიფიცირებას და მედიატორთა ერთიანი რეესტრის წარმოებას. ხოლო მე-2 პუნქტის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებით<sup>63</sup> აღმასრულებელი საბჭოს ფუნქციებია: თავისი კომპეტენციის ფარგლებში სასამართლო მედიაციის პროცესში მონაწილე მედიატორთა მიერ მედიატორთა ერთიან რეესტრში რეგისტრირებულ მედიატორთა ეთიკის ერთიანი სტანდარტის ერთგვაროვანი გამოყენების უზრუნველყოფა და მედიატორთა ერთიან რეესტრში რეგისტრირებული მედიატორის მიერ მედიატორთა ერთიან რეესტრში რეგისტრირებულ მედიატორთა ეთიკის ერთიანი სტანდარტის დარღვევის შემთხვევაში მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება და მედიატორისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება, თუ მედია-

<sup>61</sup> საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 4954-IX, 18/09/2019, მე-14 მუხლის მე-9 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4646868?publication=2>> [20.05.2022].

<sup>62</sup> იქვე, მე-15 მუხლის პირველი პუნქტი.

<sup>63</sup> იქვე, მე-2 პუნქტის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტები.

ტორთა ასოციაციის წესდებით შესაბამისი უფლებამოსილება სხვა ორგანოს არ აქვს დელეგირებული.

სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ 2021 წლის 24 აპრილის საერთო კრების მიერ დამტკიცდა მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსი<sup>64</sup>, რომელიც შვიდი ძირითადი მუხლისაგან შედგება.<sup>65</sup> პრეამბულაში მითითებულია, რომ მედიატორთა ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ წევრების პროფესიული ეთიკის სავალდებულო ნორმებს. მისი მიზანია მაღალ ღირებულებებზე დაფუძნებული მედიაციის განვითარება. აღნიშნული ეთიკის წესების შესრულების მონიტორინგისა და დარღვევაზე რეაგირების უფლებამოსილება საქართველოში სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ მიერ დელეგირებული აქვს ამავე ასოციაციის ეთიკის კომისიას<sup>66</sup>. ეთიკის კომისია დამოუკიდებელია და თავის საქმიანობას ახორციელებს მედიატორთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულებით.<sup>67</sup> აღნიშნული დებულების მე-20 მუხლით<sup>68</sup> გათვალისწინებულია დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები, კერ-

<sup>64</sup> სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, დამტკიცებულია 2021 წლის 24 აპრილის საერთო კრების მიერ, <<https://mediators.ge/uploads/files/60a4d7fd3f27f.pdf>> [20.05.2022].

<sup>65</sup> იქვე, მუხლი 1. კომპეტენცია, არჩევა-დანიშვნა, ანაზღაურება; მუხლი 2. მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა; მუხლი 3. მედიაციის პროცესი; მუხლი 4. თვითგამორკვევის ხელშეწყობა; მუხლი 5. სამედიაციო მორიგება; მუხლი 6. კონფიდენციალობა.

<sup>66</sup> სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ წესდება, 2021 წლის 18 დეკემბრის რედაქციით, 22-ე მუხლი <<https://mediators.ge/uploads/files/61e5461953578.pdf>> [20.05.2022]. მედიატორთა ეთიკის ერთიანი სტანდარტის ერთგვაროვან გამოყენებაზე, აგრეთვე მათი დარღვევის შემთხვევაში, მედიატორის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უფლებამოსილია მედიატორთა ეთიკის კომისია, რომელიც შედგება 9 წევრისგან.

<sup>67</sup> სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ „მედიატორთა დისციპლინური საქმისწარმოების დებულება“, დამტკიცებულია 2021 წლის 24 აპრილის საერთო კრების მიერ, <<https://mediators.ge/uploads/files/60a4db1cc692f.pdf>> [20.05.2022].

<sup>68</sup> იქვე, მე-20 მუხლი.

ძოდ, კოდექსის დარღვევის შემთხვევაში კომისია იყენებს დისციპლინური პასუხისმგებლობის შემდეგ ზომებს, სახდელებს: გაფრთხილება; ასოციაციის წევრობის შეჩერება 1 (ერთი) წლამდე ვადით; ასოციაციიდან გარიცხვა 3 წლის შემდეგ ხელახლა მიმართვის უფლებით; ასოციაციიდან გარიცხვა ხელახლა მიმართვის უფლების გარეშე. კომისიას აქვს დისციპლინური ზემოქმედების ზომის გამოყენების - კონფიდენციალური რეკომენდაციის გაცემის უფლებაც, რაც არ მიიჩნევა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად. დისციპლინური გადაცდომისთვის მედიატორს შეიძლება დაეკისროს მხოლოდ ერთი სახის დისციპლინური სახდელი ან დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება. ამავე დებულების 21-ე მუხლის<sup>69</sup> მიხედვით, დისციპლინური სახდელის გაქარწყლებამდე, მედიატორის მიერ დისციპლინური გადაცდომის განმეორებით ჩადენა, როგორც წესი, გამოიწვევს უფრო მძიმე დისციპლინური სახდელის დაკისრებას, ვიდრე მედიატორისთვის წინა დისციპლინური გადაცდომის გამო დაკისრებული დისციპლინური სახდელი იყო.

ამ ეტაპზე საქართველოს მედიატორთა, როგორც ერთიანი პროფესიის ეთიკური საკითხების მოსაწესრიგებლად შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩო უკვე არსებობს. კერძოდ, „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონი მიუთითებს სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ პასუხისმგებლობაზე, შეიმუშაოს შესაბამისი წესები და განსაზღვროს ამ წესების აღსრულებისთვის პასუხისმგებელი ორგანო, ხოლო სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ საერთო კრების მიერ უკვე დამტკიცებულია და მოქმედებს მედიატორთა ეთიკის კოდექსი და „მედიატორთა დისციპლინური საქმისწარმოებისა და პასუხისმგებლობის შესახებ დებულება“, რომელთა აღსრულებასაც ეთიკის კომისია ახორციელებს.

---

<sup>69</sup> იქვე, 21-ე მუხლი.

## 2.2. მედიაციას დაქვემდებარებული საოჯახოსამართლებრივი დავები

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მეხუთე წიგნში<sup>70</sup>, მონესრიგებულია რიგი საოჯახოსამართლებრივი საკითხები, როგორცაა, განქორწინება, მეუღლეთა ქონების გაყოფა, შვილების საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა და მათი რჩენა, ალიმენტი, მეუღლის რჩენა, მეუღლეთა პირადი და ქონებრივი უფლებები და მოვალეობები, თანასაკუთრების განკარგვა და გაყოფა, საქორწინო ხელშეკრულება, მშობლების, შვილებისა და სხვა ნათესავების ურთიერთობა და სხვ. ამდენად, საოჯახოსამართლებრივი დავების სპექტრი საკმაოდ ფართო და მრავალფეროვანია.

მედიაციის მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმები საქართველოში<sup>71</sup> ძირითადად თავმოყრილია „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ გადანყვეტილებებსა და სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ მიერ შემუშავებულ დებულებებსა და წესდებაში, ასევე მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსში<sup>72</sup>.

<sup>70</sup> საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 786, 24/07/1997, წიგნი მე-5, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=117>> [20.05.2022].

<sup>71</sup> შდრ. *Tojjeva A.*, Family Mediation: A New Form of Resolving Family Disputes, *The American Journal of Political Science Law and Criminology*, 2021, <<https://doi.org/10.37547/tajpslc/Volume03Issue06-05>> [15.06.2022]. შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, კანადის, ავსტრალიის გამოცდილების მიხედვით, ოჯახის შუამავლობის ინსტიტუტი და მისი განხორციელების პროცედურა ასახულია მატერიალურ (საოჯახო სამართალი) და საპროცესო სამართალში (სასამართლოების შესახებ კანონები, საპროცესო კოდექსები).

<sup>72</sup> სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ ოფიციალური ვებგვერდი, საკანონმდებლო ჩარჩო, <<https://mediators.ge/ka/legal-framework>>. ამ ეტაპზე ძირითადად შეინიშნება სამი მოდელი, რომლებიც ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული რეგულაციების სპექტრს გვთავაზობენ: ერთი ეს გახლავთ ავსტრიული მოდელი, სადაც მედიაცია დაქ-

„მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის<sup>73</sup> შესაბამისად, ამ კანონის მოქმედება ვრცელდება მედიაციის თაობაზე შეთანხმების საფუძველზე წარმართულ მედიაციაზე, აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXI<sup>1</sup> თავით განსაზღვრულ სასამართლო მედიაციაზე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თავისებურებათა გათვალისწინებით. სავალდებულო მედიაციას დაქვემდებარებული დავების ჩამონათვალი განსაზღვრულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187<sup>3</sup> მუხლით<sup>74</sup>, კერძოდ<sup>75</sup>, ამ მუხლის

---

ვემდებარებულია დეტალურ სამართლებრივ რეგულირებას. კერძოდ, მკვეთრად გამიჯნულია ის იურიდიული საქმიანობისგან და კანონით „სამოქალაქო მედიაციის შესახებ“ გათვალისწინებულია თითქმის ყველა პროცედურული თუ მედიაციის ინსტიტუციონალური რეგულირების საკითხი, ისევე როგორც მედიატორთა ეთიკის, სტატუსის მინიჭების და შემდგომი პროფესიული განათლების სტანდარტები. მეორე, ეს გახლავთ ინგლისის და შოლანდიის მაგალითი, სადაც მედიაციას სამართლებრივი ჩარჩო რეგულაციებით არ ზღუდავენ, მხოლოდ საპროცესო კანონმდებლობით განერილია ხარჯების საკითხი, ხოლო ყველა სხვა საკითხი აბსოლუტურად მედიაციის სფეროში მოქმედი კერძო სამართლის სუბიექტების და სამომხმარებლო ბაზრის რეგულირებას არის მიმდობილი. არსებობს მესამე ჯგუფი ქვეყნების, სადაც შეინიშნება ერთგვარი შუალედური რეგულაციის მიდგომა ზემოაღნიშნულ ორ მოდელს შორის, რათა დაცულ იქნეს მედიაციის მომხმარებელთა უფლებები და უზრუნველყოფილ იქნეს პროცესის ნებაყოფლობითობის პრინციპი. *იხ. ყანდაშვილი ი.*, საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, თბ., 2018, 15<[http://press.tsu.ge/data/image\\_db\\_innova/Kandashvili%20Irakli.pdf](http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Kandashvili%20Irakli.pdf)> [23.05.2022].

<sup>73</sup> საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 4954-1ს, 18/09/2019, პირველი მუხლის მე-2 პუნქტი, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4646868?publication=2>> [20.05.2022].

<sup>74</sup> *ორჯონიკიძე ე.*, მედიაციის გზამკვლევი, თბ., 2021, 49-50, <[https://www.-ge.undp.org/content/georgia/ka/home/library/democratic\\_governance/mediation-guide.html](https://www.-ge.undp.org/content/georgia/ka/home/library/democratic_governance/mediation-guide.html)> [20.05.2022].

<sup>75</sup> საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 1106, 14/11/1997, 187<sup>3</sup>-ე მუხლი, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=149>> [20.05.2022].

პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო მედია-ცია შეიძლება გავრცელდეს მათ შორის: საოჯახო სამართლებრივ დავებზე, გარდა შვილად აყვანასთან<sup>76</sup>, შვილად აყვანის ბათილად ცნობასთან, შვილად აყვანის გაუქმებასთან, მშობლის უფლების შეზღუდვასთან, მშობლის უფლების ჩამორთმევასთან, აგრეთვე ქალთა მიმართ ძალადობასთან ან/და ოჯახში ძალადობასთან<sup>77</sup> დაკავშირებული დავებისა; ხოლო „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ნებისმიერ სხვა დავაზე – მხარეთა თანხმობის შემთხვევაში. ამდენად, საოჯახოსამართლებრივი დავები, მითითებული გამონაკლისი შემთხვევების გარდა, მხარეთა შეთანხმებით კერძო მედიაციასაც შეიძლება დაექვემდებაროს.

ამასთან, სასამართლო სარგებლობს დისკრეციით გადასცეს ან არ გადასცეს საქმე მედიაციას. საქმის მედიაციურწარიანობის განსაზღვრისთვის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს №1/366 გადაწყვეტილებით დადგენილია კრიტერიუმები<sup>78</sup>. სასამარ-

<sup>76</sup> შეად. *Mashburn S.*, *Mediating a Family: The Use of Mediation in the Formation and Enforcement of Post-Adoption Contact Agreements*, 2015 J. Disp. Resol., Issue 2, 2015, <<https://scholarship.law.missouri.edu/jdr/vol2015/iss2/7/>> [20.05.2022].

<sup>77</sup> *Cleak H., Schofield M., Bickerdike A.*, *Efficacy of Family Mediation and the Role of Family Violence: Study Protocol*, BMC Public Health 14, art. Number 57, 2014, <<https://doi.org/10.1186/1471-2458-14-57>> [20.05.2022]. იხ. ასევე, *Saposnek D. T.*, *Commentary: The Future of the History of Family Mediation*, *Research Conflict Resol. Q.*, 22, 2004, 37.

<sup>78</sup> სასამართლო უფლებამოსილია სარჩელისა და შესაგებლის სასამართლოში წარდგენის შემდეგ სასამართლო მედიაციას დაქვემდებარებულ საქმეზე მიიღოს განჩინება საქმის მედიატორისთვის გადაცემის თაობაზე, თუ: ა) დავის სპეციფიკიდან გამომდინარე უდავოა, რომ მხარეთა შორის სამომავლო ურთიერთობა გარდაუვალია; ბ) სარჩელსა თუ შესაგებელში ერთ-ერთ მხარეს გაცხადებული აქვს თანხმობა მედიაციის გამოყენების თაობაზე; გ) დავის არსიდან იკვეთება, რომ დავა მნიშვნელოვნად პირადი ხასიათისაა; დ) ნათელია, რომ დავა ან/და რეპუტაცია ერთ-ერთი მხარისთვის არსებითია; ე) არსებობს მედიაციის თაობაზე შეთანხმება და მხარე ამაზე უთითებს; ვ) საქმის სასამართლოში განხილვის ხარჯები, საბოლოო ჯამში, შეიძლება გაუტოლდეს ან გადააჭარბოს დავის საგნის ღირებულებას; ზ) არასრულწლოვნის საუკეთესო



თლო კონკრეტული დავის სპეციფიკის და გარემოებების მხედველობაში მიღებით აფასებს საქმის მედიაციაუნარიანობას და მხარეთა შორის მორიგების პერსპექტივებს. მხარეთა შორის სამომავლო ურთიერთობის შენარჩუნება, დავის პირადი ხასიათი და არასრულწლოვნის ინტერესები გამოკვეთილ როლს თამაშობს, რაც თითქმის ყველა საოჯახო დავისთვის რელევანტურია.<sup>79</sup> ამდენად, მედიაციის პროცესში ამ ღირებულებებს ცალსახად უდიდესი ყურადღება უნდა დაეთმოს და მედიატორსაც ყველა სამართლებრივი თუ ეთიკური საკითხის გადანყვეტისას მხედველობაში უნდა ჰქონდეს.

### 3. მედიატორის შესაძლო ეთიკური დილემები საოჯახოსამართლებრივ დავებში

დავის ალტერნატიული გადაწყვეტის პოლიტიკის ორი ძირითადი მიზანია დაიცვას მხარეები ინტერესთა კონფლიქტით გამოწვეული ზიანისგან და საზოგადოება – დავის გადაწყვეტის პროცე-

---

ინტერესის განხორციელება მოითხოვს საკითხის დროულ გადანყვეტას; თ) მედიაციაში საქმის განხილვა მნიშვნელოვანია მოდავე მხარეთა ბიზნეს ურთიერთობის გრძელვადიანი დაცვის ინტერესისა და სამართლებრივ-ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფისთვის; ი) არსებობს სხვა გარემოებები, რომლებიც მიუთითებენ საქმის მედიატორისათვის გადაცემის მიზანშეწონილობაზე.იხ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 27 დეკემბრის №1/366 გადაწყვეტილება „სასამართლო მედიაციის პროგრამის დამტკიცების შესახებ“, მე-5 მუხლი, <<http://hcj.gov.ge/files/pdf/%20gadacyvetilebebi/2019%20-%20gadawyvetilebebi/366.pdf>> [20.05.2022].

<sup>79</sup> საოჯახოსამართლებრივი დავის გადაჭრისთვის მედიაციის მნიშვნელობის შესახებ იხ. Family Mediation and Equality of Sexes, Recommendation 1639 (2003), Author(s): Parliamentary Assembly, Origin - (see Doc. 9983, report of the Committee on Equal Opportunities for Women and Men, rapporteur: Ms Err; and Doc. 10002, opinion of the Social, Health and Family Affairs Committee, rapporteur: Ms Milotinoва). Text adopted by the Standing Committee, acting on behalf of the Assembly, on 25 November 2003. იხ. ასევე, Folberg J., Milne A.L., Salem P., Divorce and Family Mediation, Models, Techniques and Applications, The Guilford Press, New York, London, 2004.

სებზე არასათანადო ზემოქმედების შთაბეჭდილების შექმნისგან. დავის ალტერნატიული გადაწყვეტის კონტექსტში ეს მიზნები არსებითად მნიშვნელოვანია, რადგან ორივე შემთხვევაში საფრთხე ექმნება პროცესის ეთიკურ ურღვეობას, ადვოკატების რეპუტაციას, მხარეთა და საზოგადოების ნდობას დავის გადაწყვეტის პროცედურების მიმართ.<sup>80</sup> მედიაციის პროცესის დროს ხშირია შემთხვევები, როდესაც, მოულოდნელად წამოიჭრება იმგვარი საკითხები, რომლებიც მედიატორის მხრიდან მოითხოვს კონკრეტული პროცედურული გადაწყვეტილების მიღებას, რაც იმთავითვე აისახება მხარეთა უფლებრივ ბალანსზე, დავის ბედსა თუ საქმის შინაარსობრივ საკითხებზე. თუმცა, ამგვარი გადაწყვეტილებების მიღება ისე, რომ პროცესი არ დაზიანდეს, საკმაოდ რთულია.<sup>81</sup> პროცედურული სამართლიანობა კი არსობრივი სამართლიანობის საფუძველია და პირიქით.<sup>82</sup> ამგვარი მოულოდნელობები მედიაციის პროცესში ძალიან ხშირია და სამწუხაროდ არ არსებობს უნივერსალური სახელმძღვანელო მედიატორისთვის, რომელიც ყველა შემთხვევას მოერგება. თუმცა, იმისათვის, რომ მედიატორმა შეძლოს ასეთ შემთხვევებთან ეფექტიანად გამკლავება, მას წინასწარ უნდა

<sup>80</sup> ჩიტაშვილი ნ., ადვოკატ-მედიატორის ცალკეულ ეთიკურ ვალდებულებათა თავისებურება და რეგულირების აუცილებლობა, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2016, 50, <<https://tsu.ge/assets/media/files/8/Publications/Sam-Journ-N2-2016G.pdf>> [20.05.2022].

<sup>81</sup> კაკოიშვილი დ., მედიატორის ეთიკური ვალდებულებები მედიაციის პროცესში, თბ., 2020, 2, <<http://www.library.court.ge/upload/46302020-12-01-.pdf>> [20.05.2022].

<sup>82</sup> ჯორჯიის მედიატორთა ქცევის ეთიკური სტანდარტების თანახმად, ნეიტრალური მესამე პირი მედიაციის სამართლიანი პროცესის გარანტია და მასვე ეკისრება სამართლიანი შედეგის უზრუნველყოფის ვალდებულება. იხ.: Ethical Standards for Mediators, Georgia Commission on Dispute Resolution, § IV. A, <[http://godr.org/sites/default/files/Godr/supreme\\_court\\_adr\\_rules/APPENDIX%20C%20CHAP%201%206-18-2013.pdf](http://godr.org/sites/default/files/Godr/supreme_court_adr_rules/APPENDIX%20C%20CHAP%201%206-18-2013.pdf)> [20.05.2022]; Rützel S., Wegen G., Wilske S., Commercial Dispute Resolution in Germany, 2<sup>nd</sup> ed., C.H. Beck, 2016, 202>; Hopt K.J., Steffek F., Mediation: Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 664.

ჰქონდეს სახელმძღვანელო პრინციპები, რომელთა მიხედვით ის საკუთარ ქცევას წარმართავს.<sup>83</sup>

რამდენადაც მედიაციის ეთიკურ პრინციპებს შორის არ არსებობს რაიმე დადგენილი იერარქია, არ შეიძლება, წინასწარ განისაზღვროს რომელიმე სტანდარტის იმთავითვე აღიარებული *prima facie* უპირატესობა და უნივერსალურობა. მედიაციის ფუნდამენტურ პრინციპებს შორის გონივრული ბალანსის დაცვით უნდა შეფასდეს კონკრეტული პრინციპის გამოყენების ფარგლები საქმის ინდივიდუალიზაციის პირობებში.<sup>84</sup> მედიატორები ხშირად იღებენ გადაწყვეტილებას მედიაციის პროცესის სტრატეგიის, ასევე კითხვების დასმის, რეალობის შემომწმების, მედიაციის შეჩერების თუ შეწყვეტის შესახებ და ა.შ. ამგვარ გადაწყვეტილებებს კი როგორც პროცედურული, ისე შინაარსობრივი მხრივ გავლენა აქვს მედიაციის შედეგზე. შესაბამისად, ვინაიდან ეს გადაწყვეტილებები განხილულია როგორც ეთიკური გადაწყვეტილებები, იმისთვის, რომ მიღწეული იყოს სამართლიანობა მედიაციაში (როგორი განმარტებაც არ უნდა ჰქონდეს მას, არსობრივი თუ მხოლოდ პროცედურული<sup>85</sup>), უნდა არსებობდეს ეთიკის სტანდარტები, რომელთა გათვა-

<sup>83</sup> იქვე, 3.

<sup>84</sup> იხ. ჩიტაშვილი ნ., მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2016, 32. თვითგამორკვევის უფლება დომინირებულად შეიძლება იყოს წარმოდგენილი იმ საქმეებში, სადაც მხარეები თანაბრად არიან კომპეტენტურები და ინფორმირებულები მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ და მათ მიერ მისაღები გადაწყვეტილება გავლენას არ ახდენს მესამე პირების ან საზოგადოების ინტერესებზე, მაშინ, როდესაც პროცესის სამართლიანობა და ხარისხი მნიშვნელოვან და წამყვან პრინციპად წარმოდგება მაშინ, როდესაც მხარეთა შეთანხმება გავლენას ახდენს იმ პირების კეთილდღეობაზე, რომლებიც არ იმყოფებიან მოლაპარაკების მაგიდასთან და არ არიან ჩართულნი გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

<sup>85</sup> პროცედურული სამართლიანობის, როგორც შინაარსობრივ-უფლებრივი სამართლიანობის წინაპირობის შესახებ იხ. *Chitashvili N., Fair Settlement as Basis for Ethical Integrity of Mediation, TSU ADR Yearbook, 2016, 24-37, <<http://adryearbook.tsu.ge/index.php/ADR/article/view/3025/3219>> [24.08.2022].*

ლისწინებით და დაცვითაც იქნება წარმართული მედიაციის პროცესი.<sup>86</sup> რამდენადაც ეთიკური წესებით ვერ იქნება გარანტირებული პროცესის სპეციალური პროცედურები და სამართლიანობა, მოდელური წესი მოთხოვნად უწესებს ნეიტრალურ მესამე პირს ყურადღებით მოეპყრას საბაზისო ღირებულებებს და სამართლიანი დავის გადაწყვეტის პროცედურის შესახებ ინფორმირების მიზანს. საბაზისო ღირებულებები მედიაციის პროცესში გულისხმობს მხარის ავტონომიას, მის მიერ პროცესის არჩევის თავისუფლებას (კანონით ან ხელშეკრულებით განსაზღვრული შეზღუდვების გათვალისწინებით), ნეიტრალური მესამე პირის არჩევისა და დანიშნული ნეიტრალური პირის მონაწილეობაზე თანხმობის გაცხადების უფლებას (კანონით ან ხელშეკრულებით განსაზღვრული შეზღუდვების გათვალისწინებით), მედიატორის ქცევისა და თავად პროცესის სამართლიანობას, მხარეთა თანასწორობას.<sup>87</sup> მხარის ავტონომია გულისხმობს მხარის უფლებას, მიიღოს გადაწყვეტილებები პიროვნული რწმენისა და ღირებულებების გათვალისწინებით, იძულებისა და ზეწოლის გარეშე. პროცედურული სამართლიანობა გულისხმობს სამართლიანი, ორივე მხარისთვის ბალანსირებული პროცედურული მექანიზმების თანაბრად ხელმისაწვდომობას და მათი გამოყენებით სამედიაციო მორიგების მიღწევის შესაძლებლობას ყოველგვარი ზეწოლისა და იძულების გარეშე.<sup>88</sup> არსობრივი სამართლიანობა მოიაზრებს სამედიაციო მორიგების ისეთ შინაარსს, რომელიც აკმაყოფილებს სამართლიანობის, კანონიერების მინიმალურ მოთხოვნებს და გონივრული თანაზომიერებით ასახავს მხარეთა ინტერესებსა და ბალანსირებულად ეხმიანება მათ მოლოდინებს მედიაციის შედეგის მიმართ. აღნიშნული სამი ღირებულება

<sup>86</sup> იქვე, 6.

<sup>87</sup> წიტაშვილი ნ., ადვოკატ-მედიატორის ცალკეულ ეთიკურ ვალდებულებათა თავისებურება და რეგულირების აუცილებლობა, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2016, 39, <<https://tsu.ge/assets/media/files/8/Publications/Sam-Journ-N2-2016G.pdf>> [20.05.2022].

<sup>88</sup> Rules of Conduct for Mediators in Court-Connected Mediation Programs for General Civil Cases (California Rules of Court), 2007, Revised January 1, 2013, rule 3.857 (b).

სამედიაციო პრაქტიკაში ხშირად წინააღმდეგობრივია და მათ შორის ჰარმონიული ბალანსის უზრუნველყოფა არსებითად განსაზღვრავს მედიატორის მიერ პროცედურული გადაწყვეტილებების ეთიკურობის ხარისხს.<sup>89</sup>

მედიატორის სტრატეგიაზე გავლენას ახდენს სოციალური სამართლიანობისა და ღირებულებითი ნორმები. აღნიშნული ღირებულებები მოიცავს კონფლიქტს კონსენსუსის წინააღმდეგ, სამართლიანობას, თვითგამორკვევასა და ოჯახის შესახებ მორალურ წარმოდგენებს. ყველა ეს ღირებულებითი პოზიცია გავლენას ახდენს მედიატორზე და ამორებს მას თეორიულად სასურველ ნეიტრალურ პოზიციას. ვინაიდან წმინდა ნეიტრალიტეტის მიღწევა და შენარჩუნება ძალიან რთულია,<sup>90</sup> საოჯახო დავის მედიატორებს საფუძვლიანად შეიძლება ჰქონდეთ ეთიკურად გამართლებული მეტად ინტერვენციული როლი. განსაკუთრებით საოჯახო დავებში წარმოუდგენელია არსებობდეს მედიატორის სრული ნეიტრალიტეტი დავის შინაარსის, შედეგის სამართლიანობის მიმართ. მიუკერძოებლობასა და ნეიტრალობას შორის არსებობს არსობრივი განსხვავება. ნეიტრალობა გულისხმობს მედიატორის ინტერესის არარსებობას, ნეიტრალობას დავის შედეგისადმი, ხოლო მიუკერძოებლობა უკავშირდება მედიატორის თანაბარ მიდგომას მხარეთა მიმართ, მათთვის თანაბარი შესაძლებლობებით უზრუნველყოფას. შეუძლებელია მედიაცია წარიმართოს სამართლიანად და თანასწორუფლებიანობის დაცვით მედიატორის მხრიდან მიუკერძოებლობის დარღვევის შემთხვევაში.

მიუკერძოებლობისგან განსხვავებით, ნეიტრალობა თვისობრივად ნაკლებად აბსოლუტური ხასიათის ვალდებულებაა. ნეიტრალობა ხარისხობრივად შეიძლება იცვლებოდეს დავის არსის,<sup>91</sup> ღი-

<sup>89</sup> *Waldman E., Mediation Ethics, Cases and Commentaries, Jossey-Bass A Wiley Imprint, San Francisco, 2010, 3.*

<sup>90</sup> *Bernard S. E., Folger, J. P., Weingarten H. R., Zumeta, Z. R., The Neutral Mediator: Value Dilemmas in Divorce Mediation, Mediation Quarterly, No.4, June 1984, 61-74.*

<sup>91</sup> *Cohen O., Dattner N., Luxenburg A., The Limits of the Mediator's Neutrality, Mediation Quarterly, Vol. 16, №4, 1999, 224.*

რებულებათა მასშტაბის და მედიაციაში დასაცავ სიკეთეთა გათვალისწინებით.<sup>92</sup>

მედიაციის დამცველები, კრიტიკოსები და პრაქტიკოსები აქტიურად გამოთქვამენ ეჭვებს მედიაციის შედეგის სამართლიანობაზე.<sup>93</sup> ეს ეჭვები მოიცავს მხარეთა ნების ავტონომიის პრინციპს, ან თვითგამორკვევას; და მედიატორის უნარს გაუმკლავდეს მხარეთა ძალთა უთანასწორობას. მედიატორის ნეიტრალურობის და შესაბამისობის პრინციპი ასევე აღძრავს ეჭვებს მიღებული შედეგის სამართლიანობის შესახებ. ზოგიერთი კრიტიკოსი კი მიუთითებს, რომ მედიაციას შეუძლია მხარეებს მიაწოდოს „მეორე კლასის სამართლიანობა.“<sup>94</sup> საბოლოო ჯამში, მეტად გაბატონებული მოსაზრებაა, რომ პროცედურული და შინაარსობრივი სამართლიანობა ერთმანეთთანაა დაკავშირებული და როდესაც უზრუნველყო-

<sup>92</sup> იხ. ასევე *Kishore S.*, The Evolving Concepts of Neutrality and Impartiality in Mediation, *Commonwealth Law Bulletin*, Vol. 32, №2, 2006, 222, შემდგომი მითითებით: *Moore C.*, *The Mediation Process: Practical Strategies for Resolving Conflict*, San Francisco, 1986, 52.

<sup>93</sup> იხ. *ყანდაშვილი ი.*, საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასამართლო ფორმები, თბ., 2018, 64, <[http://press.tsu.ge/data/image\\_db\\_innova/Kandashvili%20Irakli.pdf](http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Kandashvili%20Irakli.pdf)> [23.05.2022]. მედიაციის პროცესის შედეგი არ უკავშირდება მაინც და მაინც „სამართლიან“ (just settlement) შეთანხმების მიღწევას, არამედ შეთანხმების მიღწევა არის პროცესის შედეგი (just about settlement). მიზანი, შესაბამისად, მხარეებს უნდა ესმოდეთ, რომ ამ მექანიზმის გამოყენებით მათ აბსოლიტური სამართლიანობა არ უნდა ეძიონ, არამედ არსებული კონფლიქტის მათი და მეორე მხარის ინტერესების გათვალისწინებით დასრულება უნდა მოახერხონ. მედიაციის პროცესის მიზანი კონფლიქტში მყოფი მხარეების მიერ საკუთარი ხელით კონკრეტული პირობების შეთანხმებაა, რა დროსაც შეთანხმება მყარი და სამომავლო ურთიერთობის წინაპირობას იძლევა. შეთანხმება სრულად უნდა ასახავდეს მედიაციის პროცესში ჩართული მოდავე მხარეების ინტერესებს.

<sup>94</sup> *კაკოიშვილი დ.*, მედიატორის ეთიკური ვალდებულებები მედიაციის პროცესში, თბ., 2020, 4, <<http://www.library.court.ge/upload/46302020-12-01-pdf>> [20.05.2022].

ფილია პროცედურული სამართლიანობა, მაშინ შედეგიც შინაარსობრივად სამართლიანი იქნება.<sup>95</sup>

სამართლიანობა მედიაციის პროცესში დარღვეულია თუ შეთანხმება არსებითად და ფუნდამენტურად უსამართლოა,<sup>96</sup> უკანონოა,<sup>97</sup> შეუძლებელია მისი აღსრულება,<sup>98</sup> მხარეებს არ აქვთ გაცნობიერებული შეთანხმების შინაარსი, ასევე მათზე<sup>99</sup> ან/და მესამე პირებზე შეთანხმების შედეგების შესაძლო გავლენა<sup>100</sup> <sup>101</sup>

სამართლიანია შეთანხმება, რომელიც: ა) სულ მცირე მისაღებია ან სამართლიანია შეთანხმების განმახორციელებელი მხარეებისათვის; ბ) აღადგენს ჰარმონიას ან ინტერესთა ბალანსს მედიაციის მონაწილეებს შორის; გ) ზრდის ურთიერთგაგებისა და უკეთესი ურთიერთობის შესაძლებლობას; დ) უახლოვდება იმ ზღვარს, რომელსაც მხარეები მათი ზიანის ადეკვატურ კომპენსირებად მიიჩნევენ; ე) როგორც ინდივიდუალურ, ისე ინსტიტუციურ დონეზე თანხისა და დროის დამზოგველია; ვ) ამცირებს სტრესსა და გაღიზიანებას; ზ) აუმჯობესებს კომუნიკაციას საზოგადოების წევრებს შორის (სამეზობლოში, ბიზნეს სამყაროში, დასაქმებულთა სივრცეში და სხვ.); ზ) ქმნის სოციალურ პრეცედენტებს ურთიერთობების უკეთ მოწესრიგებისათვის.<sup>102</sup>

<sup>95</sup> იქვე, 6.

<sup>96</sup> Ethical Standards for Mediators, Georgia Commission on Dispute Resolution, § IV. A, <[http://godr.org/sites/default/files/Godr/supreme\\_court\\_adr\\_rules/APPENDIX%20C%20%20CHAP%201%20%206-18-2013.pdf](http://godr.org/sites/default/files/Godr/supreme_court_adr_rules/APPENDIX%20C%20%20CHAP%201%20%206-18-2013.pdf)> [24.08.2022].

<sup>97</sup> იქვე.

<sup>98</sup> იქვე.

<sup>99</sup> Family Mediation Canada Members Code of Professional Conduct, Art. 9.6, [http://fmc.ca/sites/default/files/sites/all/themes/fmc/images-user/Members%20Code%20of%20Professional%20Conduct\\_0.pdf](http://fmc.ca/sites/default/files/sites/all/themes/fmc/images-user/Members%20Code%20of%20Professional%20Conduct_0.pdf) [24.08.2022].

<sup>100</sup> Ethical Standards for Mediators, Georgia Commission on Dispute Resolution, § IV. A, <[http://godr.org/sites/default/files/Godr/supreme\\_court\\_adr\\_rules/APPENDIX%20C%20%20CHAP%201%20%206-18-2013.pdf](http://godr.org/sites/default/files/Godr/supreme_court_adr_rules/APPENDIX%20C%20%20CHAP%201%20%206-18-2013.pdf)> [24.08.2022].

<sup>101</sup> *Shapira O.*, Conceptions and Perceptions of Fairness in Mediation, *South Tex. Law Rev.*, Vol. 54, 2012, 285.

<sup>102</sup> *Hyman J.M., Love L.P.*, If Portia Were a Mediator: An Inquiry into Justice in Mediation, *Clinical L. Rev.*, Vol. 9, 157, 2002, 186.

ზემოაღნიშნულის საპირისპიროდ, უსამართლოა შეთანხმება, როდესაც: ა) თუნდაც ერთი მხარე აკეთებს არანებაყოფლობით არჩევანს; ბ) ვერ განხორციელდა მხარის ფუნდამენტური ინტერესი, რომ ადამიანის რწმენა არ შეიძლება უარყოფის საგანი გახდეს; გ) მხარეთა მიერ შეთანხმებული პირობები ეწინააღმდეგება პოზიტიურ სამართალს; დ) შეთანხმების პირობები მნიშვნელოვანი ხარისხით არღვევს ან უგულებელყოფს პიროვნების ღირსებას; ე) იგი არ არის მიღწეული საქმის შესაძლო ალტერნატიული შედეგების სრული გაცნობიერების პირობებში; ვ) ხელშეკრულების პირობები შეუთავსებელია ადამიანის იმ ფუნდამენტურ ღირებულებებთან, რომელიც აღიარებულია ფართო საზოგადოების მიერ.<sup>103</sup> დოქტრინაში არსებული ზემოჩამოთვლილი მახასიათებლები ბუნებრივია, არ შეიძლება იყოს ამომწურავი და სამართლიანობის სტანდარტი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ეთიკური პრინციპების ურთიერთკავშირში მოქმედების გზით უნდა შეფასდეს.

უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ დეტალიზებულია ამერიკის საოჯახო და მომრიგებელ სასამართლოთა ასოციაციის მოდელური სტანდარტები საოჯახო და განქორწინების მედიაციისთვის (Model Standards of Practice for Family and Divorce Mediation).<sup>104</sup> სტანდარტები მიღებულია საოჯახო სამართლის ადვოკატებთან და ოჯახური ძალადობის ექსპერტებთან კონსულტაციების შედეგად.<sup>105</sup> მისი მი-

<sup>103</sup> *Stulberg J.B.*, *Mediation and Justice: What Standards Govern?*, *Cardozo J. Conflict Resolution*, Vol. 6, 2005, 222-227.

<sup>104</sup> მოდელური სტანდარტები საოჯახო და განქორწინების მედიაციისთვის (Model Standards of Practice for Family and Divorce Mediation), ამერიკის საოჯახო და მომრიგებელ სასამართლოთა ასოციაცია (Association of Family and Conciliation Courts), 2000, <<https://www.afccnet.org/Portals/0/PDF-/ModelStandardsOfPracticeForFamilyAndDivorceMediation.pdf?ver=ykuc9AnD6m4jYIzS4PhkQ%3d%3d>> [20.05.2022].

<sup>105</sup> პირველად, ეს სტანდარტები აძლევს მედიაციის პრაქტიკოსებს ზოგადად შეთანხმებულ მიდგომებს, რათა შეასრულონ თავიანთი როლი ამ განსაკუთრებით რთულ ვითარებაში; სტანდარტები ვრცელდება მედიატორებზე როგორც კერძო პრაქტიკაში, ასევე სასამართლოზე დაფუძნებულ მედიაციის პროგრამებში, დებულებების სპეციალური დანართით, რომლებიც სპეციალურად გამოიყენება სასამართლოზე და-



ზანი საზოგადოების ნდობის მოპოვება იყო განვითარებადი და ინტერდისციპლინური პროფესიისადმი, კარგი სამედიაციო პრაქტიკის დამკვიდრების გზით.<sup>106</sup> აღნიშნული სტანდარტები, თავისი ბუნებით, წამახალისებელია<sup>107</sup> და მიზნად ისახავს, არა სამართლებრივი წესებისა და პასუხისმგებლობის სტანდარტების შექმნას, არამედ სამი ძირითადი ფუნქციის შესრულებას<sup>108</sup>: 1. მოემსახუროს ქცევის სახელმძღვანელოდ ოჯახური დავების მედიატორებს; 2. მედიაციის მონაწილეებს მიაწოდოს ინფორმაცია, თუ რას შეიძლება ისინი ელოდნენ; 3. მედიაციის, როგორც ოჯახური დავების გადაწყვეტის პროცესის მიმართ საზოგადოების ნდობის ხელშეწყობას. აღნიშნული სტანდარტების შესავალში მითითებულია, რომ საოჯახო მედიაცია არ ჩანაცვლებს ოჯახის წევრების საჭიროებას, მიიღონ დამოუკიდებლად სამართლებრივი რჩევა ან კონსულტაცია

---

ფუნქციულ პროგრამებზე. ისინი ასევე მიმართავენ ყველა შუამავალს ადვოკატს და თერაპევტს, განურჩევლად მედიატორის პროფესიული კუთვნილებისა. სტანდარტები ასევე შეიძლება გავრცელდეს შუამავლობაზე ბებია-ბაბუის მონახულების დავების, ზავშვთა დაცვის მედიაციაზე და ა.შ. იხ. *Schepard A., An Introduction to the Model Standards of Practice for Family and Divorce Mediation, Fam. L. Q. a, Vol. 35, 2001, 1, 7.*

<sup>106</sup> *Schepard A., An Introduction to the Model Standards of Practice for Family and Divorce Mediation, Fam. L. Q. a, Vol. 35, 2001, 1.*

<sup>107</sup> *Aspirational.*

<sup>108</sup> მოდელური სტანდარტები საოჯახო და განქორწინების მედიაციისთვის ადგენს სამი დონის სახელმძღვანელო სტანდარტს, იქ, სადაც გამოყენებულია სიტყვა “may” იგულისხმება ყველაზე დაბალი დონის სახელმძღვანელო მითითება, რომელი წესიდანაც შესაძლებელია გადახვევა კარგი პროფესიონალური განსჯის შედეგად. იქ, სადაც გამოყენებულია „should” იგულისხმება, რომ ამ წესის დაცვა მაღალ რეკომენდებულია, მისგან გადახვევა შესაძლებელია მხოლოდ ძალიან ძლიერი მიზეზის დროს. ხოლო „shall” ტერმინით გამოხატულია წესი, რომლიდანაც გადახვევის დისკრეცია მედიატორს არ აქვს. მოდელური სტანდარტები საოჯახო და განქორწინების მედიაციისთვის (Model Standards of Practice for Family and Divorce Mediation), ამერიკის საოჯახო და მომრიგებელ სასამართლოთა ასოციაცია (Association of Family and Conciliation Courts), 2000, <<https://www.afcnet.org/Portals/0/PDF/ModelStandardsOfPracticeForFamilyAndDivorceMediation.pdf?ver=ykuc9AnD6m4j9IZs4PhkQ%3d%3d>> [20.05.2022].

ან თერაპია. არც ყველა ოჯახისთვისაა შესაფერისი.<sup>109</sup> თუმცა, გამოცდილებით დგინდება, რომ საოჯახო მედიაცია ღირებული გამოსავალი მრავალი ოჯახისთვის, რადგან მას შეუძლია: 1. გაზარდოს მონაწილეთა თვითგამორკვევა<sup>110</sup> და მათი კომუნიკაციის უნარი; 2. ხელი შეუწყოს ბავშვების საუკეთესო ინტერესების დაცვას; და 3. შეამციროს ოჯახური დავების გადანყვეტასთან დაკავშირებული ეკონომიკური და ემოციური ხარჯები. აღნიშნული სტანდარტების მიხედვით, ჯეროვანი პროცესის არსებობა მოითხოვს საოჯახო მედიატორის კვალიფიკაციას შესაბამისი ტრენინგის გავლით, გამოცდილებასა და ტემპერამენტს; მედიატორის მიუკერძოებელობას; მონაწილეების მიერ თავიანთი გადანყვეტილებების ნებაყოფლობით მიღწევას; გადანყვეტილებების დაფუძნებას საკმარის ფაქტობრივ, ობიექტურ მონაცემებზე; მედიატორის მიერ კულტურისა და მრავალფეროვნების გავლენის გათვალისწინებას; ბავშვების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებას. გარდა ამისა, მედიატორი ასევე მზად უნდა იყოს იმ ურთიერთობების იდენტიფიცირებისთვის, რომელთა ისტორიაც შეიძლება მოიცავდეს ოჯახში ძალადობას ან ბავშვზე ძალადობას. ოჯახური დავის კონტექსტი შეიძლება თანმდევად მოიცავდეს ოჯახში ძალადობას, ბავშვზე ძალადობას, მონაწილეთა ქმედუუნარობას ფსიქიკური დაავადების ან ნარკომანიის გამო, კულტურულ განსხვავებებს ოჯახის წევრებს შორის და მონაწილეებსა და მედიატორს შორის.<sup>111</sup>

<sup>109</sup> სტანდარტებიც კი აღიარებენ, რომ მედიაცია არ არის მიზანშეწონილი ყველა ოჯახური დავისთვის, განსაკუთრებით ისეთებისთვის, რომლებიც ოჯახურ ძალადობას გულისხმობს. *Schepard A., An Introduction to the Model Standards of Practice for Family and Divorce Mediation, Fam. L. Q. a, Vol. 35, 2001, 6.*

<sup>110</sup> იქვე, 3; 6; 7: თვითგამორკვევა არის საოჯახო მედიაციის ფუნდამენტური პრინციპი. მედიაციის პროცესი ეყრდნობა მონაწილეთა უნარს, მიიღონ საკუთარი ნებაყოფლობითი და ინფორმირებული გადანყვეტილება. სასამართლოს გადანყვეტილების იძულებითი ძალა ხშირად საჭიროა, რათა აიძულონ მაღალი კონფლიქტის მქონე მშობლები დაესწონ საგანმანათლებლო, მედიაციისა და შეფასების პროგრამებს და თავიდან აიცილონ ერთმანეთის მიმართ ძალადობა ან შვილების გატაცება.

<sup>111</sup> *Schepard A., An Introduction to the Model Standards of Practice for Family and Divorce Mediation, Fam. L. Q. a, Vol. 35, 2001, 2.*

მედიაციის ფუნდამენტური პრინციპები პრაქტიკულ სიტუაციებში შეიძლება დაუპირისპირდეს ისეთ მაღალ ღირებულებებს, როგორცაა ადამიანის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები და სამართლიანობაც კი.<sup>112</sup> შესაბამისად, შეიძლება გამოიყოს სიტუაციები, როდესაც მედიატორი ეთიკური დილემების წინაშე აღმოჩნდება და მოუწევს, ამ ღირებულებათა შეწინააღმდეგებით, მართებული ქმედების განხორციელება/გადაწყვეტილების მიღება, მათ შორის, მედიაციის შეწყვეტის თაობაზეც კი. საქართველოს მედიატორთა ეთიკის კოდექსი ადგენს, რომ მედიაციის თაობაზე შეთანხმების დადების შემდეგ, მედიატორს არ აქვს უფლება უარი თქვას პროცესის გაგრძელებაზე საპატიო მიზეზის გარეშე<sup>113</sup>. ნორმის ზოგადი ხასიათის გამო, მედიატორს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოუწევს, გაამართლოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება და განსაზღვროს, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს ასეთ საპატიო მიზეზად. მაგალითად, აღნიშნულის საფუძველი შეიძლება იყოს სამედიაციო მორიგების აღსრულების შეუძლებლობა ან მშობლეთა მიერ მისი შესაძლო ნებაყოფლობითი შესრულების საფრთხე არასრულწლოვნის ინტერესების საზიანოდ. თითქმის ყველა მართლწესრიგში სასამართლო არ განახორციელებს ისეთი მედიაციის შეთანხმების აღსრულებას, რომელიც ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან არასრულწლოვანი პირის ინტერესებს.<sup>114</sup>

<sup>112</sup> აღნიშნულ საკითხზე იხილეთ: *Smithson J., Barlow A., Hunter R., Ewing J., The Moral Order in Family Mediation: Negotiating Competing Values, Conflict Resolution Quarterly, Vol. 35, №2, 2017, <<https://onlinelibrary.wiley.com/doi-epdf/10.1002/crq.21195>> [02.09.2022].*

<sup>113</sup> სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, დამტკიცებულია 2021 წლის 24 აპრილის საერთო კრების მიერ, მე-3 მუხლის 3.5 პუნქტი <<https://mediators.ge/uploads/files/60a4d7fd3f27f.pdf>> [20.05.2022].

<sup>114</sup> Belgium Judicial Code, Art. 1736; იხ. ასევე, *European Mediation Training for Practitioners of Justice, A Guide to European Mediation, Association of International Arbitration (ed.), Antwerpen, Apeldoorn, Portland, Maklu, 2012, 221.*

### 3.1. ძალთა დისბალანსთან დაკავშირებული გამოწვევები

მედიაცია, თავისი არსით, ნებაყოფლობითი, პიროვნულ აღიარებასა და მხარეთა თვითგამორკვევაზე, ავტონომიურობაზე დაფუძნებული პროცესია,<sup>115</sup> ამიტომ, მხარეების ძალათა დისბალანსთან დაკავშირებულმა სიტუაციებმა მედიატორს სერიოზული ეთიკური გამოწვევები შეიძლება შეუქმნას. მხარეთა ძალების განსხვავება (ასიმეტრია) იმდენად რადიკალური შეიძლება იყოს, რომ შეუძლებელი გახდეს პროცედურული სამართლიანობის და თანაბრობის ან მხარეთა ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების მიზნის მიღწევა. კითხვის ნიშნის ქვეშ შეიძლება დადგეს თავად მედიაციაზე შეთანხმების ნებაყოფლობითობის საკითხიც კი. ამ დროს, შესაძლოა, მედიაციის პროცესი ცალსახად დამაზიანებელი აღმოჩნდეს ერთ-ერთი მხარისა და მედიაციის პრაქტიკისთვის, ზოგადად. ასეთ დროს ჩნდება შეკითხვა, თუ რამდენად შესაძლებელია ასეთი მედიაციის პროცესის გაგრძელება და თუ შესაძლებელია, რა ზღვრამდე. მეორე მხრივ, ძალაუფლების ასიმეტრიულობის პირობებში, მედიაცია გარკვეულწილად მეტად სასარგებლოც შეიძლება იყოს, რამეთუ ის ნარმოადგენს მხარეთა ავტონომიურობისა და თავისუფალი ნების გამოვლენის მხარდამჭერ გარემოს და ნამახალისებელ მექანიზმს.<sup>116</sup> ამასთან, გათვალისწინებულ უნდა იქნეს რომ ძალაუფლებრივი ასიმეტრია, ხშირ შემთხვევაში, თვითმყოფადად, ბუნებრივად ახასიათებს ადამიანურ ურთიერთობებს. ამიტომ ძალების ნებისმიერი უწონასწორობა ყოველთვის არ შეიძლება ქმნიდეს მედიაციის პროცესის უპირობო შეწყვეტის საფუძველს. მედიაციის შეწყვეტა ეს არის ის უკიდურესი გადაწყვეტილება (*ultima ratio*), რომელიც მიიღება იმ შემთხვევაში თუ პროცედურული სამართლიანობით, მედიატორის სტრატეგიული და ტაქტიკური ინტერვენციით მხარეთათვის თვითგამორკვევის თანაბარი პირობების უზრუნველ-

<sup>115</sup> *Nolan-Haley J.M.*, Court Mediation and the Search for Justice through Law, Washington University Law Quarterly, Vol. 74-47, 1996, 57.

<sup>116</sup> *Waldman E.*, Mediation Ethics, Cases and Commentaries, Jossey-Bass A Wiley Imprint, San Francisco, 2010, 98.

ყოფა მიუღწეველ ამოცანად რჩება. თუ ძალთა დისბალანსი მართვადი და პროცესის ეთიკური მთლიანობა შენარჩუნებადია, მაშინ მედიაციის პროცესის გადარჩენა უპირატეს ამოცანად რჩება.<sup>117</sup>

### 3.1.1. ძალთა დისბალანსის არსი

საოჯახოსამართლებრივი დავების დროს მხარეთა ძალთა განსხვავება განსაკუთრებით ყურადსაღებია, რადგან ასეთი საქმეების გავლენა ხშირად სცდება მხოლოდ მხარეებს და აისახება სხვა პირების კეთილდღეობაზე. „მოცემულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს, რამდენად ფუნდამენტურია ძალაუფლებრივი დისბალანსი, შენონილ იქნეს მედიაციასა და დავის გადაწყვეტის სხვა პროცესებში საქმის განხილვის შედარებითი რისკები და უპირატესობები.“<sup>118</sup>

საქმის მედიაციაუნარიანობის შეფასების თვალსაზრისით, უპირველეს ყოვლისა უნდა შეფასდეს რა არის ძალაუფლებრივი უპირატესობის წყარო. მათ შორის შესაძლებელია გამოიყოს რამდენიმე სახეობა: რესურსები: ფინანსური რესურსები, საკუთრება, ძვირადღირებული ექსპერტული და სხვა ტიპის საკონსულტაციო/საადვოკატო მომსახურების მიღების შესაძლებლობა, მათ შორის, სასამართლო საქმისწარმოების მიზნებისათვის. მხარე, რომელიც მოკლებულია ამგვარი რესურსების ფლობას (მაგალითად, ერთ მხარეს ჰყავს კვალიფიციური ადვოკატი წარმომადგენელი,<sup>119</sup> მეორე მხარე შემოიფარგლება მხოლოდ საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრებში უფასო იურიდიული კონსულტაციის ერთჯერადად მიღების ფინანსურის შესაძლებლობით. ასეთ მხარეს ნაკლებად აქვს თანასწორუფლებიანობის პირობებში მოლაპარაკებისა და უსაფრთხო გარემოს შეგრძნება. დაუცველობის განცდა კიდევ უფრო გაძლიერდე-

<sup>117</sup> იქვე, 87.

<sup>118</sup> იქვე, 94.

<sup>119</sup> იურისტი წარმომადგენლის გარეშე მედიაციაში მხარის მონაწილეობით შემქნილი ეთიკური დილემების შესახებ იხ. *Nolan-Haley J.M., Court Mediation and the Search for Justice through Law, Washington University Law Quarterly, Vol. 74-47, 1996, 69.*

ბა შეჯიბრებითი საქმისწარმოების პროცესში, სადაც იურიდიული მტკიცებულებების წარდგენა-შეფასება საქმის საბოლოო ბედს წყვეტს.), ორიენტირებულია თავიდან აირიდოს ძვირადღირებული პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი ხარჯები და ამ ფაქტორის გავლენით შეიძლება „იძულებული გახდეს მორიგდეს მედიაციას;<sup>120</sup> დროის ან სხვა რესურსების ნაკლებობა. თუ მხარე დროის ნაკლებობისა და არჩევანის არქონის შიშის გავლენით იღებს გაუცნობიერებელ გადაწყვეტილებას,<sup>121</sup> მაშინ მედიაცია ვერ შეინყნარებს ამგვარი შედეგის დადგომას პროცესში; ცოდნა, ინფორმაცია, ზუსტი მონაცემები. თუ მხარეს აქვს ექსპერტული ცოდნა ან ბიზნეს გამოცდილება დავის საგანთან დაკავშირებულ სფეროში, მაშინ მას ბუნებრივია, ექნება უპირატესობაც მოლაპარაკების პროცესში და სასამართლო განხილვის შედეგების პროგნოზირების შესაძლებლობის თვალსაზრისით; სამართლებრივი პოზიციის უპირატესობა. მხარეს, რომლის სამართლებრივი პოზიცია დიდწილად მხარდაჭერილია კანონმდებლობითა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკით, მეტად აქვს საქმის სასამართლოში წარმატებით დასრულების პერსპექტივა. აღნიშნული ფაქტორი განაპირობებს სუსტი სამართლებრივი პოზიციის მქონე მხარის მოტივირებას, მორიგდეს მედიაციის პროცესში კომპრომისული გადაწყვეტილების ხარჯზე. შესაძლებელია, მეორე მხარემ მოახდინოს ძლიერი სამართლებრივი პოზიციით მხარის მანიპულირება არსებითი დათმობების მოთხოვნის მიზნით; მორალური უპირატესობის რწმენა. საკუთარ სიმართლესა და მორალურ უპირატესობაში დარწმუნებული მხარე მეტად მიილტვის მეორე მხარის დარწმუნებისა და მასზე მორალური ფაქტორებით ზემოქმედებისკენ, რამეთუ მისთვის ცალკეულ პირობებზე შეთანხმება „პრინციპის საკითხთან“ არის დაკავშირებული. ასეთი მხარე მეტად მიდრეკილია შეუწყნარებლობისკენ და მისთვის კომპრომისის მიღება მომლაპარაკებელი მხარისგან მორალური იმპერატივია; მხარის უპირატესი პიროვნული თვისებები და მოლაპარაკების, არ-

<sup>120</sup> *Waldman E., Mediation Ethics, Cases and Commentaries, Jossey-Bass A Wiley Imprint, San Francisco, 2010, 94.*

<sup>121</sup> იქვე, 97.

გუმენტირების უნარ-ჩვევები. ერთი მხარის გამორჩეულმა მჭევრ-მეტყველებამ, ლოგიკამ, ემპათიამ, ანალიტიკური აზროვნების უნარმა მიზანმიმართულობამ შეიძლება გარკვეულწილად შენიღბოს ამავე მხარის სუსტი (სამართლებრივი) პოზიცია მედიაში. გამჭრიახმა მსმენელმა და დამარწმუნებელი კომუნიკაციური უნარებით აღჭურვილმა მომლაპარაკებელმა ან მაღალი საადვოკატო უნარების მქონე წარმომადგენელმა შეიძლება მოიპოვოს გარკვეული უპირატესობა ნაკლებად ალლოიან და გამჭრიახ მეორე მხარესთან მიმართებით. რიტორიკული უნარ-ჩვევების არმქონე მომლაპარაკებელმა შეიძლება მისი რეალური ინტერესი დათმოს დებატების კლუბის ჩემპიონის სტატუსის მქონე მხარის წინაშე, რაც მის ავტონომიურ გადანწყვტილებად შეიძლება არ იქნეს მიჩნეული; შიში. დაუშვებელია განქორწინების დავაში ქალბატონმა მიიღოს დამლუპველი ქონებრივი და ბავშვის მეურვეობის საკითხებთან დაკავშირებული გადანწყვტილება მოძალადე მეუღლის შიშით. ასეთ პირობებში მედიაციის პროცესის მსვლელობისას განხორციელებული კომპრომისი შეიძლება იყოს მხოლოდ შიშით განპირობებული კაპიტულაცია, რომელიც არ განხორციელდებოდა ძალადობის ან მოსალოდნელი შურისძიების შიშის არარსებობის პირობებში; ტკივილის მიყენებისა და გალიზიანების უნარი - მხარე, რომელიც იმუქრება დამაზიანებელ და უსიამოვნო სასამართლო პროცესში საქმისწარმოების გაგრძელებით, შეიძლება გახდეს მეორე მხარის პროვოცირების მიზეზი, თავიდან აირიდოს სასამართლო დავა მისი თანდევით უარყოფითი შედეგებით.<sup>122</sup> ვინაიდან გრძელვადიანი კონფრონტაციული პროცესი სხვადასხვა მძიმე შედეგის მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს თვით უპირატესი სამართლებრივი პოზიციის მქონე მხარისთვისაც კი.<sup>123</sup> კონფიდენციალურობის რღვევა, რეპუტაციის ხელყოფა, ბიზნესისა თუ პროფესიული ავტორიტეტის დისკრედიტაცია, ცხოვრების ხარისხის გაუარესება, ემოციური ტრავმა და სხვა აღქმა. მაშინაც კი, როდეს-

<sup>122</sup> იქვე, 94.

<sup>123</sup> კონფიდენციალობის რღვევა, რეპუტაციის ხელყოფა, ბიზნესისა თუ პროფესიული ავტორიტეტის დისკრედიტაცია, ცხოვრების ხარისხის გაუარესება, ემოციური ტრავმა და სხვა.

საც მხარეს არ აქვს მძლავრი სამართლებრივი პოზიცია, გამორჩეული რესურსები ან უსიამოვნების მიყენების რეალური შესაძლებლობა, მედიაციის პროცესში ის შეიძლება შეეცადოს დაარწმუნოს მეორე მხარე რომ სწორედ უპირატესობებით სარგებლობს და შეძლებს ძალაუფლების გამოყენებას;<sup>124</sup> ინფორმაციული დისბალანსი - მორიგებისა თუ შეუთანხმებლობის მოსალოდნელი შედეგების გაუცნობიერებლობა. თუ ერთ-ერთი ან ორივე მხარე სრულყოფილად ვერ იაზრებს მედიაციაში მიღებული გადაწყვეტილების თანმდევ შედეგებს, აღნიშნული შეუთავსებელი იქნება მედიაციის ფუნდამენტურ მიზნებთან. თუ მედიატორის მიერ მისი ეთიკური კომპეტენციის ფარგლებში ვერ იქნა უზრუნველყოფილი მხარეთა თვითგამორკვევა,<sup>125</sup> მაშინ გამოყენებული იქნება უკიდურესი ღონისძიება მედიაციის შეწყვეტის სახით.

ამ კონტექსტში რელიგიური და კულტურული საკითხებიც განსაკუთრებით სენსიტიური და საყურადღებოა. მაგალითად, ზოგიერთ კულტურაში განქორწინებაზე თანხმობას გასცემს ქმარი.<sup>126</sup> მედიატორი კარგად უნდა იცნობდეს საკუთარ და მხარეების კულტურულ საფუძვლებს და განსხვავებულობას. თუმცა, ის არ უნდა იყოს განმსჯელი ამის გამო.<sup>127</sup> ამასთანავე, აქტუალურია, თუ რა უნდა ქნას მედიატორმა, როდესაც, მაგალითად, აზიური კულტურის მხარეები დებენ ისეთ შეთანხმებას, რომელიც შემაშფოთებ-

<sup>124</sup> *Waldman E., Mediation Ethics, Cases and Commentaries, Jossey-Bass A Wiley Imprint, San Francisco, 2010, 94-95.*

<sup>125</sup> თვითგამორკვევის უზრუნველყოფა, გარანტირება მედიატორს თავად არ შეუძლია. ეთიკის კოდექსები მხოლოდ თვითგამორკვევის ხელშეწყობის მოვალეობას განამტკიცებენ კომპეტენტურად, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად პროცესის წარმართვის გზით, რაც გულისხმობს თვითგამორკვევის წახალისების მიზნით სხვადასხვა სტრატეგიულ-ტაქტიკური, პროცესუალურ-მეთოდოლოგიური მექანიზმის გამოყენებას. იხ. საქართველოს მედიატორთა ეთიკის კოდექსის 4-ე მუხლი - თვითგამორკვევის ხელშეწყობა.

<sup>126</sup> *Abramson H., Crossing Crossing Borders into New Ethical Territory: Ethical Challenges When Mediating Cross-Culturally, S. Tex. L. Rev., Vol. 49, 921, 2008, 924.*

<sup>127</sup> იქვე.



ლად ბუნდოვანია.<sup>128</sup> ან როგორ უნდა გაუმკლავდეს მედიატორი „ცალმხრივ“ (one-sided) ხელშეკრულებას, როდესაც, მაგალითად, დაუსაქმებელი ქალი განქორწინებისას ქმრის სასარგებლოდ უარს ამბობს ფინანსურ სარგებელზე.<sup>129</sup>

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია შეშფოთება, რომ მედიაცია არ არის ქალების საუკეთესო ინტერესებში, რადგან მათ აქვთ ნაკლები ეკონომიკური რესურსები და უფრო მეტად მიდიან კომპრომისებზე შვილებისთვის, ვიდრე მამაკაცები და, შესაბამისად, არიან არაკეთილსინდისიერი მანიპულირების მარტივი სამიზნეები.<sup>130</sup> არსებობს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ქალების ექსპლუატაცია ხდება მედიაციაში, ისევე როგორც არის შემთხვევები, როდესაც ქალები (და მამაკაცები) ტრავმირებული არიან სასამართლოების და არაკეთილსინდისიერი ადვოკატების მიერ. თუმცა, ასევე არსებობს მცირე ემპირიული მტკიცებულება იმისა, რომ ქალები უარესად მოქმედებენ მედიაციაში, ვიდრე სასამართლო საქმისწარმოების პირობებში, სადაც შეჯიბრებითი სისტემაა დამკვიდრებული. ამდენად, კვლევების უმეტესობაში, ქალები და მამაკაცები გამოთქვამენ დაახლოებით თანაბარ კმაყოფილებას მედიაციის, როგორც დავის გადაწყვეტის პროცესის, მიმართ. გარდა ამისა, ქალები აცხადებენ, რომ მედიაცია მათთვის სასარგებლოა, რადგან მეუღლის წინაშე „წარდგომასა“ და მედიაციაში მონაწილეობის შედეგად თავს უფრო ქმედუნარიანად და მცოდნედ აფასებენ.<sup>131</sup>

### 3.1.2. მხარეთა თვითგამორკვევა

მედიაციის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ეს პროცესი არ წარმოადგენს კონფლიქტში მყოფი მხარეების ნებისთვის მბოჭავს, რადგან აძლევს საშუალებას მხარეებს თავად მიიღონ მათ შორის

<sup>128</sup> იქვე.

<sup>129</sup> იქვე.

<sup>130</sup> *Schepard A.*, An Introduction to the Model Standards of Practice for Family and Divorce Mediation, *Fam. L. Q. a*, Vol. 35, 2001, 16.

<sup>131</sup> იქვე, 17.

არსებული კონფლიქტური სიტუაციის რეგულირებისთვის საუკეთესო გადაწყვეტილება, რა დროსაც [მხარეთა თვითგამორკვევა] უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რათა არ მოხდეს მხარეთა თავისუფალ ნებაზე რაიმე სახის არალეგიტიმური ზეგავლენა, მედიატორის ან პროცესში ჩართული მეორე მხარის მხრიდან<sup>132</sup>. მხარეები მედიაციაში უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ თავისუფალი გარემოთი, სადაც ისინი დამოუკიდებლად და ყოველგვარი შიშისა და გავლენის გარეშე შეძლებენ საკუთარი ნების საფუძველზე მოახდინონ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება.<sup>133</sup>

მხარეთა თვითგამორკვევა (self-determination) მიჩნეულია მედიაციის ფუნდამენტურ პრინციპად.<sup>134</sup> მიუხედავად იმისა, რომ თვითგამორკვევის პრინციპი მედიაციის ფუძემდებლურ ღირებულებად დიდი ხანია აღიარეს, დღემდე არ არსებობს უნივერსალური შეთანხმება თავად პრინციპის შინაარსთან და ფარგლებთან დაკავშირებით.<sup>135</sup>

როდესაც გადაწყვეტილება მიღებულია რელევანტური ინფორმაციის და მისი შინაარსის გააზრების შედეგად, ამგვარი გადაწყვეტილება შეიძლება ჩაითვალოს ინფორმირებულ გადაწყვეტილებად და მხარის მიერ ნების გამოვლენა - ნების ინფორმირე-

<sup>132</sup> მედიაციაში მისაღები, დასაშვები მოტყუების ეთიკური საზღვრების განსაზღვრაზე იხ. *Cooley J. W., Defining the Ethical Limits of Acceptable Deception in Mediation, Pepp. Disp. Resol. L.J., Vol. 4, Iss. 2, 2004, <<https://digitalcommons.pepperdine.edu/drlj/vol4/iss2/8>> [15.06.2022]. აღნიშნულ წყაროში მოტყუება განისაზღვრა ზოგადად, როგორც „დარწმუნების საქმინობა, რომელშიც შერჩევითი ჩვენების ხელოვნება გამოიყენება“ და მასზე გავლენას ახდენს ორი ძირითადი ქცევა: რეალურის დამალვა და ყალბის ჩვენება.*

<sup>133</sup> *ყანდაშვილი ი., საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, თბ., 2018, 72, <[http://press.tsu.ge/data/image\\_db\\_innova/Kandashvili%20Irakli.pdf](http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Kandashvili%20Irakli.pdf)> [23.05.2022].*

<sup>134</sup> *კაკოიშვილი დ., მედიატორის ეთიკური ვალდებულებები მედიაციის პროცესში, თბ., 2020, 9, <<http://www.library.court.ge/upload/46302020-12-01-.pdf>> [20.05.2022].*

<sup>135</sup> იქვე, 10.

ბულ გამოვლენად.<sup>136</sup> კრიტიკოსების ნაწილი ეჭვქვეშ აყენებს სავალდებულო მედიაციის გამოყენებას განსაკუთრებით იმ დავაში, რომლის მხარეებს არ ჰყავთ იურისტი წარმომადგენლები. ამ შემთხვევაში დგება საკითხი, თუ რამდენად შეუძლიათ ამგვარ მხარეებს წარმომადგენლების გარეშე გააკეთონ ინფორმირებული არჩევანი შეთავაზებულ პირობებთან მიმართებით და არ მოექცნენ მეორე მხარის ზეგავლენის ქვეშ.<sup>137</sup> ვინაიდან სასამართლო მედიაციის დროს მხარეთა მიერ შეთანხმების მიღწევა სასამართლოს მხრიდან იმთავითვე ფოკუსირებული მოლოდინია, ასეთი მოლოდინი კი ხშირად სასამართლოს აქვს მედიატორის მიმართაც, ეს ერთგვარი „წნეხი“ აჩენს საფრთხეებს მხარეთა ნების ავტონომიისა და თვითგამორკვევის უფლების სრულად რეალიზების კუთხით და უარყოფით გავლენას ახდენს მედიატორის ცენტრალურ ვალდებულებაზე - წახალისოს მხარეთა თვითგამორკვევის პროცესი.<sup>138</sup> საოჯახო დავის მედიატორს აკისრია ვალდებულება როგორც მხარეების, ისე პროცესის ხარისხის მიმართ. მედიაციის პროცესის მიღმა არსებულმა რაიმე სახის ზეწოლამ არ უნდა იმოქმედოს მედიატორზე, დაარწმუნოს მხარეები მორიგდენენ.<sup>139</sup>

---

<sup>136</sup> იქვე, 12.

<sup>137</sup> იქვე, 4.

<sup>138</sup> იქვე, 10.

<sup>139</sup> მოდელური სტანდარტები საოჯახო და განქორწინების მედიაციისთვის (Model Standards of Practice for Family and Divorce Mediation), ამერიკის საოჯახო და მომრიგებელ სასამართლოთა ასოციაცია (Association of Family and Conciliation Courts), 2000, სტანდარტი I (A) (E).  
 <<https://www.afcnet.org/Portals/0/PDF/ModelStandardsOfPracticeForFamilyAndDivorceMediation.pdf?ver=ykuc9AnD6m4jf9IZs4PhkQ%3d%3d>> [20.05.2022], იხ. ასევე სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, დამტკიცებულია 2021 წლის 24 აპრილის საერთო კრების მიერ, მე-4 მუხლის 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-6 ნაწილები <<https://mediators.ge/uploads/files/60a4d7fd3f27f.pdf>> [20.05.2022], ასევე საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 4954-III, 18/09/2019, მე-8 მუხლის მე-9 ნაწილი, <<https://matne.gov.ge/ka/document/view/4646868?publication=2>> [20.05.2022].

მხარის თვითგამორკვევა, მედიატორის ნეიტრალობა და მის მიერ პროფესიული რჩევის მიცემის შეზღუდვა ურთიერთგანმავლობით კავშირშია ერთმანეთთან, რაც ხშირად გავლენას ახდენს მედიატორის როლისა და ჩართულობის ფარგლებზე მედიაციის პროცესში.<sup>140</sup> ნებისმიერი ჩარევა მედიატორის მხრიდან თვითგამორკვევის უფლებაში უნდა იყოს შეზღუდული და ამას უნდა ჰქონდეს სათანადო გამართლება.<sup>141</sup> თვითგამორკვევის პრინციპი უნდა გავრცელდეს მედიაციის ყველა საკითხზე და ამ უფლებაში „ჩარევა“ მხოლოდ ლეგიტიმური მიზნით შეიძლება გამართლდეს.<sup>142</sup>

მხარეთა თვითგამორკვევის პრინციპს აღიარებს „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონიც, რომლის მე-3 მუხლის<sup>143</sup> მიხედვით, მედიაცია ეფუძნება მათ შორის მხარეთა თვითგამორკვევის პრინციპსაც. ეს მუხლი დეკლარაციულ ხასიათს ატარებს და არ მიუთითებს მისი გამოვლენის ფორმებზე. აღნიშნულმა პრინციპმა ასახვა ჰპოვა კანონის სხვადასხვა მუხლებში. კერძოდ, „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი<sup>144</sup> განსაზღვრავს წესებს, თუ როგორ უნდა იქნას წარმართული მედიაციის პროცესი. აღნიშნულ მუხლში მითითებულია, რომ მედიატორმა მედიაცია შეიძლება წარმართოს მხარეებთან როგორც ერთობლივი, ისე ინდივიდუალური კომუნიკაციის მეშვეობით. აღნიშნული დანაწესი სწორედ იმას ემსახურება, რომ მხარემ ერთობლივი თუ მედიატორთან ცალკე შეხვედრის დროს შეძლოს თვითგამორკვევა და სა-

<sup>140</sup> ჩიტაშვილი ნ., მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2016, 30, <<https://tsu.ge/assets/media/files/8/Publications/Sam-Journ-N1-2016G.pdf>> [20.05.2022].

<sup>141</sup> კაკოიშვილი დ., მედიატორის ეთიკური ვალდებულებები მედიაციის პროცესში, თბ., 2020, 12, <<http://www.library.court.ge/upload/46302020-12-01.pdf>> [20.05.2022].

<sup>142</sup> კაკოიშვილი დ., მედიატორის ეთიკური ვალდებულებები მედიაციის პროცესში, თბ., 2020, 11, <<http://www.library.court.ge/upload/46302020-12-01.pdf>> [20.05.2022].

<sup>143</sup> საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 4954-1ს, 18/09/2019, მე-3 მუხლი.

<sup>144</sup> იქვე, მე-8 მუხლი.

კუთარი ინტერესებიდან გამომდინარე გადაწყვეტილების მიღება. იმავე მუხლში ვკითხულობთ, რომ მედიატორი უფლებამოსილია მედიაციის ეფექტიანად წარმართვის მიზნით მხარეებს მედიაციის მიმდინარეობისას შესთავაზოს ნებისმიერი დამატებითი ინფორმაციის წარდგენა. ეს დანაწესიც მხარეთა თვითგამორკვევის პრინციპის პრაქტიკული განხორციელების საშუალებაა იმ პირობებში, როდესაც მედიატორს არ აქვს უფლებამოსილება თავად გასცეს რჩევები მხარეებისთვის ან გამოთქვას საკუთარი მოსაზრებები. თვითგამორკვევის პრინციპი მას ავალდებულებს, მხარეებს შესთავაზოს წარადგინონ დამატებითი ინფორმაცია, რამაც უნდა უზრუნველყოს მხარის მიერ თავისუფალი, დამოუკიდებელი და ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების ხარისხის გაზრდა.<sup>145</sup>

თვითგამორკვევის პრინციპი ასახულია მედიატორთა აშშ-ის მოდელური ქცევის 2005 წლის სტანდარტების პირველ წესში<sup>146</sup>. აღნიშნული წესი განმარტავს, რომ თვითგამორკვევა არის ნებაყოფლობით და იძულებისგან თავისუფალ გადაწყვეტილებასთან მიმეყვანი საშუალება, სადაც თითოეული მხარე იღებს თავისუფალ და ინფორმირებულ არჩევანს პროცესთან და შედეგთან დაკავშირებით.<sup>147</sup>

დოქტრინაში აღიარებულია, რომ მხარეთა თვითგამორკვევის უფლება გაცილებით ფართოა, ვიდრე სამოქალაქო სამართალში არსებული ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი. მედიაციის

<sup>145</sup> კაკოიშვილი დ., მედიატორის ეთიკური ვალდებულებები მედიაციის პროცესში, თბ., 2020, 14 <<http://www.library.court.ge/upload/46302020-12-01.pdf>> [20.05.2022].

<sup>146</sup> მედიატორთა ქცევის მოდელური სტანდარტები (Model Standards of Conduct for Mediators), ამერიკის საარბიტრაჟო ასოციაცია, ამერიკის ადვოკატთა ასოციაცია და კონფლიქტების მოგვარების ასოციაცია (American Arbitration Association, American Bar Association and the Association for Conflict Resolution), მიღებულია 1994 წელს, გადაამუშავდა 2005 წელს, <[https://www.adr.org/sites/default/files/document\\_repository/AAA-Mediators-Model-Standards-of-Conduct-10-14-2010.pdf](https://www.adr.org/sites/default/files/document_repository/AAA-Mediators-Model-Standards-of-Conduct-10-14-2010.pdf)> [20.05.2022].

<sup>147</sup> კაკოიშვილი დ., მედიატორის ეთიკური ვალდებულებები მედიაციის პროცესში, თბ., 2020, 10, <<http://www.library.court.ge/upload/46302020-12-01.pdf>> [20.05.2022].

შეთანხმებითა და ემოციური გამოხატვისა და გაგების, თვითგამორკვევის შესაძლებლობით მიღებული კმაყოფილების ხარისხი გულისხმობს მხარეთა მადლიერებას ნეიტრალური პირის მიმართ თავისუფალი ნების ამსახველი გადაწყვეტილების მიღების პროცესში დახმარებისათვის. ამიტომ თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციის ხელშეწყობა მედიატორის მიერ გულისხმობს არა მხოლოდ მხარეთა თანხმობის მოპოვებას ხელშეკრულების პირობებზე, არამედ მათ მიერ საკუთარი ნამდვილი ნების იდენტიფიცირებისა და რეალიზების შესაძლებლობის უზრუნველყოფას.<sup>148</sup>

რამდენადაც მედიაციის არსობრივი მიზანი მხარეთა თავისუფალი, ნამდვილი რეალური და ღირებულებების ამსახველი არჩევანის შესაძლებლობის მინიჭებაა, მაშინ მედიაციის ეგზისტენციური საფუძველია მხარეთა შეთანხმება ღრმად გააზრებულ ღირებულებებსა და პრეფერენციებს ემყრებოდეს და თავისუფალი იყოს ნების თავისუფალი გამოვლენის შემაფერხებელი, დამაბრკოლებელი გარეშე ფაქტორებისგან.<sup>149</sup> ასეთია ძალთა დისბალანსიც, რისი იდენტიფიცირება და განეიტრალებაც მედიატორის მოვალეობაა. საოჯახო საქმეებში მხარეთა თვითგამორკვევის მიზანი მედიაციისთვის არსებითად განმსაზღვრელია. არაინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების რისკის დაზღვევა მედიატორის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა.

### 3.1.3. მედიატორის მიერ ინფორმაციის მიწოდების ფარგლები

თუ მხარეს არ აქვს სათანადო ცოდნა მედიაციით განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, რამდენად უფლებამოსილია მედია-

<sup>148</sup> ჩიტაშვილი ნ., ადვოკატ-მედიატორის ცალკეულ ეთიკურ ვალდებულებათა თავისებურება და რეგულირების აუცილებლობა, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2016, 50, <<https://tsu.ge/assets/media/files/8/Publications/Sam-Journ-N2-2016G.pdf>> [20.05.2022].

<sup>149</sup> Waldman E., *Mediation Ethics, Cases and Commentaries*, Jossey-Bass A Wiley Imprint, San Francisco, 2010, 96.

ტორი, მიანოდოს მას შესაბამისი სამართლებრივი, ფინანსური თუ ტექნიკური შინაარსის ინფორმაცია, ან მისცეს რჩევა?<sup>150</sup> ამ შემთხვევაში, ერთმანეთს უპირისპირდება მედიატორის ნეიტრალობის / მიუკერძოებლობის ვალდებულება<sup>151</sup> და, მხარეთათვის ინფორმირებული გადაწყვეტილების ხელშეწყობის მოვალეობა.<sup>152</sup>

<sup>150</sup> სტანდარტები განასხვავებს მედიატორის მიერ ინდივიდუალურად გამოსაყენებელ რჩევებს (იქნება ეს იურიდიული თუ თერაპიული) და მედიატორის მიერ მონაწილეთათვის ზოგადი ინფორმაციის მიწოდებას. „მიუკერძოებლობის სტანდარტებთან და მონაწილის თვითგამორკვევის შენარჩუნების სტანდარტებთან შესაბამისობაში, მედიატორს შეუძლია მიანოდოს მონაწილეებს ინფორმაცია, რომლის შესახებაც მედიატორი კვალიფიცირებულია ტრენინგით ან გამოცდილებით.“ ამრიგად, ადვოკატი მედიატორი შეძლებს მონაწილეებს მიანოდოს იურიდიული ინფორმაცია, ხოლო მედიატორი, რომლის წარმოშობის პროფესია არის ფსიქიკური ჯანმრთელობის პროფესიონალი, შეძლებს მონაწილეებს მიანოდოს ინფორმაცია, რომლის მიწოდების კვალიფიკაციაც მას აქვს. მოცემულ შემთხვევაში დაცულ უნდა იქნეს მიუკერძოებლობა და ნეიტრალობა. იხ. *Schepard A., An Introduction to the Model Standards of Practice for Family and Divorce Mediation, Fam. L. Q. a, Vol. 35, 2001, 14-15.*

<sup>151</sup> რა არის ნეიტრალიტეტი და როგორ იცვლება ის კონტექსტიდან კონტექსტში? რამდენად უნდა გააკონტროლონ მხარეებმა მედიაციის სტრუქტურა ან მედიატორის როლი? რამდენად გამჭვირვალე უნდა იყოს მედიატორი მის მიმართ მხარეთა აღქმასა და მორიგების ალბათობაზე? შეუძლია თუ არა შუამავალს მოტყუება მოდავე მხარეების ან ინფორმაციის დამახინჯება, თუ ამგვარმა დამახინჯებამ შეიძლება გაზარდოს მორიგების დადების შანსები? თითოეული ეს საკითხი ეხება მედიატორის როლის ეთიკას და თითოეული არის მაგალითი იმისა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია და საპასუხისმგებლო ამ სფეროში მუშაობა. იხ. *Peppet S.R., ADR Ethics, J. Legal Educ., Vol. 54, 2004, 77, <<https://scholar.law.colorado.edu/articles/501>> [15.06.2022].* იხ. *Smithson J., Barlow A., Hunter R., Ewing J., The Moral Order in Family Mediation: Negotiating Competing Values, Conflict Resolution Quarterly, Vol. 35, No. 2, 2017, 174, <<https://onlinelibrary.wiley.com/doi/epdf/10.1002/crq.21195>> [02.09.2022].*

<sup>152</sup> *ჩიტაშვილი ნ., მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2016, 31, <<https://tsu.ge/assets/media/files/8/Publications/Sam-Journ-N1-2016G.pdf>> [20.05.2022].*

თუ მხარეთა დისბალანსი ინფორმაციული დეფიციტით არის განპირობებული, მედიატორმა უნდა მიუთითოს დამატებითი კონსულტაციების მიღებისა და დამოუკიდებელი სპეციალისტების პროცესში ჩართვის საჭიროებაზე<sup>153</sup> ან/და მხარეთა მოთხოვნის საფუძველზე შესაძლებელია მისი ცოდნისა და კომპეტენციის ფარგლებში მიუკერძოებლობის პრინციპისა და პროფესიული ეთიკის დაცვით გასცეს შესაბამისი ინფორმაცია<sup>154</sup>. მაგალითად, „თუ განქორწინების დავაში ალიმენტის გადახდაზე მშობელი უარს აცხადებს იმ საფუძველით, რომ განქორწინების მომთხოვნი მეორე მხარეა, მედიატორს აქვს უფლება გაუზიაროს მხარეებს, რომ განქორწინების ინიცირება არ არის სამართლებრივად მნიშვნელოვანი

<sup>153</sup> საქართველოს მედიატორთა ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის მე-5 ნაწილი: მედიატორი უფლებამოსილია საჭიროებისამებრ წაახალისოს პროცესში მონაწილე მხარე, მიიღოს დამატებითი რჩევა, მათ შორის სხვა დამოუკიდებელი პროფესიონალისგან; „მედიაციის შესახებ“ კანონის მე-8 მუხლის მე-8 პუნქტი: მედიატორი უფლებამოსილია მედიაციის ეფექტიანად წარსამართავად მხარეებს მედიაციის მიმდინარეობისას შესთავაზოს ნებისმიერი დამატებითი ინფორმაციის წარდგენა. ვირჯინიის შტატის მედიატორის ეთიკის სტანდარტები ითვალისწინებს როგორც იურისტიკისათვის, ისე არაიურდიული კვალიფიკაციის მქონე ექსპერტებისთვის, როგორცაა ბუღალტერი, ფინანსისტი, ბავშვთა ფსიქოლოგი: მედიატორმა უნდა წაახალისოს მედიაციის მხარე მიიღოს დამოუკიდებელი ექსპერტული კონსულტაცია ან ინფორმაცია თუ ის აუცილებელია ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად ან მხარის უფლებების დასაცავად. Standards of Ethics of Professional Responsibility for Certified Mediators, § F(1) (Judicial Council of Virginia, 2005), <<http://www.courts-state.va.us/soe/soe.htm>> [25.06.2022]; სხვადასხვა სპეციალისტისგან კვალიფიციური კონსულტაციის მიღების შესაძლებლობის შესახებ ინფორმირების ვალდებულების შესახებ იხ. Model Standards of Practice for Family and Divorce Mediation, 2000 Association of Family and Conciliation Courts, Standard III A (4). „პირადი მესამე პირებისა“ და დამოუკიდებელი სპეციალისტების (ბუღალტერი, უძრავი ქონების აგენტი, იურისტი და სხვ.) ჩართვის შესახებ იხ. *Irving H.H., Benjamin M., Therapeutic Family Mediation: Helping Families Resolve Conflict, Helping Families Resolve Conflict*, Sage Publications, London, 2002, 149.

<sup>154</sup> საქართველოს მედიატორთა ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლის მე-3 ნაწილი.



გარემოება, რის გამოც მოსამართლემ შეიძლება ალიმენტის გადახდის ვალდებულებისგან გაათავისუფლოს მშობელი.<sup>155</sup>

აშშ-ის მოდელური სტანდარტები საოჯახო და განქორწინების მედიაციის პრაქტიკის შესახებ დასაშვებად მიიჩნევენ მედიატორის მიერ ინფორმაციის მინოდების შესაძლებლობას<sup>156</sup> მისი გამოცდილებისა და ტრენინგით მიღებული ცოდნის ფარგლებში, მაგრამ იმ დათქმით, რომ იგი არ იქნება სამართლებრივი შინაარსის.<sup>157</sup> ეს

<sup>155</sup> *Waldman E., Mediation Ethics, Cases and Commentaries, Jossey-Bass A Wiley Imprint, San Francisco, 2010, 101.*

<sup>156</sup> აშშ-ის მედიატორის ქცევის მოდელური სტანდარტების თანახმად, მედიატორს არ შეუძლია პირადად უზრუნველყოს, თითოეული მხარის მიერ თავისუფალი და ინფორმირებული არჩევანის განხორციელება კონკრეტული გადაწყვეტილებების მისაღწევად, მაგრამ, საჭიროების შემთხვევაში, მედიატორებმა უნდა შეახსენონ მხარეებს სხვა პროფესიონალების კონსულტაციის მნიშვნელობის თაობაზე, რათა მათ ინფორმირებული არჩევანი გააკეთონ. მსგავსად, საქართველოს მედიატორთა ეთიკის კოდექსის (4.3. მუხლი) თანახმად, თვითგამორკვევის პრინციპის ხელშეწყობა გულისხმობს, რომ მხარეებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა მათი ინტერესის შესაბამისად მიიღონ ნებაყოფლობითი და ინფორმირებული გადაწყვეტილება როგორც დავის შინაარსობრივ, ისე მედიაციის პროცედურულ საკითხებზე. ამასთან, მედიატორს არ ევალება როგორც მხარეთა მიერ ნებაყოფლობითი და ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების უზრუნველყოფა, ისე პროცესის გაგრძელება, თუ კი ის მიიჩნევენ, რომ მედიაციის გაგრძელება არაეფექტური ან გაუმართლებელია. (მუხლი 4.5.) მედიატორი უფლებამოსილია, საჭიროებისამებრ წაახალისოს პროცესში მონაწილე მხარე, მიიღოს დამატებითი რჩევა, მათ შორის სხვა დამოუკიდებელი პროფესიონალისგან.

<sup>157</sup> იხ. *Schepard A., An Introduction to the Model Standards of Practice for Family and Divorce Mediation, Fam. L. Q. a, Vol. 35, 2001, 8:* სტანდარტები არ მოითხოვს ან კრძალავს მედიატორისგან რაიმე კონკრეტული სახის ინფორმაციის მინოდებას, როგორცაა ადვოკატი მედიატორის მიერ პრეტენზიის სავარაუდო შედეგის შეფასება ან ბავშვისთვის თერაპევტის მიერ სავარაუდო ემოციური სარგებელის ან ზიანის შეფასება. სტანდარტები ამ და მსგავს პრაქტიკულ საკითხებს, რომლებზეც მედიაციის საზოგადოებამ ვერ მიაღწია კონსენსუსს, ტოვებს ღიად ბავშვისთვის, სადაც მომხმარებლები ირჩევენ მედიატორებს, გონივრულად და მედიაციისადმი მათი მიდგომის შესახებ ინფორმაციით. როდესაც კონსენსუსი იქნება მიღწეული, ძველი სტანდარტები შეიძლება შეიცვალოს და შეიქმნას ახალი.

სტანდარტები მედიატორს ანიჭებს უფლებამოსილებას, გავიდეს პროცესიდან, თუ მხარეები აპირებენ გაუცნობიერებელი გადანყვეტილების მიღებას, ან თუ ერთი მხარე ცდილობს, გამოიყენოს მედიაციის პროცესი მეორე მხარეზე უსამართლო უპირატესობის მოსაპოვებლად. ამ მიდგომის საპირისპიროდ, ალაბამის ეთიკის კოდექსის მოლოდინია, რომ „მედიატორი განიხილავს მხარეებთან განქორწინების შემთხვევაში ქონების განაწილების შესახებ სამართლოს შესაძლო და სავარაუდო გადანყვეტილებას.“<sup>158</sup> ერთი შეხედულებით, მედიატორს უნდა შეეძლოს უარი თქვას სამედიაციო შეთანხმების დამტკიცებაზე, თუ ის იმგვარადაა ჩამოყალიბებული, რომ სამართალს უგულბებლყოფს.<sup>159</sup> მედიატორებს აქვთ ვალდებულება პროცესი იმგვარად წარმართონ, სადაც ყველა მხარეს მოექცევიან პატივისცემით და მათ მიეცემათ შესაძლებლობა დაძალების გარეშე მიაღწიონ შეთანხმებას. თუმცა დებატი შეეხება საკითხს, მედიატორი არის თუ არა ასევე პასუხისმგებელი შედეგის შინაარსობრივ სამართლიანობაზეც.<sup>160</sup>

თუ მედიატორმა უნდა წაახალისოს მხარეთა ნების ავტონომიასა და თვითგამორკვევაზე დამყარებული პროცესი, მაშინ მან უნდა უზრუნველყოს, რომ მხარეთა მიერ გადანყვეტილება მიიღებოდეს სათანადო ინფორმაციის ფლობისა და გაცნობიერების პირობებში. ხშირად მედიაციის პროცესში მალალია მხარის სამართლებრივი ინფორმაციის საჭიროება. თუ იქნება მოლოდინი მედიატორისგან ამგვარი ინფორმაციის გაცემისა, მაშინ „შესაძლებელია, მისი როლი მნიშვნელოვნად დაუახლოვდეს წარმომადგენლის პროფესიულ ვალდებულებას. ასეთ შემთხვევაში, მედიატორისა და წარმომადგენლის როლი ურთიერთმფარავი ხდება, რაც, ეთიკის

<sup>158</sup> ჩიტაშვილი ნ., მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2016, 31, <<https://tsu.ge/assets/media/files/8/Publications/Sam-Journ-N1-2016G.pdf>> [20.05.2022].

<sup>159</sup> კაკოიშვილი დ., მედიატორის ეთიკური ვალდებულებები მედიაციის პროცესში, თბ., 2020, 6, <<http://www.library.court.ge/upload/46302020-12-01.pdf>> 20.05.2022].

<sup>160</sup> იქვე, 5.

თვალსაზრისით, ბევრ წინააღმდეგობას აჩენს.<sup>161</sup> მართალია, მედიატორს აკისრია ვალდებულება, წაახალისოს მხარეთა მიერ ობიექტური კონსულტაციის მიღება სხვა სპეციალისტებისგან (მათ შორის იურისტებისგან), მაგრამ დილემა მწვავედება იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესულური შესაძლებლობის გამოყენებაზე გამოკვეთილად აცხადებენ უარს. ასეთი მოცემულობისას საინტერესოა, აქვს თუ არა უფლება ან აკისრია თუ არა ვალდებულება მედიატორს, თავად გასცეს რელევანტური ინფორმაცია.

მედიატორის ქმედება უნდა შემოიფარგლოს იმით, რომ მან მხარეები წაახალისოს და ხელი შეუწყოს მათ, მიიღონ დამოუკიდებელი და კვალიფიციური სამართლებრივი რჩევები განსახილველ საკითხთან მიმართებით ადვოკატისგან ან სხვა სპეციალისტებისგან. აშშ-ის მედიატორის ქცევის მოდელური სტანდარტების<sup>162</sup> თანახმად, მედიატორს არ შეუძლია პირადად უზრუნველყოს, თითოეული მხარის მიერ თავისუფალი და ინფორმირებული არჩევანის განხორციელება კონკრეტული გადაწყვეტილებების მისაღწევად, მაგრამ, საჭიროების შემთხვევაში, მედიატორებმა უნდა შეასხენონ მხარეებს სხვა პროფესიონალების კონსულტაციის მნიშვნელობის თაობაზე, რათა მათ ინფორმირებული არჩევანი გააკეთონ. მსგავსად, საქართველოს მედიატორთა ეთიკის კოდექსის (4.3. მუხლი) თანახმად, თვითგამორკვევის პრინციპის ხელშეწყობა გულისხმობს, რომ მხარეებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, მათი ინტერესის შესაბამისად, მიიღონ ნებაყოფლობითი და ინფორმირებული

<sup>161</sup> ჩიტაშვილი ნ., მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2016, 31, <<https://tsu.ge/assets/media/files/8/Publications/Sam-Journ-N1-2016G.pdf>> [20.05.2022].

<sup>162</sup> Model Standards of Conduct for Mediators, AAA, ABA, ACR, 1994, Revised 2005, Standard I A (2). აღნიშნული აქტი მიღებულ იქნა 1994 წელს აშშ-ის არბიტრაჟის, ადვოკატთა და კონფლიქტების მოგვარების სამი ასოციაციის მიერ. 2005 წლის სექტემბერში იმავე ორგანიზაციების მიერ აღნიშნულ აქტში განხორციელდა ცვლილებები, რითაც იგი შესაბამისობაში იქნა მოყვანილი მედიაციის პრაქტიკასთან.

გადანყვეტილება როგორც დავის შინაარსობრივ, ისე მედიაციის პროცედურულ საკითხებზე. ამასთან, მედიატორს არ ევალება როგორც მხარეთა მიერ ნებაყოფლობითი და ინფორმირებული გადანყვეტილების მიღების უზრუნველყოფა, ისე პროცესის გაგრძელება თუ კი ის მიიჩნევს, რომ მედიაციის გაგრძელება არაგონივრული ან გაუმართლებელია. (მუხლი 4.5.) მედიატორი უფლებამოსილია, საჭიროებისამებრ წაახალისოს პროცესში მონაწილე მხარე, მიიღოს დამატებითი რჩევა, მათ შორის სხვა დამოუკიდებელი პროფესიონალისგან. საერთაშორისო პრაქტიკაში დგას საკითხი, მედიატორი, რომელიც ეხმარება მხარეებს მიიღონ ნეიტრალური, მიუკერძოებელი სამართლებრივი ინფორმაცია/რჩევა ადვოკატებისგან, გაანალიზონ მათი საქმის გადანყვეტის ალტერნატივები მედიაციის მიღმა – სასამართლო ან საარბიტრაჟო წარმოებაში, შეაფასონ საქმის ძლიერი და სუსტი სამართლებრივი ასპექტები, ფაქტობრივი მხარეები, მიიღონ ინფორმირებული, ურთიერთშეთანხმებული, თავისუფალი ნების ამსახველი გადანყვეტილება, შეადგინონ გაცნობიერებული, დეტალურად განსაზღვრული და შესრულება-აღსრულებაუნარიანი მედიაციის შეთანხმება, რამდენად შეიძლება ჩაითვალოს იურიდიული პრაქტიკის განმახორციელებლად? აღნიშნულის საპასუხოდ ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის რეზოლუციით დადგენილ იქნა, რომ მედიაცია არ არის სამართლის პრაქტიკა.<sup>163</sup>

<sup>163</sup> ჩიტაშვილი ნ., ადვოკატ-მედიატორის ცალკეულ ეთიკურ ვალდებულებათა თავისებურება და რეგულირების აუცილებლობა, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2016, 32, <<https://tsu.ge/assets/media/files/8/Publications/Sam-Journ-N2-2016G.pdf>> [20.05.2022].

აღნიშნული მოსაზრების საპირისპიროდ, დოქტრინაში არსებობს განსხვავებული მოსაზრებები, მაგალითად, იხ. *ჟანდაშვილი ი.*, საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადანყვეტის სასამართლო და არასამართლო ფორმები, თბ., 2018, 248, <[http://press.-tsu.ge/data/image\\_db\\_innova/Kandashvili%20Irakli.pdf](http://press.-tsu.ge/data/image_db_innova/Kandashvili%20Irakli.pdf)> [23.05.2022].

„დიდი მნიშვნელობა ექცევა იმას ზოგადად მედიაცია წარმოადგენს იურიდიულ საქმიანობას თუ არის ჩვეულებრივი მომსახურება, რადგან იმ შემთხვევაში თუ სახეზე იქნება იურიდიული მომსახურებისადმი

ქართული მედიატორთა ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლის 3.3. პუნქტით<sup>164</sup> დადგენილია ინფორმაციის გაზიარების ფარგლები, კერძოდ, მედიატორმა ხელი უნდა შეუწყოს მხარეებს, რომ მათ მაქსიმალურად გამოიყენონ თავიანთი რესურსები და დამოუკიდებლად ჩამოაყალიბონ მორიგების პირობები. ამასთან, მას არ აქვს უფლება, თავისი კომპეტენციის მიღმა, მხარეებს სამართლებრივი ან სხვა პროფესიული რჩევა მისცეს, შეაფასოს დავის გადაწყვეტის ალტერნატივები ან საქმის გარემოებები, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს მხარეებმა ითხოვეს. ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც, მედიატორი უფლებამოსილია, გაუზიაროს მხარეებს საქმესთან დაკავშირებული ცოდნა და ინფორმაცია მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვით.

### 3.1.4. მედიატორის მიუკერძოებლობა

მედიატორი აშკარად სუსტი და ძლიერი მხარის შემთხვევაში გაუცნობიერებელი მიკერძოების საფრთხის წინაშე შეიძლება დადგეს. თუ მხარე იყენებს მანიპულაციურ ტაქტიკას, რათა მეორე მხარე აიძულოს ნაჩქარევად ხელი მოაწეროს სამედიაციო მორიგებას, მედიატორმა არ უნდა დაკარგოს მიუკერძოებლობა, არ შეეცადოს

---

მედიატორის საქმიანობის მიკუთვნება, მაშინ მასზე ადვოკატის ეთიკა უნდა გავრცელდეს. ამ მიმართულებით მედიატორი უპრინციპულია მიუკუთვნოს იურიდიულ საქმიანობას, რადგან მედიატორის გამოყენებით საბოლოო ჯამში იქმნება სამართლებრივ ნორმებს დაქვემდებარებული ალსრულეზადი აქტი, თუმცა აღნიშნული კომპლექსურ საკითხს წარმოადგენს და მასზე გარდა ცალკე სამეცნიერო კვლევის საჭიროებისა, სავალდებულოა გაიხსნას ღია დისკუსიები იურიდიულ პროფესიაში, რაც დღეს საქართველოში არ ხდება და ეს თემა საერთოდ არ დგას იურიდიული პროფესიის წარმომადგენელთა დღის წესრიგში, თუმცა მედიატორის დანერგვის პარალელურად აღნიშნულზე სავალდებულოა მიდიოდეს მსჯელობა.“

<sup>164</sup> სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, დამტკიცებულია 2021 წლის 24 აპრილის საერთო კრების მიერ, მე-3 მუხლის 3.3. პუნქტი <<https://mediators.ge/uploads/files/60a4d7fd3f27f.pdf>> [20.05.2022].

დაიჭიროს სუსტი მხარის პოზიცია მისი უფლებების დაცვაზე ორიენტირებით, არამედ უნდა აუხსნას ზენოლის განმახორციელებელ მხარეს, რომ კონსულტირების გარეშე, გადაწყვეტილების გაუაზრებლად მიღება თავად პროცესის ფუნდამენტურ პრინციპებს ეწინააღმდეგება.<sup>165</sup> ამდენად, მედიატორის სტრატეგიამ არ უნდა შეიძინოს ერთი მხარის უფლებების დაცვის ეფექტი, მისი სტრატეგია პროცესის პატივისცემის, მისი ჯეროვნად და კეთილსინდისიერად წარმართვის მოტივით უნდა იქნეს დასაბუთებული. ამ გზით მედიატორი შეძლებს მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვას თვითგამორკვევისა და ინფორმირებული გადაწყვეტილების ხელშეწყობის ვალდებულების რეალიზებასთან ერთად.<sup>166</sup> ქცევის სტანდარტში ასევე იგულისხმება ისიც, რომ მან პროცესის განმავლობაში არ უნდა გამოიყენოს იმგვარი ფრაზები, არ უნდა გააჟღეროს წინადადებები (მით უფრო რჩევა ან მითითება), რომლებიც რომელიმე მხარისთვის მიმანიშნებლად ან მათ სასარგებლოდ იქნება აღქმული<sup>167</sup> და მეორე მხარის ინტერესებთან მიმართებით ერთი მხარის უპირატეს მდგომარეობას განაპირობებს.

მედიატორთა ქცევის მოდელური სტანდარტები უფლებას ანიჭებს მედიატორს, უარი თქვას პროცესში მონაწილეობაზე და შემდგომში ნებისმიერ ეტაპზე გავიდეს პროცესიდან, თუ მისი მხრიდან შეუძლებელია მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვა. მოდელური სტანდარტების რეფორმის გაერთიანებულმა კომისიამ

<sup>165</sup> *Waldman E., Mediation Ethics, Cases and Commentaries, Jossey-Bass A Wiley Imprint, San Francisco, 2010, 107, (comments of Bill Eddy).*

<sup>166</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187<sup>5</sup> (1) მუხლის თანახმად, სასამართლო მედიაციის ვადა შეადგენს 45 დღეს, მაგრამ არანაკლებ 2 შეხვედრისა. სულ მცირე ორი შეხვედრის სავალდებულობა სხვადასხვა მიზეზთა შორის იმითაც აიხსნება, რომ თუ მხარეებს პირველივე სესიაზე სურთ მორიგდნენ, საჭირო იქნება მეორე სესიაზე დასწრებაც, რათა მათ ჰქონდეთ შეთანხმების პირობების გააზრებისა და სრულფასოვნად გაცნობიერების შესაძლებლობა სამედიაციო მორიგების საბოლოო ხელმოწერამდე.

<sup>167</sup> *კაკოიშვილი დ., მედიატორის ეთიკური ვალდებულებები მედიაციის პროცესში, თბ., 2020, 16, <<http://www.library.court.ge/upload/46302020-12-01.pdf>> [20.05.2022].*

განიხილა საკითხი, რამდენად მიზანშეწონილი იყო, მედიაციიდან გასვლის უფლების გამოყენებას წინაპირობის სახით დამატებოდა დათქმა, „იმ პირობით, რომ პროცესზე უარი შესაძლებელია რომელიმე მხარის ინტერესებისათვის ზიანის მიუყენებლად.“ საბოლოოდ, კომისიამ ამ წინაპირობის განსაზღვრა მედიაციიდან გასვლის უფლების გამოყენებისათვის მიზანშეწონილად არ მიიჩნია.<sup>168</sup>

მიუკერძოებლობის პრინციპს განამტკიცებს მოდელური სტანდარტების მე-2 ნესი, რომლის მიხედვით, მედიატორმა მედიაცია უნდა წარმართოს მიუკერძოებლად და თავიდან აიცილოს იმგვარი ქმედება, რომელიც აჩენს მიკერძოებულობის აღქმას. აღნიშნული ნიშნავს, რომ მან არ უნდა იმოქმედოს მიკერძოებით ან წინასწარ ჩამოყალიბებული რწმენით, რომელიც დაფუძნებული იქნება პერსონალურ მახასიათებლებზე, ბექგრაუნდზე, ღირებულებებსა და რწმენაზე ან მედიაციის პროცესში გამოვლენილ ქმედებებზე ან სხვა ნებისმიერ მიზეზზე.<sup>169</sup> მოდელური სტანდარტის მიხედვით, მედიატორს, რომელიც პერსონალური თუ სხვა მიზეზით არ არის მიუკერძოებელი, აქვს საშუალება უარი თქვას მის მიერ მედიატორის ფუნქციების შესრულებაზე. ამავდროულად, მიკერძოებულობა ან ამგვარი აღქმა შეიძლება წარმოიშვას მედიაციის პროცესის ნებისმიერ ეტაპზე, რა დროსაც მხარეებს აქვთ უფლება განაცხადონ მედიატორის აცილების, ხოლო თავად მედიატორს - თვითაცილების შესახებ.<sup>170</sup>

### **3.1.5. მხარეთა ძალთა დისბალანსთან გამკლავება**

კერძო შეხვედრა საუკეთესო ფორმატია ოჯახური ძალადობისა და ძალთა დისბალანსის სკრინინგისთვის, მხარეთა ურთიერთო-

<sup>168</sup> ჩიტაშვილი ნ., მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2016, 32-33, <<https://tsu.ge/assets/media/files/8/Publications/Sam-Journ-N1-2016G.pdf>> [20.05.2022].

<sup>169</sup> კაკოიშვილი დ., მედიატორის ეთიკური ვალდებულებები მედიაციის პროცესში, თბ., 2020, 15, <<http://www.library.court.ge/upload/46302020-12-01.pdf>> [20.05.2022].

<sup>170</sup> იქვე, 16.

ბის ისტორიისა და კონფლიქტის მიზეზების კვლევისთვის, რეალობის ტესტის განხორციელებისა და ინტერესების შესატყვისის შეთავაზებების შემუშავების ხელშეწყობისთვის. ამდენად, ინდივიდუალური შეხვედრა მხარეთა მოლაპარაკების შესაძლებლობებისა და მხარეთა ძალაუფლების დაბალანსების ერთ-ერთი ქმედითი საშუალებაა.<sup>171</sup>

რადგან ზოგიერთ კულტურაში მხარეები ურთიერთობებზე არიან ორიენტირებული და არა ხელშეკრულების დეტალურ მოწესრიგებაზე, ამიტომ მედიატორმა უნდა დასვას შეკითხვები, რომელიც ხაზს გაუსვამს, რომ ბუნდოვანების შესახებ მხარეები ინფორმირებულები არიან. ამის მიუხედავად, მედიატორს რჩება უფლება, თუ თვლის, რომ საფრთხე ექმნება მედიაციის პროცესის ხარისხს თვითგამორკვევის ნაწილში, უარი თქვას ამგვარი შეთანხმების მიღებაზე. მედიატორს შეუძლია იყოს *culturally imperialistic*. შუამავლებს უნდა შეეძლოთ თავიდან აიცილონ კულტურული იმპერიალიზმის ბრალდება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შუამავალი გადაწყვეტს, თავად იყოს იმპერიალისტი.<sup>172</sup>

<sup>171</sup> *Waldman E., Mediation Ethics, Cases and Commentaries, Jossey-Bass A Wiley Imprint, San Francisco, 2010, 104.*

<sup>172</sup> მედიატორის კრიტიკულად მნიშვნელოვანი სტრატეგიული იარაღია პროცესზე მოსანვევ რელევანტურ პირთა წრის განსაზღვრა და მათი პროცესში ჩაბმა. მესამე პირები და მხარეთა პირადი წარმომადგენლები საოჯახო მედიაციის პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს და აქტიურ ინგრედიენტადაა მიჩნეული. ამდენად, მედიაციის პროცესზე, სხვადასხვა სტრატეგიული მიზნით, საჭიროა ყველა იმ პირთა მოწვევა, რომელთაც გარკვეული - პოზიტიური თუ ნეგატიური როლი შეიძლება ჰქონდეთ შეთანხმების მიღწევის პროცესში. ამ პირთა შორის, ერთი მხრივ, შეიძლება იყვნენ სპეციალისტები, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუწყონ თვითგამორკვევას და ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებას (იურისტი, ფსიქოლოგი, ფინანსისტი, უძრავი ქონების აგენტი). აღნიშნული პირები შეიძლება მოწვეულ იქნენ, როგორც მხარის წარმომადგენლების, ისე დამოუკიდებელი სპეციალისტების - მესამე პირების სტატუსით. *Abramson H., Crossing Crossing Borders into New Ethical Territory: Ethical Challenges: Ethical Challenges When Mediating Cross-Culturally, S. Tex. L. Rev. 921, 2008, 941-942.*



„მოინვიეთ ყველა კეთილი ფერია და ბოროტი ჯადოქარი მე-  
დიაციანზე!“ რატომ ეძინა მძინარე მზეთუნახავს ასი წელიწადი? მან  
თითისტარზე გაიჭრა ხელი. ამ წყევლით დასაჯა განაწყენებულმა  
ბოროტმა ჯადოქარმა მზეთუნახავის მშობლები, რომლებმაც ჯა-  
დოქარი შვილის გრანდიოზულ იუბილეზე არ მიიწვიეს.<sup>173</sup>

მედიატორის კრიტიკულად მნიშვნელოვანი სტრატეგიული ია-  
რალია პროცესზე მოსაწვევ რელევანტურ პირთა წრის განსაზღვრა  
და მათი პროცესში ჩაბმა. მესამე პირები და მხარეთა პირადი წარ-  
მომადგენლები საოჯახო მედიაციის პროცესის ერთ-ერთი უმნიშ-  
ვნელოვანეს და აქტიურ ინგრედიენტადაა მიჩნეული. ამდენად, მე-  
დიაციის პროცესზე, სხვადასხვა სტრატეგიული მიზნით, საჭიროა  
ყველა იმ პირთა მონაწილეობა, რომელთაც გარკვეული - პოზიტიური  
თუ ნეგატიური როლი შეიძლება ჰქონდეთ შეთანხმების მიღწევის  
პროცესში. ამ პირთა შორის, ერთი მხრივ, შეიძლება იყვნენ სპეცია-  
ლისტები, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუწყონ თვითგამორკვევას  
და ინფორმირებული გადანაცვლებების მიღებას (იურისტი, ფსიქო-  
ლოგი, ფინანსისტი, უძრავი ქონების აგენტი...). აღნიშნული პირები  
შეიძლება მოწვეულ იქნენ, როგორც მხარის წარმომადგენლების, ისე  
დამოუკიდებელი სპეციალისტების - მესამე პირების სტატუსით.

მოდელურ სტანდარტებს, რა თქმა უნდა, არ შეუძლია უზრუნ-  
ველყოს გარანტიები, რომ რომელიმე კონკრეტული შუამავალი შე-  
ესაბამება მათ. ასევე არ შეუძლია გარანტირებულად გადაჭრას მო-  
წინაწილებს შორის არსებული ფუნდამენტური უთანასწორობა. ეს  
სამუშაო არის საკანონმდებლო ორგანოებისთვის ან სასამართლო-  
ებისთვის.<sup>174</sup> რისი ვაკეობაც მოდელურ სტანდარტებს შეუძლიათ,  
არის უზრუნველყოს საზოგადოება და იურიდიული საზოგადოება,  
რომ საოჯახო მედიაციის პროფესია მზადაა აიღოს პასუხისმგებ-

<sup>173</sup> *Waldman E., Mediation Ethics, Cases and Commentaries, Jossey-Bass A Wiley Imprint, San Francisco, 2010, 105, შემდგომი მითითებით: Mosten F.S., Collaborative Divorce Handbook, Toolbox of Strategies for Collaborative Agreement, Jossey-Bass, 2009, 77-104.*

<sup>174</sup> *Schepard A., An Introduction to the Model Standards of Practice for Family and Divorce Mediation, Fam. L. Q. a, Vol. 35, 2001, 16.*

ლობა მედიაციაში თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფასა და ამ გზით ფუნდამენტური უსამართლობის პრევენციაზე ხელშეწყობ მოლაპარაკებებში; მედიატორის ნეიტრალური როლის შენარჩუნებით სტანდარტები მედიაციის კარგ პრაქტიკას ნერგავს, რაც ნაკლებ შანსს ტოვებს (თუმცა, რა თქმა უნდა, ვერ გამორიცხავს) არაკეთილსინდისიერი მხარეების მიერ მედიაციის პროცესის ბოროტად გამოყენებისთვის.<sup>175</sup>

### 3.1.6. მედიაციის შეწყვეტა

„ნებისმიერი დისბალანსი<sup>176</sup> აზარალებს არა მხოლოდ მხარეებს, არამედ პროცესის ეთიკურ მთლიანობასაც“. როგორც წესი, თუ მხარეთა შორის ძალაუფლების თანაზომიერების პრინციპი ფუნდამენტურად შერყეულია, მაშინ ითვლება, რომ მედიაცია ვერ უზრუნველყოფს მხარეებისთვის თვითგამორკვევის პრინციპის განხორციელების თანაბარ შესაძლებლობებს და პროცესის გაგრძელება მის არსობრივ მიზანს შორდება. მოცემულ შემთხვევაში, ეთიკის კომენტატორების უმთავრესი რეკომენდაცია იქნებოდა მედიაციის პროცესის შეწყვეტა მედიატორის ინიციატივით.<sup>177</sup>

მედიაციის შეწყვეტა ეს არის ის უკიდურესი გადაწყვეტილება (ultima ratio), რომელიც მიიღება იმ შემთხვევაში, თუ პროცედურული სამართლიანობით, მედიატორის სტრატეგიული და ტაქტიკური ინტერვენციით მხარეთათვის თვითგამორკვევის თანაბარი პირობების უზრუნველყოფა მიუღწევად ამოცანად რჩება. თუ ძალთა დისბალანსი მართვადაი და პროცესის ეთიკური მთლიანობა შენარჩუნებადია, მაშინ მედიაციის პროცესის გადარჩენა უპირატეს ამოცანად რჩება.<sup>178</sup>

<sup>175</sup> იქვე, 17.

<sup>176</sup> *Waldman E.*, *Mediation Ethics, Cases and Commentaries*, Jossey-Bass A Wiley Imprint, San Francisco, 2010, 107, (comments of Bill Eddy).

<sup>177</sup> იქვე, 87.

<sup>178</sup> იქვე.

ძალთა სხვადასხვაგვარი დისბალანსის არსებობისას მედიატორმა უნდა შეაფასოს არსებულ მოცემულობაში მოლაპარაკების გაგრძელების რისკებს რამდენად გადანონის სამედიაციო მორიგების თანმდევი სიკეთეები.<sup>179</sup> თუ მედიატორის მიერ მისი ეთიკური კომპეტენციის ფარგლებში ვერ იქნა უზრუნველყოფილი მხარეთა თვითგამორკვევა,<sup>180</sup> მაშინ გამოყენებული იქნება უკიდურესი ღონისძიება მედიაციის შეწყვეტის სახით. ქართული მედიატორთა ეთიკის კოდექსის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოთვლის დისკრიმინაციის ნიშნებს, რამაც მედიატორის შესაძლო მიკერძოება შეიძლება გამოიწვიოს. აქ მოიაზრება სტერეოტიპული წარმოდგენებიც და ასევე უნდა გავრცელდეს მხარეთა ძალთა ასიმეტრიის გამო მათ მიმართ გაჩენილ იმგვარ დამოკიდებულებაზე (მაგ., ე.წ. სუსტი მხარის/მსხვერპლის მიმართ - სიბრალეულზე, გადაჭარბებულ ემპათიაზე, ან ე.წ. ძლიერი მხარის/აგრესორის მიმართ - აგრესიაზე, დასჯის სურვილზე), რაც მედიატორის მიუკერძოებლობას და ნეიტრალურობას გამორიცხავს ან ეჭვქვეშ აყენებს.<sup>181</sup>

<sup>179</sup> *Waldman E., Mediation Ethics, Cases and Commentaries, Jossey-Bass A Wiley Imprint, San Francisco, 2010, 95-96.*

<sup>180</sup> თვითგამორკვევის უზრუნველყოფა და გარანტირება მედიატორს თავად არ შეუძლია, ეთიკის კოდექსები მხოლოდ თვითგამორკვევის ხელშეწყობის მოვალეობას განამტკიცებენ კომპეტენტურად, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად პროცესის წარმართვის გზით, რაც გულისხმობს თვითგამორკვევის წახალისების მიზნით, სხვადასხვა სტრატეგიულ-ტაქტიკური, პროცესუალურ-მეთოდოლოგიური მექანიზმის გამოყენებას. იხ. სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, დამტკიცებულია 2021 წლის 24 აპრილის საერთო კრების მიერ, მე-4 მუხლი, მხარეთა თვითგამორკვევა, <<https://mediators.ge/uploads/files/60a4d7fd3f27f.pdf>> [20.05.2022].

<sup>181</sup> მედიატორმა უარი უნდა თქვას მედიაციის წარმართვაზე თუ ის თვლის, რომ მედიაციის მონაწილის რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, ესთეტიკური განცდის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის შესახებ წინასწარ ჩამოყალიბებული წარმოდგენების (სტე-

გასათვალისწინებელია, რომ ხშირად სასამართლო დავამ კიდევ უფრო შეიძლება გააძლიეროს ძალაუფლებრივი ნონასწორობის რღვევა მხარეთა შორის.<sup>182</sup> ამდენად, თითოეული დავის გადაწყვეტის პროცესის არსობრივ-პროცედურული უპირატესობები კონფლიქტის არსთან სიღრმისეულ კონტექსტუალურ ანალიზს მოითხოვს იმის დასადგენად, დავის გადაწყვეტის კონტინუუმის რომელი პროცესუალური რგოლია მხარის მრავალმხრივი საჭიროებების შესატყვისი. ავტონომიურობისა და მდგრადი, თვითმყოფადი ნებელობითი სისტემის მქონე მხარეებისთვის მედიაცია ხშირად „ეთიკურად ყველაზე სიცოცხლისუნარიანი პროცესია“<sup>183</sup>.

### 3.2. ძალადობის საკითხებთან დაკავშირებული დილემები

საინტერესოა შემთხვევა, როდესაც მედიატორი მოლაპარაკების პროცესში აღმოაჩენს ისეთ გარემოებებს, რომელიც აჩენს საფუძვლიან ეჭვს ქალის/არასრულწლოვნების მიმართ წარსულში განხორციელებული ან/და ამწყობი განგრძობადი ძალადობის შესახებ და რა დილემების წინაშე აყენებს ეს მედიატორს, რამდენად შესაძლებელია პროცესის გაგრძელება და რა ზღვრამდე.

#### 3.2.1. კონფიდენციალობის დაცვის ფარგლები

კონფიდენციალობა მედიაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია და ამ პროცესის „დახურული ბუნება“, განასხვავებს მას

---

რეოტიპები) გამო მას არ შეუძლია პროცესის მიუკერძოებლად წარმართვა.სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, დამტკიცებულია 2021 წლის 24 აპრილის საერთო კრების მიერ, მე-2 მუხლის 2.6. მუხლი <<https://mediators.ge/uploads/files/60a4d7fd3f27f.pdf>> [20.05.2022].

<sup>182</sup> Waldman E., *Mediation Ethics, Cases and Commentaries*, Jossey-Bass A Wiley Imprint, San Francisco, 2010, 98.

<sup>183</sup> იქვე, 100.

სხვა ფორმალური ნარმოებებისაგან<sup>184</sup>. ეს პრინციპი განსა-

<sup>184</sup> იხ. *ყანდაშვილი ი.*, საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, თბ., 2018, 77-78, <[http://press.tsu.ge/data/image\\_db\\_innova/Kandashvili%20Irakli.pdf](http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Kandashvili%20Irakli.pdf)> [23.05.2022]. მედიაციის დოქტრინაში კონფიდენციალობის პრივილეგია აბსოლუტურ უფლებად არ განიხილება. როდესაც საქმე მიდის სასამართლო დავამდე, მოქმედებს სტანდარტი, რომ ყველა მტკიცებულება, რასაც აქვს საქმესთან შემხებლობა და შეიძლება იქონიოს გავლენა საქმის შედეგზე, უნდა იყოს ხელმისაწვდომი და დასაშვები მტკიცებულება, რადგან საჯარო ინტერესია საქმეზე განხორციელდეს ჭეშმარიტი მართლმსაჯულება, რაც სასამართლოს ინფორმატიულობაზეც არის რიგ შემთხვევაში დამოკიდებული. მედიაციაზე ვრცელდება სტანდარტი, რომ კონფიდენციალობის პრივილეგიით დაცულია პროცესში გაჟღერებული ინფორმაცია თუ გაცვლილი მტკიცებულებები. თუმცა არსებობს რიგი გამონაკლისები, როდესაც კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების სავალდებულობა დგება, თუმცა ამ შემთხვევაში ამოსავალია ორი დიდი ინტერესის, ერთი მხრივ, მედიაციის კონფიდენციალობის პრივილეგიის და მეორე მხრივ, საჯარო ინტერესის ბალანსი იქნეს დაცული. პრივილეგიის უფლებამოსილება და კონფიდენციალობა არ არის ერთი და იგივე თეზა, თუმცა ხშირად მათ შეცდომით ერთმანეთთან აიგივებენ. მნიშვნელოვანია მედიაციაში ჩართულმა პირებმა ნათლად დაინახონ ამ ორ ცნებას შორის სად გადის ზღვარი, და კერძოდ, რიგი კონფიდენციალური კომუნიკაცია არ არის პრივილეგიით დაცული, თუმცა ყველა პრივილეგირებული კომუნიკაცია არის კონფიდენციალური. ყურადღება უნდა მიექცეს იმ გავრემობას, რომ მხარეებმა შეიძლება კონფიდენციალურობის დათქმით მოახდინეს ინფორმაციის გაცვლა, თუმცა მაინც შესაძლებელია შეიქმნას ისეთი ვითარება, როდესაც მათ მოუწიოთ კონფიდენციალურობის დათქმით გაცვლილი ინფორმაციის გასაჯაროება სასამართლოს წინაშე.

იხ. *ყანდაშვილი ი.*, საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, თბ., 2018, სქოლიო 427, შემდგომი მითითებით: *Nelson M.R., Nelson on ADR, Thomson Carswell, 2003, 27*. მედიაციის პროცესში კონფიდენციალობით დაცული ინფორმაციის გამჟღავნების შესაძლებლობა არსებობს თუ ეს კონკრეტული შემთხვევა იმ გამონაკლისებში ხვდება, რაც სავალდებულოს ხდის კონფიდენციალურ პროცესში გავრცელებული ინფორმაციის გამჟღავნებას: ა) თუ ასეთი ვალდებულება განერილია ამა თუ იმ კონკრეტულ კანონში, რასაც შეხება აქვს მედიაციის მიმდინარეობასთან (მაგ: რაიმე სახის ინფორმაცია, რაც არასრულწლოვნის საუკეთესო

კუთრებით მიმზიდველია ისეთი ტიპის დავებში, სადაც კონფლიქტი პირადი ხასიათისაა (საოჯახო ურთიერთობები, ბიზნეს პარტნიორებს შორის ურთიერთობები, ინდივიდუალური შრომითი ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავები და სხვა), ან შეეხება კომერციულ საიდუმლოებას, რეპუტაციის დაკარგვის რისკებსა და სხვა სენსიტიურ თემებს, რა დროსაც შეიძლება დავაში ჩართულ პირთა ინტერესებში არ შედიოდეს კონფლიქტის გახმაურება და ამა თუ იმ საკითხის გასაჯაროება.<sup>185</sup>

მედიატორის ეთიკის ვალდებულებების კონტექსტში აღნიშნული პრინციპი მოიცავს ორ ასპექტს: პირველი, მედიატორმა უნდა დაიცვას მედიაციის პროცესის კონფიდენციალობა მესამე მხარეების მიმართ. მეორე, როდესაც მედიატორი მხარეებს ხვდება განცალკევებით, მან კონფიდენციალურად უნდა შეინახოს განცალკევებით შეხვედრაზე გაჟღერებული ნებისმიერი ინფორმაცია, რომ-

---

ინტერესს ეხება, მისი კონფიდენციალურად შენახვა ვერ მოხდება, რადგან არასრულწლოვნის კანონიერი ინტერესები დაცულია კანონმდებლობით). ბ) თუ კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება უშუალოდ ეხება მხარის კანონიერი ინტერესების რეალიზაციას (მაგ: როდესაც მხარეს მედიაციის პროცესში მედიატორის ან ადვოკატის მხრიდან მიადგა ზიანი, მედიატორის ან ადვოკატის კონკრეტული ქმედებით, რა თქმა უნდა მხარე საკუთარი ინტერესების დაცვის მიზნებისთვის თავისუფალია შესაძლებლობაში გაამჟავნოს მედიაციის პროცესში მისთვის ცნობილი კონფიდენციალური ინფორმაცია). გ) Uniform Mediation Act მე-6 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად: გამჟღავნებას ექვემდებარება შემდეგი ინფორმაცია: ინფორმაცია, რაც ასახულია სამედიაციო შეთანხმებაში, რომელიც ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ; ინფორმაცია, რაც საჯარო კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით; ინფორმაცია რომელიც შეიცავს მუქარას ან ძალადობის თუ დანაშაულის განხორციელებას; ინფორმაცია რომელიც აღკვეთავს დანაშაულს; ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს მედიატორის მიერ გადაცდომის ჩადენას; ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს მხარის ან მისი წარმომადგენლის თუ მესამე პირის მიერ დანაშაულის ჩადენას თუ პროფესიული სტანდარტის დარღვევას.

<sup>185</sup> *ორჯონიკიძე ე.*, მედიაციის გზამკვლევი, თბ., 2021, 33, <[https://www.ge-undp.org/content/georgia/ka/home/library/democratic\\_governance/mediation-guide.html](https://www.ge-undp.org/content/georgia/ka/home/library/democratic_governance/mediation-guide.html)> [20.05.2022].

ლის საიდუმლოდ შენახვაც მხარეს სურს. ამასთან ერთად, მედიატორის ვალდებულებაა მხარეებს შეატყობინოს კონფიდენციალურობის ნებისმიერი შეზღუდვა, მაგალითად, ბავშვთა მიმართ ძალადობის ან დანაშაულის ჩადენის შესახებ გეგმის გამჟღავნება.<sup>186</sup>

კონფიდენციალურობის ვალდებულება აღარ მოქმედებს თუ ინფორმაცია გასაჯაროვდა, მხარეებმა გამორიცხეს მისი კონფიდენციალობა, გამჟღავნება აუცილებელია მედიატორის ეთიკური ვალდებულების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის თავიდან აცილებისთვის, ან დაკავშირებულია სამომავლო სიკვდილის, სხეულის მძიმე დაზიანების, დანაშაულის ან თაღლითობის გზით დიდი ფინანსური დანაკარგის პრევენციასთან. კონფიდენციალობის პრინციპიდან მსგავს გამონაკლისს ადგენს ბევრი ქვეყნის მედიაციის კანონი და შესაბამისი საჯარო ინტერესის დაცვა ამ ქვეყნებში უპირველესად საკანონმდებლო შეზღუდვით მიიღწევა.<sup>187</sup>

თუ მედიაციის დროს გამოვლინდება, რომ პროცესის გამოყენება ხდება სამომავლო კრიმინალური ქმედების განსახორციელებლად, მაშინ მედიატორი ვალდებულია, დაიყოლიოს მონაწილე, უარი თქვას ამ ქმედების სისრულეში მოყვანაზე, გადადოს ან შეწყვიტოს მედიაცია. მედიატორთა ქცევის მოდელური სტანდარტებით მას არ ეკისრება მედიაციის ფარგლებში გამჟღავნებული კრიმინალური განზრახვის შესახებ შესაბამისი ორგანოებისთვის შეტყობინების ვალდებულება. ამის მიზეზია ის გარემოება, რომ შესაძლებელია, კანონით ან მხარეთა შეთანხმებით არ იყოს განსაზღვრული კონფიდენციალობის პრინციპიდან ამგვარი გამონაკლისი და, ასეთ შემთხვევაში, მედიატორი ჩაითვლება კონფიდენციალობის პრინციპის დამრღვევად. შესაბამისად, ამ სტანდარტების მიხედვით, მედიატორის მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება საგამოძი-

<sup>186</sup> *კაკოიშვილი დ.*, მედიატორის ეთიკური ვალდებულებები მედიაციის პროცესში, თბ., 2020, 22, <<http://www.library.court.ge/upload/46302020-12-01.pdf>> [20.05.2022].

<sup>187</sup> *ჩიტაშვილი ნ.*, ადვოკატ-მედიატორის ცალკეულ ეთიკურ ვალდებულებათა თავისებურება და რეგულირების აუცილებლობა, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2016, 41, <<https://tsu.ge/assets/media/files/8/Publications/Sam-Journ-N2-2016G.pdf>> [20.05.2022].

ებო ორგანოებისთვის კონფიდენციალურობის პრინციპის დარღვევად ჩაითვლება, თუ მას მხარისგან ნებართვა არ აქვს. თუმცა, აღნიშნული ამგვარად არ რეგულირდება ყველა ქცევის სტანდარტით, მედიაციის წესებით თუ შესაბამისი შიდა კანონებით. მაგალითად, „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონი კონფიდენციალობის ვალდებულების დარღვევად არ მიიჩნევს, როდესაც მედიატორი შესაბამის ორგანოებს ატყობინებს მოსალოდნელი მძიმე დანაშაულის შესახებ.<sup>188</sup>

ევროპის კონტინენტზე მედიაციის პროცესში კონფიდენციალურობის პრინციპის არსის და გამოყენების სფეროს შესახებ მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს დირექტივა 2008/52/EC. აღნიშნული დირექტივა წევრ ქვეყნებს ავალდებულებს მედიაცია კონფიდენციალური იყოს როგორც მისი მსვლელობის, ასევე მის შემდგომ პერიოდშიც. შესაბამისად, მედიატორების მოწმედ დაბარება სასამართლოების მიერ სამოქალაქო და კომერციულ დავებზე, რათა დაიკითხონ მედიაციის პროცესში მიღებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, არ დაიშვება. დირექტივა ასევე ითვალისწინებს გამონაკლისებს. აღსანიშნავია, რომ, როდესაც მიმდინარეობდა მუშაობა აღნიშნულ დირექტივაზე, თავდაპირველი რედაქცია არ ითვალისწინებდა გამონაკლისებს, თუმცა მიღებული დოკუმენტი შეიცავს მე-7 მუხლს, რომელიც ჩამოთვლის გამონაკლისებს, როდესაც საქმე ეხება ისეთ შემთხვევებს, როცა: ა) სახეზეა საჯარო ინტერესის საჭიროება; ბ) მედიაციის შეთანხმების აღსრულების საჭიროება; გ) ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს რაიმე სახის გადაცდომის ან დანაშაულის თავიდან არიდების საშუალებას; დ) განპირობებულია არასრულწლოვნის ინტერესების დაცვით; ე) სახეზეა ორივე მხარის თანხმობა.<sup>189</sup>

<sup>188</sup> კაკოშვილი დ., მედიატორის ეთიკური ვალდებულებები მედიაციის პროცესში, თბ., 2020, 28-29, <<http://www.library.court.ge/upload/46302020-12-01.pdf>> [20.05.2022].

<sup>189</sup> იქვე, 23.



### 3.2.2. ოჯახური ძალადობის გამოვლენა

მონაწილის შეურაცხყოფა და ბავშვებისთვის საშიშროება ქმნის მნიშვნელოვან გამოწვევებს მედიატორისთვის, რათა წარმართოს პროცესი მათი უსაფრთხოების დასაცავად.<sup>190</sup> სტანდარტები მოიცავს ზოგად პრინციპს, რომ მედიატორები ნეიტრალურები არიან მიღწეული კონკრეტული შეთანხმების მიმართ იმ პირობით, რომ იგი მიიღწევა ნებაყოფლობით, მაგრამ ისინი არ არიან ნეიტრალური კლიენტებისა და მათი შვილების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.<sup>191</sup> სტანდარტები „ოჯახურ ძალადობას“ უფრო ფართოდ განსაზღვრავენ, ვიდრე ფიზიკური ძალადობა, რომელიც მოიცავს „კონტროლისა და დაშინების საკითხებს“ და ცალსახად ადგენს, რომ: ზოგიერთი შემთხვევა არ არის შესაფერისი მედიაციისთვის უსაფრთხოების, კონტროლის ან დაშინების გამო. ის, რასაც სტანდარტები მოითხოვს, არის ის, რომ მედიატორმა მოახდინოს ოთხნაწილიანი მიდგომა ოჯახში ძალადობის პრობლემასთან დაკავშირებით: ტრენინგი, სკრინინგი, უსაფრთხოების ზომები და შეტყობინება.<sup>192</sup>

აშშ-ის საოჯახო და განქორწინების მედიაციის პრაქტიკის სტანდარტებით<sup>193</sup> განმტკიცებული გარანტიებით<sup>194</sup>: მედიატორმა

<sup>190</sup> *Schepard A., An Introduction to the Model Standards of Practice for Family and Divorce Mediation, Fam. L. Q. a, 2001, Vol. 35, 20.*

<sup>191</sup> იქვე.

<sup>192</sup> იქვე, 20-21.

<sup>193</sup> მოდელური სტანდარტები საოჯახო და განქორწინების მედიაციისთვის (Model Standards of Practice for Family and Divorce Mediation), ამერიკის საოჯახო და მომრიგებელ სასამართლოთა ასოციაცია (Association of Family and Conciliation Courts), 2000, <<https://www.afccnet.org/Portals/0/PDF/ModelStandardsOfPracticeForFamilyAndDivorceMediation.pdf?ver=ykuc9AnD6m4jf9IZs4PhkQ%3d%3d>> [20.05.2022].

<sup>194</sup> იქვე, სტანდარტი IX - მედიატორმა უნდა აღიაროს ბავშვზე ძალადობის ან უგულვებლყოფის ოჯახური სიტუაცია და მიიღოს შესაბამისი ზომები მედიაციის პროცესის შესაბამისად ჩამოყალიბებისთვის. A. როგორც გამოიყენება ამ სტანდარტებში, ბავშვზე ძალადობა ან უგულვებლყოფა განისაზღვრება მოქმედი სახელმწიფო კანონმდებლობით. B. მედია-

უნდა შეძლოს საოჯახოსამართლებრივ ურთიერთობებში შესაძლო ძალადობის ამოცნობა, რათა შესაბამისად წარმართოს მედიაციის პროცესი. ოჯახური ძალადობის შემცველ საოჯახოსამართლებრივ საქმეებში მედიატორის მონაწილეობა დაიშვება მხოლოდ შესაბამისი, სპეციალური მომზადების (ტრენინგის) გავლის საფუძველზე<sup>195</sup>. სტანდარტები აღიარებს, რომ ყველა საქმე ვერ იქნება მედიაციაში განხილვისთვის შესაფერისი უსაფრთხოების, კონტროლისა და დაშინების ფაქტორების არსებობის გათვალისწინებით. სტანდარტები პირდაპირ ავალდებულებს მედიატორს მედიაციის პროცესში მორიგების ხელმონერამდე მიიღოს ყველა გონივრული ზომა ოჯახური ძალადობის სკრინინგისა და შეფასებისთვის.<sup>196</sup>

საქართველოს კანონმდებლობით, [სასამართლო] მედიაციის გამოყენება დაუშვებელია ქალთა მიმართ ძალადობასთან ან/და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ დავებზე.<sup>197</sup> ხოლო „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის<sup>198</sup> მე-4 პუნქ-

ტორმა არ უნდა განახორციელოს მედიაცია, რომელშიც ოჯახური მდგომარეობა მოიცავდეს ბავშვზე ძალადობას ან უგულბელყოფას შესაბამისი და ადეკვატური ტრენინგის გარეშე. C. თუ მედიატორს აქვს დასაბუთებული საფუძველი იფიქროს, რომ ბავშვზე ძალადობენ ან უგულბელყოფილია იურისდიქციის ბავშვზე ძალადობისა და უგულბელყოფის შესახებ კანონების მნიშვნელობით, მედიატორმა უნდა მიმართოს ბავშვთა დაცვის მოქმედ კანონებს. 1. მედიატორმა უნდა წაახალისოს მონაწილეები გამოიკვლიონ შესაბამისი სერვისები ოჯახისთვის.

2. მედიატორმა უნდა განიხილოს ხელშეკრულების შეჩერების ან შეწყვეტის მიზანშეწონილობა მედიაციის პროცესში ბრალდებულის გათვალისწინებით.

<sup>195</sup> იქვე, X (B) სტანდარტი.

<sup>196</sup> იქვე, X (C) სტანდარტი.

<sup>197</sup> საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 1106, 14/11/1997, 187<sup>3</sup> (1) (ა) მუხლი, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=149>> [20.05.2022].

<sup>198</sup> საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 4954-ის, 18/09/2019, მე-10 მუხლი, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4646868?publication=2>> [20.05.2022]. მუხლში ჩამოთვლილია გამონაკლისები, რომელთა არსებობის დროსაც მედიაციის

ტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, კონფიდენციალობის ვალდებულება არ მოქმედებს, თუ ინფორმაციის გამჟღავნება აუცილებელია პირის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის დაცვის, თავისუფლების უზრუნველყოფის ანდა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვისთვის. საქართველოს კანონის „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“<sup>199</sup> 9<sup>1</sup> მუხლის თანახმად, ქალთა

მონაწილეებს, მათ შორის მედიატორებს შეუძლიათ გაამჟღავნონ ინფორმაცია. აღნიშნული მუხლის მიხედვით ეს დასაშვებია თუ: ა) აუცილებელია პირის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის დაცვა ან თავისუფლების უზრუნველყოფა ანდა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვა; ბ) ინფორმაციის წარდგენა ხდება სამედიაციო მორიგების შედგენის ფაქტის დასამტკიცებლად, როდესაც მეორე მხარე სადავოს ხდის ან უარყოფს ამ ფაქტს; გ) მხარე ვალდებულია შეასრულოს მედიაციის დაწყებამდე ნაკისრი სამართლებრივი ვალდებულება, გაამჟღავნოს ის ინფორმაცია, რომელიც მედიაციის პროცესის მიმდინარეობისას გახდა ცნობილი მეორე მხარისათვის, იმის გათვალისწინებით, რომ ინფორმაცია მაქსიმალურად შეზღუდული მოცულობით გამჟღავნდება; დ) ინფორმაციის გამჟღავნება სასამართლოს ან სავალდებულო იურიდიული ძალის მქონე სხვა გადაწყვეტილებითაა გათვალისწინებული; ე) ინფორმაციის გამჟღავნება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის გამოძიებისთვისაა აუცილებელი. ამ შემთხვევაში ინფორმაცია მაქსიმალურად შეზღუდული მოცულობით გამჟღავნდება და ამის შესახებ შესაბამის მხარეს წინასწარ ეცნობება; ვ) სამედიაციო მორიგების შინაარსის გამჟღავნება აუცილებელია მის ნებაყოფლობით შესასრულებლად ან იძულებით აღსასრულებლად; ზ) სამართლებრივი ან დისციპლინური დავა მიმართულია ინფორმაციის პროცესიდან, ამასთანავე, ამ ინფორმაციის გამჟღავნება აღნიშნული პირის სამართლებრივი ინტერესების დაცვისთვისაა აუცილებელი; თ) მედიაციის პროცესის მიმდინარეობისას კონფიდენციალურობის დაცვის პირობით გამჟღავნებული ინფორმაცია მხარისათვის მედიაციის დაწყებამდე იყო ცნობილი ან იგი მან კანონით გათვალისწინებული სხვა საშუალებით მიიღო, ან ეს ინფორმაცია სხვაგვარად მოხვდა საჯარო სივრცეში.

<sup>199</sup> საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 3143, 09/06/2006, 9<sup>1</sup>-ე მუხლი, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=21>> [20.05.2022].

მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შემთხვევის გამოვლენას და მასზე შესაბამის რეაგირებას უზრუნველყოფენ სამართალდამცავი ორგანოები და სასამართლო ორგანოები, აგრეთვე ამ კანონით დადგენილი წესით – მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი. ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტის პირველადი იდენტიფიკაციის და მასზე რეაგირების მიზნით შესაბამისი ორგანოებისათვის მიმართვის ვალდებულება აკისრიათ სამედიცინო დაწესებულებების, არასრულწლოვანთა შემთხვევაში – აგრეთვე საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლებამოსილ თანამშრომლებს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა სუბიექტებს. შესაბამისად, ამ კანონთა ნორმების სისტემური ანალიზით ვლინდება, რომ მედიატორს აკისრია ვალდებულება, შეწყვიტოს მედიაციის პროცესი და შეატყობინოს სასამართლოს დასრულებული ან მიმდინარე ძალადობის შესახებ არსებული ფაქტისა თუ საფუძვლიანი ეჭვის თაობაზე. მნიშვნელოვანია, რომ მედიატორი თავად შეიძლება არ გახდეს ძალადობის ფაქტის მონმე მედიაციის პროცესში და აღნიშნულ ინფორმაციას ფლობდეს მხოლოდ მხარის კონფიდენციალური მონათხრობისგან. არსებითია საკითხი, ამ შემთხვევაშიც ეკისრება თუ არა მედიატორს შეტყობინების ვალდებულება. რამდენადაც, კონფიდენციალობის პრინციპიდან გამონაკლისი ვრცელდება ინფორმაციაზე, რომლის გამჟღავნებასაც პრევენციული მნიშვნელობა ექნება პირის ჯანმრთელობის ანდა არასრულწლოვნის ინტერესების დასაცავად, ინფორმაცია ძალადობის საფუძვლიანი ეჭვის თაობაზეც უნდა ექვემდებარებოდეს გამჟღავნებას.

საოჯახოსამართლებრივი დავის განხილვა მედიაციაში, სადაც ძალადობის ისტორია გამოაშკარავდება, დაუშვებელი უნდა იყოს, რადგან მედიაციის მონყვლადი მხარე - მსხვერპლი მოკლებული იქნება შესაძლებლობას წარმართოს თავისუფალი მოლაპარაკება და განახორციელოს თვითგამორკვევა მოძალადესთან ძალაუფლებრივი ასიმეტრიისა და არათანაბარ ფსიქოემოციურ მდგომარეობაში

ყოფნის გამო.<sup>200</sup> განსაკუთრებით საყურადღებოა შიშის ფაქტორი. დაუშვებელია განქორწინების დავაში ქალბატონმა მიიღოს დამლუპველი ქონებრივი და ბავშვის მეურვეობის საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილება მოძალადე მეუღლის შიშით. ასეთ პირობებში, მედიაციის პროცესის მსვლელობისას განხორციელებული კომპრომისი შეიძლება იყოს მხოლოდ შიშით განპირობებული კაპიტულაცია, რომელიც არ განხორციელდებოდა ძალადობის ან მოსალოდნელი შურიძიების შიშის არარსებობის პირობებში.<sup>201</sup>

### 3.2.3. მედიაციაში გამოვლენილ ოჯახურ ძალადობასთან გამკლავება

მედიაციის პროცესში ოჯახური ძალადობის აღმოჩენის შემთხვევაში, მედიატორს აკისრია ვალდებულება მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა მხარეთა და საკუთრივ მედიატორის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. მოცემულ შემთხვევაში, გამართლებულია თვით ყველა მხარის თანხმობის არარსებობის შემთხვევაშიც, ინდივიდუალური სესიების ჩატარება, მსხვერპლის მეგობრის, წარმომადგენლის, ადვოკატი წარმომადგენლისა თუ იურისტი მრჩევლისთვის პროცესის სესიებზე დასწრების შესაძლებლობის მიცემა, მხარის წახალისება მედიაციის პროცესში ჩაერთოს ადვოკატი, იურისტი წარმომადგენლის მეშვეობით, დააკავშიროს მხარეები შესაბამის საზოგადოებრივი ხასიათის სერვისებთან. მედიატორს ასევე აქვს შესაძლებლობა შეწყვიტოს ან შეაჩეროს მედიაციის სესიები მხარეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფით. მედიატორის მოვალეობაა ხელი შეუწყოს მხარეებს მშობლის ვალდებულებათა იმგვარ გადანაწილებასა და შეთანხმებაში, რომელიც მოემსახურება მშობ-

<sup>200</sup> ამ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ ასევე *Steegh N.V., Yes, No, and Maybe: Informed Decision Making about Divorce Mediation in the Presence of Domestic Violence*, Wm. & Mary J. Women & L., Vol. 9, 2003, 145-206.

<sup>201</sup> *Waldman E., Mediation Ethics, Cases and Commentaries*, Jossey-Bass A Wiley Imprint, San Francisco, 2010, 94.

ლებისა და არასრულწლოვნების ფიზიკურ უსაფრთხოებასა და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას.<sup>202</sup>

„თუ ძალადობა ორივე მხარისგან ერთმანეთის მიმართ ხორციელდება და ძალთა დისბალანსი არ არის გამოკვეთილი, ამასთან საქმე არასრულწლოვნის ელემენტით არ არის დატვირთული, მაშინ შესაძლებელია ამგვარ საოჯახოსამართლებრივ დავაში მხარეებს თანაბრად ჰქონდეთ თავისუფალი მოლაპარაკებისა და ავტონომიური ნების გამოვლენის შესაძლებლობა. თუ ერთ მხარეს აქვს შიში, თვითუარყოფისა და დაქვემდებარების, მორჩილების ქცევითი გამოვლინებები, მედიაცია არ შეიძლება წარიმართოს ამგვარი უთანასწორობის პირობებში და საქმე უნდა დაუბრუნდეს სასამართლო განხილვას.“<sup>203</sup> ძალადობის ხასიათის, ბუნებისა და სიმძიმის გამოკვლევის მიზნით, დიდი მნიშვნელობა აქვს მედიატორის მიერ სწორად დასმულ შეკითხვებს. აღნიშნული მიზნად ისახავს შეფასდეს აქვს თუ არა სავარაუდო მსხვერპლს სათანადო ემოციური რესურსი დამოუკიდებლად და სრულფასოვნად აწარმოოს მოლაპარაკება და საერთოდ დასაშვები იქნება თუ არა მედიაციის გაგრძელება. თუ მედიატორის შეცნობით სავარაუდო მსხვერპლი ზემოაღნიშნული უნარებით გამოირჩევა, მაშინ მედიაციაში მხარეებს შეიძლება ჰქონდეთ თავისუფალი და დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების რესურსი.<sup>204</sup> მედიატორს ეკისრება, დარწმუნდეს, რომ მედიაციის შედეგად მიღებული შეთანხმება არ არის ისეთი უსამართლო, რომ შემაშფოთებელი იყოს (მაგალითად, ამა თუ იმ მხარის მხრიდან ფიზიკური მუქარის გამო დადებული) ან იმის გამო, რომ

<sup>202</sup> მოდელური სტანდარტები საოჯახო და განქორწინების მედიაციისთვის (Model Standards of Practice for Family and Divorce Mediation), ამერიკის საოჯახო და მომრიგებელ სასამართლოთა ასოციაცია (Association of Family and Conciliation Courts), 2000, სტანდარტი X (D, 1-6), <<https://www.afcnet.org/Portals/0/PDF/ModelStandardsOfPracticeForFamilyAndDivorceMediation.pdf?ver=ykuc9AnD6m4jf9IZs4PhkQ%3d%3d>> [20.05.2022].

<sup>203</sup> *Waldman E.*, *Mediation Ethics, Cases and Commentaries*, Jossey-Bass A Wiley Imprint, San Francisco, 2010, 91.

<sup>204</sup> *Girdner L. K.*, *Mediation triage: Screening for Spouse abuse in Divorce Mediation*, *Mediation Quarterly*, Vol. 7(4), 1990, 374.

არსებითი პირობები იმდენად სასტიკად უსამართლონი არიან, რომ არც ერთი გონიერი ადამიანი არ დათანხმდებოდა.<sup>205</sup>

კომპეტენტური ორგანოს წარმომადგენლის ან/და ფსიქოლოგის კვალიფიციური დასკვნა შესაძლებელია განხილულ იქნეს იმ დამატებით ინფორმაციად, რომელიც მედიატორს დაეხმარება ძალადობის არსებობისა და მხარეთა ფსიქო-ემოციური მდგომარეობის შეფასებაში.

მედიაციის პროცესში სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს უფლებამოსილი წარმომადგენლისა ან/და ფსიქოლოგის ჩართვის შესახებ მედიატორის რეკომენდაცია შეიძლება დაემაყაროს „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-8 პუნქტს, რომლის თანახმად, მედიატორი უფლებამოსილია მედიაციის ეფექტიანად წარსამართავად მხარეებს მედიაციის მიმდინარეობისას შესთავაზოს ნებისმიერი დამატებითი ინფორმაციის წარდგენა. კომპეტენტური ორგანოს წარმომადგენლის ან/და ფსიქოლოგის კვალიფიციური დასკვნა შესაძლებელია განხილულ იქნეს იმ დამატებით ინფორმაციად, რომელიც მედიატორს დაეხმარება ძალადობის არსებობისა და მხარეთა ფსიქო-ემოციური მდგომარეობის შეფასებაში. აღნიშნული მოქმედების განხორციელება შეიძლება აუცილებელი გახდეს, რადგან მედიატორს შესაძლოა არ ჰქონდეს სათანადო ცოდნა და კომპეტენცია სწორად შეაფასოს ძალადობის არსებობის ფაქტი, ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის თუ სავარაუდო მსხვერპლის ჯანმრთელობისა და სხვა მნიშვნელოვანი ინტერესებისათვის შექმნილი საფრთხის რეალურობა. ამ კუთხით, საყურადღებოა აშშ-ის მედიატორის ქცევის მოდელური სტანდარტების IV (B) წესი, რომლის თანახმად, თუ მედიაციის პროცესში გამოვლინდება, რომ მედიატორს არ აქვს შესაძლებლობა კომპეტენტურად წარმართოს მედიაციის პროცესი, მედიატორი როგორც კი შესაძლებელი გახდება, მხარეებთან ერთად განიხილავს აღნიშნულ საკითხს, და მიიღებს შესაბამის ზომებს სიტუაცი-

<sup>205</sup> *Schepard A., An Introduction to the Model Standards of Practice for Family and Divorce Mediation, Fam. L. Q. a, Vol. 35, 2001, 15.*

ასთან მიმართებით, მათ შორის, მოითხოვს სათანადო დახმარებას<sup>206</sup> ან მიიღებს გადაწყვეტილებას მედიაციის პროცესიდან გასვლის შესახებ. თუ მხარეები არ დაეთანხმებიან პროცესში აღნიშნული ორგანოს წარმომადგენლის მონვევას, მაშინ მედიატორს კიდევ ერთი მყარი არგუმენტი გაუჩნდება პროცესის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად იმ პერსპექტივით, რომ სასამართლო მედიაციის შემთხვევაში, თავად მართლმსაჯულების ორგანო უზრუნველყოფს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დასაცავად ყველა აუცილებელი ღონისძიების განხორციელებას.

### 3.2.4. მედიაციის შეწყვეტა

საქართველოს მედიატორთა ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლის მე-5 ნაწილი დასაშვებად მიიჩნევს მედიატორის მიერ პროცესის შეწყვეტას საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში. ხოლო, ბავშვის საუკეთესო ინტერესების განხროციელების, მხარის/მხარეთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის შეუძლებლობა ის ლეგიტიმური ინტერესია, რომელიც უდავოდ შეიძლება იქნეს მიჩნეული მედიაციის პროცესის გაგრძელების არაგონივრულად მიჩნევის საფუძვლად „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე. ბავშვის საუკეთესო ინტერესების, პირის თავისუფლების, ჯანმრთელობის ან სიცოცხლის დაცვა „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონით ასევე მიჩნეულია კონფიდენციალურობის პრინციპიდან ლეგიტიმურ გამონაკლისად.<sup>207</sup>

<sup>206</sup> შეიძლება ეს იყოს სპეციალისტის, კომპეტენტური პირის მონვევა მესამე პირად პროცესში.

<sup>207</sup> საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 4954-IX, 18/09/2019, მე-10 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4646868?publication=2>> [20.05.2022].



აშშ-ის მედიატორის ქცევის მოდელური სტანდარტების<sup>208</sup> VI (B) სტანდარტის თანახმად, თუ მედიატორისთვის ცნობილი გახდება მხარეთა შორის ოჯახური ძალადობის ან შევიწროების შესახებ, მედიატორი იღებს სათანადო ზომებს, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, გადადებს, დატოვებს ან შეწყვეტს მედიაციის პროცესს.

საქართველოს მედიატორთა ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლის 5.2. პუნქტის<sup>209</sup> მიხედვით, მედიატორმა უარი უნდა თქვას სამედიაციო მორიგების მიღწევის ხელშეწყობასა და ხელმოწერაზე, თუ იგი აშკარად უკანონო ან ეწინააღმდეგება ზნეობის ნორმებს. აღნიშნული დანაწესი ასევე უნდა გავრცელდეს ისეთ საოჯახოსამართლებრივ საქმეებზე, სადაც აშკარაა ძალადობის ისეთი სიტუაცია, როდესაც ერთი მხარის მიერ თავისუფალი ნების ფორმირება გამორიცხულია. საინტერესოა, საკითხი, თუ მედიატორს გამოეპარება ასეთი ფაქტი და მორიგება დამტკიცდება, შემდგომში თუ ექნება მსვერპლს ასეთი გარიგების შეცილების უფლება სამოქალაქო კოდექსის გარიგების ბათილობის საფუძვლებით (იძულებით დადებული გარიგება)<sup>210</sup>, თუმცა, ეს საკითხი წინამდებარე ნაშრომის ფარ-

<sup>208</sup> მედიატორთა ქცევის მოდელური სტანდარტები (Model Standards of Conduct for Mediators), ამერიკის საარბიტრაჟო ასოციაცია, ამერიკის ადვოკატთა ასოციაცია და კონფლიქტების მოგვარების ასოციაცია (American Arbitration Association, American Bar Association and the Association for Conflict Resolution), მიღებულია 1994 წელს, გადამუშავდა 2005 წელს, <[https://www.adr.org/sites/default/files/document\\_repository/AAA-Mediators-Model-Standards-of-Conduct-10-14-2010.pdf](https://www.adr.org/sites/default/files/document_repository/AAA-Mediators-Model-Standards-of-Conduct-10-14-2010.pdf)> [20.05.2022].

<sup>209</sup> სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, დამტკიცებულია 2021 წლის 24 აპრილის საერთო კრების მიერ, მე-5 მუხლის 5.2. პუნქტი, <<https://mediators.ge/uploads/files/60a4d7fd3f27f.pdf>> [20.05.2022].

<sup>210</sup> საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 786, 24/07/1997, 85-ე მუხლი <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=117>> [20.05.2022]. გარიგების დადების მიზნით იმ პირის იძულება (ძალადობა ან მუქარა), რომელმაც დადო გარიგება, ანიჭებს ამ პირს გარიგების ბათილობის მოთხოვნის უფლებას მაშინაც, როცა იძულება მომდინარეობს მესამე პირისაგან.

გლებს სცდება და სხვა სამომავლო კვლევების განხორციელების საფუძველი შეიძლება გახდეს.

### 3.3. არასრულწლოვნის მონაწილეობასთან დაკავშირებული გამონკვევები

2019 წლის 20 სექტემბერს ბავშვის უფლებათა კოდექსის<sup>211</sup> მიღებამ ფაქტობრივად შეცვალა არასრულწლოვნის მიმართ ქართული სამართლის დამოკიდებულება. ბავშვის სურვილმა და აზრის მოსმენის უფლებამ მნიშვნელოვანი სამართლებრივი დატვირთვა შეიძინა. ბავშვს მიენიჭა პროცესუალური უფლებებიც, თავად გამოვიდეს საკუთარი უფლებისა და ინტერესის დასაცავად როგორც ადმინისტრაციულ ორგანოში, ისე სასამართლოში. ამავდროულად, საკანონმდებლო დონეზე გაიწერა, რომ ბავშვთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი უნდა გადაწყდეს მისი ჩართულობითა და საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულად გათვალისწინების გზით. ბავშვის ქონებრივი უფლებების განკარგვის გარკვეულ საკითხებზე სასამართლო კონტროლის მექანიზმი ამოქმედდა.

ოჯახური მედიაციის მოდელური სტანდარტების მთავარი ინოვაციაა ის, რომ ისინი აკისრებენ ვალდებულებას მედიატორს „დაეხმაროს მონაწილეებს იმის დადგენაში, თუ როგორ დაანინაურონ ბავშვების საუკეთესო ინტერესები“, რომლებიც აღმოჩნდნენ ასეთ ოჯახურ კონფლიქტში.<sup>212</sup> მედიაცია ზოგადად ბავშვების საუკეთესო ინტერესებშია, რადგან ის ხაზს უსვამს თვითგამორკვევას, ნებაყოფლობით შეთანხმებებს. ბავშვების უმეტესობა სარგებლობს განქორწინების შემდეგ ორივე მშობლთან ურთიერთობის გაგრძელებით, თუ ეს უსაფრთხოა მშობლებისა და ბავშვებისთვის; მედიაცია, ალბათ, საუკეთესო დავის გადაწყვეტის პროცესია,

<sup>211</sup> საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 5004-1b, 20/09/2019, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=2>> [20.05.2022].

<sup>212</sup> *Schepard A.*, An Introduction to the Model Standards of Practice for Family and Divorce Mediation, *Fam. L. Q. a*, Vol. 35, 2001, 18.

რომელიც მშობლებს დაეხმარება ამ მიზნის მიღწევაში თვითგამორკვეული შეთანხმებების მეშვეობით.<sup>213</sup>

სტანდარტების მიხედვით, მედიატორმა უნდა წაახალისოს მშობლები, მოიძიონ ინფორმაცია ბავშვის განვითარებისა და საზოგადოების სასარგებლო რესურსების შესახებ. შუამავლობის შედეგად მიღებული აღზრდის გეგმები უნდა შეიცავდეს დეტალების შესაბამის დონეს ბავშვის საცხოვრებლისა და გადამწყვეტილების მიღების პასუხისმგებლობების დებულებებში. მონაწილეებმა უნდა მიმართონ მშობელთა გეგმის გადახედვის აუცილებლობას დროთა განმავლობაში ბავშვის განვითარების საჭიროებების ცვლილების გამო და უზრუნველყონ მომავალი დავების გადამწყვეტის პროცედურა.<sup>214</sup>

მედიატორმა უნდა წარმართოს მედიაციის პროცესი იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს წინდახედულება, დროულობა, უსაფრთხოება, ყველა სათანადო პირის დასწრება, მხარეთა სრულფასოვანი მონაწილეობა, პროცედურული სამართლიანობა, მხარეთა კომპეტენტურობა, ინფორმირებულობა და მონაწილეთა შორის სათანადო პატივისცემა.<sup>215</sup>

მშობელთა მუდმივი კონფლიქტის ქვეშ მყოფი ბავშვები არიან ოჯახური დავების პროგნოზირებადი მსხვერპლი; არცერთ სხვა სფეროში არ არის ამდენი მორალურად უდანაშაულო და სოციალურად მნიშვნელოვანი არამონაწილეების კეთილდღეობა ასე რეგულარულ საფრთხეში.<sup>216</sup>

საქართველოს „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ 72-ე მუხლის პირველი ნაწილით,<sup>217</sup> ადმინისტრაციული წარმოება და სასამართლო

<sup>213</sup> იქვე.

<sup>214</sup> იქვე, 18-19.

<sup>215</sup> *ჩიტაშვილი ნ.*, მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2016, 35-36 <<https://tsu.ge/assets/media/files/8/Publications/Sam-Journ-N1-2016G.pdf>> [20.05.2022].

<sup>216</sup> *Schepard A.*, An Introduction to the Model Standards of Practice for Family and Divorce Mediation, *Fam. L. Q. a*, Vol. 35, 2001, 2.

<sup>217</sup> საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 5004-IX, 20/09/2019, 72-ე მუხლის პირველი ნაწილი, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=2>> [20.05.2022].

პროცესი სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე ბავშვის მონაწილეობით ან/და ბავშვთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე უნდა განხორციელდეს მულტიდისციპლინური მიდგომით, ბავშვის ფსიქოლოგიური, სოციალური, ემოციური და ფიზიკური ჯანმრთელობის შეფასებისა და მისი საუკეთესო ინტერესების დადგენის მიზნით.

### 3.3.1. არასრულწლოვნის ჩართვა მედიაციაში

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 81<sup>1</sup> მუხლით,<sup>218</sup> არასრულწლოვანს უფლება აქვს, თავისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად სასამართლოს მიმართოს. ამ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს საპროცესო წარმომადგენელს და განიხილავს საქმეს. არასრულწლოვან მოსარჩელეს უფლება აქვს, არ დაეთანხმოს თავის საპროცესო წარმომადგენელს და თვითონ დაიცვას თავი. სასამართლო ვალდებულია ასეთ საქმეში ჩააბას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლის მე-3 ნაწილის<sup>219</sup> მიხედვით, 7-დან 18 წლამდე არასრულწლოვანთა, აგრეთვე შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარებულ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს სასამართლოში იცავენ მათი მშობლები, მშვილებლები ან მზრუნველები. ამასთანავე, სასამართლო ვალდებულია ასეთ საქმეებში ჩააბას თვით არასრულწლოვნებიც. ხოლო მე-6 ნაწილის თანახმად, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო უფლებამოსილია მიმართოს სასამარ-

---

<sup>218</sup> საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 1106, 14/11/1997, 81<sup>1</sup> მუხლი, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=149>> [20.05.2022].

<sup>219</sup> საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 1106, 14/11/1997, 81-ე მუხლის მე-3 და მე-6 ნაწილი, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=149>> [20.05.2022].

თლოს არასრულწლოვნის და მხარდაჭერის მიმღების უფლებების დასაცავად.

ამდენად, მედიატორის დღის წესრიგში დგება ასევე საკითხი, თუ როდის უნდა აცნობოს ამა თუ იმ საქმის მედიაციაში განხილვის თაობაზე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს. ასევე, არსებობს შესაძლებლობა, რომ თავად ამ ორგანომ მიმართოს მედიატორს ინფორმაციის მინოდებაზე, ასეთ დროს, გასათვალისწინებელია, ხომ არ დგება კონფიდენციალურობის პრინციპის დარღვევა. ასეთ ვითარებაში, დღის წესრიგში დგება არასრულწლოვნის მედიაციაში ჩართულობის ფარგლების საკითხიც.

საოჯახო და განქორწინების მედიაციისთვის მოდელური სტანდარტების<sup>220</sup> სტანდარტი VIII ადგენს, C. მედიატორმა უნდა (shall) აცნობებს სასამართლოს მიერ ბავშვებისთვის დანიშნულ ნებისმიერ წარმომადგენელს მედიაციის შესახებ. თუ მონაწილეობს ბავშვების წარმომადგენელი, მედიატორმა თავიდანვე უნდა განიხილოს ამ მონაწილეობის გავლენა მედიაციის პროცესზე და მედიაციის კონფიდენციალურობა მონაწილეებთან ერთად. მონაწილეობს თუ არა ბავშვების წარმომადგენელი, მედიატორი წარუდგენს წარმომადგენელს მიღებულ შეთანხმებებს იმდენად, რამდენადაც ისინი ეხება ბავშვებს.

ნიშანდობლივია ამავე სტანდარტით, D. გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, ბავშვებმა არ უნდა მიიღონ მონაწილეობა მედიაციის პროცესში ორივე მშობლისა და ბავშვების სასამართლოს მიერ დანიშნული წარმომადგენლის თანხმობის გარეშე. E. ბავშვების მედიაციის პროცესში ჩართვამდე, მედიატორმა უნდა გაიაროს კონსულტაცია მშობლებსა და ბავშვების სასამართლოს მიერ დანიშნულ წარმომადგენელთან იმის შესახებ, უნდა მიიღონ

<sup>220</sup> მოდელური სტანდარტები საოჯახო და განქორწინების მედიაციისთვის (Model Standards of Practice for Family and Divorce Mediation), ამერიკის საოჯახო და მომრიგებელ სასამართლოთა ასოციაცია (Association of Family and Conciliation Courts), 2000, <<https://www.afcnet.org/Portals/0/PDF/ModelStandardsOfPracticeForFamilyAndDivorceMediation.pdf?ver=ykuc9AnD6m4jf9IZs4PhkQ%3d%3d>> [20.05.2022].

თუ არა ბავშვებმა მედიაციის პროცესში მონაწილეობა და ამ მონაწილეობის ფორმაზე. F. მედიატორმა უნდა აცნობოს ყველა დაინტერესებულ პირს ბავშვებისთვის ხელმისაწვდომი მონაწილეობის ვარიანტების შესახებ (რომელიც შეიძლება მოიცავდეს პირად მონაწილეობას, ინტერვიუს ფსიქიკური ჯანმრთელობის პროფესიონალთან, ან მედიატორის მოხსენებას მშობლებისთვის, ან ვიდეოჩანაწერს) და იმსჯელოს თითოეულის ხარჯებსა და სარგებელზე მონაწილეობთან ერთად.

აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვნის მონაწილეობაზე მედიაციის პროცესში, მის ფარგლებზე და მედიატორის ვალდებულებებზე არაფერია ნათქვამი არც მედიატორთა ეთიკის კოდექსში და არც „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონში, რაც მედიატორებისთვის სერიოზულ გამოწვევებს ქმნის. საოჯახო მედიაციის მოდელური სტანდარტები კი აძლიერებენ მშობლის უფლებამოსილებას იმით, რომ გამონაკლისი შემთხვევების გარდა, ბავშვებმა არ უნდა მიიღონ მონაწილეობა მედიაციაში, თუ ორივე მშობელი და ბავშვის სასამართლოს მიერ დანიშნული წარმომადგენელი არ თანხმდებიან.<sup>221</sup>

ამ სირთულისა და ბავშვის წარმომადგენლის როლის შესახებ დაბნეულობის ფონზე, საოჯახო მედიაციის მოდელური სტანდარტები არ იკავებს პოზიციას იმის შესახებ, უნდა ჩაერთოს თუ არა ბავშვის წარმომადგენელი მედიაციის პროცესში. ისინი უბრალოდ აკისრებენ შუამავალს ვალდებულებას, აცნობოს ბავშვის წარმომადგენელს მედიაციის შესახებ. თუ ბავშვის წარმომადგენელი მონაწილეობს, სტანდარტები ასევე აკისრებს ვალდებულებას მედიატორს, მონაწილეობთან ერთად განიხილოს წარმომადგენლის მონაწილეობის გავლენა პროცესის კონფიდენციალურობაზე.<sup>222</sup> თუ შეთანხმება მიიღწევა, მედიატორმა უნდა მიაწოდოს ისინი ბავშვის წარმომადგენელს, რამდენადაც ისინი ეხება ბავშვებს.<sup>223</sup>

<sup>221</sup> *Schepard A.*, An Introduction to the Model Standards of Practice for Family and Divorce Mediation, *Fam. L. Q. a*, Vol. 35, 2001, 19.

<sup>222</sup> იქვე.

<sup>223</sup> იქვე, 20.

### 3.3.2. არასრულწლოვნის ინფორმირება

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის პირველი ნაწილით<sup>224</sup>, მხარეები სარგებლობენ თანაბარი საპროცესო უფლებებით. მათ უფლება აქვთ, გაეცნონ საქმის მასალებს, გააკეთონ ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღონ ასლები, განაცხადონ აცილებანი, წარადგინონ მტკიცებულებანი, მათ შორის, ექსპერტის (საექსპერტო დაწესებულების) დასკვნები, სპეციალისტის ცნობები, მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვან მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, სასამართლოს წინაშე განაცხადონ შუამდგომლობები, მისცენ სასამართლოს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებანი, წარადგინონ იმავე ტიპის საქმეზე სხვა სასამართლოს გადანყვებილებანი, წარადგინონ თავიანთი დასკვნები და გამოთქვან მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყონ მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, გაასაჩივრონ სასამართლოს გადანყვებილები და განჩინებები, წარადგინონ მორიგების აქტი საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე და ისარგებლონ ამ კოდექსით მათთვის მინიჭებული სხვა უფლებებით. იმავე მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილით<sup>225</sup>, არასრულწლოვანს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ უფლებებთან ერთად უფლება აქვს, ბავშვის უფლებათა კოდექსის 70-ე მუხლის მე-4 ნაწილით<sup>226</sup> გათვალისწინებულ საკითხებზე მიიღოს ინფორმაცია იმავე მუხლის მე-5 ნაწილის<sup>227</sup> შესაბამისად.

<sup>224</sup> საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 1106, 14/11/1997, 83-ე მუხლის პირველი ნაწილი, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=149>> [20.05.2022].

<sup>225</sup> იქვე, 83-ე მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილი.

<sup>226</sup> საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 5004-1ს, 20/09/2019, 70-ე მუხლის მე-4 ნაწილი, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=2>> [20.05.2022].

<sup>227</sup> იქვე, 70-ე მუხლის მე-5 ნაწილი, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=2>> [20.05.2022].

აღნიშნული დანაწესით, სისხლის, ადმინისტრაციული ან სამოქალაქო სამართლის საკითხებზე მართლმსაჯულების სისტემასთან ბავშვის პირველივე კონტაქტისას უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია ბავშვს მიანოდოს ინფორმაცია მართლმსაჯულების პროცესის, მასში ბავშვის მონაწილეობის, მხარდაჭერისა და გასაჩივრების მექანიზმების შესახებ, მათ შორის, ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე: ა) ბავშვის უფლებები და როლი სასამართლო ან ადმინისტრაციულ პროცესში; ბ) მხარდაჭერის მექანიზმები პროცესში მონაწილეობისთვის; გ) პროცესის შესაძლო შედეგები; დ) პროცესის ადგილი და თარიღი – როდესაც ბავშვი პროცესის უშუალო მონაწილეა; ე) გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმები; ვ) დამრღვევისგან ან სახელმწიფოსგან სასამართლოს მეშვეობით ან სხვა, ალტერნატიული გზით ანაზღაურების მიღების შესაძლებლობა; ზ) დამხმარე სერვისების (ჯანმრთელობის დაცვის სერვისი, ფსიქოსოციალური დახმარების სერვისი, თარჯიმნის მომსახურება და სხვა) ან სასწრაფო ფინანსური დახმარების მიღების შესაძლებლობა. ბავშვს ინფორმაცია უნდა მიენოდოს და კონსულტაცია უნდა გაენიოს კულტურული მგრძობიარობის გათვალისწინებით, მისი ასაკის, სქესისა და ინდივიდუალური შესაძლებლობების შესაბამისად, მისთვის გასაგები ენით ან/და კომუნიკაციის სხვა, დამხმარე საშუალებებით.

მაშასადამე, არასრულწლოვნის ინფორმირება ან/და მონაწილეობა მედიატორისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ამ საკითხს არ აწესრიგებს „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონი და არც არსებული ეთიკის კოდექსი. თუ სასამართლო გადაამისამართებს საქმეს მედიაციაში, შესაძლოა, არასრულწლოვნის წარმომადგენელი სასამართლომ დანიშნოს წინმსწრებად, მაგრამ კერძო მედიაცილაში, არასრულწლოვნის წარმომადგენელი როგორ უნდა ჩაერთოს, ამაზე პირდაპირი პასუხი არ არსებობს.

### 3.4. მედიატორის კვალიფიკაცია

ზოგადად, იმის მიხედვით, თუ რა ტიპისაა სამართლებრივი დავა (შრომითი, კომერციული, საოჯახო თუ სხვა), მედიატორის



შერჩევისას მხარეებმა პირველ რიგში ყურადღება უნდა გაამახვილონ მედიაციის პროცესის მართვის გამოცდილებასა და უნარებზე, რომლებიც მას დაეხმარება ამა თუ იმ სპეციფიკის დავის ეფექტიანად წარმართვაში.<sup>228</sup> მედიატორის კომპეტენტურობის<sup>229</sup> განსაზღვრისას გასათვალისწინებელია რამდენიმე ფაქტორი: მხარეთა გონივრული მოლოდინები პროცესისგან და ნეიტრალური მესამე პირის როლი, დავის საგნისა და პროცესის შინაარსობრივი და პროცედურული კომპლექსურობა, ნეიტრალური მესამე პირის გამოცდილება და კვალიფიკაცია დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სფეროსა და იურიდიულ პრაქტიკაში, სპეციალური ცოდნა დავის საგანთან მიმართებით, მოსამზადებელი სამუშაოები, რომელიც შეუძლია ჩაატაროს ნეიტრალურ პირს, სხვა ნეიტრალური პირების ან ექსპერტების პროცესში დამხმარებად ჩართვის რეალური შესაძლებლობა და ა.შ.<sup>230</sup> ნებისმიერი დავა გარკვეული სპეციფიკით ხასიათდება, ამიტომ მნიშვნელოვანია, სწორედ საქმის

<sup>228</sup> *ორჯონიკიძე ე.*, მედიაციის გზამკვლევი, თბ., 2021, 24-25, <[https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/library/democratic\\_governance/mediation-guide.html](https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/library/democratic_governance/mediation-guide.html)> [20.05.2022].

<sup>229</sup> *იბ. Ketani A.*, Innovation in training Family Mediators in England and Wales, Virtual conference, Croatia, Entrenova, 2020, 10-12. ავტორი განიხილავს მედიაციას როგორც ინტერვენციის ფორმას, ამიტომ მედიატორები და განსაკუთრებით საოჯახო მედიატორები საჭიროა მტკიცედ განვრთინილი იყვნენ, რათა სწორად შეიმუშაონ კონფიგურაცია და განახორციელონ ზედამხედველობა მონაწილეებს შორის ახალი ტიპის ურთიერთობის დამყარებაზე. ეს ახალი ურთიერთობა დაფუძნებული იქნება კომუნიკაციაზე, ბავშვების ინტერესებზე, გადაწყვეტილებებზე და ერთმანეთის შეხედულებებისა და ემოციების გაგებაზე. ყველა გამოკითხულმა მედიატორმა განმარტა, რომ საოჯახო სამართლის კურსთან ერთად, ცოდნა ფინანსების, ბავშვების, ქონებრივი სამართლის, მიწის ნაკვეთების და სამეურვეო საკითხებზე საჭიროა (განსაკუთრებით იმ მედიატორებმა, რომლებსაც არ აქვთ საოჯახო სამართლის გამოცდილება).

<sup>230</sup> *ჩიტაშვილი ნ.*, ადვოკატ-მედიატორის ცალკეულ ეთიკურ ვალდებულებათა თავისებურება და რეგულირების აუცილებლობა, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2016, 40, <<https://tsu.ge/assets/media/files/8/Publications/Sam-Journ-N2-2016G.pdf>> [20.05.2022].

ირგვლივ არსებული ფაქტორების გათვალისწინებით შეირჩეს სასურველი მედიატორის გამოცდილება და კომპეტენციებიც. მაგალითად, საოჯახო ტიპის დავებში, სადაც ბავშვის საუკეთესო ინტერესებია წინა პლანზე და, ამასთან, დასარეგულირებელია მეუღლეთა შორის ურთიერთობები, სასურველია, ყურადღება გამახვილდეს კონკრეტული მედიატორის გამოცდილებაზე საოჯახო დავების კუთხით.<sup>231</sup>

მოდელური სტანდარტები განსაზღვრავს საოჯახო მედიატორის კვალიფიკაციას ფუნქციური თვალსაზრისით და არა პროფესიული წარმოშობის მიხედვით. კვალიფიკაცია იწყება იმ წინაპირობიდან, რომ ოჯახურ დავებს აქვს სამართლებრივი, ფსიქიკური ჯანმრთელობის, დავის გადანყვეტის და კულტურული განზომილებები<sup>232</sup> და რომ მედიატორი ყველა მათგანს უნდა იცნობდეს.<sup>233</sup> ზოგიერთი [მედიაციის] პროგრამა მოთხოვნებს ანესებს სამედიაციო

<sup>231</sup> *ორჯონიკიძე ე.*, მედიაციის გზამკვლევი, თბ., 2021, 80-81, <[https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/library/democratic\\_governance/mediation-guide.html](https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/library/democratic_governance/mediation-guide.html)> [20.05.2022].

<sup>232</sup> საოჯახო მედიაცია ხშირად მოითხოვს მუშაობას სხვადასხვა კულტურის ადამიანებთან. შუამავლები უნდა გაეცნონ სხვა კულტურებს და გახდნენ კრეატიულები მრავალფეროვანი წარმომავლობის კლიენტებთან მუშაობის პროცესში კულტურათაშორისი კომპეტენციის გაზრდის მრავალი შესაძლებლობა არსებობს: მედიაციის სპეციფიკური ტრენინგებისა და სემინარების გავლა, კულტურულ საკითხებზე იმ ადამიანთა დამოკიდებულების შემონახვა, რომლებიც განსხვავდებიან სტერეოტიპებითა და ცრურწმენებით, მედიატორთა ცოდნის ამაღლება კონკრეტული ჯგუფის კულტურული მახასიათებლების შესახებ, სხვადასხვა კულტურულ ჯგუფებთან თანამშრომლობითი სამუშაო ურთიერთობის დამყარება საზოგადოებაში, სტრატეგიების განსაზღვრა კულტურათაშორისი თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით, ეფექტური მუშაობის ხელშეწყობი პოლიტიკისა და პრაქტიკული სახელმძღვანელოს შემუშავება სხვადასხვა კულტურული წარმოშობის კლიენტებთან. იხ. *Barsky A., Este D., Collins D.*, Cultural Competence in Family Mediation, *Mediation Quarterly*, Vol. 13. no. 3. Jossey-Bass Publishers, Spring 1996, 155-178.

<sup>233</sup> *Shepard A.*, An Introduction to the Model Standards of Practice for Family and Divorce Mediation, *Fam. L. Q.* a, Vol. 35, 2001, 13.

საქმის ტიპის მიხედვით. მაგალითისთვის, შესაძლოა დაწესებული იყოს კვალიფიკაციის ზოგადი სტანდარტი სამოქალაქო საქმეებისთვის, ხოლო სპეციალური კვალიფიკაცია სხვადასხვა კატეგორიის საქმეებზე, როგორებიცაა განქორწინების ან ოჯახური ძალადობის შესახებ საქმეები. მსგავსი მოთხოვნები ძალიან განსხვავებულია და შეიძლება იყოს როგორც ძალიან ზოგადი (მაგ. კარგი ხასიათი), ასევე სპეციფიკური (გავლილი ჰქონდეს X საათიანი ტრენინგი კონკრეტულ სფეროში, ჰქონდეს X წლის გამოცდილება).<sup>234</sup>

მედიატორთა ქცევის აშშ-ის მოდელური სტანდარტების თანახმად, მედიატორმა შესაძლებელია, წარმართოს მედიაცია, თუ მას აქვს საკმარისი და აუცილებელი კომპეტენცია მხარეთა მოლოდინების დასაკმაყოფილებლად. ნებისმიერი პირი შესაძლებელია, იქნეს შერჩეული მედიატორად, თუ მხარეთა შეფასებით მას აქვს სათანადო კომპეტენცია და კვალიფიკაცია. მსგავსი რეგულირებით მოდელურმა სტანდარტებმა მედიატორის კომპეტენცია გაათავისუფლა ხელოვნური და ბიუროკრატიული ბარიერებისგან და მისი არჩევანი მხარეთა თავისუფალ ნებას დაუკავშირა. ანალოგიურ მიდგომას ავითარებს აშშ-ის ეროვნული სტანდარტები სასამართლო მედიაციის პროგრამებისათვის. მედიატორი ვალდებულია, ჩართული იყოს საგანმანათლებლო პროგრამებში უნარების გაუმჯობესებისა და ცოდნის ამალღების მიზნით და უზრუნველყოს მისი კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა მხარეებისათვის. თუ მედიაციის პროცესში გამოვლინდება, რომ მედიატორს აღარ აქვს შესაძლებლობა, კომპეტენტურად წარმართოს პროცესი, მაშინ, ასეთ ვითარებაში, მან უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები - გავიდეს მედიაციის პროცესიდან ან მოითხოვოს შესაბამისი დახმარება.<sup>235</sup> მედიაციის ეთიკის კოდექსები შეიცავს მითი-

<sup>234</sup> *კაკოიშვილი დ.*, მედიატორის ეთიკური ვალდებულებები მედიაციის პროცესში, თბ., 2020, 25, <<http://www.library.court.ge/upload/46302020-12-01.pdf>> [20.05.2022].

<sup>235</sup> *ჩიტაშვილი ნ.*, მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2016, 34, <<https://tsu.ge/assets/media/files/8/Publications/Sam-Jour-N1-2016G.pdf>> [20.05.2022].

თებას მედიატორთა სავალდებულო ტრენინგსა და კვალიფიკაციაზე მედიაციის ხარისხიანი და კომპეტენტური მომსახურებით უზრუნველსაყოფად.<sup>236</sup>

ვინაიდან მედიაცია არის დამყარებული მხარეთა თავისუფალ ნებაზე, ეს პროცესი ნებაყოფლობითია და მისი მთავარი პრინციპი მხარეთა თვითგამორკვევაა, ცხადია, რომ მხარეებს უნდა ჰქონდეთ თავისუფლება განსაზღვრონ, თუ ვინ სურთ მათ იყოს მედიატორი მათ საქმეზე, თუმცა მედიატორთან დაკავშირებით მხარეთათვის აბსოლუტური თავისუფლების მინიჭებაც შეიძლება არ იყოს მიზანშეწონილი. მედიატორები ფიდეციურ ურთიერთობაში იმყოფებიან მხარეებთან, რაც ნიშნავს, რომ მათ ზიანი არ უნდა მიყენონ მხარეებს. თუმცა, საბაზისო კომპეტენციის არარსებობის პირობებში, შესაძლოა მათ დააზიანონ მხარე.<sup>237</sup> თუმცა, მედიატორის მიმართ ძალიან ბევრი და კომპლექსური მოთხოვნების დანესება სწორად არ უნდა ჩაითვალოს, რადგან ასეთ დროს მნიშვნელოვნად ილახება მხარის ნების ავტონომია. მედიატორის კომპეტენციის მიმართ უნდა იქნას შემუშავებული შუალედური მიდგომა, რომელიც, ერთის მხრივ, ფორმალურს არ გახდის მხარეთა უფლებას აირჩიონ მათთვის სასურველი მედიატორი, ხოლო, მეორე მხრივ, უზრუნველყოფს მედიაციის პროცესის ინტერესების დაცვას. ამგვარი შუალედური ხაზი კი გადის მედიატორისთვის მინიმალური კომპეტენციის მოთხოვნაზე. მედიატორი ჩაითვლება მინიმალური კომპეტენციის მქონედ, თუ მას აქვს სამი საბაზისო კომპონენტი: (ა) საბაზისო შესაძლებლობა მიიღოს ინფორმაცია და აღიქვას კომუნიკაცია (მაგალითად არ მოუვიდეს ინფორმაციით ინტოქსიკაცია); (ბ) შეუძლია მისი როლის, პროცესის და როლთან დაკავშირებული პასუხისმგებლობების ცოდნა და გაცნობიერება; და (გ) აქვს უნარები, რომლებიც საჭიროა ამ როლის შესასრულებლად. ამ შემთხვევაში შესაბამის ცოდნაში იგულისხმება, რომ მედიატორმა

<sup>236</sup> იქვე, 35-36.

<sup>237</sup> კაკოიშვილი დ., მედიატორის ეთიკური ვალდებულებები მედიაციის პროცესში, თბ., 2020, 26, <<http://www.library.court.ge/upload/46302020-12-01.pdf>> [20.05.2022].

უნდა იცოდეს და მას გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს: (ა) ღავის არსი და მისი გავლენა ადამიანებზე; ბ) კომუნიკაციის, მოლაპარაკების და დარწმუნების თეორიები, მათ შორის მოლაპარაკების დროს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, ადამიანების კომუნიკაციაში დახმარება და კომუნიკაციის დროს წარმოშობილი წინააღმდეგობების დაძლევა; (გ) მედიაციის ბუნება და მისი ეტაპები; (დ) მედიატორის როლი და მასთან დაკავშირებული ეთიკური და სამართლებრივი მოვალეობები; (ე) შესაძლებლობები, რომ სამართალმა შესაძლოა გავლენა მოახდინოს მედიაციის მხარეების უფლებებზე და მნიშვნელობა, მხარეები იყვნენ ინფორმირებული ამგვარ სამართლებრივ შედეგებზე. ამასთან, მედიატორს საბაზისო უნარები აქვს თუ ის: (ა) აფასებს საქმის და მხარეების ვარგისიანობას მედიაციის პროცესისადმი; (ბ) კომუნიკაცია აქვს მხარეებთან, მოლაპარაკებებს აწარმოებს მათთან და ეხმარება მათ რათა მათ შეძლონ ერთმანეთთან კომუნიკაცია და მოლაპარაკება. ამგვარი უნარები მოიცავს მოსმენის, კითხვების დასმის, აზრის სხვა სიტყვებით გამოთქმის, შეჯამების გაკეთების უნარებს, ასევე უნარს მართოს ძალთა დისბალანსი და კომუნიკაციის და მოლაპარაკების დროს წამოჭრილი წინააღმდეგობები.<sup>238</sup>

### 3.4.1. საგნობრივი კომპეტენცია

ამერიკის საოჯახო და მომრიგებელ სასამართლოთა ასოციაციის მოდელური სტანდარტები საოჯახო და განქორწინების მედიაციისთვის (სტანდარტი II) იპერატიულად ადგენს, რომ საოჯახო საქმეების განმხილველი მედიატორი უნდა (shall) იყოს კვალიფიცირებული განათლებითა და ტრენინგით, რათა განახორციელოს მედიაცია. A. საოჯახო მედიატორის როლის შესასრულებლად, მედიატორს უნდა (should): 1. ჰქონდეს საოჯახო სამართლის ცოდნა; 2. ჰქონდეს ცოდნა და გავლილი ტრენინგი ოჯახური კონფლიქტის გავლენის შესახებ მშობლებზე, ბავშვებსა და სხვა მონაწილეებზე,

<sup>238</sup> იქვე, 27-28, <<http://www.library.court.ge/upload/46302020-12-01.pdf>> [20.05.2022].

მათ შორის ბავშვის განვითარების, ოჯახში და ბავშვზე ძალადობისა და ბავშვის უგულვებლყოფის შესახებ; 3. ჰქონდეს განათლება და სპეციფიკური ტრენინგი მედიაციის პროცესის შესახებ; 4. შეძლოს კულტურისა და მრავალფეროვნების გავლენის ამოცნობა.

აღნიშნული წესებისაგან განსხვავებით, ქართული მედიატორთა პროფესიული ქცევის კოდექსის პირველი მუხლი ადგენს, რომ 1.1. მედიატორს უნდა ჰქონდეს მედიაციის პროცესის წარმართვისთვის შესაბამისი განათლება და კვალიფიკაცია. 1.2. მედიატორის განათლება და კვალიფიკაცია განისაზღვრება კანონმდებლობით. მხარეთა შეთანხმებით შეიძლება განისაზღვროს დამატებითი მოთხოვნები. 1.3. მედიატორმა მუდმივად უნდა იზრუნოს განგრძობადი განათლების მიღებაზე, რომელიც მოიცავს როგორც სამედიაციო პრაქტიკას, ისე საგანმანათლებლო კურსებს. 1.4. დანიშვნამდე მედიატორი უნდა დარწმუნდეს, რომ მას აქვს კონკრეტულ საქმეზე მედიაციის წარმართვისთვის საჭირო კვალიფიკაცია და დრო. ამისთვის მან უნდა მიიღოს ინფორმაცია დავის არსის შესახებ ან/და ორივე მხარესთან გასაუბრებით დაადგინოს, თუ რა ვადებში მოიაზრებენ ისინი მედიაციის დასრულებას. მედიატორმა უნდა დაიცვას ამ მუხლის შესაბამისად გაცვლილი ინფორმაციის კონფიდენციალობა. შესაბამისად, ქართული ეთიკის კოდექსი მედიატორთათვის დარგობრივ კომპეტენციას არ მოითხოვს, თუმცა, მხარეებს აქვთ შესაძლებლობა, მედიატორის არჩევისას აღნიშნული გაითვალისწინონ. ასეთი მიდგომა, ზოგადად, გამართლებულია მედიაციაში, თუმცა საოჯახოსამართლებრივ დავებში საოჯახო სამართლის ცოდნა მედიატორს დააზღვევს იმ რისკებისაგან, რაც შეიძლება უკავშირდებოდეს არასრულწლოვნის უფლებების დარღვევას, შესაძლო ძალათა დისბალანსის/ძალადობის იდენტიფიკაციას და სხვა პირთა უფლებების დარღვევას, ვინც უშუალოდ არ მონაწილეობენ მედიაციაში.

დავის არსთან/შინაარსთან მუშაობის უნარებს მედიატორის პროფესიული კომპეტენციების სისტემაში<sup>239</sup> უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს.

არსებობს მოსაზრება, რომ მედიატორისათვის დარგობრივი კომპეტენციის არსებობამ შეიძლება შეაფერხოს კრეატიული გამოსავლის ძიების პროცესი მედიაციაში.<sup>240</sup> თუმცა, თუ მედიატორი დარგობრივი ცოდნის მიზნობრივ გამოყენებასთან ერთად შეძლებს მოლაპარაკების არეალისა და სადავო საკითხის ხედვის გაფართოებას, მოლაპარაკების სივრცეში შემოიყვანს მხარეთა არასამართლებრივ ინტერესებსაც, ალტერნატიულ რესურსებსა და დამატებით გაცვლით სიკეთეებს, დაენმარება მხარეებს ღირებულებების შექმნასა და კონფლიქტის ტრანსფორმაციაში, მაშინ მედიატორის დარგობრივი კომპეტენცია არათუ მის დამამუხრუჭებელ, შემზღვეველ ფაქტორად, არამედ არსებითად დიდ შედარებით უპირატესობად იქცევა დარგობრივი კვალიფიკაციის არმქონე კოლეგებ-

<sup>239</sup> იხ. „მედიატორის კომპეტენციების ჩარჩო“ დამტკიცებული სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ აღმასრულებელი საბჭოს მიერ (ნოემბერი, 2021). <<https://mediators.ge/uploads/files/61b754d735a26.pdf>>. აღნიშნული კომპეტენციის ფარგლებში მოიაზრება დავის შინაარსის სისტემური გააზრება და განსახილველ საკითხთა წრის განსაზღვრა, შეთანხმებისკენ მოლაპარაკების დინამიური წარმართვა თავსებადი ინტერესების მართვით, კრეატიული და ინოვაციური გამოსავლის მოძიების მხარდაჭერა, იურისტი წარმომადგენლების როლის სწორი გამოყენება საქმის სამართლებრივი პერსპექტივის ობიექტური შეფასების, სამედიაციო მორიგების საუკეთესო, საუარესო და მეტწილად მოსალოდნელი საარბიტრაჟო-სასამართლო ალტერნატივის პროგნოზირების, მოლაპარაკების არეალის გამოკვეთისა და მხარეთა მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობის მიზნით, მხარეთა მიერ შეთანხმების პირობების შესრულებადობისა და აღსრულებადობის გაცნობიერების ხელშეწყობა, რეალობის ტესტის ეფექტიანად გამოყენება და ა.შ. სწორედ დავის შინაარსთან ეფექტიანი მუშაობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ხდება საკითხი, თუ რამდენად აუცილებელი, თუ პრიორიტეტი შემაფერხებელი, შეიძლება იყოს მედიატორისთვის დავის საგანთან დაკავშირებული კომპეტენციის არსებობა სამართლის ცალკეული დარგის, ტექნოლოგიების, ცალკეული ინსტრუქციის სფეროში.

<sup>240</sup> Riskin L.L., Mediator Orientations, Strategies and Techniques, Alternatives to the High Cost of Litigation, Alternatives 111, Vol. 12, №9, 1994, 114.

თან მიმართებით მხარეთა რაციონალური გადაწყვეტილების ხელშეწყობისა და რეალობის ტესტის კვალიფიციური უნარის არსებობის თვალსაზრისით.

არსობრივი სამართლიანობის შინაარსი განსხვავებულია ხელშემწყობი და შეფასებითი მედიაციის მოდელებში. ხელშემწყობი მედიაციისთვის სამედიაციო შეთანხმების სამართლიანობაა ის, რაც მხარეთა თავისუფალი ნებიდან მომდინარეობს (justice from below) და არა, ის რასაც კანონი განსაზღვრავს (კანონისმიერი სამართლიანობა - justice on high).<sup>241</sup> ხელშემწყობი მედიატორისთვის სამართლიანობის მნიშვნელობა დიდწილად კონტექსტუალურია და განისაზღვრება ცალკეული ურთიერთობის, კონფლიქტის ინდივიდუალური მახასიათებლებით. ხელშემწყობი მედიაციისთვის მხარეები საკუთარი ნებით ახდენენ კანონის მორალიზებას სამედიაციო შეთანხმებაში, ხოლო სამართლის ნორმა-დებულებათა შეთანხმებაში ასახვის ფარგლები, ხარისხი ერთმნიშვნელოვნად არ განსაზღვრავს შეთანხმების სამართლიანობას.<sup>242</sup>

შეფასებითი მედიაციის შემთხვევაში ვინაიდან მედიატორი ფლობს დავის საგანთან დაკავშირებულ კომპეტენციას, ის სამართლებრივ, საინჟინრო-ეკონომიკურ თუ სამომხმარებლო პრაქტიკასთან დაკავშირებულ ნორმა-რეგულაციებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სამედიაციო შეთანხმების შინაარსის განსაზღვრისთვის და ამგვარად აღიარებს ამ ნორმების მორალურ ძალმოსილებას მედიაციის პროცესში. ამიტომ, შეფასებითი მედიაციისთვის სამართლებრივი თუ ინდუსტრიული ნორმები არა მხოლოდ პროცესის სტრატეგიული მექანიზმია (მაგალითად, რეალობის ტესტის განსახორციელებად), არამედ ისინი ავტორიტეტული სამიზნე ნიშნულია, რომელსაც მორიგების არეალში სოციალურ ღირებულებათა სისტემა და სოციალური სამართლიანობის გაგება შემოჰყავს.<sup>243</sup>

მართალია, მედიატორს აქვს უფლება, მისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების ფარგლებში გაუზიაროს მხარეებს ინფორმაცია

<sup>241</sup> Hyman J.M., Love L.P., If Portia Were a Mediator: An Inquiry into Justice in Mediation, *Clinical L. Rev.*, Vol. 9, 2002, 157.

<sup>242</sup> Waldman E., *Mediation Ethics, Cases and Commentaries*, Jossey-Bass A Wiley Imprint, San Francisco, 2010, 21.

<sup>243</sup> იქვე.



და ოფციები, მხარეებს საბოლოოდ მაინც უნდა მიეცეთ სრული შესაძლებლობა თავისუფლად გადაწყვიტონ სამედიაციო მორიგების თუ მისი ცალკეული პირობის შეთანხმება-შეთანხმებლობის საკითხი. მედიატორმა საკუთარი მოსაზრებები არ უნდა გამოიყენოს დავის ცალკეული ასპექტის გადასაწყვეტად ან მხარე-წარმომადგენლის დასარწმუნებლად მიიღონ ესა თუ ის შეთავაზებული ოფცია“.<sup>244</sup>

ვაშინგტონის სარეკომენდაციო მოსაზრება 2223 მიღებულ იქნა 2012 წელს და შეეხებოდა ადვოკატი მედიატორის მიერ საოჯახო დავის ფარგლებში ქონების განაწილების შეთანხმების, მშობლის მოვალეობის შესრულების გეგმის და ბავშვზე მეურვეობის დოკუმენტების შედგენის დაუშვებლობას, რამეთუ აღნიშნული არ შემოიფარგლება სტანდარტული ფორმულარების შევსებით და გულისხმობს კომპლექსური შინაარსის დებულებების შედგენას, რომელიც გავლენას ახდენს მხარეთა უფლებებსა და განსაკუთრებით ქონებრივ მოთხოვნებზე.<sup>245</sup>

ვირჯინიის უზენაესი სასამართლოს დავების გადაწყვეტის დეპარტამენტის მიერ მიღებული სტანდარტები მედიაციისა და არაავტორიზებული სამართლის პრაქტიკის შესახებ განსაზღვრავს მედიატორის მიერ შეფასების განხორციელების ფარგლებს. კერძოდ, ამ სახელმძღვანელო სტანდარტების თანახმად, მედიატორმა მისი უნარების გამოყენებით უნდა უზრუნველყოს, რომ მხარეებმა დამოუკიდებლად შეაფასონ საქმის ძლიერი და სუსტი ასპექტები, ასევე, მედიაციის პროცესს მიღმა საქმის გადაწყვეტის ალტერნატივები ან სავარაუდო დაბრკოლებები. ამავე სტანდარტებით, მედიატორს ეკრძალება დავის შესაძლო სამართლებრივი გადაწყვეტის პროგნოზირება, რადგან ამ კონტექსტში ის იჭრება ადვოკატის

<sup>244</sup> Committee Notes 2000 Revision (previously Committee Note to 1992 adoption of former rule 10.090), Florida Bar Committee on Professional Ethics, formal opinion 86-8 at 1239.

<sup>245</sup> ჩიტაშვილი ნ., ადვოკატ-მედიატორის ცალკეულ ეთიკურ ვალდებულებათა თავისებურება და რეგულირების აუცილებლობა, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2016, 49, <<https://tsu.ge/assets/media/files/8/Publications/Sam-Journ-N2-2016G.pdf>> [20.05.2022].

საქმიანობის სფეროში და ამგვარი ქმედების განხორციელება აყალიბებს კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობას. სწორედ ზემოთქმულიდან გამომდინარე, დაუშვებელია მედიატორმა გასცეს იურიდიული შინაარსის რჩევა, შეფასებითი ინფორმაცია, რამეთუ ეს ქმედება თავისთავად გამოკვეთს რომელიმე მხარის სამართლებრივ უპირატესობას და ჩაითვლება კლიენტის კონსულტაციად. აღნიშნული კი მედიატორის ნეიტრალურობის პრინციპის რღვევას განაპირობებს და იწვევს ადვოკატ-მედიატორის უფლებამოსილების წარმომადგენლის ფუნქციებად გარდასახვას. ნეიტრალურ მესამე პირს დასაშვებია ჰქონდეს შეფასებითი ფუნქციები განსაზღვრული ფარგლებით. კერძოდ, ადვოკატ-მედიატორს შეუძლია გასცეს რჩევა ან ინფორმაცია იმ ხარისხით, სადამდეც აღნიშნული არ მიიღებს წარმომადგენლობითი (ადვოკატ-კლიენტის) ურთიერთობის შინაარსს. მედიატორმა არ უნდა გაუზიაროს მხარეებს პერსონალური და პროფესიული მოსაზრება მათი დარწმუნების მიზნით, რომ მოაგვარონ დავა, ასევე არ უნდა მისცეს პირდაპირი მიმართულება რომელიმე საკითხის გადაწყვეტას. მხარეთა თვითგამორკვევისა და მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვით, მედიატორმა უნდა წაახალისოს მხარე და წარმომადგენელი გამოკვეთონ საქმის შესაძლო შედეგები, განიხილონ სარჩელის ან შესაგებლის უპირატესობები, საქმის ძლიერი და სუსტი მხარეები.<sup>246</sup>

მედიატორის ქცევის აშშ-ის მოდელური სტანდარტების<sup>247</sup> თანახმად, მედიატორის როლი არსებითად განსხვავდება სხვა პროფე-

<sup>246</sup> ჩიტაშვილი ნ., ადვოკატ-მედიატორის ცალკეულ ეთიკურ ვალდებულებათა თავისებურება და რეგულირების აუცილებლობა, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2016, 33, <<https://tsu.ge/assets/media/files/8/Publications/Sam-Journ-N2-2016G.pdf>> [20.05.2022].

<sup>247</sup> მედიატორთა ქცევის მოდელური სტანდარტები (Model Standards of Conduct for Mediators), ამერიკის საარბიტრაჟო ასოციაცია, ამერიკის ადვოკატთა ასოციაცია და კონფლიქტების მოგვარების ასოციაცია (American Arbitration Association, American Bar Association and the Association for Conflict Resolution), მიღებულია 1994 წელს, გადაამუშავდა 2005 წელს, <[https://www.adr.org/sites/default/files/document\\_repository/AAA-Mediators-Model-Standards-of-Conduct-10-14-2010.pdf](https://www.adr.org/sites/default/files/document_repository/AAA-Mediators-Model-Standards-of-Conduct-10-14-2010.pdf)> [20.05.2022].

სიის წარმომადგენლების როლისგან, სწორედ ამიტომ მედიატორისა და სხვა პროფესიის უფლებამოსილების აღრევა დაუშვებელია. მედიატორმა უნდა გამიჯნოს მისი პროფესიული კომპეტენცია სხვა პროფესიის წევრთა როლისგან. მედიატორს შეუძლია გაუზიაროს მხარეებს სწავლების/ტრენინგისა თუ გამოცდილების საფუძველზე მიღებული ცოდნა, თუ აღნიშნული ეთიკის წინამდებარე აქტის სტანდარტების დაცვით განხორციელდება. იმ შემთხვევაში, თუ მხარე უარს განაცხადებს იურიდიული კონსულტაციის მიღებაზე და საქართველოს მედიატორთა ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მედიატორს მოთხოვს აღნიშნული ინფორმაციის/კონსულტაციის გაცემას, დგება საკითხი მედიატორს აქვს თუ არა უფლება, უარი უთხრას მხარეს შესაბამისი ინფორმაციის გაცემაზე. ეთიკის კოდექსის ხსენებული ნორმის განმარტებიდან გამომდინარეობს, რომ საქმესთან დაკავშირებული ცოდნისა და ინფორმაციის მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვით გაზიარება მედიატორის უფლებამოსილებაა და არა ვალდებულება, გარდა ამისა, ეს დამოკიდებულია იმაზე, აქვს თუ არა მედიატორს სამართლის სფეროში სათანადო კომპეტენცია და სამართლის პრაქტიკის ცოდნა, რომელიც მედიატორის პროფესიაში შესვლის სავალდებულო საკვალიფიკაციო მოთხოვნას არც წარმოადგენს. იმისათვის, რომ მხარეებს, რომლებიც არ აპირებენ იყოლონ იურისტი წარმომადგენლები პროცესში ან ერთხელ მაინც გაიარონ იურიდიული კონსულტაცია, არ ჰქონდეთ უსაფუძვლო მოლოდინები მედიატორისგან სამართლებრივი რჩევის მიღებასთან დაკავშირებით, საჭიროა მედიაციის დაწყებამდე (მაგალითად, წინასაინფორმაციო შეხვედრაზე) შეთანხმდეს მხარეებთან მედიატორი ხელშემწყობი როლით ჩაერთვება მოლაპარაკებაში, თუ მხარეთა მოთხოვნის შემთხვევაში, ვალდებული იქნება შეფასებითი მედიაცია წარმართოს.<sup>248</sup>

<sup>248</sup> მედიატორის როლის განმარტების - ინფორმირების ვალდებულების საკითხისათვის იხილეთ „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტი (განმარტება უნდა განხორციელდეს მედიაციის პროცესის დაწყებამდე); იხ. ასევე, Rules of Conduct for Mediators

### 3.4.2. მედიატორის სპეციალიზაცია

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 5<sup>1</sup> მუხლის<sup>249</sup> განსაზღვრავს არასრულწლოვნის უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ პროცესში მონაწილე პირთა სპეციალიზაციას. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ არასრულწლოვნის უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ პროცესში მონაწილეობენ არასრულწლოვანთან ურთიერთობის მეთოდისა და მასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებში სპეციალიზებული მოსამართლე, ადვოკატი, სოციალური მუშაკი ან/და არასრულწლოვნის საჭიროებების გათვალისწინებით მონვეული სხვა შესაბამისი სპეციალისტი. სამართალწარმოების განხორციელებისას, ბავშვთა საუკეთესო ინტერესების დაცვა ყველა მონაწილე უწყების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ 73-ე მუხლი<sup>250</sup> მოითხოვს, რომ ბავშვის უფლებებთან დაკავშირებულ განხილვის პროცესში ჩართულ იყვნენ სპეციალიზებული პირები. „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ 73-ე მუხლის მე-4 ნაწილით<sup>251</sup> პროფესიონალთა სპეციალიზაციის ინსტიტუციური სისტემა მოიცავს ბავშვთან მომუშავე და ბავშვის საკითხებზე მომუშავე ადვოკატების, პროკურორების, პოლიციელების, მოსამართლეების, მედიატორების, სოციალური მუშაკების, ფსიქოლოგებისა და სხვა სპეციალისტების შერჩევას,

---

in Court-Connected Mediation Programs for General Civil Cases (California Rules of Court), 2007, Revised January 1, 2013, rule 3.857 (c) (3), (d) (შესაბამისი განმარტება უნდა მიენოდოთ მხარეებს მედიაციის პროცესის დაწყებამდე ან პირველივე სესიაზე); Mediators Ethics Guidelines, JAMS Mediation, Arbitration, ADR Services, Seq. I, <<https://www.jamsadr.com/mediators-et-hics/>>[20.05.2022].

<sup>249</sup> საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 1106, 14/11/1997, 5<sup>1</sup> მუხლი, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=149>> [20.05.2022].

<sup>250</sup> საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 5004-ის, 20/09/2019, 73-ე მუხლი, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=2>> [20.05.2022].

<sup>251</sup> იქვე, 73-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

მოსამზადებელი და განგრძობადი სწავლების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის, საქმიანობის ხარისხის კონტროლისა და ეთიკური სტანდარტების უზრუნველყოფას.

შესაბამისად, მედიატორებისათვის, რომლებიც არასრულწლოვნების მონაწილეობით ან არასრულწლოვნებთან დაკავშირებულ საქმეებზე მუშაობენ მოეთხოვებათ შესაბამისი სპეციალიზაციის ქონა და ეთიკური სტანდარტების გათვალისწინება.

სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ აღმასრულებელი საბჭოს მიერ 2020 წლის 3 აგვისტოს დამტკიცდა სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის სფეროში მედიატორთა სპეციალიზაციის დებულება<sup>252</sup>. მედიატორს არასრულწლოვანთა უფლებების სფეროში სპეციალიზაცია მიენიჭება სპეციალიზებული კურსის სრულად გავლის საფუძველზე. კურსის ხანგრძლივობა შეადგენს 14 (თოთხმეტი) საათს<sup>253</sup>. სპეციალიზებული კურსის სრულად გავლის

<sup>252</sup> სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ „არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის სფეროში მედიატორთა სპეციალიზაციის დებულება“, დამტკიცებულია 2020 წლის 3 აგვისტოს საქართველოს მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ, <<https://mediators.ge/uploads/files/624d38b91494e.pdf>> [20.05.2022].

<sup>253</sup> არასრულწლოვანთა უფლებათა სფეროში სასწავლო მოდული/დღის წესრიგი შედგება შემდეგი საკითხებისგან: ბავშვის უფლებათა კოდექსი; ბავშვის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები; ბავშვის უფლებებზე დაფუძნებული მხარდაჭერის სისტემა; ძალადობა ბავშვზე და მისი გავლენა ბავშვის განვითარებაზე; დაზარალებული და მონმე ბავშვის დაკითხვა/გამოკითხვა (პროტოკოლი); ფსიქოლოგიის როლი სამოქალაქო საქმეებში ბავშვის მონაწილეობით; ბავშვთა უფლებების კოდექსით გათვალისწინებულ პუნქტებში ფსიქოლოგიის საქმიანობის ძირითადი სფეროები; ნებისმიერი ასაკისა და განვითარების ბავშვთან ურთიერთობის თავისებურებები; ბავშვის განვითარების თავისებურებანი, მიჯაჭვულობის როლი, ფსიქო-სოციალური და მორალური განვითარება; სამოქალაქო საქმეები ფსიქოლოგიურ ჭრილში; მშობელი ბავშვის/ბავშვების ფსიქოლოგიური სირთულეები. ოჯახში ძალადობის მსხვერპლი/მონმე ბავშვის ფსიქოლოგიური თავისებურებები; სოციალური მუშაუკის როლი სამოქალაქო სამართლის მართლმსაჯულებაში ბავშვის უფლებათა კოდექსის მიხედვით. სოციალური მუშაუკის როლი

საფუძველზე, მედიატორს მიენიჭება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში სპეციალიზებული მედიატორის სტატუსი.

საქართველოს კანონი ბავშვის უფლებათა კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად, ბავშვს უფლება აქვს, მასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას უპირატესობა მიენიჭოს მის საუკეთესო ინტერესებს. ბავშვის საუკეთესო ინტერესებისთვის უპირატესობის მინიჭება (მათი უპირატესი გათვალისწინება) სავალდებულოა საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებების ორგანოების, საჯარო დაწესებულების, ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ ბავშვთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას ან/და ქმედების განხორციელებისას. სამართლის ნორმის განმარტებისას გამოყენებული უნდა იქნეს ის განმარტება, რომელიც ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ყველაზე მეტად შეესაბამება, ამ კოდექსის, საქართველოს კონსტიტუციის, ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა და საქართველოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად.

თუ სახეზეა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის საწინააღმდეგო შეთანხმება მშობლებს შორის, მედიატორის გადასანვეტია ასეთ შეთანხმებას უნდა მოაწეროს ხელი თუ არა, ან რა ბერკეტი აქვს მას, რომ მშობლები „აიძულოს“, გადაიფიქრონ ასეთი შეთანხმება. ამასთანავე, შესაბამისი სპეციალური ცოდნის გარეშე, ნაკლებად შესაძლებელია, მედიატორმა ამოიცნოს მხარეთა შეთანხმების შეუთავსებლობა არასრულწლოვნის ინტერესებთან. ამასთანავე, რამდენადაც მედიატორის როლი არსებითად განსხვავდება სხვა პროფესიის წარმომადგენლების როლისგან, ამიტომ დაუშვებელია უფლებამოსილების აღრევა. შესაბამისად, მედიატორს არ შეუძლია ჩაატაროს დავის გადაწყვეტის სხვა პროცედურა გარდა მედიაციისა. მედიატორისთვის ნებადართულია რეკომენდაცია

---

ოჯახური დავებისა და აღსრულების საქმეებზე. ბავშვის საჭიროებები და მშობელთან/ოჯახურ გარემოსთან დაკავშირებული ფაქტორები. სოციალური მუშაკების სამუშაო ინსტრუმენტები და შეფასების პრინციპები. ოჯახის გაძლიერებისკენ მიმართული მომსახურებები.

გაუნიოს მხარეებს ღაღის გადანყვეტის სხვა პროცედურების, მათ შორის არბიტრაჟის, მოლაპარაკების, შეფასების ან სხვა, გამოყენებაზე. მხარეთა თანხმობით მედიატორს შეუძლია ჩაერთოს პროცესში ღაღის გადანყვეტის სხვა უფლებამოსილებებით. ასეთ დროს მედიატორის ქცევის სტანდარტები იცვლება და იგი დაექვემდებარება ღაღის გადანყვეტის იმ საშუალების ქცევის სტანდარტს, რომლის უფლება-მოვალეობებიც უნდა შეასრულოს მან.<sup>254</sup>

ისეთ საქმეებში, რომლებიც არასრულწლოვნის ინტერესებს ეხება ერთ-ერთი აქტუალური პრობლემა შეიძლება იყოს ფსიქოლოგისა და სოციალური მუშაკის პროცესში ჩართვის საჭიროება, ბავშვის საუკეთესო ინტერესებისთვის.

საქართველოს მედიატორთა ეთიკის კოდექსისმე-4 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად,<sup>255</sup> მედიატორი უფლებამოსილია საჭიროებისამებრ ნაახალისოს პროცესში მონაწილე მხარე, მიიღოს დამატებითი რჩევა, მათ შორის სხვა დამოუკიდებელი პროფესიონალისგან. აღნიშნული წესის საფუძელზე, მედიატორს შეუძლია ნაახალისოს მხარეები მიიღონ სათანადო პროფესიონალისაგან კონსულტაცია, მაგრამ სავალდებულოდ ვერ მოთხოვს. არსებული საკანონმდებლო მოწესრიგებით არასრულწლოვნების საქმეებზე მედიაციონში პირდაპირ სავალდებულო არ არის, რომ მედიატორმა საქმეში ჩააბას ფსიქოლოგი ან სოციალური მუშაკი. სასამართლო მედიაციონის შემთხვევაში, შესაძლებელია მედიაციონისთვის გადაცემამდე სასამართლომ ჩართოს აღნიშნული სპეციალისტები და მხოლოდ ამის შემდეგ გადასცეს საქმე მედიაციას. ეს უზრუნველყოფს სისწრაფესაც მედიაციონის შეუფერებელი განხორციელებისთვის. მედიატორს შეუძლია გააკეთოს განმარტება, რომ მოსამართლე აუცი-

<sup>254</sup> კაკოიშვილი დ., მედიატორის ეთიკური ვალდებულებები მედიაციონის პროცესში, თბ., 2020, 28-29, <<http://www.library.court.ge/upload/46302020-12-01.pdf>> [20.05.2022].

<sup>255</sup> სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, დამტკიცებულია 2021 წლის 24 აპრილის საერთო კრების მიერ, 4.5 მუხლი, <<https://mediators.ge/uploads/files/60a4d7fd3f27f.pdf>> [20.05.2022].

ლებლად ჩართავდა სასამართლოში საქმის განხილვისას ფსიქოლოგს და სოციალურ მუშაკს, ამიტომ ურჩიოს მხარეებს, რომ მედიაციაშიც ჩართონ ეს პირები, რადგან, თუ არ ჩართავენ, შეიძლება მოსამართლემ მიღწეული მორიგება არ დაამტკიცოს. რადგან სასამართლოში აუცილებლად იქნებოდა უზრუნველყოფილი ეს შესაძლებლობა, მედიატორმა შეიძლება გააკეთოს განმარტება, რომ მას მოუწევს შეწყვიტოს პროცესი, თუ მშობლები უარს აცხადებენ ფსიქოლოგისა ან/და სოციალური მუშაკის ჩართვაზე. ამის შემდეგ, როგორც წესი მხარეები ეთანხმებიან მედიატორს და იწვევენ აღნიშნულ სპეციალისტებს. რაც შეეხება კერძო მედიაციას, აღნიშნული საკითხი მანც ღიად შეიძლება დარჩეს, რადგან მხარეებისთვის, სამედიაციო მორიგების მოსამართლისთვის აღსასრულებლად წარდგენაც არ არის სავალდებულო.

მოდელური სტანდარტები საოჯახო და განქორწინების მედიაციისთვის<sup>256</sup> (სტანდარტი VIII) ადგენს, რომ საოჯახო მედიატორი უნდა (shall) დაეხმაროს მონაწილეებს იმის დადგენაში, თუ როგორ გააძლიერონ ბავშვის საუკეთესო ინტერესები. A. მედიატორმა უნდა წაახალისოს მონაწილეები, გამოიკვლიონ ხელმისაწვდომი ვარიანტების სპექტრი განშორების ან განქორწინების შემდეგ აღზრდის ღონისძიებები და მათი შესაბამისი ხარჯები და სარგებელი. ამ მიზნებისათვის შეიძლება მიზანშეწონილი იყოს ბავშვის განვითარების სპეციალისტთან მიმართვა. თემები განხილვისთვის შეიძლება მოიცავდეს, მათ შორის: 1. ინფორმაცია რესურსებისა და პროგრამების შესახებ, რომლებიც შეიძლება დაეხმაროს მონაწილეებს და მათი ბავშვებს გაუმკლავდნენ ოჯახის რეორგანიზაციის შედეგებს და ოჯახში ძალადობას; 2. პრობლემები, რომლებსაც უწყვეტ კონფლიქტს უქმნის ბავშვების განვითარებას და რა ნაბიჯები შეიძლე-

<sup>256</sup> მოდელური სტანდარტები საოჯახო და განქორწინების მედიაციისთვის (Model Standards of Practice for Family and Divorce Mediation), ამერიკის საოჯახო და მომრიგებელ სასამართლოთა ასოციაცია (Association of Family and Conciliation Courts), 2000, <<https://www.afcnet.org/Portals/0/PDF/ModelStandardsOfPracticeForFamilyAndDivorceMediation.pdf?ver=ykuc9AnD6m4jf9IZs4PhkQ%3d%3d>> [20.05.2022].



ბა გადაიდგას კონფლიქტის შედეგების გასაუმჯობესებლად ბავშვებზე; 3. აღზრდის გეგმის შემუშავებას, რომელიც მოიცავს ბავშვების ფიზიკურ საცხოვრებელს და გადანყვეტილების მიღების პასუხისმგებლობას ბავშვებისთვის, მონაწილეთა მიერ შეთანხმებული დეტალების შესაბამისი დონეს; 4. აღზრდის გეგმების გადახედვის შესაძლო საჭიროებას, რადგან ბავშვების განვითარების საჭიროებები დროთა განმავლობაში იცვლება; და 5. მონაწილეთა წახალისებას შესაბამისი ღირებულების მოგვარების მექანიზმების განვითარებაზე, რათა ხელი შეუწყოს აღზრდის გეგმის გადასინჯვას მომავალში. **ბ.** მედიატორი მგრძნობიარე უნდა იყოს კულტურისა და რელიგიის გავლენის მიმართ აღზრდის ფილოსოფიაზე და სხვა გადანყვეტილებებზე.

მედიატორი და მხარეები შესაძლებელია შეთანხმდნენ მედიაციის პროცესის გარკვეულ ეტაპზე სხვა პირების დასწრების ან მათი მონაწილეობის გამორიცხვის შესახებ.<sup>257</sup> თუმცა, ისეთ საქმეებში, რომლებიც არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს შეეხება, მაგალითად, ფსიქოლოგის ან სოციალური მუშაკის ჩართვის გამორიცხვაზე შეთანხმებას მედიატორი არ უნდა დაეთანხმოს.

თუ საქმე არასრულწლოვნის ინტერესებს შეეხება, სასურველია მედიატორმა მხარეებს მოუწოდოს აღსრულების საკითხზეც შეთანხმდნენ, რადგან სასამართლოში განხილვის შემთხვევაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1<sup>2</sup> ნაწილით<sup>258</sup> არასრულწლოვნის უფლებებთან დაკავშირებულ საქმეზე მიღებული გადანყვეტილება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაეცემა, თუ ამას მოითხოვს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები, რაც მიეთითება იმავე გადანყვეტილებაში.

<sup>257</sup> *კაკოიშვილი დ.*, მედიატორის ეთიკური ვალდებულებები მედიაციის პროცესში, თბ., 2020, 28, <<http://www.library.court.ge/upload/46302020-12-01.pdf>> [20.05.2022].

<sup>258</sup> საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 1106, 14/11/1997, 268-ე მუხლის 1<sup>2</sup> ნაწილი, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=149>> [20.05.2022].

#### 4. დასკვნა

პრაქტიკოსი მედიატორებისათვის მკაფიო ეთიკური სტანდარტების მიწოდება აუცილებელია, „ის მედიატორთა ქცევის წესების სახელმძღვანელო რუკაან,<sup>259</sup> რათა მათ შეძლონ ეთიკურ გამოწვევებთან გამკლავება და არ დააზიანონ მხარეების ან პროფესიის ინტერესები. საქართველოში მედიატორთა ქცევის კოდექსი მართალია ფორმალურად აკმაყოფილებს ამ სფეროში აშშ-სა და ევროპაში შემუშავებული მოდელური წესების მოთხოვნებს, რამეთუ საქართველოს მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსი ყველა იმ ძირითად ეთიკურ საკითხს მოიცავს, რაც მედიაციის სფეროში ავტორიტეტული კოდექსებით არის აღიარებული, თუმცა, ისინი საკმაოდ ზოგადი ხასიათისაა, არ არის მორგებული საოჯახოსამართლებრივ დარგობრივ სპეციფიკაზე და სუბიექტური განმარტების ფართო შესაძლებლობას იძლევა. ასევე საქართველოს მედიატორებისათვის, რომლებიც პრაქტიკას საოჯახო დავებში ეწევიან, დარგობრივი ეთიკის კოდექსი არ არსებობს, რაც საოჯახოსამართლებრივი საქმეების განხილვის დროს შესაძლოა საფრთხის შემცველი აღმოჩნდეს. ამასთან, ქცევის წესები და მედიაციისთვის ფუნდამენტური პრინციპები ისე უნდა დაბალანსდეს, რომ მედიატორს სრულად არ შეეზღუდოს მოქმედების თავისუფლება.

ამიტომ, დარგობრივი ეთიკური ნორმების არსებულ ეთიკის კოდექსში იმპლემენტირება ან ცალკე კოდექსის მიღება შეიძლება გამოსავლად ჩაითვალოს<sup>260</sup>. ამასთან, დარგობრივი ეთიკური სტანდარტების დადგენა მედიაციის სახელმწიფო და კერძო პროვაიდერებისთვის, განსაკუთრებით, მნიშვნელოვანი იქნება საზოგადოე-

<sup>259</sup> იხ. *Bishop T. A.*, *Mediation Standards: An Ethical Safety Net*, *Mediation Quarterly* no. 4, June 1984, 5-17.

<sup>260</sup> საკანონმდებლო ორგანოებმა, სასამართლოებმა და ნებაცხოვლობითმა პროფესიულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც არეგულირებენ მედიაციის პრაქტიკას, შეიძლება სახელმძღვანელოდ მიიჩნიონ მოდელური სტანდარტების ფუძემდებლური დანაწესები საკუთარი სტანდარტების შექმნისთვის. იხ. *Schepard A.*, *An Introduction to the Model Standards of Practice for Family and Divorce Mediation*, 35 *Fam. L. Q.* a, 2001, 8.

ბის ნდობის მოპოვებისა და ცნობიერების ამაღლების კუთხითაც. იგი წახალისებს მოქალაქეთა ინიციატივას, ნებაყოფლობით ნდობა გამოუცხადონ მედიაციას, როგორც ეთიკურ სტანდარტებზე დაფუძნებულ პროცესს.<sup>261</sup> მედიაციის ეთიკის კოდექსის დადგენისას პროვაიდერებმა უნდა იხელმძღვანელონ მედიაციის პროცესის ერთიანობისა და ურღვეობის, კეთილსინდისიერებისა და ნეიტრალურობის წახალისების მთავარი მიზნებით.<sup>262</sup>

გარდა ამისა, საოჯახოსამართლებრივ საქმეებში უფრო მეტად უნდა წახალისდეს თანამედიაცია<sup>263</sup>, რადგან ამ გზით, შეიძლება დარგობრივი ცოდნის დეფიციტიც გადაიჭრას, ხოლო იმ დავებში, სადაც ცოლ-ქმარს შორის არის ძალთა ასიმეტრია/ძალადობის ისტორია, მიზანშეწონილია ორივე სქესის მედიატორი იყოს წარმოდგენილი. იქ, სადაც მაღალი დონეა მხარეთა შორის ემოციური ფონისა ან არსებობს შიშის ფაქტორი ან რაიმე სხვა ძალთა არსები-

<sup>261</sup> ჩიტაშვილი ნ., მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები, სამართლის ჟურნალი #1, 2016, 47 <[http://www.library.court.ge/upload/samartlis%20Jurnali%20\\_%202016.1.pdf](http://www.library.court.ge/upload/samartlis%20Jurnali%20_%202016.1.pdf)> [22.05.2022].

<sup>262</sup> იქვე, 47.

<sup>263</sup> რთულ კომპლექსურ კომერციულ დავებში, მათ შორის საოჯახო კატეგორიის დავებში ფართოდ დაინერგა ე.წ. კო-მედიაციის - თანამედიაციის პრაქტიკა, რა დროსაც მედიატორებს შორის ეფექტიანად უნდა გადანაწილდეს ფუნქციები და როლები, რათა მხარეებთან კოორდინირებულად და შედეგიანად განახორციელონ პროცესის ფასილიტაცია. კო-მედიაცია იძლევა საშუალებას უფრო ჯეროვანი გახდეს პროცესი, რადგან მედიატორთაგან ერთ-ერთი, როგორც წესი, იმ კონკრეტული დარგის სპეციალისტს წარმოადგენს, რა კატეგორიის დავაც არის განხილვაში, რაც აორმაგებს წარმატების შესაძლებლობას, ისევე როგორც კო-მედიაციის შემთხვევაში ადვილდება პროცესის მართვა და დაგროვილი ინფორმაციის ანალიზი. იხ. *ყანდაშვილი ი.*, საქართველოში მედიაციის მაგალითზე ღავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, თბ. 2018, 126, <[http://press.tsu.ge/data/image\\_db\\_innova/Kandashvili%20Irakli.pdf](http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Kandashvili%20Irakli.pdf)> [23.05.2022].

თი დისბალანსი, გამოსავალი შეიძლება იყოს ე.წ. მოძრავი მედია-  
ციაც.<sup>264</sup>

<sup>264</sup> ავსტრალიაში მათ შორის დაინერგა მედიაციის სპეციალური ფორმა, რომელსაც Shuttle mediation-ს უწოდებენ, რა დროსაც მედიატორი სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულში განლაგებულ მხარეებს შორის, ტრანსპორტის გამოყენებით გადაადგილდება და ათანხმებს პირობებს. მედიაციის ამ ფორმისათვის მახასიათებელია სწორედ ის, რომ მხარეებს ერთად მედიატორი არ კრიბავს. აღნიშნული ფორმის გამოყენებაში ბიძგი მისცა აღნიშნული სახელწოდებით მედიაციის პროცესის ისეთი სტილით გაძღოლას მედიატორის მხრიდან, როდესაც ის მხარეებს ერთად არ ახვედრებს და თავად მათ შორის მიმოსვლით და ინფორმაციის გაცვლით ცდილობს მართოს პროცესი. აღნიშნული ფორმის გამოყენებას მედიატორის მხრიდან ხშირად აქვს თავისი ახსნა და წინაპირობა, რადგან რიგ შემთხვევაში ბარიერი მართლაც შეიძლება იყოს მხარეების ტერიტორიული დაშორება, თუმცა რიგ შემთხვევაში სახეზე არის ისეთი ტიპის მოლაპარაკებები, როდესაც მხარეებს არ სურთ ერთმანეთთან პირდაპირი კომუნიკაცია და ამისთვის მედიატორს იყენებენ (მაგ: საერთაშორისო დავებში, საოჯახო დავებში ნაწილობრივ, შრომით დავებში). დოქტრინისეულად სამ ძირითად წინაპირობას გამოყოფენ რის გამოც მედიაციის ამ ფორმით წარმოებამ ფეხი მოიკიდა პრაქტიკაში: ა) თავიდან იქნეს არიდებული დაპირისპირება, როდესაც მედიაცია მიმდინარეობს მაღალი დაძაბულობის ფონზე; ბ) მხარეებს აქვთ კონფიდენციალური ინფორმაცია და მისი დოზირებულად მეორე მხარისთვის მიწოდებას მესამე ნეიტრალური პირის გამოყენებით არჩევენ; გ) მედიატორს ეძლევა საშუალება ლიად ასაუბროს მხარეები ისეთ თუნდაც არაკონფიდენციალური ხასიათის ინფორმაციის შესახებ, რაზეც მხარეები ერთმანეთის თანდასწრებით ვერ ისაუბრებდნენ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ სტილით მედიაციის ჩატარებას თავისი უარყოფითი მხარეებიც გააჩნია, კერძოდ, მსგავსი მედიაცია ცალსახად უფრო მეტ დროს მოითხოვს, ვიდრე ორივე მხარის ჩართულობით ერთობლივი შეხვედრების წარმოებისას, ისევე როგორც ალბათობა იზრდება იმისა, რომ მედიატორის მიუკერძოებლობას შესაძლოა ერთ-ერთი მხარის მხრიდან დაეხვას კითხვის ნიშანი, ისევე როგორც ასეთი მედიაციის დროს მთელი დატვირთულობა მედიატორზე მოდის და მხარეები ერთგვარად აქტიური პროცესისგან გამოთიშულ მდგომარეობაში იმყოფებიან. იხ. ყანდაშვილი ი., საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, თბ. 2018, 132-133, <[http://press.tsu.ge/data/image\\_db\\_innova/Kandashvili%20Irakli.pdf](http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Kandashvili%20Irakli.pdf)> [23.05.2022].

ამასთანავე, თითოეულმა მედიატორმა უნდა გაითავისოს, რომ შეუძლებელია და არაგონივრულიც ყველა ეთიკური დილემის წინასწარ, თუნდაც ეთიკის კარგი წესებით გადაჭრა. ამიტომ მნიშვნელოვანია სათანადო სწავლებითა და ტრენინგით, „მოაზროვნე მედიატორების“ ("thinking mediator") ჩამოყალიბება, რომლებიც ხელმძღვანელობენ რამდენიმე ძლიერი, მარტივი ღირებულებით და შეუძლიათ ახლებურად და შემოქმედებითად უპასუხონ საკითხებსა და შესაძლებლობებს, რომლებიც თავს იჩენს თითოეულ კონფლიქტში.<sup>265</sup> ამგვარი სწავლებისთვის, მნიშვნელოვანია, ეთიკის კომიტეტის მიერ ეთიკური საკითხების განზოგადება და მედიატორებისთვის პრაქტიკული სახელმძღვანელოების შეთავაზება. ასევე ეთიკური დილემების განხილვა მედიატროთა ჩართულობით და დისკუსიის გაძლიერება<sup>266</sup> და არსებული ეთიკის წესების მუდმივ

<sup>265</sup> შტრ. *Davis A. M.*, Ethics: No One Ever Said It Would Be Easy: Bush's Contribution to Mediation Practice, *J. Disp. Resol.*, 1994, 79, <<https://scholarship.law.missouri.edu/jdr/vol1994/iss1/7/>> [15.06.2022]. დევისი უთითებს: გამოაცა ბუშის მოსაზრებამ, რომ ეთიკური საკითხები ღირებულებებს უკავშირდება. ეთიკური დილემები ჩვეულებრივ არ ჩნდება ვაკუუმში. კონფიდენციალობის დაცვა, როგორც წესი, არ წარმოადგენს პრობლემას, სანამ არ გაჩნდება გარკვეული აზრი, რომ ადამიანს აქვს მოვალეობა ინფორმაციის გამჟღავნებაზე. სტატიაში 9 ღირებულება დიაგრამის სახით არის წარმოდგენილი, რომლებიც ურთიერთდაკავშირებულია და რომელიმეს (1. კომპეტენცია, 2. მიუკერძოებლობა, 3. კონფიდენციალურობა, 4. ინფორმირებული თანხმობა, 5. თვითგამორკვევა 6. როლის შეზღუდვა, 7. ზიანის თავიდან აცილება, 8. კეთილსინდისიერება, 9. ინტერესთა კონფლიქტი) გამორიცხვით ირღვევა მთლიანობა.

<sup>266</sup> შტრ. *Anderson D. Q.*, Mediation Ethics: From Theory to Practice, *Field, Rachael and Crowe, Jonathan Edward Elgar Publishing, Conflict Resolution Quarterly, Research Collection School of Law, Vol. 39, (1), 2020-2021, 67-74*, <[https://ink.library.smu.edu.sg/sol\\_research/3699](https://ink.library.smu.edu.sg/sol_research/3699)> [15.06.2022]. მედიაციის ეთიკა უნდა შეესაბამებოდეს მედიაციის პროფესიის ზრდას, მედიაციის გამორჩეულ ბუნებას და ითვალისწინებდეს მედიაციასა და მარეგულირებლებს შორის არსებულ მრავალ საჭიროებას. წიგნი არის მცდელობა, დააკავშიროს თეორია და პრაქტიკა, რამაც შეიძლება საფუძველი ჩაუყაროს უფრო მეტ სიახლეს სამედიაციო საქმიანობაში. ასეთი დისკუსიები ძალზედ საჭიროა მედიაციის პროფესიის აყვავებისთვის,

რეჟიმში გადახედვა.<sup>267</sup> სასამართლოს წარმომადგენლებიც ჩართული უნდა იყვნენ სასამართლო მედიატორებთან დაკავშირებული პოლიტიკის განსაზღვრაში.<sup>268</sup>

მიუხედავად იმისა, რომ მედიაციის დადებითი როლი საოჯახოსამართლებრივი დავების მოგვარებაში აღიარებულია, პრაქტიკაში ხშირად წარმოიშობა ისეთი პრობლემებიც, როდესაც მედიაციის მიზანშეწონილობა, ამა თუ იმ საოჯახოსამართლებრივი დავის განხილვისათვის, ასეთი დავების თავისებურებებისა და საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს. აქ, ძირითადად, იგულისხმება ეთიკური გამოწვევები. მედიატორს მუდმივად მხედველობაში უნდა ჰქონდეს, რომ ყველა საოჯახო საქმე არ არის მედიაციასთან დაკავშირებული. ამიტომ, მან დაჟინებით მორიგება არ უნდა აიძულოს მხარეებს. მან ყოველთვის უნდა გაითვალისწინოს საოჯახო საქმეებში პოტენციური ძალთა დისბალანსის არსებობა; გამოიკვლიოს მისი მიზეზი და შეაფასოს, რა გავლენა ექნება მას მედიაციის ძირითად პრინციპებზე, დააზღვიოს არაინფორმირებული გადანყვებილების მიღებისა

---

რადგან მედიატორები და კომენტატორები აწყდებიან მედიაციის პრაქტიკის წინაშე მდგარ რთულ საკითხებს.

<sup>267</sup> იხ. *Peppet S.R.*, *Lawyers' Bargaining Ethics, Contract and Collaboration: The End of the Legal Profession and the Beginning of Professional Prularism*, *Iowa L. Rev.*, Vol. 90, 2005, 475, <<http://ssrn.com/abstract=893207>> [15.06.2022]. ავტორი წინასწარმეტყველებს რადიკალურ ცვლილებას იურიდიულ პროფესიაში პროფესიის უფრო ჰეტეროგენული რეგულირებისკენ, რომელიც ეფუძნება ეთიკას, როგორც ხელშეკრულებას.

<sup>268</sup> შდრ. *Sharon P.*, *Mediator Ethical Breaches: Implications for Public Policy*, 6 *Yearbook on Arbitration and Mediation*, 2014, 107-169, 113 <<http://open.mitchellhamline.edu/facsch/420>> [15.06.2022]. ა. სასამართლო სრულად არის პასუხისმგებელი მის მიერ დასაქმებულ მედიატორებზე და მის მიერ განხორციელებულ პროგრამებზე. ბ. სასამართლოს აქვს ისეთივე პასუხისმგებლობა განსახორციელოს მედიატორთა და/ან მედიაციის პროგრამების ხარისხის მონიტორინგი სასამართლოს გარეთ, სადაც ის მიმართავს საქმეებს, როგორც საკუთარ პროგრამებზე. გ. სასამართლო არ არის პასუხისმგებელი მხარეთა მიერ არჩეული გარე პროგრამების ხარისხზე ან მოქმედებაზე, რომელთა ხელმძღვანელობა არ ხორციელდება სასამართლოს მიერ.

და გაუცნობიერებელი მიკერძოების რისკები და, შესაბამისად, მიიღოს პროცესის შეჩერების, გაგრძელების ან შეწყვეტის<sup>269</sup> გადაწყვეტილება. განსაკუთრებით საყურადღებოა შიშის ფაქტორი. ასეთ საქმეებზე, მედიატორმა სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს უფლებამოსილი წარმომადგენლისა ან/და ფსიქოლოგის ჩართვის შესახებ ყველა ზომა უნდა მიიღოს, მათ შორის, აღნიშნულის საჭიროებასა და მნიშვნელობაში მხარეთა დასარწმუნებლად.

თუ მედიატორისთვის ცნობილი გახდება მხარეთა შორის ოჯახური ძალადობის ან შევიწროების შესახებ, მედიატორმა უნდა მიიღოს სათანადო ზომები, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, გადადოს, დატოვოს ან შეწყვეტოს მედიაციის პროცესი. ასევე, მედი-

---

<sup>269</sup> მოდელური სტანდარტები საოჯახო და განქორწინების მედიაციისთვის (Model Standards of Practice for Family and Divorce Mediation), ამერიკის საოჯახო და მომრიგებელ სასამართლოთა ასოციაცია (Association of Family and Conciliation Courts), 2000, Standard XI <<https://www.afcnet.org/Portals/0/PDF/ModelStandardsOfPracticeForFamilyAndDivorceMediation.pdf?ver=ykuc9AnD6m4jf9IZs4PhkQ%3d%3d>> [20.05.2022]: საოჯახო მედიატორმა უნდა შეაჩეროს ან შეწყვიტოს მედიაციის პროცესი თუ გონივრულად თვლის, რომ მონაწილეს არ შეუძლია ეფექტიანი მონაწილეობა ან არსებობს სხვა დამაჯერებელი მიზეზები. A. გარემოებები, რომელთა არსებობისას მედიატორმა უნდა განიხილოს ხელშეკრულების შეჩერება ან მედიაციის შეწყვეტა, მათ შორის, შეიძლება იყოს შემთხვევები: 1. საფრთხე ემუქრება მონაწილის უსაფრთხოებას ან ბავშვის კეთილდღეობას; 2. მონაწილეს გატაცებული ყავს ან იმუქრება ბავშვის გატაცებით; 3. მონაწილეს არ შეუძლია პროცესში მონაწილეობა მიიღოს ნარკოტიკების, ალკოჰოლის ან ფიზიკური ზემოქმედების გამო ან ფსიქიკური მდგომარეობის გამო; 4. მონაწილეები აპირებენ დადონ შეთანხმება, რომელსაც მედიატორი გონივრულად თვლის, რომ არაკეთილსინდისიერია; 5. მონაწილე იყენებს მედიაციას შემდგომი, სამომავლო უკანონო ქმედებისთვის; 6. მონაწილე იყენებს მედიაციის პროცესს უსამართლო უპირატესობის მოსაპოვებლად; 7. თუ მედიატორი მიიჩნევს, რომ მედიატორის მიუკერძოებლობა დაირღვა IV სტანდარტის შესაბამისად. (B.) თუ მედიატორი შეაჩერებს ან წყვეტს მედიაციას, მედიატორმა უნდა მიიღოს ყველა გონივრული ნაბიჯი მონაწილეთათვის ზიანის მიყენების ან უხერხულობის შესამცირებლად.

ატორს მხედველობაში უნდა ქონდეს, ასეთ შემთხვევაში, სათანადო ორგანოებისთვის შეტყობინების ვალდებულება.

რაც შეეხება არასრულწლოვნის მონაწილეობასა და ინფორმირებას, სასურველია სასამართლო მედიაციის დროს, არასრულწლოვნის წარმომადგენელი სასამართლომ საქმის გადაცემამდე დანიშნოს, ხოლო კერძო მედიაციაში მედიატორმა ასევე უნდა ისარგებლოს სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მომსახურებით.

საოჯახო მედიაციის მოდელური სტანდარტები დაფუძნებულია ვარაუდზე, რომ მედიაცია არის დავის გადაწყვეტის პროცესი და არ უნდა მოხდეს აღრევა ფსიქიკური ჯანმრთელობის თერაპიასთან, კონსულტაციასთან ან იურიდიულ წარმომადგენლობასთან. მედიატორებს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ, რომ მონაწილეებს გააცნობიერებინონ განსხვავება მედიატორის პროფესიასა და სხვა პროფესიონალებს შორის, რომლებიც შესაძლოა ჩართულნი იყვნენ საოჯახო დავის გადაწყვეტის პროცესში.<sup>270</sup> მაშინაც კი, თუ მედიატორი თერაპევტი და მედიაციაში გამოყენებული ზოგიერთი ტექნიკა გვხვდება თერაპიის სახელმძღვანელოებში, მედიაცია განსხვავდება თერაპიისგან. მედიატორის მიზანია, ხელი შეუწყოს მონაწილეებს შორის მოლაპარაკებას, რომელიც ორიენტირებულია დავის გადაწყვეტაზე და არა ქცევის გრძელვადიან ცვლილებაზე. მაშინაც კი, თუ მედიატორი ადვოკატია, მედიატორი არ წარმოადგენს მხარეს და არ აძლევს იურიდიულ კონსულტაციას მხარეს. ის არის მოლაპარაკებების ნეიტრალური ფასილიტატორი მონაწილისადმი განსაკუთრებული ერთგულების გარეშე. კლიენტს, რომელსაც სურს ინდივიდუალური თერაპია ან დამოუკიდებელი იურიდიული კონსულტაცია, უნდა ისარგებლოს ცალკე პროფესიონალის დახმარებით.<sup>271</sup>

<sup>270</sup> *Schepard A.*, An Introduction to the Model Standards of Practice for Family and Divorce Mediation, *Fam. L. Q. a*, Vol. 35, 2001, 12-13.

<sup>271</sup> იქვე, 13.



რამდენადაც მედიაცია ჩამოყალიბდა ერთგვარ ჰიბრიდად და ის მეცნიერული კუთხით ერთდროულად მოიცავს თავის თავში სამართლის, ფსიქოლოგიის, ფსიქიატრიის, ეთნოლოგიის, კომუნიკაციის უნარების ელემენტებს,<sup>272</sup> მედიაციის განვითარება უკვე ტრადიციულ გაგებას სცილდება. ამის მაგალითია, ტრავმის შესახებ ინფორმირებული მედიაციის მოდელიც<sup>273</sup>. რისი დანერგვაც სა-

<sup>272</sup> *ყანდაშვილი ი.*, საქართველოში მედიაციის მაგალითზე ღავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, თბ. 2018, 63, <[http://press.tsu.ge/data/image\\_db\\_innova/Kandashvili%20Irakli.pdf](http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Kandashvili%20Irakli.pdf)> [23.05.2022].

<sup>273</sup> 2018 წლის შემოდგომაზე, Dawn Kuhlman-მა გააზიარა ტრავმის შესახებ ინფორმირებული მედიაციის მოდელი TEDx Talk-ის მეშვეობით. ტრავმის შესახებ ინფორმირებული მედიაციის (TIM) მისეული ჩარჩო ფოკუსირებულია ემოციების რეგულირებაზე და თანაგრძნობის ობიექტივს მომართვას სხვების გასაგებად. ის ასევე გვთავაზობს ძირითად გაგებას, რომ გარემო და ცხოვრებისეული მოვლენები (აღქმული თუ რეალური) გავლენას ახდენს ტვინის ფუნქციონირებაზე. TIM მოუწოდებს მედიატორებს განიხილონ მედიაციის ნეირომეცნიერება. მნიშვნელოვანია გაირკვეს, მონაწილე მხარეები ოპერირებენ პრეფრონტალური ქერქიდან თუ ამიგდალადან? ამიგდალა ააქტიურებს „შეებრძოლე, გაიქციე, გაშუბდი“ რეაქციას, ხოლო პრეფრონტალური ქერქის გამოყენება იწვევს გონებრივ იერიშსა და პრობლემის გადაჭრას. მხარეები რეაგირებენ გარემოზე თუ პირიქით? შეუძლია თუ არა მხარეს თვითრეგულირება თუ მედიატორს სჭირდება მხარეთა ხელმძღვანელობა ემოციების რეგულირების უნარებში? მხარეები მოქმედებენ შიშით გამონვეული ტვინის რეაქციით? TIM მიდგომა გულისხმობს, როდესაც მხარეები მოქმედებენ თავიანთი შიშით განპირობებული ტვინიდან, არსებობს უუნარობა, დანახონ ვარიანტები და გამოიყენონ პერსპექტივა. მედიაციის პროცესს სარგებელი მოაქვს, როდესაც მხარეები არ გრძობენ თავს ჩაკეტილად, ხედავენ თავიანთ არჩევანს და შეუძლიათ თანაგრძნობა გამოიჩინონ მისი მოპირისპირე მხარის მიმართ. შემეცნების, ემოციების და ქცევების გონებამახვილობა, ტრავმის შესახებ ინფორმირებული მიდგომა ხელს უწყობს როგორც მხარეებს, ასევე მედიატორს, გაზარდონ თვითშეგნება. როდესაც თვითშეგნება დაქვეითებულია, მცირდება აზრების, ემოციების და ქცევების ინფორმირებულობა. დისრეგულაცია იწვევს ემოციურ რეაქტიულობაზე დამოკიდებულებას და არა გააზრებულ რეაგირებას. მედიატორებს შეუძლიათ უხელმძღვანელონ მხარეებს ავტომატური ნეგატიური აზრების (ANTs)

ქართველოში საოჯახოსამართლებრივ საქმეებზე ძალიან სასარგებლო შეიძლება იყოს. ისეთ შემთხვევებში, სადაც სახეზეა ტრავმის შესახებ ინფორმაცია სოციალური რეაბილიტაციის ცენტრების სერვისებით სარგებლობით შეიძლება მხარეებმა ტრავმის ნეგატიური შედეგები დაძლიონ და მედიაციაში შეძლონ წარმატების მიღწევა, რამდენადაც ტრავმის შესახებ ინფორმირებული მედიაციის (TIM) ჩარჩო ფოკუსირებულია ემოციების რეგულირებაზე და მხარეებს სთავაზობს ფსიქიკური ჯანმრთელობის პროვაიდერების მომსახურებას, რათა მათ შეძლონ ემოციების გრძელვადიანი რეგულირება. აღნიშნული სერვისების გამოყენების ნახალისებაზე, სასურველია ეროვნულ მედიატორთა ეთიკის კოდექსშიც გაჩნდეს ჩანაწერი, მით უფრო, რომ საოჯახოსამარ-

---

შეცვლაზე პოზიტიური ან ნეიტრალური აზრებით; გამოიყენონ ემოციების რეგულირების ტექნიკა ღრმა სუნთქვით ან ჩუმად ჯდომით; და დაადგინონ, რომელი ქცევებია დამხმარე და მავნე მედიაციის პროცესისთვის. მხარის ფსიქიკურ კონტინუუმზე არის ABLE (უნარიანი) ერთ ბოლოზე და UNABLE (უუნარო) - მეორეზე. სამწუხაროდ, დისრეგულაციის ზრდა დაკავშირებულია წარმატებული მედიაციის უუნარობასთან. ამიგდალა მედიაციის მამოძრავებელი ძალაა და სისტემა ვერ რეგულირდება მედიაციის პროცესში. შუამავლები ნაკლებად უნდა იყვნენ ორიენტირებულნი შეთანხმებაზე. მხარეებს, რომლებსაც არ შეუძლიათ მედიაციის პროცესში მონაწილეობა, როგორც ჩანს, განიცდიან მძიმე ფსიქიკურ ტკივილს. უიმედობისა და უმწეობის განცდამ შეიძლება მოიცვას მედიაციის სხდომა და გამოინვიოს მხარეში „მეორადი ტრავმა“. მეორადი ტრავმის გავლენის უკეთ გაგებისა და თავიდან აცილების მიზნით, მტკიცებულებებზე დაფუძნებული, ტვინზე დაფუძნებული მკურნალობა - მათ შორის EMDR, ნეიროფიდებეკი, ბრინსპოტინგი, ემოციური თავისუფლების ტექნიკა (EFT) და სომატური გამოცდილება - შეიძლება დაეხმაროს მხარეებს ემოციების გრძელვადიან რეგულირებაში. ტრავმის შესახებ ინფორმირებული მიდგომა ხელს უწყობს თანამშრომლობას საზოგადოების პროვაიდერებთან. მხარეებს შეიძლება მიენოდოთ ფსიქიკური ჯანმრთელობის პროვაიდერების სია და მისი გადანყვეტილება თვითგამორკვევის გზით დაუკავშირდეს პროვაიდერებს და დაადგინოს რომელმაც მკურნალობამ შეიძლება საუკეთესოდ დააკმაყოფილოს მისი საჭიროებები. Trauma Informed Mediation, <<https://www.marchmediation.org/traumainformedmediation.html>> [20.05.2022].

თლებრივი საქმეები მხარეთა ემოციური თვალსაზრისით დატვირთულია, ხოლო არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფა მულტიდისციპლინურ მიდგომებს მოითხოვს.

### **ბიბლიოგრაფია:**

1. საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 1106, 14/11/1997.
2. საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 4954-IX, 18/09/2019.
3. საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 786, 24/07/1997.
4. საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 3143, 09/06/2006.
5. საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 5004-IX, 20/09/2019.
6. სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, 24/04/2021, დამტკიცებული საერთო კრების მიერ, <<https://mediators.ge/uploads/files/60a4d7fd3f27f.pdf>> [20.05.2022].
7. სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ ნესდება, 2021 წლის 18 დეკემბრის რედაქციით, <<https://mediators.ge/uploads/files/-61e5461953578.pdf>> [20.05.2022].
8. სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ „არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის სფეროში მედიატორთა სპეციალიზაციის დებულება“, დამტკიცებულია 2020 წლის 3 აგვისტოს საქართველოს მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ, <<https://mediators.ge/uploads/files/624d38b91494e.pdf>> [20.05.2022].
9. სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ „მედიატორთა დისციპლინური საქმისწარმოების დებულება“, დამტკიცებულია 2021 წლის 24 აპრილის საერთო კრების მიერ, <<https://mediators.ge/uploads/files/60a4db1cc692f.pdf>> [20.05.2022].

10. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 27 დეკემბრის №1/366 გადაწყვეტილება „სასამართლო მედიაციის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ <<http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2019%20-%20gadawyvetilebebi/366.pdf>> [20.05.2022].
11. ალფინი ჯ. ჯ., დავის მოგვარების ეთიკა, მთარგმნელები: უზნაძე ნ., ჩიტაშვილი ნ., ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა წელიწდეული“ 2020-2021, 8, <[https://ncadr.tsu.ge/images/file/adr\\_2020\\_2021\\_d.pdf](https://ncadr.tsu.ge/images/file/adr_2020_2021_d.pdf)> [20.05.2022].
12. გურიელი ა., მოსამართლის უფლებამოსილება სასამართლო მედიაციის წარმართვის პროცესში, თბ., 2019, 28-29, 52-54, 65-66. კაკოიშვილი დ., მედიატორის ეთიკური ვალდებულებები მედიაციის პროცესში, თბ., 2020, 2, 4, 6, 8, 9-12, 15-16, 22-29, <<http://www.library-court.ge/upload/46302020-12-01.pdf>> [20.05.2022].
13. ორჯონიკიძე ე., მედიაციის გზამკვლევი, თბ., 2021, 24-25, 29-30, 33, 49-50, 80-81, <[https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/library/-democratic\\_governance/mediation-guide.html](https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/library/-democratic_governance/mediation-guide.html)> [20.05.2022].
14. ოსტერმილერი ს. მ., სვენსონი დ. რ., დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, საბაზისო სახელმძღვანელო, თბ., 2014, 130, 177.
15. ყანდაშვილი ი., საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, თბ., 2018, 15, 37-38, 63-64, 72, 77-78, 126, 132-133, 248, <[http://press.tsu.ge/data/image\\_db\\_innova/Kandashvili%20Irakli.pdf](http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Kandashvili%20Irakli.pdf)> [23.05.2022].
16. ჩიტაშვილი ნ., ადვოკატ-მედიატორის ცალკეულ ეთიკურ ვალდებულებათა თავისებურება და რეგულირების აუცილებლობა, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2016, <<https://tsu.ge/assets/media/files/8-/Publications/Sam-Journ-N2-2016G.pdf>> [20.05.2022].
17. ჩიტაშვილი ნ., მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2016, 24, 25, 26, 27, 28-36, 46-47, <<https://tsu.ge/assets/media/files/8-/Publications/Sam-Journ-N1-2016G.pdf>> [20.05.2022].
18. ცერცვაძე გ., მედიაცია, თბ., 2010, 170, 267-268.
19. Belgium Judicial Code, Art. 1736.

20. Model Standards of Conduct for Mediators, American Arbitration Association, American Bar Association and the Association for Conflict Resolution, adopted 1994, amended in 2005, <[https://www.adr.org/sites/default/files/document\\_repository/AAA-Mediators-Model-Standards-of-Conduct-10-14-2010.pdf](https://www.adr.org/sites/default/files/document_repository/AAA-Mediators-Model-Standards-of-Conduct-10-14-2010.pdf)> [20.05.2022].
21. Standards of Ethics of Professional Responsibility for Certified Mediators, Judicial Council of Virginia, 2005, <<http://www.courts.state.va.us/soe/soe.htm>> [20.05.2022].
22. European Code of Conduct for Mediators, 2004, <<https://www.kearns.co.uk/wp-content/uploads/2017/06/European-code-of-conduct-for-mediators.pdf>> [20.05.2022].
23. Model Standards of Practice for Family and Divorce Mediation, Association of Family and Conciliation Courts), 2000, <<https://www.afccnet.org/Portals/0/PDF/ModelStandardsOfPracticeForFamilyAndDivorceMediation.pdf?ver=ykuc9AnD6m4jtf9IZs4PhkQ%3d%3d>> [20.05.2022].
24. European Mediation Training for Practitioners of Justice, A Guide to European Mediation, Association of International Arbitration (ed.), Antwerpen, Apeldoorn, Portland, Maklu, 2012, 221.
25. Family Mediation and Equality of Sexes, Recommendation 1639 (2003), Author(s): Parliamentary Assembly, Origin - (see Doc. 9983, report of the Committee on Equal Opportunities for Women and Men, rapporteur: Ms Err; and Doc. 10002, opinion of the Social, Health and Family Affairs Committee, rapporteur: Ms Milotinova). Text adopted by the Standing Committee, acting on behalf of the Assembly, on 25 November 2003.
26. *Abramson H.*, Crossing Crossing Borders into New Ethical Territory: Ethical Challenges When Mediating Cross-Culturally, *S. Tex. L. Rev.*, Vol. 49, 921, 2008, 924, 941-942.
27. *Anderson D. Q.*, Mediation Ethics: From Theory to Practice, Field, Rachael and Crowe, Jonathan Edward Elgar Publishing, *Conflict Resolution Quarterly*, Research Collection School of Law, Vol. 39, (1), 2020-2021, 67-74, <[https://ink.library.smu.edu.sg/sol\\_research/3699](https://ink.library.smu.edu.sg/sol_research/3699)> [15.06.2022].
28. *Barsky A., Este D., Collins D.*, Cultural Competence in Family Mediation, *Mediation Quarterly*, Vol. 13, №3, Jossey-Bass Publishers, Spring 1996, 155-178.

29. *Bernard S. E., Folger J. P., Weingarten H. R., Zumeta Z. R.*, The Neutral Mediator: Value Dilemmas in Divorce Mediation, *Mediation Quarterly*, №4, 1984, 61-74.
30. *Bishop T. A.*, Mediation Standards: An Ethical Safety Net, *Mediation Quarterly*, №4, June 1984, 5-17.
31. *Chitashvili N.*, Fair Settlement as Basis for Ethical Integrity of Mediation, *TSU ADR Yearbook*, 2016, 24-37, <<https://adryearbook.tsu.ge/index.php/-ADR/article/view/3025/3219>> [24.08.2022].
32. *Cleak H., Schofield M., Bickerdike A.*, Efficacy of Family Mediation and the Role of Family Violence: Study Protocol, *BMC Public Health* 14, 57, 2014, <<https://doi.org/10.1186/1471-2458-14-57>> [20.05.2022].
33. *Crouch R. E.*, Divorce Mediation and Legal Ethics, *Family Law Quarterly*, Vol. 16, №3, 1982.
34. *Cohen J. R.*, DR Ethics Book Brings It All Together, *Disp. Resol., Mag.*, Vol. 26, №4, 2002, <<http://scholarship.law.ufl.edu/facultypub/571>> [15.06.2022].
35. *Cohen O., Dattner N., Luxenburg A.*, The Limits of the Mediator's Neutrality, *Mediation Quarterly*, Vol. 16, №4, 1999, 224.
36. *Cooley J. W.*, Defining the Ethical Limits of Acceptable Deception in Mediation, *Pepp. Disp. Resol. L.J.*, Vol. 4, Issue 2, 2004, <<https://digitalcommons.pepperdine.edu/drlj/vol4/iss2/8>> [15.06.2022].
37. *DeMayo R. A.*, Practical and Ethical Concerns in Divorce Mediation: Attending to Emotional Factors Affecting Mediator Judgment, *Mediation Quarterly*, Vol. 13, №3, 1996, <<https://onlinelibrary.wiley.com/doi/abs/10.1002/crq.3900130307>> [02.09.2022].
38. *Davis A. M.*, Ethics: No One Ever Said It Would Be Easy: Bush's Contribution to Mediation Practice, *J. Disp. Resol.*, 1994, 79, <<https://scholarship.law.missouri.edu/jdr/vol1994/iss1/7>> [15.06.2022].
39. *Dibble C. M.*, Bargaining in Family Mediation: Ethical Considerations, *Mediation Quarterly*, №4, 1984.
40. *Folberg J., Milne A. L., Salem P.*, Divorce and Family Mediation, Models, Techniques and Applications, The Guilford Press, New York, London, 2004.
41. *Girdner L. K.*, Mediation Triage: Screening for Spouse abuse in Divorce Mediation, *Mediation Quarterly*, Vol. 7(4), 1990, 374.
42. *Greenberg E. E.*, Hey, Big Spender: Ethical Guidelines for Dispute Resolution Professionals when Professionals when Parties are Backed by Third-Party Funders, *Arizona State Law Journal*, 51:0131, 2019, <<https://>

- scholarship.law.stjohns.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1187&context=faculty\_publications> [15.06.2022].
43. *Hyman J. M., Love L. P.*, If Portia Were a Mediator: an Inquiry into Justice in Mediation, *Clinical L. Rev.*, Vol. 9, 2002, 157, 186.
  44. *Irving H. H., Benjamin M.*, Therapeutic Family Mediation: Helping Families Resolve Conflict, *Helping Families Resolve Conflict*, Sage Publications, London, 2002, 149.
  45. *Ketani A.*, Innovation in training Family Mediators in England and Wales, Virtual Conference, Croatia, Entrenova, 2020, 10-12.
  46. *Kishore S.*, The Evolving Concepts of Neutrality and Impartiality in Mediation, *Commonwealth Law Bulletin*, Vol. 32, №2, 2006, 222.
  47. *Mashburn S.*, Mediating a Family: The Use of Mediation in the Formation and Enforcement of Post-Adoption Contact Agreements, 2015 *J. Disp. Resol.*, Issue 2, 2015, <<https://scholarship.law.missouri.edu/jdr/vol2015/-iss2/7/>> [20.05.2022].
  48. *Moore C.*, *The Mediation Process: Practical Strategies for Resolving Conflict*, San Francisco, 1986, 52.
  49. *Nolan-Haley J. M.*, Court Mediation and the Search for Justice through Law, *Washington University Law Quarterly*, Vol. 74-47, 1996, 57, 69.
  50. *Peppet S. R.*, Lawyers' Bargaining Ethics, Contract and Collaboration: The End of the Legal Profession and the Beginning of Professional Prularism, *Iowa L. Rev.*, Vol. 90, 2005, 475, <<http://ssrn.com/abstract=893207>> [15.06.2022].
  51. *Peppet S. R.*, ADR Ethics, *J. Legal Education*, Vol. 54, 2004, 72, 77-78, <<https://scholar.law.colorado.edu/articles/501>> [15.06.2022].
  52. *Phillips F.*, *Ethics of the Legal Profession*, Routledge-Cavendish, New York, 2016, first published 2004.
  53. *Riskin L. L.*, Mediator Orientations, Strategies and Techniques, Alternatives to the High Cost of Litigation, *Alternatives* 111, Vol. 12, №9, 1994, 114.
  54. *Roberts M.*, Systems or Selves? Some Ethical Issues in Family Mediation, *Conflict Resolution Quarterly*, Vol. 10, Issue 1, 1992.
  55. *Rogers C. A.*, Fit and Function in Legal Ethics: Developing a Code of Conduct for International Arbitration, *Mich. J. Int'l L.*, Vol. 23, 2002, 341.
  56. *Schepard A.*, An Introduction to the Model Standards of Practice for Family and Divorce Mediation, *Fam. L. Q. a*, Vol. 35, 2001, 2, 8, 12-13, 15-20.

57. *Saikia N.*, The Role of Mediation in Family Law Cases, Should it be Mandatory?, Bangalore Institute of Legal Studies 5<sup>th</sup> Year, B.A. LL.B. (Hons.), Vol. 1, Issue 2, 2020.
58. *Sharon P.*, Mediator Ethical Breaches: Implications for Public Policy, 6 Yearbook on Arbitration and Mediation, 2014, 113, 107-169, <<http://open.mitchellhamline.edu/facsch/420>> [15.06.2022].
59. *Smithson J., Barlow A., Hunter R., Ewing J.*, The Moral Order in Family Mediation: Negotiating Competing Values, Conflict Resolution Quarterly, Vol. 35, №2, 2017, 174, <<https://onlinelibrary.wiley.com/doi/epdf/10.1002/crq.21195>> [02.09.2022].
60. *Steegh N.V.*, Yes, No, and Maybe: Informed Decision Making about Divorce Mediation in the Presence of Domestic Violence, Wm. & Mary J. Women & L., Vol. 9, 2003, 145-206.
61. *Tojjeva A.*, Family Mediation: A New Form of Resolving Family Disputes, The American Journal of Political Science Law and Criminology, 2021, <<https://doi.org/10.37547/tajpslc/Volume03Issue06-05>> [15.06.2022].
62. *Waldman E.*, Mediation Ethics, Cases and Commentaries, Jossey-Bass A Wiley Imprint, San Francisco, 2010, 3, 21, 87, 91, 94-98, 100-101, 104-105, 107.



ნათია ჩიტაშვილი\*  
ანა მღვდელაძე\*\*  
ჯულია კახნიაშვილი\*\*\*

## მედიატორის მომსახურების საფასურისა და პროცესის ხარჯების სამართლიანი განაწილების პრინციპის რეგულირების საკითხისათვის

მედიაციის პროცესი ფართოდაა აღიარებული როგორც დავის გადაწყვეტის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი საშუალება ხარჯებისა და რესურსების დაზოგვის თვალსაზრისით. მედიაციის მომსახურების საფასურისა და ხარჯების სამართლიანი განაწილების საკითხი პროცესის მხარეთა შორის არათანაზომიერი რესურსების არსებობისას მედიაციის ეთიკის თვალსაზრისით პრობლემატური საკითხია და აჩენს არაერთ დილემას მედიატორის მიუკერძოებლობის, დამოუკიდებლობის, მხარეთა თანაბრობისა და შინაარსობრივ-პროცესუალური სამართლიანობის კუთხით.

სტატიაში განხილული იქნება მედიაციის მხარეთა შორის ძალთა დისბალანსის გამომწვევი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები და აღნიშნულით გამოწვეული მედიაციის ფუნდამენტური პრინციპების შესაძლო ხელყოფის თანმდევი რისკე-

---

\* სამართლის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, თანამედროვე კერძო სამართლის ინსტიტუტის წევრი, საქართველოს მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი, მედიატორი, კოლექტიური შრომითი დავის მედიატორი, მედიატორთა ტრენინგ-შემფასებელი, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი.

\*\* სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მედიატორთა ერთიანი რეესტრის წევრობის სერტიფიცირებული კანდიდატი, სტაჟირი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრის სტაჟირი.

\*\*\* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრისა და სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის სტაჟირი.

ბი. *De lele ferenda*-ს სახით, ნაშრომში შემოთავაზებულია საქართველოს მედიატორთა ეთიკის კოდექსის რეგულირების ფარგლების გაფართოება სამართლიანი სამედიაციო პრაქტიკის გაძლიერებისა და მედიაციის ფართოდ გამოყენების ხელშეწყობისთვის.

**საკვანძო სიტყვები:** მედიაცია, მედიატორი, ხარჯები, დისბალანსი, სუბიექტივიზმი, სუსტი მხარე, განაწილება, კონფლიქტი.

## 1. შესავალი

საზოგადოების განვითარებისა და დავის გადაწყვეტის შიდა-სახელმწიფოებრივი სისტემის დივერსიფიცირების კვალდაკვალ სულ უფრო აქტუალური და გამოყენებადი ხდება დავის გადაწყვეტა მედიაციის გზით, რომელსაც პროცესში ფუნდამენტური ღირებულების სახით ვრცელი მასშტაბით შემოჰყავს მხარის ავტონომიურობის პრინციპი. მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფი ფუნქციის გარდა, მედიაციის წარმატებას განაპირობებს განვითარებულ მართლწესრიგთა გარდუვალი რეალობა, რომ ფორმალიზებული სასამართლო სისტემა წელი და ძვირადღირებულია.<sup>1</sup>

მედიაცია მხარეთა შორის წარმოშობილი დავის მოგვარების სრულიად ახალ შესაძლებლობას ქმნის. ვინაიდან ამ პროცესში თითოეული მხარე თანაბრად მონაწილეობს, დიალოგის წარმოებისა და საბოლოო შეთანხმების პირობების შედგენისას გათვალისწინებულია მოლაპარაკების ყველა მხარის ინტერესი. შესაბამისად, დავის საბოლოო ბედი მხარეთათვის განჭვრეტადია, განსხვავებით სასამართლო და საარბიტრაჟო განხილვებისგან, რომელთა გადაწყვეტილების შინაარსი აუცილებლად სამართლებრივ ჩარჩოებში ექცევა და მხარეები შებოჭილნი არიან თავად აიღონ პროცესის

---

<sup>1</sup> ოსტერმილერი ს.მ., სვენსონი დ.რ., დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 125.

მართვის სადავეები.<sup>2</sup> მხარეთა ავტონომია გარდუვალად მოითხოვს მხარისათვის შინაარსობრივ-პროცესუალური კონტროლის მინიჭებას,<sup>3</sup> რომელიც ასევე განსაზღვრავს სამედიაციო ხარჯების მხარეთა ნების ავტონომიით, ნებაყოფლობით განაწილების აუცილებლობას გონივრული საკანონმდებლო და ეთიკური რეგულატორული შეზღუდვის ფარგლებში.

წინააღმდეგობრივი სოციალური კავშირებისა და გართულებული სამოქალაქო ბრუნვის პირობებში, თანამედროვე საზოგადოება განსაკუთრებით მიდრეკილია დავებისადმი, რაც იწვევს სასამართლოს გადატვირთულობას, განაპირობებს გახანგრძლივებულ და დროში გაჭიანურებულ მართლმსაჯულების სისტემასა და მოდავე მხარეების მზარდ ფინანსურ დანახარჯებს.<sup>4</sup> სწორედ ეს ფაქტორი განაპირობებს იმას, რომ საზოგადოებას არ აქვს გამარტივებული შესაძლებლობა საკუთარი უფლების დაცვის მექანიზმზე ხელი დროულად მიუწვდებოდეს. ილია ჭავჭავაძე თავის არაერთ ნაწარმოებში წერდა მორიგების დადებით მხარეზე და იმ გამონკვევებზე, რაც მართლმსაჯულების მომხმარებელთათვის დღესაც ხშირ შემთხვევაში დაუძლეველი გამოწვევაა - სასამართლოში გახანგრძლივებული საქმისწარმოება და მაღალი საპროცესო ხარჯები, რომლის ალტერნატივად დღეს უკვე სამართლებრივი რეგულაციების საფუძველზე იწერება XXI საუკუნის მართლმსაჯულება - მედიაციის სახით.<sup>5</sup> ილიას დამოკიდებულება სწრაფი მართლმსა-

<sup>2</sup> *ორჯონიკიძე ე.*, მედიაციის გზამკვლევი (პუბლიკაცია), თბ., 2021, 10.

<sup>3</sup> დაწვრილებით იხ. *ჩიტაშვილი ნ.*, მხარეთა ავტონომიის, არსობრივი და პროცედურული სამართლიანობის პრინციპი მედიაციაში, *ჟურნ. „საზოგადოებრივი ადვოკატი“*, იურიდიული დახმარების სამსახური, 2022 №3, 26-33, შემდგომი მითითებებით.

<sup>4</sup> *Esplugues C., Marquis L.*, *New Developments in Civil and Commercial Mediation*, Springer, Vol. 6, 2015, 2, მითითებულია: *ყანდაშვილი ი.*, მედიაცია: საადვოკატო საქმიანობის განხორციელების ახალი არეალი, *ჟურნ. „ჩემი ადვოკატი“*, №4, 2020, 10.

<sup>5</sup> *ჭავჭავაძე ი.*, მომრიგებელი მოსამართლეობა ჩვენში, წერილი მეექვსე, პუბლიცისტური წერილები, ტ. IV, თბ., 1987, 358, 360, მითითებულია: *ყანდაშვილი ი.*, მედიაცია (ღაღის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება), თბ., 2020, 274.

ჯულებისადმი ხელმისაწვდომობის შესახებ კარად ჩანს 1886 წლის 19 აპრილს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „მომრიგებელი სასამართლოების შესახებ“: „რაც უფრო ცხოვრება წინ მიდის, ურთიერთობა კაცთა შორის მით უფრო რთული ხდება, ალებ-მიცემობა ცხოველდება და მომრიგებელის სასამართლოს მნიშვნელობაც ჰმატულობს.. სასამართლოს საქმეები ემატება და მცირე რიცხვი სასამართლოებისა ველარ აკმაყოფილებს ადგილის მართლმსაჯულების საჭიროებას. ხოლო თუ მართლმსაჯულება ისე ხელმოკლეა, რომ ვერა სწვდება ადგილის საჭიროებას, თუ ამ ხელმოკლეობის გამო ყველას არ შეუძლიან ადვილად და სწრაფად მიჰმართოს მართლმსაჯულებას სიმართლის აღსადგენად, ცხოვრება სანატრელის გზით ველარ იწარმოებს, ყოველდღიური მიმდინარეობა მისი შეფერხდება და ეს შეფერხება უწინარეს ყოვლისა დაეტყობა ხალხის ეკონომიკურ ყოფა-ცხოვრებას და ზნეობრივს მდგომარეობას. ხალხს სწრაფი და მარტივი, უფორმალურო სამართალი სჭირია... დარღვეულ უფლებასა მსწრაფლ აღდგინება უნდა“.<sup>6</sup>

ბევრ ქვეყანაში, საქართველოს ჩათვლით, მცირე შემოსავლის მქონე პირებს ხელი არ მიუწვდებათ დავის გადაწყვეტის ძვირადღირებულ მექანიზმზე, რადგან მათ არ შეუძლიათ წარმომადგენლობის თუ მრავალეტაპიანი სამართალწარმოების საფასურის უზრუნველყოფა, რაც აუცილებელია ფორმალურ-სამართლებრივ სისტემაზე წვდომისთვის.<sup>7</sup> კონფლიქტში ჩართული მხარეები მუდამ ცდილობდნენ მოეძიებინათ ის საშუალებები, რაც მათ კონფლიქტს, ნაცვლად გახანგრძლივებული პროცესისა და დამატებითი ფინან-

<sup>6</sup> იხ. ასევე, *თორდია ვ.*, მედიაცია საქართველოში და მისი განვითარების პერსპექტივები, მოსამართლეთა საქმიანობის შეფასება, სასამართლო მედიაცია და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბ., 2017, 62, <<https://rm.coe.int/mosamartleta-saqmianobis-shefaseba-for-web/1680788227>> [11.11.2022].

<sup>7</sup> *Brown S., Cervenak Ch., Fairman D.*, Alternative Dispute Desolution Practitioners Guide, 13, <<https://www.usaid.gov/sites/default/files/documents/1868/200sbe.pdf>> [11.11.2022].

სური დანახარჯისა, უფრო ეფექტიანად გადაწყვეტა<sup>8</sup>, მით უფრო მხარის მიერ მისი საქმის სამართლებრივი ბედის ავტონომიური კონტროლის შესაძლებლობით. ვინაიდან დაყოვნებული მართლმსაჯულება უარყოფილი მართლმსაჯულებაა, მედიაცია რესურსებისა და დროის დაზოგვის გზით გამარტივებულად უზრუნველყოფს მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობას იმ გარანტიით, რომ სამედიაცო მორიგება შეიძლება აღსრულდეს სასამართლოს მიერ, სასამართლომ მხარეთა ნება აქციოს მართლმსაჯულების აქტად, როდესაც მართლზომიერი და აღსრულებადი სამედიაცო მორიგება დამტკიცდება სასამართლო გადაწყვეტილებით. ამასთან, მომსახურების საფასური და სხვა ხარჯები მედიაციაში ბევრად ნაკლებია დავის გადაწყვეტის „ტრადიციულნ მეთოდებთან შედარებით.“<sup>9</sup>

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, თუ რამდენად მნიშვნელოვან როლს ასრულებს მედიაცია დავის გადაწყვეტის პროცესში როგორც ფინანსური, ისე ადამიანური რესურსების კუთხით, რომელშიც მოიაზრება არა მხოლოდ ხარჯებისა და დროის, ასევე სასიცოცხლო ენერჯისა და ემოციების დაზოგვა. სწორედ ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა იმისა, რომ მეოცე საუკუნიდან მედიაცია, როგორც დავის გადაწყვეტის საშუალება, თავიდან „დაიბადა“ და მოიცვა საზოგადოების ფართო ფენები. მედიაციის გავრცელებასა და დამკვიდრებას აქვს მრავალი ობიექტური წინაპირობა, თუმცა დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ამ ფორმის დანერგვის ერთ-ერთ ყველაზე მეტად გავრცელებულ საფუძველს წარმოადგენს მისი თვალმისაცემი უპირატე-

<sup>8</sup> *Poon G.P.*, *The Corporate Counsel's Guide to Mediation*, First Chair Press, American Bar Association, United States of America, 2010, 9, მითითებულია: *ყანდაშვილი ი.*, მედიაცია: საადვოკატო საქმიანობის განხორციელების ახალი არეალი, *ჟურნ. „ჩემი ადვოკატი“*, №4, 2020.

<sup>9</sup> *Patil A.R.*, *Consumer Handbook on Mediation (FAQ)*, 2021, 18-19, <[https://consumeraffairs.nic.in/sites/default/files/file-uploads/latestnews/ConsumerHandbook\\_Mediation.pdf](https://consumeraffairs.nic.in/sites/default/files/file-uploads/latestnews/ConsumerHandbook_Mediation.pdf)> [11.11.2022].

სობა ხარჯებისა და დროის დანახარჯის კუთხით.<sup>10</sup> ეს კი გამონვე-  
ულია იმით, რომ მედიაცია არ არის ფორმალური მტკიცებითი  
პროცესი, რომელიც მოითხოვს ექსპერტის, მოწმეების ან მტკიცე-  
ბულებების გამოყენებას პროცესში.<sup>11</sup>

მედიაცია დავების გადაწყვეტის მომავალზე ორიენტირებული  
მექანიზმია.<sup>12</sup> შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია საფუძველში-  
ვე იყოს პროცესი მაქსიმალურად გამართული იმისათვის, რომ შემ-  
დგომი ეტაპებიც გეგმაზომიერად, გააზრებულად და დაბრკოლე-  
ბის გარეშე წარიმართოს, ხოლო მხარეები კი საწყის ეტაპზევე იყ-  
ვნენ სრულყოფილად ინფორმირებულნი პროცესთან და მოსალოდ-  
ნელ ხარჯებთან დაკავშირებით, რომ მათი მხრიდანაც შემდგომ სა-  
თანადო უკუკავშირი დამყარდეს.

იმ შემთხვევაში, როდესაც საწყის ეტაპზე მხარეები არ არიან  
სათანადოდ აღჭურვილნი ინფორმაციით, განსაკუთრებით, გან-  
სხვავებულ ფინანსურ პირობებში ყოფნისას, წარმოიშობა მხარე-  
ებს შორის არათანაბარი მდგომარეობა, რაც ბუნებრივია, პიროვ-  
ნებაში პროცესის არასრულფასოვნების განცდას იწვევს და, შესა-  
ბამისად, რთულდება შეთანხმების მიღწევისკენ სვლა, რითაც ჭია-  
ნურდება პროცესი და აღნიშნული მხარეთა უკმაყოფილების მიზე-  
ზი ხდება. ეს ფაქტორი განსაკუთრებით ძლიერად არის წარმოდგე-  
ნილი საქართველოში, სადაც სუბიექტური სიმპათია და ანტიპათია  
უდიდეს როლს თამაშობს.<sup>13</sup> მითუმეტეს, რომ საზოგადოება საქარ-  
თველოში საკმაოდ მძაფრად რეაგირებს მსგავსი სახის ქმედებებ-

<sup>10</sup> *Rashda R.*, *Alternative Dispute Resolution*, Lexis Nexis, 2014, 3, მითითებულია:  
*ყანდაშვილი ი.*, მედიაცია (დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუა-  
ლება), თბ., 2020, 31.

<sup>11</sup> *Şimşek N.S., Bölten K.*, *Mediation as a Charming Dispute Resolution Mechanism*,  
4, <<https://www.gsg hukuk.com/en/publications-bulletins/articles/mediation-as-a-charming-dispute-resolution-mechanism-gsg.pdf>> [11.11.2022].

<sup>12</sup> *Schiffer J.K. (Hrsg)*, *Mandatspraxis Sciedsverfahren und Mediation 2*. Neu  
Bearbeitete und Erweiterte Auflage, “Carl Heymann,” Köln, Berlin, München,  
2005, 6, მითითებულია: *ცერცვაძე გ.*, მედიაცია - დავის გადაწყვეტის ალ-  
ტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა) თბ., 2010, 110.

<sup>13</sup> *ცერცვაძე გ.*, მედიაცია - დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა  
(ზოგადი მიმოხილვა), თბ., 2010, 229.

ზე, რაც აისახება კიდევ მათ ფსიქოლოგიურ დამოკიდებულებაზე და პროცესის შემდგომი გაგრძელება დროისა და რესურსის ფუჭ კარგვად შეიძლება იქცეს.

მედიაციის დადებით მხარეებად უპირველეს ყოვლისა მოიაზრება მორიგების დიდი შესაძლებლობა, საარბიტრაჟო და სასამართლო განხილვასთან შედარებით ნაკლები ხარჯები, სწრაფი მოქმედების უნარი, კონფიდენციალობა, მედიატორების კონკრეტულ სფეროებში სპეციალიზაცია, მხარეთა მიერ შედეგების კონტროლის შესაძლებლობა და ა.შ.<sup>14</sup> თუმცა უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი დავა დაკავშირებულია ძალთა არათანაბარ განაწილებასთან. ერთი მხარე გაცილებით ძლიერი შეიძლება აღმოჩნდეს მეორესთან შედარებით. მოლაპარაკების ძალაუფლების არათანაბრობა შეიძლება გამონეული იყოს ერთ-ერთი მხარის მძლავრი, უპირატესი ფინანსური მდგომარეობით.<sup>15</sup>

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ყურადღებას იპყრობს საკითხი, თუ რა როლი აქვს ასეთ ვითარებაში სახელმწიფოს, რათა საკანონმდებლო გარანტიებით „გაუადვილოს“ მხარეებს მედიაციის გამოყენება. მოცემულ შემთხვევაში დავის გადანყვეტის პროცესის ხარჯთეფექტიანობის უზრუნველყოფა ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ და მნიშვნელოვან მოტივაციად რჩება.<sup>16</sup> ამდენად, ვინაიდან ეს მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხი დოქტრინაში ნაკლებადაა დამუშავებული, საჭიროებს მეტ ყურადღებას სამეცნიერო თუ პრაქტიკული დისკურსის ფარგლებში.

<sup>14</sup> *Schiffer J.K. (Hrsg), Mandatspraxis Sciedsverfahren und Mediation 2. Neu Bearbeitete und Erweiterte Auflage, “Carl Heymann“, Köln, Berlin, München, 2005, 257-262, მითითებულია: იქვე, 39.*

<sup>15</sup> *ოსტერმილერი ს.მ., სვენსონი დ.რ., დავის გადანყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 282.*

<sup>16</sup> *Kilian M., Wielgosz J., Gerichtsnaher Mediation – Rechtsvergleichende Betrachtungen zur Einbindung alternativer Konfliktlösungsmechanismen in das Zivilverfahrensrecht, in: Zeitschrift für Zivilprozess International, 9. Band. 2004, “Carl Heymann“, Köln, 2005, 395, მითითებულია: ცერცვაძე გ., მედიაცია - დავის გადანყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 2010, 68.*

## 2. მედიატორის ნეიტრალობა და სამედიაციო პროცესის შედეგით დაინტერესების აკრძალვა

მედიატორის როლი არსებითად ვლინდება მის ვალდებულებაში, იყოს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მხარეების მიმართ. აღნიშნული პრინციპების დაუცველობისას პროცესში თავს იჩენს სუბიექტივიზმი, რაც, თავის მხრივ, საწყის ეტაპზევე უნდობლობას გამოიწვევს მთლიანი პროცესის მიმართ. მედიატორებს მოეთხოვებათ ადრეულ ეტაპზევე მხარეების ინფორმირება მედიატორის მომსახურების საფასურისა და სხვა ხარჯების შესახებ. ასეთი შეთანხმების გაფორმება აუცილებელია წერილობითი ფორმით მედიაციის დაწყებამდე<sup>17</sup> კერძო მედიაციის ინიცირების ეტაპზე მედიაციის შესახებ მხარეთა და მედიატორის ერთობლივ შეთანხმებაში. მედიატორმა მედიაციის პროცესში ნეიტრალური მესამე პირის სტატუსით ჩართვამდე ან გონივრული პერიოდის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მხარეები დაეთანხმებიან მის პროცესში მონაწილეობას, წერილობით უნდა შეატყობინოს მხარეებს მომსახურების ტარიფის შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის პრო ბონოდ ანაზღაურების გარეშე მონაწილეობს პროცესში.<sup>18</sup>

ავსტრიის მედიატორთა ქცევის კოდექსი განმარტავს, რომ მედიაცია შეიძლება დაიწყოს მხოლოდ მისი ყველა მონაწილისგან მედიატორის ანაზღაურების კრიტერიუმებსა და ტარიფებზე თანხმო-

---

<sup>17</sup> Alternative Dispute Resolution: Mediation and Conciliation, Law Reform Commission, 2010, 52, <[https://www.lawreform.ie/\\_fileupload/reports/r98adr.pdf](https://www.lawreform.ie/_fileupload/reports/r98adr.pdf)> [11.11.2022]. იხ. ასევე, „მედიაციის შესახებ“ კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი: კერძო მედიაციის პროცესში მონაწილე მედიატორის საქმიანობის ანაზღაურების წესი და პირობები განისაზღვრება მხარეებსა და მედიატორს შორის დადებული შეთანხმებით.

<sup>18</sup> CPR Georgetown Commission on Ethics and Standards in ADR - Model Rule for the Lawyer as Third Party Neutral, 2002, (საბოლოო რედაქციით - 2004), Rule 4.5.5. (a), <<http://www.cpradr.org/RulesCaseServices/CPRRules/ModelRulefortheLawyerasThird-PartyNeutral.aspx>> [21.12.2022].



ბის მოპოვების შემდეგ.<sup>19</sup> ანალოგიურ მიდგომას ავითარებს ტეხასის უზენაესი სასამართლოს მედიატორთა ეთიკის სტანდარტები.<sup>20</sup> ამასთან, იურისტის ანაზღაურების შესახებ აქტი არ ვრცელდება მედიაციის მომსახურებაზე და ნეიტრალურ მესამე პირ იურისტს შეუძლია თავისუფლად განსაზღვროს ანაზღაურების ტარიფი, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს გონივრულობის უმთავრეს კრიტერიუმს. ეს კრიტერიუმი ასევე დომინირებს მართლმსაჯულების განრიდების მედიაციაშიც.<sup>21</sup> თუ ნეიტრალური მესამე პირი გადის პროცესიდან, მაშინ მან უნდა დააბრუნოს მხარეების მიერ მიღებული ის ანაზღაურება, რომელიც არ გამოუმუშავებია ან რომელიც „ზედმეტად წინასწარ არის გადახდილი“<sup>22</sup>.

მედიატორი უნდა იყოს ნეიტრალური როგორც მხარეების, ასევე დავის გადაწყვეტისა და მისი შესაძლო შედეგების მიმართ.<sup>23</sup> ნეიტრალურობის პრინციპი აღიარებულია მედიაციის იდეოლოგიის კონსტიტუციურ საფუძვლად. ის აუცილებელი წინაპირობაა არა მხოლოდ მედიაციის პროცესის სათანადოდ წარმართვისთვის, არამედ ზოგადად, დავის გადაწყვეტის ფორმის მედიაციად სახელდებისთვის. მედიატორის მიერ ნეიტრალურობის დაუცველობა მედიაციას არსებობას ფუნდამენტურ საფუძველს აცლის.<sup>24</sup> მედიატორის

<sup>19</sup> *Hopt K.J., Steffek F., Mediation: Principles and Regulation in Comparative Perspective*, Oxford University Press, Oxford, 2013, 268.

<sup>20</sup> Supreme Court of Texas Ethical Standards for Mediators, 2011, Standard 3 - Mediation Costs, <<https://www.txmca.org/index.php?page=10>> [21.12.2022]

<sup>21</sup> *Hopt K.J., Steffek F., Mediation: Principles and Regulation in Comparative Perspective*, Oxford University Press, Oxford, 2013, 268-269.

<sup>22</sup> Mediator Standards Board, National Mediator Accreditation Standards, Professional Standards and Ethics, Australian Center for Justice Innovation, 7-1, 2015, 14. მედიატორის სამართლიანი ანაზღაურების განსაზღვრის პრინციპის შესახებ იხ. *ჩიტაშვილი ნ.*, ადვოკატ-მედიატორის ცალკეულ ეთიკურ ვალდებულებათა თავისებურება და რეგულირების აუცილებლობა, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2016, 46-47.

<sup>23</sup> *ცერცვაძე გ.*, მედიაცია - დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 2010, 168.

<sup>24</sup> *ჩიტაშვილი ნ.*, მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები, „სამართლის ჟურნალი“, 2016, №1,

მხრიდან მედიაციის შედეგით დაუინტერესებლობა, როგორც ნეიტრალობის ერთ-ერთი მთავარი ასპექტი, ვლინდება მედიატორის ეთიკური ვალდებულებით, მისი მომსახურების საზღაურის ოდენობა არ გახადოს დამოკიდებული მედიაციის შედეგზე. საქართველოს მედიატორთა ეთიკის კოდექსის 1.8 მუხლის თანახმად, მედიატორის ანაზღაურების ოდენობა არ შეიძლება იყოს დამოკიდებული მედიაციის შედეგზე. მაგალითად, ნებაყოფლობითობისა და ნეიტრალობის თვალთახედვიდან, აკრძალულია მედიატორმა განსაზღვროს, რომ მორიგებით საქმის დასრულების შემთხვევაში, ის მიიღებს ჰონორარის 20%-ის ოდენობით გაზრდილ ანაზღაურებას მხარეებისგან.

გარდა სუბიექტური ფაქტორებისა, ხშირ შემთხვევაში მხარეთა შორის არათანაბარი მდგომარეობა განპირობებულია ობიექტური საფუძვლებით. შესაძლოა, ამის მიზეზი იყოს როგორც მხარეთა განსხვავებული მატერიალური შესაძლებლობა, ასევე მათ შორის სუბორდინაციული დამოკიდებულება, რაც იწვევს ძალთა არათანაბრობას. ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ მედიაციის პროცესი ვერ იქნება წარმატებული, თუ მხარეთა თვითგამორკვევისა და მოლაპარაკების შესაძლებლობების აშკარა არათანაბრობისას. თუ მხარეები აშკარად არათანაზომიერი სიძლიერითა და ავტორიტეტით გამოირჩევიან, მათ შორის შეთანხმება თითქმის შეუძლებელი ხდება.<sup>25</sup> ძლიერი მხარე სუსტისაგან გაცილებით მეტ დათმობას მოითხოვს, რაც ამ უკანასკნელს მედიაციის პროცესისადმი უარყოფითად განაწყობს.<sup>26</sup> დოქტრინაში მაგალითად მოჰ-

---

33, შემდგომი მითითებით: *Zamir R.*, *The Disempowering Relationship Between Mediator Neutrality and Judicial Impartiality: Toward a New Mediation Ethic*, 11 *Pepp. Disp. Resol. L.J.*, 2010-2011, 467.

<sup>25</sup> *Kressel K., Pruitt G.D.*, *Conclusion: A Research Perspective on The Mediation of Social Conflict*, in: *Kressel K., Pruitt G.D.*, *Mediation Research The Process and Effectiveness of Third Party Intervention*, “Jossey-Bass Publishers”, San-Francisco, London, 1989, 404, მითითებულია: *ცერცვაძე გ.*, *მედიაცია - დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა)*, თბ., 2010, 224.

<sup>26</sup> იქვე.

ყავთ ფიზიკურ პირსა და ტრანსნაციონალურ კომპანიას შორის არსებული დავა.<sup>27</sup> წამოჭრილი პრობლემური საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია მედიატორის ნეიტრალობისა და მიუკერძოებლობის კონტექსტში, რამეთუ შეიძლება წარმოშობდეს სამედიაციო ხარჯების არათანაბარი განაწილების საჭიროებას.

### **3. მხარეთა შორის მოლაპარაკების ძალაუფლების არათანაზომიერების გამომწვევი სუბიექტური თუ ობიექტური ფაქტორები**

მედიაციის პროცესში, როგორც აღინიშნა, მხარეთა არათანაბარი მდგომარეობა შესაძლოა განპირობებული იყოს მატერიალური ფაქტორით, ასევე სუბორდინაციული ურთიერთობის არსებობით. ხშირ შემთხვევაში სუბიექტები დავის გადაწყვეტის აღნიშნულ საშუალებას მიმართავენ სწორედ რესურსების დაზოგვის მიზნით, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძალთა დისბალანსის არსებობისას, მხარეთა თანაბრობის დაცვა რთულ ამოცანად ისახება. მოცემულ სიტუაციაში ყველაზე მნიშვნელოვანია განისაზღვროს რა სახის საფუძვლიდან წარმოიშვა მხარეთა წონასწორობის რღვევა. ამის გარკვევა აუცილებელია, რადგან პრობლემის გადაჭრისა და პრევენციის გზები აღნიშნული უწონასწორობის განმაპირობებელ ფაქტორზეა დამოკიდებული.

კონფლიქტის პირობებში ხშირია იმის შესაძლებლობა, რომ ერთი მხარე მეორე მხარის გავლენის ქვეშ ექცეოდეს რიგი გარე, ობიექტური თუ მედიაციის შიდა პროცესუალური ფაქტორების გამო.<sup>28</sup> იმ შემთხვევაში, თუკი მხარეთა არათანაბარი მდგომარეობა გამომწვეულია ობიექტური ფაქტორით, რომლის მიზეზიც შესაძ-

<sup>27</sup> *Spencer D., Brogan M., Mediation Law and Practice, Cambridge University Press, New-York, 2006, 112, მითითებულია: ცერცვაძე გ., მედიაცია - დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 2010, 230.*

<sup>28</sup> *ყანდაშვილი ი., მედიაცია (დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება), თბ., 2020, 185.*

ლოა იყოს შესაბამისი სახსრების უქონლობა მედიაციის პროცესში სრულფასოვნად მონაწილეობისთვის,<sup>29</sup> მხარეთა მხრიდან თავს იჩენს უნდობლობა შეთანხმების მიღწევისა და მედიატორის მიმართ, ასევე ისინი ხდებიან მეტად ინერტულები და კარგავენ ინტერესს პროცესის გაგრძელების მიმართ. თუ მხარეები არათანაბარ პირობებში იმყოფებიან, მედიაცია შეიძლება მეტად სახიფათო აღმოჩნდეს სუსტი მხარისთვის. მაგალითად, დიდ კომპანიას შეიძლება გაცილებით ხელსაყრელი მდგომარეობა ეკავოს ბაზარზე, ვიდრე ოჯახის მიერ მართულ მცირე მაღაზიას.<sup>30</sup> მოცემულ მაგალითზე დაყრდნობით, არ იქნება გასაკვირი, რომ მაღაზია კომპანიასთან შედარებით თავს სუსტ მხარედ თვლიდეს და მიაჩნდეს, რომ უპირატესობა ძლიერი მხარისკენაა. თუ ისინი ჩაერთვებიან მედიაციის პროცესში, შესაძლოა, კომპანიამ, რომელსაც მეტი რესურსი აქვს, მაღაზია აიძულოს სხვადასხვა მეთოდებით, ამ უკანასკნელმა საკუთარი ნებისგან განსხვავებული გადაწყვეტილება მიიღოს. ასეთ შემთხვევაში სუსტი მხარე შესაძლოა უკეთესად იყოს დაცული მოსამართლის ან არბიტრის დასწრების შემთხვევაში.<sup>31</sup> ამასთანავე, არსებობს მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ მედიაციაში, მხარე, რომელიც გარკვეული ძალმოსილებით სარგებლობს კონფლიქტში მყოფ მეორე მხარესთან შედარებით, შეუძლია თავისი გავლენის გამოყენებით საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ შეითანხმოს მეორე მხარე.<sup>32</sup> განსახილველია, რა ზომების მიღებაა შესაძლებელი, რომ სუსტი მხარე მედიაციის პროცესშიც იყოს და-

<sup>29</sup> მედიაციის პროცესში სრულფასოვნად მონაწილეობაში შესაძლოა მოიაზრებოდეს უშუალოდ მედიაციის ხარჯები როგორც გათვალისწინებული, ისე წინასწარ გაუთვალისწინებელი, ასევე ადვოკატის აყვანისა და წარმომადგენლობასთან დაკავშირებული ხარჯები.

<sup>30</sup> *ოსტერმილერი ს.მ., სვენსონი დ.რ.*, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 143.

<sup>31</sup> იქვე.

<sup>32</sup> *Goldberg S.B., Sander F., Rogers E.A., Nancy H., Cole S.R.*, Dispute Resolution: Negotiation, Mediation, Arbitration and other Processes, 6th Ed., Wolters Kluwer, 2012, 10, მითითებულია: *ყანდაშვილი ი.*, მედიაცია (დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება), თბ., 2020, 71-72.

ცული, რათა ამ უკანასკნელს არ დასჭირდეს დავის გადანაცვების სხვა საშუალების გამოყენება. საჭიროა, უზრუნველყოფილი იქნეს მედიაციის პროცესში ჩართული მხარეების რეალური დამოუკიდებლობა და არ მოხდეს ერთ-ერთი მხარის გავლენის ქვეშ მეორე მხარის მოქცევა, მედიაციისთვის გარე თუ თვით მედიაციის პროცესში არსებული გამონვევებიდან გამომდინარე.<sup>33</sup> იმისათვის, რომ მიზანი მიღწეულ იქნეს, საჭიროა მედიატორის როგორც აქტიური, ისე პასიური ჩართულობა პროცესში. ერთი მხრივ, მედიატორი უნდა იყოს მაქსიმალურად ნეიტრალური მხარეთა მიმართ და მხარეებს უნდა მისცეს თავისუფლება, რომ დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილება და, მეორე მხრივ, მან აქტიური ზედამხედველობა უნდა გაუწიოს მედიაციის პროცესს, რათა კონტროლირებადი და გამჭვირვალე იყოს როგორც მისთვის, ასევე მხარეებისათვის პროცესთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი. შესაბამისად, მედიატორმა ხელი უნდა შეუწყოს მხარეებს, რომ მათ მაქსიმალურად გამოიყენონ თავიანთი რესურსები და დამოუკიდებლად ჩამოაყალიბონ მორიგების პირობები. ამასთან, მედიატორს არ აქვს უფლება, თავისი კომპეტენციის მიღმა, მხარეებს სამართლებრივი ან სხვა პროფესიული რჩევა მისცეს, შეაფასოს დავის გადანაცვების ალტერნატივები ან საქმის გარემოებები. იგი უფლებამოსილია, გაუზიაროს მხარეებს საქმესთან დაკავშირებული ცოდნა და ინფორმაცია მხოლოდ მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვით.<sup>34</sup> „გასათვალისწინებელია, რომ ე.წ. „პიროვნული ძალაუფლება“ უმეტესწილად ფაქტობრივი მოვლენაა და სამართლებრივ ფაქტორს ან რეგულირებას, როგორც წესი, არ ემორჩილება. ეს ფენომენი ან ფიგურირებს ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში ან სახეზე არ არის. სწორედ ამ მიმართულებით მხარეებს შორის არსებული ურთიერთობების შეძლებისდაგვარად თანაბარი პირობების შექმნის საჭიროება-

<sup>33</sup> *Wendenburg F.*, *Der Schutz der schwächeren Partei in der Mediation*, Mohr Siebeck, Tübingen, 2013, 107, მითითებულია: იქვე, 25.

<sup>34</sup> იხ. სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაცია“ მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლი „მედიაციის პროცესი“, 24/04/2021, <<https://mediators.ge/uploads/files/60a4d7fd3f27f.pdf>> [11.11.2022].

ზე მიდის საუბარი მედიაციის მაგალითზე.<sup>35</sup> ამ მიზეზიდან გამომდინარე, მოლაპარაკება და შეთანხმება ყოველთვის შესაძლებელი არ არის. თუ მეორე მხარის პოზიცია გაცილებით უკეთესია და ამავე დროს მას აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს უფრო სოლიდური ადამიანური თუ ფინანსური რესურსი, წარმატების გარანტირებულობა გამორიცხულია.<sup>36</sup>

ობიექტური საფუძვლების გარდა, მხარეთა არათანაბარი მდგომარეობა მედიაციის პროცესში შესაძლოა გამოწვეულ იქნეს სუბიექტივიზმის მიზეზით, ვინაიდან, მედიატორს შეიძლება ჰქონდეს პროცესის დაწყებამდე მხარეთა მიმართ წინასწარ ჩამოყალიბებული შეხედულება, რაც დიდი ალბათობით წინაპირობაა შეთანხმების მიუღწევლობისა. აღნიშნულის თავიდან ასაცილებლად მედიატორმა უნდა წარმართოს პროცესი დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად. მედიატორი ვალდებულია მედიაციის დაწყებამდე ან მედიაციის დაწყების შემდეგ, მისი მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე იმ გარემოების გამოვლენისთანავე, რომელმაც შეიძლება საეჭვო გახადოს მისი დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა, შეატყობინოს მხარეებს აღნიშნული გარემოების შესახებ.<sup>37</sup> მიკერძოებული მედიატორის უფლებამოსილების გარეშე დატოვება - აცილება, მხარეს მარტივად შეუძლია: მას უფლება აქვს ამ საფუძვლით საერთოდ უარი თქვას მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე.<sup>38</sup> მედიატორის სუბიექტივიზმის მიზეზი კი შესაძლოა გახდეს პირადი/ქონებრივი პირდაპირი/არაპირდაპირი ინტერესი სამედია-

<sup>35</sup> *Möslein F.*, Private Macht, Mohr Siebeck, Tübingen, 2016, 9, მითითებულია: *ყანდაშვილი ი.*, მედიაცია (დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება), თბ., 2020, 185-186.

<sup>36</sup> *ცერცვაძე გ.*, მედიაცია - დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 2010, 224.

<sup>37</sup> იხ. სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაცია“ მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-2 მუხლი „მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა“, 24/04/2021, <<https://mediators.ge/uploads/files/60a4d7fd3f27-f.pdf>> [11.11.2022].

<sup>38</sup> *ცერცვაძე გ.*, მედიაცია - დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 2010, 246.

ციო შეთანხმების შედეგთან მიმართებით, რაც სხვადასხვა სახით გამოიხატება. მედიაციის პროცესის საწყის ეტაპზევე ამ დამოკიდებულებით ურთიერთობის „შენების დაწყება“ განწირულია წარუმატებლობისთვის. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ის ფაქტორიც, რომ შესაძლებელია, მხარემაც სუბიექტური დამოკიდებულებით შექმნას წარუმატებელი ბაზისი მედიაციის პროცესისთვის, მაგალითად, ხარჯების საკითხთან დაკავშირებით. ძვირია მედიაცია თუ იაფი, შეფასების საკითხია. სავსებით შესაძლებელია, რომ ერთი და იმავე პირმა მედიაცია ხელმისაწვდომად, ან ნაკლებად ხელმისაწვდომად მიიჩნიოს.<sup>39</sup> ამდენად, შესაძლოა თვითონ მხარემაც გამოიწვიოს სუბიექტურობით არათანაბარი მდგომარეობა. ის, რაც შეფასებას ექვემდებარება, ობიექტურობას მოკლებულია.

განსახილველია, ამ სიტუაციიდან გამოსავალი იქნება თუ არა ხარჯების საკითხის კანონმდებლობით მეტი სიზუსტით მონესრიგება. მედიაციის პროცესს „პრინციპები მართავს“, რომლებზეც შენდება ურთიერთობა, ერთი მხრივ, მედიატორსა და, მეორე მხრივ, მხარეებს შორის. პროცესში მოქმედ პირებს თავად უნდა ჰქონდეთ ე.წ. „შინაგანი ეთიკური პრინციპი და ვალდებულება“ იმისა, რომ ნებისმიერი ქმედება, განხორციელებული მათი მხრიდან, ექცეოდეს სამართლიანობისა და გონივრულობის ფარგლებში. მედიაციის უმნიშვნელოვანესი პრინციპები, რომელებიც საფუძველია პროცესისა და ურთიერთობის ჯანსაღი განვითარებისა, განსაზღვრულია კანონმდებლობით, თუმცა ეს არაა მთავარი განმაპირობებელი მიზეზი იმისა, რომ ეს პრინციპები ქმედით როლს ასრულებს დავის გადაწყვეტის პროცესში. აღნიშნულს ხელს უწყობს ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბება, რომელიც ეფუძნება სწორედ შინაგან პრინციპულობას, სამართლიანობის ვალდებულებას - ვინაიდან, მედიაციაში მოქმედებს პრინციპები და არა წესები. დავის გადაწყვეტის ამ მექანიზმისთვის დამახასიათებელია შემოქმედებითი სივრცის არსებობა, რაც ვერ რეალიზდება წესების შემოღების შემთხვევაში. ეს მხოლოდ გააქრობს კრეატივიზმს, რაც

<sup>39</sup> იქვე, 42.

ასეთი მნიშვნელოვანია მედიაციის პროცესისთვის. თუმცა წარმოდგენს თუ არა ხარჯებთან დაკავშირებული საკითხი მხოლოდ პრინციპების დონეზე მოსაწესრიგებელ თემატიკას, სამსჯელოა.

„მედიატორის ჰონორარი შეიძლება განისაზღვროს სასამართლოს მიერ, ან (კერძო მედიაციის შემთხვევაში)<sup>40</sup> დადგინდეს შესაბამისი საბაზრო ფასების მიხედვით“<sup>41</sup>. მედიატორის მომსახურების საფასურისა და პროცესის ხარჯების ანაზღაურების საკითხი ამ პროცესის ფუნდამენტურ პრინციპებზე გამავალი ხაზია. მიუხედავად იმისა, რომ მედიაციის წარმართვის პრინციპების საკანონმდებლო დონეზე გათვალისწინება და დადგენა<sup>42</sup> მედიაციის პროცესის სიცხადისა და სიჯანსაღის განმაპირობებელი ფაქტორია,<sup>43</sup> ამ თემატიკის მონესრიგება მხოლოდ პრინციპების დონეზე შეუძლებელია, ვინაიდან მხარეთა შორის არათანაბარი მდგომარეობის არსებობისას გონივრულობას მოკლებულია მხოლოდ მხარეთა ან მედიატორის კეთილ ნებას მიენდოს ხარჯების განაწილების საკითხი. ამისათვის საჭიროა ადეკვატური ბალანსი წესებსა და პრინციპებს შორის. შესაძლოა, მოყვანილ იქნეს ინგლისისა და ჰოლანდიის მაგალითი, სადაც მედიაციას სამართლებრივი ჩარჩო რეგულაციებით არ ზღუდავენ, ხარჯების საკითხი მხოლოდ საპროცესო კანონმდებლობით არის განერილი, ხოლო ყველა სხვა საკითხი აბსოლუტურად მედიაციის სფეროში მოქმედი კერძო სამართლის სუბიექტებისა და სამომხმარებლო ბაზრის რეგულირებას არის მინდობილი.<sup>44</sup> ამ შეხედულებისა და პრაქტიკის გაზიარება შესაძლებე-

<sup>40</sup> ავტორისეული ჩანართი.

<sup>41</sup> იქვე, 149.

<sup>42</sup> საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“, 22/06/2021, მე-3 მუხლი, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4646868?publication=2>> [11.11.2022].

<sup>43</sup> ლეონიძე ი., სოციალური ფუნქციის გამოწვევები მედიაციის ცალკეულ ეტაპზე და პიროვნული სულისკვეთება მხარეთა შეთანხმების კადრს მიღმა, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწდეული 2020“, თსუ-ის გამომცემლობა, სპეციალური გამოცემა, 2020, 47.

<sup>44</sup> ყანდაშვილი ი., საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, თბ., 2018, 15.



ლია იმისათვის, რომ მედიაციამ სრულყოფილი დოქტრინაში გავრცელებული ერთ-ერთი მთავარი მიზანი - შედარებით სუსტი მხარის გამოწვევების გათვალისწინება და კონფლიქტის ორივე მხარის სასარგებლოდ დასრულება.<sup>45</sup>

მნიშვნელოვანია, ეთიკის კოდექსით მეტად იყოს მოწესრიგებული მედიაციის პროცესთან დაკავშირებული ხარჯების და მედიატორის ანაზღაურების განაწილების წესი და შეზღუდვები, რომელთა შინაარსი მომდევნო თავში იქნება შემოთავაზებული.

#### **4. მედიაციის ხარჯებისა და მომსახურების საფასურის განაწილების რეგულირებისა და დერეგულირების საკანონმდებლო მოდელები**

მედიაციის ხარჯების საკითხი როგორც სახელმწიფოს, ასევე საზოგადოების მხრიდან განსაკუთრებული ყურადღების საგანს წარმოადგენს, ვინაიდან მედიაციამ უნდა გაამართლოს დავების გადაწყვეტის მარტივი, არაფორმალური და რაც მთავარია, იაფი მექანიზმის სახელი.<sup>46</sup> იმისათვის, რომ ეს მიზანი მიღწეულ იქნეს, მხოლოდ მხარეთა კეთილი ნება, რომ ფინანსური საკითხები გონივრულად განისაზღვროს, საკმარისი არ არის. საჭიროა კანონმდებლობის დონეზე ამ საკითხის უფრო დეტალურად მოწესრიგება. მართალია, საქართველოს მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსი და „მედიაციის შესახებ“ კანონი ითვალისწინებს ხარჯების განაწილების საკითხს,<sup>47</sup> თუმცა მოწესრიგების მიღმა რჩება მედია-

<sup>45</sup> *Glenewinkel W.*, Mediation als außergerichtliches Konfliktlösungsmodell, Am Beispiel der Trennungs- und Scheidungsmediation in der Bundesrepublik Deutschland, „ibidem“, Stuttgart, 1999, 60-61, მითითებულია: *ცერცვაძე გ.*, მედიაცია - დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 2010, 35.

<sup>46</sup> *ცერცვაძე გ.*, მედიაცია - დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 2010, 242.

<sup>47</sup> „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლი. იხ. ასევე, სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაცია“ მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 1.7 მუხლი - მედიატორმა მხარეებს უნდა

ციის ხარჯებისა და მედიატორის ანაზღაურების სამართლიანი განაწილების პრინციპი, ამ პროცესში გასათვალისწინებელი ეთიკური სტანდარტები, ასევე წინასწარ გაუთვალისწინებელი ხარჯების ანაზღაურების წესი.

ზოგადად, მედიაცია თავისთავად მარტივ პროცესად მიიჩნევა, თუმცა მისი მარეგულირებელი ნორმები რთული და კომპლექსურია<sup>48</sup> მედიაციის სხვადასხვა სიტუაციური კონტექსტის გათვალისწინებით. მედიატორთა ქცევის ევროპული კოდექსი,<sup>49</sup> რომელიც განსაზღვრავს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის აღნიშნული საშუალების ფუნდამენტურ პრინციპებსა და საფუძვლებს და მოქმედებს ევროკავშირის მასშტაბით, ადგენს, რომ მედიატორებმა ყოველთვის უნდა მიაწოდონ მხარეებს სრული ინფორმაცია ანაზღაურების იმ წესის შესახებ, რომლის გამოყენებასაც აპირებენ. მედიატორი არ დათანხმდება მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე, სანამ ანაზღაურების წესი არ იქნება დადასტურებული ყველა დაინტერესებული მხარის მიერ. აღნიშნული დანაწესიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ევროპული კოდექსი ფართო სამოქმედო არეალს უტოვებს წევრ ქვეყნებს, რათა საკუთარ კანონმდებ-

---

წარუდგინოს ინფორმაცია თავისი ანაზღაურების წესის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ამ წესზე წინასწარ არ შეთანხმებულან. მედიატორმა არ უნდა იკისროს მედიატორად მოქმედების ვალდებულება კონკრეტულ საქმეზე, თუ ყველა მონაწილე მხარე არ დაეთანხმება მისი ანაზღაურების წესს და პირობებს; ამასთან, 1.8 მუხლი - მედიატორის ანაზღაურების ოდენობა არ შეიძლება იყოს დამოკიდებული მედიაციის შედეგზე, 24/04/2021, <<https://mediators.ge/uploads/files/60a4d7fd3f27f.pdf>> [11.11.2022].

<sup>48</sup> *Kulms R.*, Alternative Streitbeilegung durch Mediation in den USA, in: *Hopt J. K., Felix S.*, Mediation, Rechtstatsachen, Rechtsvergleich, Regelungen, “Mohr Siebeck“, Tübingen, 2008, 471, მითითებულია: *ცერცვაძე გ.*, მედიაცია - დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 2010, 84.

<sup>49</sup> European Code of Conduct for Mediators (1.3), 2004, <<https://www.kearns-co.uk/wp-content/uploads/2017/06/European-code-of-conduct-for-mediators.pdf>> [11.11.2022].

ლობაში მოანესრიგონ ზემოხსენებული ძირეული დებულებები ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით.<sup>50</sup>

მაგალითად, გერმანიაში ჯერ კიდევ ათწლეულის წინ ფართო დისკუსიის საგანს წარმოადგენდა, უნდა მოწესრიგებულიყო თუ არა მედიატორთა ანაზღაურების წესი კანონით, თუმცა დომინირებდა აზრი, რომ კანონის ჩარევა კონკურენტულ გარემოში არ შეიძლება მიზანშეწონილად ჩათვლილიყო.<sup>51</sup> ამ დამოკიდებულების წარმატება განაპირობა აზრმა, რომ ვინაიდან მედიაციის პროცესის დამკვეთები მხარეები არიან, მედიატორის შესაბამის პროფესიულ თვისებებსაც შეაფასებენ და მასთან ანაზღაურების ოდენობასაც შეათანხმებენ.<sup>52</sup> თუმცა, სამსჯელოა საკითხი, თუ რამდენად გაამართლებს ეს მიდგომა საქართველოში, სადაც საზოგადოებაში სუბიექტივიზმი ქარბობს. მნიშვნელოვანია, რომ დავის გადანყვეტის ალტერნატიული საშუალება არ უნდა გამოიყენოს ერთ-ერთმა მხარემ თავის სასარგებლოდ საკუთარი ბუნებრივი თუ სოციალური უპირატესობის საფუძველზე.<sup>53</sup> მედიაციის ხარჯების გამო დავის გადანყვეტის საშუალების გამოყენების სირთულეების თავიდან ასაცილებლად ფრანგმა კანონმდებელმა დეტალურად დაარე-

<sup>50</sup> *Burduli I.*, Nekrezeption in Transformationsgesellschaften, in Brinkmann M., Effer-Uhe D.O., Völmann-Stickelbrock B., Wesser S., Weth S., Festschrift für Hanns Prütting, Dogmatik im Dienst von Gerechtigkeit, Rechtssicherheit und Rechtsentwicklung, Carl Heymanns Verlag, Köln, 2018, 8, მითითებულია: *ყანდაშვილი ი.*, საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადანყვეტის სასამართლო და არასამართლო ფორმები, თბ., 2018, 16.

<sup>51</sup> *Oehlerking J.*, Die Mediation im Visier der nationalen Gesetzgebung, in: *Greger R., Unberath H.* (Hrsg.), Die Zukunft der Mediation in Deutschland, “Beck“ München, 2008, 58, მითითებულია: *ცერცვაძე გ.*, მედიაცია - დავის გადანყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 2010, 77.

<sup>52</sup> *Oehlerking J.*, Die Mediation im Visier der nationalen Gesetzgebung, in: *Greger R., Unberath H.* (Hrsg.), Die Zukunft der Mediation in Deutschland, “Beck“ München, 2008, 58, მითითებულია: იქვე.

<sup>53</sup> *Wendenburg F.*, Der Schutz der schwächeren Partei in der Mediation, Mohr Siebeck, Tübingen, 2013, 107, მითითებულია: *ყანდაშვილი ი.*, მედიაცია (დავის გადანყვეტის ალტერნატიული საშუალება), თბ., 2020, 187.

გულირა სასამართლო მედიაციის დროს მედიაციის ხარჯებისა და მხარეთა შორის მათი განაწილების საკითხები.<sup>54</sup> თუმცა, ამასთან ერთად, საფრანგეთის კანონმდებლობა მხარეებს ანიჭებს შესაძლებლობას, რომ მედიატორთან პირველივე შეკრებისთანავე შეთანხმდნენ მისი ანაზღაურების ოდენობაზე და თითოეული მხარის მიერ გადასახდელ თანხაზე.<sup>55</sup> ამდენად, ევროპულ გამოცდილებაზე დაყრდნობით პრაქტიკაში ორი განსხვავებული მიდგომა არსებობს მედიაციის პროცესთან დაკავშირებული ხარჯების რეგულირების მიმართ.

ქართული კანონმდებლობის ანალიზისა და შედარებისთვის, მიზანშეწონილია ევროპულ მიდგომასთან ერთად, განხილული იქნეს ამერიკული მოდელიც. მედიატორთა ქცევის აშშ-ის მოდელური სტანდარტების<sup>56</sup> თანახმად, მედიატორმა თითოეულ მხარეს ან მათ წარმომადგენელს უნდა მიაწოდოს ჭეშმარიტი და სრული ინფორმაცია მედიაციის საფასურის, ხარჯებისა და ნებისმიერი სხვა რეალური ან პოტენციური ხარჯის შესახებ, რომელიც შეიძლება მხარეებმა გასწიონ მედიაციასთან დაკავშირებით. ამ დანაწესიდან გამომდინარე აშკარა განსხვავება შეინიშნება ევროპული მიდგომისგან, რომელიც ნაკლებად მზობრული ხასიათითა და კონკრეტული გამოირჩევა. ამერიკული მოდელი მაქსიმალურად იცავს მხარის ინტერესებს, რაც ეხმარება მედიაციის სუბიექტს პროცესი მეტი სიცხადით აღიქვას და ის პოტენციური ხარჯებიც გაითვალისწინოს, რომელიც შესაძლოა, წინასწარ საქმეში არ იკვეთებოდეს. ამდენად, მხარე მეტად მომზადებული ხვდება მედიაციის პროცესს და ნაკლებია ალბათობა პროცესის მიმართ პირის მხრიდან უარყოფითი დამოკიდებულების გამოვლენისა. ამასთან, აშშ-ის მედიატორთა ქცევის მოდე-

<sup>54</sup> ცერცვაძე გ., მედიაცია - დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 2010, 243.

<sup>55</sup> იქვე.

<sup>56</sup> იხ. მედიატორთა ქცევის აშშ-ის მოდელური სტანდარტები, Model Standards of Conduct for Mediators, AAA, ABA, ACR, 1994, Revised 2005, Standard VIII, <[https://www.mediate.com/articles/model\\_standards\\_of\\_conflict-cfm#LinkTarget\\_141](https://www.mediate.com/articles/model_standards_of_conflict-cfm#LinkTarget_141)> [11.11.2022].

ლური სტანდარტი ადგენს მხარეთა შორის ძალთა დისბალანსის შემთხვევაში მედიატორის ვალდებულებას, იყოს მიუკერძოებელი. ამასთან, აღნიშნული დანაწესის თანახმად, იმის მიუხედავად, რომ მედიატორი შეიძლება დათანხმდეს არათანაბრად საფასურის გადახდას მხარეებისგან, მან არ უნდა დაუშვას, რომ ასეთმა შეთანხმებამ უარყოფითად იმოქმედოს პროფესიის ფასილიტატორის შესაძლებლობაზე, მედიაცია წარმართოს მიუკერძოებლად.

რაც შეეხება ქართულ კანონმდებლობას, „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, თუ მედიაციის თაობაზე შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მხარის მიერ განეულ ხარჯებს ეს მხარე ანაზღაურებს, ხოლო მედიაციის პროცესთან დაკავშირებული საერთო ხარჯები მხარეებს შორის თანაბრად ნაწილდება.<sup>57</sup> მართალია, ქართული კანონმდებლობა ხარჯების განაწილებასთან დაკავშირებით რეგულირების დანაკლისს არ განიცდის და შესაბამისობაშია ევროპულ მინიმალურ სტანდარტთან, თუმცა არ არის განსაზღვრული, როგორ წესრიგდება მომსახურების საფასურისა და ხარჯების განაწილების საკითხი მაშინ, როცა მხარეთა შორის არსებობს არათანაბარი ფინანსური შესაძლებლობები, რამდენად დასაშვებია მომსახურების საფასური მხარეთა თანხმობით, დაფარულ იქნეს პროცესის ერთი, ფინანსურად უფრო ძლიერი მხარის (მაგალითად, დამსაქმებლის, ბანკის), მიერ. რამდენად შეიძლება იქნეს აღნიშნული შესაბამისობაში პროცესში მხარეთა თანასწორობის, მედიატორის მიუკერძოებლობისა და დამოკიდებლობის პრინციპებთან და ხომ არ გააჩენს იგი საფრთხევებს მედიატორის მიმართ ნდობისა და მხარეთა მიერ მედიატორის მიუკერძოებლობის აღქმის კუთხით. ამ მიმართულებით, მიზანშეწონილია, ეთიკის კოდექსმა უფრო მეტი სიზუსტითა და კონკრეტიკით ასახოს, რამდენად დასაშვებია შეიძლება იყოს სამედიაციო ხარჯების ერთი მხარის მიერ დაფარვა თანაბრობისა და მედიატორის მიუკერძოებლობის პრინციპის კონტექსტში, რათა ქართული რეგულირების მოდელი მეტად დაუახ-

<sup>57</sup> იხ. საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 22/06/2021, მუხლი 11, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4646868?publication=2>> [11.11.2022].

ლოვდეს განვითარებული ქვეყნების მედიაციის ეთიკის რეგულირების სტანდარტს.<sup>58</sup> აღნიშნული მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ გამოირიცხოს მედიატორის მხრიდან ნებისმიერი სახის სუბიექტივიზმი, რათა ექვეყნებ არ დადგეს ფუნდამენტური პრინციპები, დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის სახით.

### **5. მედიაციის ხარჯებისა და მომსახურების საფასურის არათანაბარი განაწილების თანმდევი რისკები მედიაციის ფუნდამენტური პრინციპებისთვის**

მედიატორის მიერ სხვადასხვა მხარისგან არათანაბარი ჰონორარის მიღება წარმოშობს მხარის სულ მცირე, ქვეცნობიერ ეჭვს პროცესის თანაბრობის, მედიატორის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მიმართ. მაგალითად, დამსაქმებელი დაინტერესებულია შრომითი დავის მედიაციით გადანყვევით ხარჯების ეკონომიურობიდან გამომდინარე. დამსაქმებელი აღნიშნული მოტივაციით მზადაა სრულად აანაზღაუროს მედიაციის პროცესისა და მედიატორის მომსახურების ხარჯები. უნდა დასთანხმდეს თუ არა მედიატორი ამ პირობით მედიაციაში მონაწილეობას, როდესაც მისი მომსახურების საფასური სრულად ერთი მხარის მიერ დაიფარება? მოცემულ ვითარებაში გასათვალისწინებელია, რომ დასაქმებული ორგანიზაციულად და ეკონომიკურად დაქვემდებარებულია დამსაქმებელზე და შრომითი ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ქვემდებარეობის, სუბორდინაციის პრინციპი იმთავითვე შეიძლება წარ-

<sup>58</sup> იხ. ასევე *Chanturia L.*, Die Europäisierung des georgischen Rechts – bloßer Wunsch oder große Herausforderung?, *Rabels Zeitschrift*, Max – Planck-Institute für ausländisches und internationales Privatrecht, Band 74, Heft 1, Mohr Siebeck, 2010, 180, მითითებულია: *ყანდაშვილი ი.*, საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასამართლო ფორმები, თბ., 2018, 16; *Hopt K.J.*, Mediation – Eine Einführung, *Rabels Zeitschrift*, *The Rabel Journal of Comparative and International Private Law*, Max – Planck-Institute für ausländisches und internationales Privatrecht, Band 74, Heft 1, Mohr Siebeck, 2010, 724, მითითებულია: იქვე.

მოშობდეს დასაქმებულის, როგორც სუსტი მხარის, აღქმას. მოცემულ შემთხვევაში, მიკერძოებისა და პროცესის შედეგის მიმართ მედიატორისეული დაინტერესების ეჭვის გასაქარწყლებლად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დასაქმებულის ჩართულობას მედიატორის არჩევის საკითხში და მედიატორი არ უნდა იყოს პირი, რომელიც შრომით კონტრაქტში მედიაციის შესახებ დადგენილი დათქმით ცალმხრივად დამსაქმებლის მიერ წინასწარ იქნება განსაზღვრული. მედიატორის შერჩევის პროცესში დასაქმებულის ინფორმირებული არჩევანი გარკვეულწილად გააქარწყლებდა დასაქმებულის ეჭვს მედიატორის დამოუკიდებლობის მიმართ, თუ ნეიტრალური მესამე პირი არ იქნებოდა ინიცირებული და ჩართული მხოლოდ დამსაქმებლის არჩევანით და ამდენად, აფილირებული პირი დამსაქმებლის ორგანიზაციასთან.

მედიაციის ხარჯების/მედიატორის ჰონორარის არათანაბარი განაწილებისას მედიატორს შეიძლება დასჭირდეს განსაკუთრებული ძალისხმევა მედიაციის ჯეროვანი ხარისხის უზრუნველყოფით, პროცედურული სამართლიანობისა და განსაკუთრებული კეთილსინდისიერების დაცვის გზით გააქარწყლოს მხარის ქვეცნობიერი დაშვება მედიატორის შესაძლო მიკერძოებასთან დაკავშირებით. მოცემულ შემთხვევაში მედიატორის დილემას წარმოადგენს, ერთი მხრივ, არ შეზღუდოს ფინანსურად შეჭირვებული მხარის დავის გადწყვეტის შესაძლებლობაზე ხელმისაწვდომობა (მაგალითად, ერთი მხარე შეიძლება კერძო მედიაციის პროცესში იყოს სოციალურად დაუცველი პირი) და მეორე მხრივ, წარმართოს ისეთი პროცესი, რომელიც მხარეში წარმოშობს თანაბრობის, სამართალიანობისა და მიუკერძოებლობის რწმენას. კალიფორნიის მედიატორთა პრაქტიკის სტანდარტები განამტკიცებს მედიატორის ვალდებულებას, მაღალი ეთიკური სტანდარტების შესაბამისად წარმართოს მედიაცია, რომელიც გააღვივებს მედიაციის პროცესისადმი რწმენას და დანერგავს ნდობას ამ ნეიტრალური მესამე პირების კომპეტენციისა და კეთილსინდისიერების მიმართ.<sup>59</sup> ფლორიდის შტატის სერტიფიცირებულ

<sup>59</sup> Standards of Practice For California Mediators, Preamble, <<http://www.cdrc.net/mediator-standards#stdspreamble>> [21.12.2022].

და სასამართლოს მიერ დანიშნულ მედიატორთა ქცევის წესების თანახმად, საზოგადოების მიერ მედიაციის გამოყენება, ცნობიერების ამაღლება და მედიაციით კმაყოფილება მიიღწევა მედიატორთა მიერ მაღალი ეთიკური სტანდარტების გამოყენების შემთხვევაში.<sup>60</sup>

ქვეყნებში, სადაც მომსახურების საფასურისა და ხარჯების განწილების საკითხი დეტალურად არ არის განსაზღვრული კანონით, მედიატორმა მედიატორთა ქცევის აშშ-ის მოდელური სტანდარტების შესაბამისად, მომსახურების საფასურის განსაზღვრის პროცესში უნდა იხელმძღვანელოს ისეთი ფაქტორებით, როგორებიცაა: განსახილველი საქმის ტიპი და კომპლექსურობა, მედიატორის კვალიფიკაცია, დავის განხილვისათვის აუცილებელი დრო და მედიაციის მომსახურების არსებული ტარიფები. მომსახურების საფასური უნდა განისაზღვროს იმგვარად, რომ არ მოხდეს მედიატორის ნეიტრალურობისა და მიუკერძოებლობის ხელყოფა.<sup>61</sup> თუ მედიატორი დარწმუნდება, რომ მედიატორის ჰონორარის არათანაბარი ოდენობით განსაზღვრა ან სრულად ერთ-ერთი მხარისათვის დაკისრება, მხარეთა ობიექტური საჭიროებებით არის განპირობებული და გამყარებულია მხარეთა ინფორმირებული, გულწრფელი თანხმობით, შესაძლებელია მედიატორი დათანხმდეს ამ პრინციპით მედიაციის წარმართვას, თუმცა კი დასჭირდება მიმართოს განსაკუთრებულ ძალისხმევას შესთავაზოს მხარეებს პროცესი, სადაც გარანტირებული იქნება მათი თვითგამონატვისა და გადაწყვეტილების მიღების თავისუფლება,<sup>62</sup> პროცედურული სამართლიანობა და თანაბარი წვდომა პროცედურულ შესაძლებლობებზე.

<sup>60</sup> Florida Rules for Certified and Court-Appointed Mediators, §10:200, <<http://www.mediate.com/articles/floridarules.cfm>> [21.12.2022]. იხ. ჩიტაშვილი ნ., სამართლიანი შეთანხმება, როგორც მედიაციის ეთიკური ურღვევების საფუძველი, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა წელიწდეული 2016“, თსუ გამომცემლობა, 2017, 15, <<https://adryearbook.tsu.ge/index.php/ADR/article/view/3025/3220>> [21.12.2022].

<sup>61</sup> ჩიტაშვილი ნ., მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები, „სამართლის ჟურნალი“, 2016, №1, 37.

<sup>62</sup> ყანდაშვილი ი., მედიაცია (დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება), თბ., 2020, 187.



დილემა წარმოიშობა მაშინაც, როდესაც პროცესის საერთო საჭიროებებისთვის, მხარეთა საერთო ინტერესების განხორციელებისთვის აუცილებელი ხარჯების დაფარვის ვალდებულებას იღებს ერთი მხარე. მაგალითად, პროცესში უძრავი ქონების დამოუკიდებელი შემფასებლის, აუდიტის ან ფსიქოლოგის მონვევა და სხვა. მოცემულ შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ მონვეულ დამოუკიდებელ სპეციალისტებს არ არჩევდეს მხოლოდ ის მხარე, რომელიც მომსახურების ჰონორარს უხდის მონვეულ ექსპერტს. აღნიშნული ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია საიმისოდ, რომ მხარეს, რომელიც ვერ ანაზღაურებს მონვეული სპეციალისტის მომსახურებას, ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა ჩაერთოს მოსაწვევი პირის შერჩევის პროცესში და შესაბამისად, გაუჩინდეს ნდობა განეული მომსახურების ობიექტურობისა და ექსპერტის დამოუკიდებლობის მიმართ. პროცესის ხარჯებისა თუ მედიატორის ჰონორარის არათანაბარმა განაწილებამ არ შეიძლება დააზარალოს მხარის შესაძლებლობა, მიიღოს მედიაციის ისეთი მომსახურება, რომელიც სრულად ემყარება პროცედურულ სამართლიანობასა და მისი საჭიროებების თანაბარ აღიარებას. მხარის განცდა იმისა, რომ მედიატორის შრომა (მედიატორის ჰონორარის ნაწილში) და პროცესის ესა თუ ის საჭირო მომსახურება (პროცესის ხარჯების ნაწილში) მეორე, ფინანსურად ძლიერი მხარის მიერ არის „შეკვეთილინ, წარმოშობს არასამართლიანი შედეგის - უსამართლო სამედიაციო მორიგების მოლოდინს, რაც ასევე დაარღვევს მედიაციის პროცესის სანდოობას და გააქრწყლებს მისი შედეგის - სამედიაციო მორიგების შინაარსობრივი სამართლიანობის მიმართ მხარის რწმენას.

პროცესის სამართლიანობა დაცულია მხოლოდ მაშინ, თუ მასში მონაწილეობა არ ემსახურება უსამართლო უპირატესობის მოპოვებას<sup>63</sup> და არ ეფუძნება მოლაპარაკების მანიპულაციურ და დამაშინე-

<sup>63</sup> Model Standards of Practice for Family and Divorce Mediation, § XI. A. 6, <<https://www.afcenet.org/Portals/0/PublicDocuments/CEFCP/ModelStandardsOfPracticeForFamilyAndDivorceMediation.pdf>> [21.12.2022]; *Folberg J., Milne A.L., Salem P.*, Divorce and Family Mediation, Models, Techniques and Applications, The Guilford Press, New York, London, 2004, 540; *Waldman E.*, Mediation

ბელ მეთოდებს<sup>64</sup> რომელიმე მონაწილის მხრიდან. სამართლიანი პროცესი, რომელიც თავისუფალია მედიატორის მხრიდან დავის შედეგის მიმართ დაინტერესებისგან, ასევე რომელიმე მხარის მიმართ მიკერძოებული დამოკიდებულებისგან, მეტი ალბათობით ქმნის მხარეებისთვის თანაზომიერი, მათთვის ურთიერთსასარგებლო შეთანხმების მიღწევის წინაპირობას. ამასთან, მხარეთა სამართლიანობის განცდა მედიაციის პროცესში დიდწილად ფორმირდება იმ პირობებში, თუ მათ აქვთ გამოხატვის, გაგების შესაძლებლობა, სარგებლობენ თავისუფალი და უსაფრთხო სამედიაციო გარემოთი, თანაბარი პროცესუალური კონტროლისა და არჩევანის შესაძლებლობით საიმისოდ, რომ იყვნენ მოსმენილნი დამოუკიდებელი, ნეიტრალური და რეპუტაციით აღჭურვილი მესამე პირისგან, სარგებლობდნენ სხვა ნეიტრალური სპეციალისტის ექსპერტული მომსახურებით. თუ მედიაციის პროცესში მხარეებს უყალიბდებათ ღირსებისა და პატივისცემით მოპყრობის, თანაბრობის განცდა, ისინი მეტად სამართლიანად აღიქვამენ და ენდობიან მედიაციის პროცესის შედეგს, განსახილველი მორიგების პირობებს.<sup>65</sup>

პროცედურული სამართლიანობა გულისხმობს სამართლიანი, ყველა მხარისთვის ბალანსირებული პროცედურული მექანიზმების თანაბრად ხელმისაწვდომობას და მათი გამოყენებით სამედიაციო მორიგების მიღწევის შესაძლებლობას ყოველგვარი ზენოლისა და იძულების გარეშე.<sup>66</sup> არსობრივი სამართლიანობა მოიაზრებს სამედიაციო მორიგების ისეთ შინაარსს, რომელიც აკმაყოფილებს სამართლიანობის, კანონიერების მინიმალურ მოთხოვნებს და გონივრული თანაზომიერებით ასახავს მხარეთა ინტერესებსა და ბალანსირებულად ეხმიანება მათ მოლოდინებს მედიაციის შედეგის მიმართ.

---

Ethics, Cases and Commentaries, Jossey-Bass, A Wiley Imprint, United States of America, 2011, 13.

<sup>64</sup> Family Mediation Canada Members Code of Professional Conduct, Art. 9.4,

<sup>65</sup> *Waldman E.*, Mediation Ethics, Cases and Commentaries, Jossey-Bass A Wiley Imprint, San Francisco, 2010, 4-5.

<sup>66</sup> Rules of Conduct for Mediators in Court-Connected Mediation Programs for General Civil Cases (California Rules of Court), 2007, Revised January 1, 2013, rule 3.857 (b).

ამდენად, მედიატორს ევალება, რომ მედიატორის ჰონორარისა და პროცესის ხარჯების არათანაბარმა განაწილებამ არ ხელყოს სამედიაციო მორიგებისა და პროცესის მიმართ მხარის სამართლიანობის განცდა, არ დააზარალოს მედიაციის შედეგის შინაარსობრივი სამართლიანობის სავალდებულობა.

ამდენად, როდესაც მედიაციის პროცესში წარმოდგენილია ორი არათანაბარი ფინანსური შესაძლებლობის მქონე მხარე და ამ მიზეზის გამო მედიაციის პროცესთან დაკავშირებულ საერთო ხარჯებს გასწევს ფინანსურად ძლიერი მხარე, განსაკუთრებულად გასაფრთხილებელია შეთანხმებაში მხარის ავტონომიურობის, მედიატორის მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის, მხარეთათვის თანაბარი პროცედურული შესაძლებლობის უზრუნველყოფისა და მორიგების შინაარსობრივი სამართლიანობის პრინციპების ფაქტორი. ის რომ ერთ-ერთ მხარეს შესაძლოა არ ჰქონდეს პროცესში მონაწილეობისათვის შესაბამისი სახსრები, არ ნიშნავს შეთანხმების ინტერესის არარსებობას და კერძო მედიაციის სერვისით დაუინტერესებლობას. თუმცა ანალიზი აჩვენებს, რომ იმ კატეგორიის ქონებრივ დავებზე, სადაც მხარეებს ფიზიკური რესურსი ფულადი რესურსის გალებისა არ გააჩნიათ, არ არის მედიაციის მიზნებისთვის წარმატებული, რადგან მხარეებს შეიძლება აქვთ ინტერესი შეთანხმებისა, მაგრამ ობიექტური ექსპერტული მონაცემების მოპოვების (ექსპერტების მონვევის) ან მედიატორის სათანადო ანაზღაურებისთვის საჭირო ფინანსური სახსრის უქონლობა<sup>67</sup> შეიძლება აღმოჩნდეს კერძო მედიაციის სერვისზე შეუთანხმებლობის ობიექტური მიზეზი.<sup>68</sup> იმისათვის, რომ მხარეთა შორის ფინანსური დისბალანსის ვითარებაში შეთანხმება კერძო მედიაციის სერვისზე წარუმატებელი არ აღმოჩნდეს, მედიატორმა მხარეებს უნდა შესთავაზოს მოქნილი სამედიაციო ტარიფები და უზრუნველყოს ხარჯებისა და თუ ჰონორარის არათანაბარი განაწილების შესაძლებლობა მედიაციის ფუნდამენტური ღირებულებების შენარჩუნებით.

<sup>67</sup> *Genn H., Judging Civil Justice, Cambridge University Press, New York, 2010, 111, მითითებულია: ყანდაშვილი ი., მედიაცია (ღავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება), თბ., 2020, 295.*

<sup>68</sup> იქვე, 295-296.

ამდენად, ხარჯების განაწილების საკითხში მხარეთა ავტონომიის პრინციპის შენარჩუნებისა და მედიაციის ხარჯების განაწილების საკითხის დერეგულირების მოდელის სასარგებლოდ კანონმდებლის არჩევანს სამედიაციო პროცესის ეთიკური მთლიანობის ტვირთი მედიატორზე გადააქვს. მედიატორმა უნდა განსაზღვროს და განაწილოს მომსახურების საფასური და ხარჯები მხარეთა საჭიროებების შესატყვისად, გონივრულად და საქმის ბუნების შესაბამისად,<sup>69</sup> რათა წაახალისოს კერძო მედიაციაში მხარეთა მონაწილეობა, მეორე მხრივ, მან განსაკუთრებული ძალისხმევით უნდა გაანეიტრალოს ხარჯების/მომსახურების ჰონორარის არათანაბარი განაწილების თანმდევი ეთიკური რისკები.

თუ მედიატორები დაიცავენ ამ პრინციპებს, ისინი მედიაციის პროფესიის მიმართ ნდობის შენარჩუნებას ხელს შეუწყობენ<sup>70</sup> და კიდევ უფრო გაზრდიან მედიაციისადმი, როგორც მართლმსაჯულებისადმი, ხელმისაწვდომობის<sup>71</sup> შესაძლებლობას დავის ინიცირების ადრეულ ეტაპზე.

## 6. ეთიკის კოდექსის რეგულატორული ფუნქცია და *de lege ferenda*

ცალკეულ ქვეყანაში არსებობს სამედიაციო მომსახურების ტარიფების განსაზღვრის საჯაროსამართლებრივი, მ/შ სასამარ-

<sup>69</sup> Fla. r. for Certified & Court-Appointed Mediators 10.090 (d), მითითებულია: *Moberly R.B., Ethical Standards for Courts and Florida's Mandatory Mediation Experiment, Florida State University Law Review, Vol. 21, 1994, 716.*

<sup>70</sup> იქვე.

<sup>71</sup> დემოკრატიული დავის გადაწყვეტის სისტემებში მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობა აღარ განიმარტება როგორც მხოლოდენ სასამართლოსადმი შეუზღუდავი ხელმისაწვდომობა. მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობა დემოკრატიულ მართლწესრიგში გულისხმობს დავის გადაწყვეტის იმ ალტერნატიული და ეფექტიანი პროცესებისადმი შეუზღუდავ წვდომას, რომელიც განმტკიცებულია შიდა-სახელმწიფოებრივი დავის გადაწყვეტის ერთიან კონტინუუმში.

თლო მექანიზმებიც, როდესაც სასამართლო ან კანონმდებელი მკაცრ კონტროლს აწესებს, რათა ხარჯები არ გასცდეს გონივრულობისა და სამართლიანობის ფარგლებს.<sup>72</sup> არსებითია საქართველოში არსებობდეს სამართლიანი სამედიაციო პრაქტიკის დამატებითი დაცვის ისეთი გარანტია, რაც შესაძლებლობას მისცემს მხარეებს მომსახურების საფასურსა და განუღებ ხარჯებთან დაკავშირებული საკითხი მოექცეს მათ ინტერესებში და არ გასცდეს სამართლიანობის საზღვარს. ამასთან, უკეთესი იქნება, თუ ამერიკული მონესრიგების მაგალითზე დაყრდნობით, კანონმდებელი/მედიატორთა პროფესიული ორგანიზაცია დაარეგულირებს მხარეთა მიერ ხარჯების არათანაბრად გადახდის წესის შეთანხმების შემთხვევაში, მედიატორის მიერ პროცესის წარმოებისას ეთიკური ვალდებულების განსაკუთრებული დაცვისა და მის მიერ გაუთვალისწინებელი ხარჯების<sup>73</sup> შესახებ მხარეთა წინასწარი ინფორმირების საკითხს.

ამდენად, ეროვნულ რეგულირების მოდელში (სულ მცირე საქართველოს მედიატორთა ეთიკის კოდექსში), ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია შენარჩუნდეს მხარეთა ავტონომია (მედიაციის ნებაყოფლობითობის პრინციპიდან და სამედიაციო სერვისების მოქნილობის უზრუნველყოფის მიზნიდან გამომდინარე) სამედიაციო ხარჯების განსაზღვრისა და განაწილების პროცესში, თუმცა, მეორე მხრივ, აუცილებელია დადგინდეს ხარჯებისა და ჰონორარის სამართლიანი განაწილების ეთიკური მოთხოვნა. ამასთან, საჭიროა განისაზღვროს ხარჯების/ჰონორარის არათანაბარი განაწილების დასაშვებობა ასეთ პირობებში მედიატორის მიუყვებლობის,

<sup>72</sup> *ცერცვაძე გ.*, მედიაცია - ღავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 2010, 242.

<sup>73</sup> მედიატორმა თითოეულ მხარეს ან თითოეული მხარის წარმომადგენელს უნდა მიაწოდოს ჭეშმარიტი და სრული ინფორმაცია ჰონორარის, ხარჯების და ნებისმიერი სხვა ფაქტობრივი ან პოტენციური ხარჯების შესახებ, რომლებიც შეიძლება განუღებ იქნეს მედიაციასთან დაკავშირებით, იხ. *ყანდაშვილი ი.*, მედიაცია (ღავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება), თბ., 2020, 179.

დამოუკიდებლობის, პროცედურული სამართლიანობის განსაკუთრებული დაცვის ვალდებულების აღიარებით.

ყურადღებას იპყრობს მომსახურების საფასურისა და პროცესის ხარჯების ეთიკის კოდექსში რეგულირების ტექნიკის საკითხიც. მედიატორთა არაერთ ეთიკის კოდექსში აღნიშნულ საკითხს დამოუკიდებელი მუხლი ეთმობა მედიაციის ძირეული პრინციპების (თვითგამორკვევის, მიუკერძოებლობის, ინტერესთა კონფლიქტის აკრძალვის, მხარეთა თანასწორობის, კონფიდენციალობის) მონეროგების შემდეგ.<sup>74</sup> საქართველოს მედიატორთა ეთიკის კოდექსში ხარჯების საკითხი წესრიგდება ეთიკის კოდექსის პირველივე მუხლში, მედიატორთა კომპეტენციის, არჩევა-დანიშვნის საკითხებთან ერთად. ეთიკის კოდექსის იურიდიული დიქტომიის თვალსაზრისით, მიზანშეწონილია გაიზარდოს მედიაციის ხარჯების რეგულირების ფარგლები და დამოუკიდებელ მუხლში შესაბამისი ნორმადებულებებით მონეროგება მიეძღვნას არა მხოლოდ მედიატორის ანაზღაურების წესს, არამედ მედიაციის ხარჯების სამართლიანი განაწილებისა და მოსალოდნელი სავარაუდო ხარჯების შესახებ

<sup>74</sup> მედიატორთა ქცევის აშშ-ის მოდელური სტანდარტები, Model Standards of Conduct for Mediators, AAA, ABA, ACR, 1994, Revised 2005, Standard VIII, <[https://www.mediate.com/articles/model\\_standards\\_of\\_conflict.cfm#Link-Target\\_141](https://www.mediate.com/articles/model_standards_of_conflict.cfm#Link-Target_141)> [11.11.2022]; Office of The Executive Secretary of The Supreme Court of Virginia, Standards of Ethics and Professional Responsibility for Certified Mediators, 2011, L (Fees), <<https://www.vacourts.gov/courtadmin/aoc/djs/programs/drs/mediation/soc.pdf>> [11.11.2022], შეად. სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაცია“ მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 1.7 და 1.8. მუხლი, 24/04/2021, <<https://mediators.ge/uploads/files/60a4d7fd3f27f.pdf>> [11.11.2022]; California's Ethical Standards for Mediators, (1620.9), 2003, <<https://www.mediate.com/articles/calmedrules.cfm#:~:text=Rule%201620.&text=For%20mediation%20to%20be%20effective,manner%20that%20merits%20that%20confidence>> [11.11.2022]. Alabama Code Of Ethics For Mediators, (Adopted by Order of the Supreme Court of Alabama, December 14, 1995 and effective on March 1, 1996, including amendments received through June 1, 1997, and May 1, 2022); Codes of Conduct for Mediators in Turkey, prepared by Mediation Department of the Directorate General for Legal Affairs of the Ministry of Justice, revised and adopted by the Mediation Board, <<https://rm.coe.int/codes-of-conduct-for-mediators-in-turkiye/-1680a72d77>> [21.12.2022].

წინასწარი ინფორმირების პრინციპსაც. ხარჯების სამართლიანი განაწილებისა და ამ პროცესში მიუკერძოებლობისა და მხარეთა თანაბრობის დაცვის პრინციპის დამოუკიდებელი მონესრიგება სასურველია განთავსდეს კოდექსის სისტემაში მედიაციის ფუნდამენტური პრინციპების (მიუკერძოებლობა, მხარეთა თანაბარი ჩართულობა, დამოუკიდებლობა და სხვა) განმარტების შემდეგ, მით უფრო რომ ხარჯების/ანაზღაურების არათანაბარი ოდენობით განსაზღვრის დასაშვებობის კოდიფიცირება უნდა მოხდეს მედიატორის მიერ მიუკერძოებლობის, დამოუკიდებლობისა და მხარეთა თანასწორობის განსაკუთრებული დაცვის ვალდებულების აღიარებით.

ხარჯების განაწილების მუხლში სამართლიანობის, თანასწორობის, მედიატორის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის დაცვის კრიტერიუმების შემოტანა მეტად გაზომვადს გახდის სამართლიანი სამედიაციო პრაქტიკის მიზანს. მხარეს მედიატორისა და პროცესის მიმართ გაუჩენს მეტი დაცულობის შეგრძნებას, გაზრდის და ნაახალისებს მედიაციისადმი მიმართვიანობას, რათა იყოს მეტად თავისუფალი, გამოხატავუნარიანი და ჰქონდეს განცდა, რომ შეთანხმებისკენ მიმავალი გზა იქნება მეტად ხარისხიანი და პროცედურული სამართლიანობის უზრუნველმყოფი.

## 7. დასკვნა

ქართული კანონმდებლობა მედიაციის ანაზღაურების რეგულირების სფეროში ეფუძნება იმ მინიმალურ სტანდარტებს, რაც ასახულია ევროკავშირის კანონმდებლობასა და პრაქტიკაში, თუმცა მიზანშეწონილია, რომ საქართველოს მედიატორთა ეთიკის კოდექსის რეგულირება მედიაციის პროცესში მომსახურების საფასურისა და ხარჯების განაწილების საკითხში მეტად დაუახლოვდეს ამერიკულ რეგულატორულ სტანდარტს. ეს საკითხი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ხარჯების საკითხების მოქნილი და ამავდროულად ეფექტიანი რეგულირება მედიაციის ინიცირების ხელშემწყობ მძლავრ მექანიზმად იქცევა. ანაზღაურების სისტემის

ეფექტიანი და ეთიკური ფუნქციონირების გარეშე მედიაციის მექანიზმის წარმატებული ფუნქციონირება გამოირიცხვება.<sup>75</sup>

მედიაციამ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე წარმატებით დაამტკიცა, რომ ის წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ეფექტიან საშუალებას და ობიექტურად იმკვიდრებს თავს როგორც ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი დავის გადაწყვეტის პროცესი, რითაც კიდევ ერთხელ ამართლებს ლორდი ფილიპსის<sup>76</sup> სიტყვებს, რომ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების განვითარებას ალტერნატივა არ გააჩნია<sup>77</sup> და მოკრძალებით შეიძლება აღნიშნული მოსაზრების იმ კუთხით განვრცობა, რომ ნებისმიერი სწორად დაგეგმილი და გააზრებული რეფორმა, რომელიც, ერთი მხრივ, ეყრდნობა დაგროვილ საერთაშორისო გამოცდილებას, ხოლო, მეორე მხრივ, ასახავს ეროვნულ დონეზე არსებული საჭიროებების სწორ შემეცნებას, განწირულია წარმატებისთვის“.<sup>78</sup>

### ბიბლიოგრაფია:

1. საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“, 22/06/2021.
2. სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაცია“ მედიატორთა ეთიკის კოდექსი, 24/04/2021.
3. თორდია ვ., მედიაცია საქართველოში და მისი განვითარების პერსპექტივები, მოსამართლეთა საქმიანობის შეფასება, სასამართლო მედიაცია და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბ., 2017,

<sup>75</sup> იხ. ცერცვაძე ვ., მედიაცია - დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 2010, 242, შემდგომი მითითებებით.

<sup>76</sup> Lord Nicholas Phillips, ინგლისისა და უელსის სასამართლოების თავმჯდომარე, მითითებულია: ნულაძე ა., სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, თბ., 2016, 7.

<sup>77</sup> Blackshaw I.S., TMC Asser Instituut (La Haye), Sport, Mediation and Arbitration, T.M.C. Asser Press, Hague, 2009, 241, მითითებულია: იქვე.

<sup>78</sup> ყანდაშვილი ი., მედიაცია: ეფექტიანი და ხარისხიანი მართლმსაჯულების შექმნის გარანტი, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №2 (66) 2020, 29.



- 62, <<https://rm.coe.int/mosamartleta-saqmianobis-shefaseba-for-web/168-0788227>> [11.11.2022].
4. ლეონიძე ი., სოციალური ფუნქციის გამონვევები მედიაციის ცალკეულ ეტაპზე და პიროვნული სულისკვეთება მხარეთა შეთანხმების კადრს მიღმა, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელინდელი 2020“, თსუ-ის გამომცემლობა, სპეციალური გამოცემა, 2020, 47.
  5. ორჯონიკიძე ე., მედიაციის გზამკვლევი, თბ., 2021, 10.
  6. ოსტერმილერი ბ. მ., სვენსონი დ. რ., დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 121, 125, 143, 282.
  7. ყანდაშვილი ი., მედიაცია (დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება), თბ., 2020, 25, 31, 71-72, 179, 185-187, 274, 295-298, 301.
  8. ყანდაშვილი ი., მედიაცია: საადვოკატო საქმიანობის განხორციელების ახალი არეალი, ჟურნ. „ჩემი ადვოკატი“, №4, 2020, 10.
  9. ყანდაშვილი ი., მედიაცია: ეფექტიანი და ხარისხიანი მართლმსაჯულების შექმნის გარანტი, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №2 (66) 2020, 29.
  10. ყანდაშვილი ი., საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასამართლო ფორმები, თბ., 2018, 15-16.
  11. ჩიტაშვილი ნ., სამართლიანი შეთანხმება, როგორც მედიაციის ეთიკური ურღვეობის საფუძველი, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა წელინდელი 2016“, 15, <<https://adryearbook.tsu.ge/index.php/ADR/article/view/3025/3220>> [21.12.2022].
  12. ჩიტაშვილი ნ., ადვოკატ-მედიატორის ცალკეულ ეთიკურ ვალდებულებათა თავისებურება და რეგულირების აუცილებლობა, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2016, 46-47, <<https://jlaw.tsu.ge/index.php/JLaw/article/view/1857>> [21.12.2022].
  13. ჩიტაშვილი ნ., მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები, ჟურნ. „სამართლის ჟურნალი“, №1, 2016, 33, 37, <<https://jlaw.tsu.ge/index.php/JLaw/article/view/1803>> [21.12.2022].
  14. ცერცვაძე გ., მედიაცია - დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 2010, 35, 39, 42, 68, 77, 84, 110, 149, 168, 224, 229-230, 242-243, 246.

15. ცერცვაძე გ. (რედ.), არევაძე მ., ვასაძე ე., თვაური რ., ივანიძე გ., მახაური პ., ყიფიაშვილი თ., ტაკაშვილი ს., ხუჭუა თ., ჯიბლაძე ბ., მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, თბ., 2013, 32.
16. ნულაძე ა., სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, თბ., 2016, 7.
17. Model Standards of Conduct for Mediators, AAA, ABA, ACR, 1994, Revised 2005.
18. European Code of Conduct for Mediators, 2004.
19. CPR Georgetown Commission on Ethics and Standards in ADR - Model Rule for the Lawyer as Third Party Neutral, 2002, (revised - 2004), <<http://www.cpradr.org/RulesCaseServices/CPRRules/ModelRulefortheLawyerasThird-PartyNeutral.aspx>> [21.12.2022].
20. Supreme Court of Texas Ethical Standards for Mediators, 2011.
21. Standards of Ethics and Professional Responsibility for Certified Mediators, Office of the Executive Secretary of The Supreme Court of Virginia, 2011.
22. Florida Rules for Certified and Court-Appointed Mediators, 2013.
23. California's Ethical Standards for Mediators, 2003.
24. Alabama Code of Ethics for Mediators, Adopted 14/12/1995 effective on March 1, 1996, revised 01/06/1997, 01/05/2022).
25. Codes of Conduct for Mediators in Turkey, prepared by Mediation Department of the Directorate General for Legal Affairs of the Ministry of Justice, revised and adopted by the Mediation Board, <<https://rm-coe.int/codes-of-conduct-for-mediators-in-turkiye/1680a72d77>> [21.12.2022].
26. Alternative Dispute Resolution: Mediation and Conciliation, Law Reform Commission, 2010, 52, <[https://www.lawreform.ie/\\_fileupload/reports/r98-adr.pdf](https://www.lawreform.ie/_fileupload/reports/r98-adr.pdf)> [11.11.2022].
27. *Brown S., Cervenak Ch., Fairman D.*, Alternative Dispute Resolution Practitioners Guide, 13, <<https://www.usaid.gov/sites/default/files/documents/-1868/200sbe.pdf>> [11.11.2022].
28. *Hopt K.J., Steffek F.*, Mediation: Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 268.
29. Mediation and Dialogue Facilitation in the OSCE, Reference Guide, OSCE Conflict Prevention Centre, 2014, 7.

30. Mediator Standards Board, National Mediator Accreditation Standards, Professional Standards and Ethics, Australian Center for Justice Innovation, 7-1, 2015, 14.
31. *Patil A. R.*, Consumer Handbook on Mediation (FAQ), 2021, 18-19.
32. *Moberly R. B.*, Ethical Standards for Court-Appointed Mediators and Florida's Mandatory Mediation Experiment, Florida State University Law Review, Vol. 21, 1994, 716, <<https://ir.law.fsu.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1541&context=lr>> [21.12.2022].
33. *Şimşek N. S., Bölten K.*, Mediation as a Charming Dispute Resolution Mechanism, 4, <<https://www.gsg hukuk.com/en/publications-bulletins/articles/mediation-as-a-charming-dispute-resolution-mechanism-gsg.pdf>> [11.11.2022].

## დავით ქიქიკოშვილი\*

# მხარეთა ავტონომიისა და შინაარსობრივი სამართლიანობის თანაზომიერება მედიაციის პროცესში

სტატია ეხება სამედიაციო პროცესში მხარეთა ავტონომიისა და შინაარსობრივი სამართლიანობის თანაზომიერების დაცვის საკითხს. ანალიზი ეფუძნება როგორც საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას, ასევე სხვადასხვა უცხოურ მართლწესრიგში არსებულ საკანონმდებლო თუ მეცნიერულ მიდგომებს. სტატიაში მიმოხილულია ის რისკები, რაც წარმოშობს დილემას თვითგამორკვევის პრინციპსა და შინაარსობრივ სამართლიანობას შორის. ამასთან, ხაზგასმულია ამ ორ პრინციპს შორის თანაზომიერების დაცვის აუცილებლობა. აღნიშნული საკითხებზე მეცნიერული დისკურსი მედიაციის სამართლიანი პრაქტიკის დანერგვისთვის არსებითად მნიშვნელოვანია.

**საკვანძო სიტყვები:** მედიაცია, თვითგამორკვევა, ნებაყოფლობითობა, შინაარსობრივი სამართლიანობა, თანაზომიერება, ავტონომია, სამედიაციო მორიგება.

## 1. შესავალი

მედიაცია, თავისი პროცესუალური ბუნებით, წარმოადგენს უამრავი სიტუაციური საკითხის ჰუმანურსა და ბევრად ეფექტური გადაწყვეტის საშუალებას, დავის გადაწყვეტის სხვა მექანიზმებთან შედარებით. მედიაციის განვითარების საჭიროება და გამოყენების უპირატესობა ყოველდღიურად იზრდება. ეს გამომდინარეობს იქედან, რომ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ეს მექანიზ-

---

\* სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მედიატორთა ერთიანი რეესტრის წევრობის სერტიფიცირებული კანდიდატი, სტაჟირი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრის სტაჟირი.

მი გვთავაზობს მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას შემდეგი სამი ფაქტორიდან გამომდინარე: სასამართლოში დავების მოცულობა იზრდება, პროცესები უფრო ხანგრძლივი ხდება და ამდენად თანაზომიერად იზრდება სამართალწარმოების ხარჯებიც.<sup>1</sup> ძვირადღირებული პროცესები გადატვირთულ სასამართლოში კი არასასურველი და უარყოფითია როგორც სასამართლო სისტემისთვის, ისე მოქალაქეთათვის. მედიაცია გვევლინება დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმად, რომელიც აუმჯობესებს მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობას. მედიაცია ემყარება ფუნდამენტურ ღირებულებებს, რომელთა შორისაცაა თვითგამორკვევის ხელშეწყობის მედიატორისეული მოვალეობა, რაც სახელმძღვანელოა მთელი პროცესის მიმდინარეობისას. სტატია შეეხება თვითგამორკვევის პრინციპის, როგორც ეთიკურ-ნორმატიული სტანდარტის მნიშვნელობას და მასზე მსჯელობას შინაარსობრივი სამართლიანობის ასპექტში. შინაარსობრივ სამართლიანობასა და მხარეთა ავტონომიას შორის ჭიდილი წარმოადგენს ისეთ დილემას, რომლის გადაჭრაც წარმოადგენს სამედიაციო პროცესის კომპასს, ხელს შეუწყობს მედიაციის მიმართ მომხმარებელთა სანდოობას.

## **2. თვითგამორკვევისა და სამართლიანობის პრინციპები მედიაციაში**

მედიაციის უნიფიცირებული ერთიანი განმარტება<sup>2</sup> არ მოგვეპოვება, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ მედიაცია არის პროცესი, რომელშიც მედიატორი აადვილებს მხარეთა შორის კომუნიკაცია-

<sup>1</sup> Green Paper on Alternative Dispute Resolution in Civil And Commercial Matters COM/2002/0196 Final at 1.2(5), <<http://eurlex.europa.eu/>> [15.11.2022], მითითებულია: Law Reform Commission, *Alternative Dispute Resolution: Mediation And Conciliation*, Dublin, 2010, 8.

<sup>2</sup> *Wendenburg F.*, *Der Schutz Der Schwächeren Partei in Der Mediation*, Mohr Siebeck, Tübingen, 2013, 3, მითითებულია: *ყანდაშვილი ი.*, მედიაცია (დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება), თბ., 2020, 81.

სა და მოლაპარაკებას, რათა დაეხმაროს მხარეებს, მიაღწიონ ნებაყოფლობით შეთანხმებას მათ შორის არსებულ დავასთან დაკავშირებით.<sup>3</sup> შეიძლება ითქვას, რომ მედიაცია დაახლოებით იმდენი ხანია არსებობს რამდენი ხანიც არსებობს ადამიანთა ორგანიზებული საზოგადოება.<sup>4</sup> მსოფლიოს სხვადასხვა ნერტილში ვხვდებით დავის გადაწყვეტის აღნიშნულ მოდელს, მაგალითად კონფუციის დროინდელი ჩინეთი, ალბანეთის სოფლები, მე-12 საუკუნის ინგლისი, ჩრდილოეთ ამერიკა და კოლონისტების წინა პერიოდის აფრიკა.<sup>5</sup> საქართველოში 2021 წლიდან ოფიციალურად შეიქმნა მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, თუმცა, მედიაცია, თავისი შინაარსით, არ წარმოადგენს ჩვენი ქვეყნისთვის ნოვაციას. მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული წყაროები არ მოგვეპოვება მედიაციის და მედიატორის ისეთი ფორმის არსებობისა, როგორც დღეს არის მოცემული, თუმცა მედიატორი მსგავსი ფუნქციონალური დატვირთვით გვხვდება<sup>6</sup> საქართველოში. აღნიშნული ფუნქცია შეთავსებული ჰქონდა მაგალითად ხევისბერს, ამასთან, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში სადავო საქმის გამრჩევთა შინაარსით მოხსენიებულია „მსაჯული“, „ბჭე“, „მოსამართლე“, „მდივანბეგი“ და შუაკაცი.<sup>7</sup> აღნიშნული სწორედ მედიაციის წინა ისტორიულ სახეობას წარმოადგენს, ხოლო უკვე XIX საუკუნის დასაწყისიდან

<sup>3</sup> Uniform Mediation Act, 2003, Section 2, მითითებულია: წულაია ო., თვითგამორკვევა, როგორც ძირითადი ღირებულება მედიაციის პროცესში ეთიკის კოდექსებსა და სამართლებრივ ნაშრომებში: კონკურენცია დავის მონაწილე მხარეთა ავტონომიასა და შინაარსობრივ სამართლიანობას შორის, ჟურნ. „დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება - წელიწდეული 2017“, სპეციალური გამოცემა, თბ., 2019, 255.

<sup>4</sup> ოსტერმილერი ს. მ., სვენსონი დ. რ., დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 124.

<sup>5</sup> Murphy B. S., ADRs Impact on International Commerce, 48 Disp. Resol. J. 68, მითითებულია: ოსტერმილერი ს. მ., სვენსონი დ. რ., დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 124.

<sup>6</sup> ყანდაშვილი ი., მედიაცია (დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება), თბ., 2020, 270.

<sup>7</sup> ონიანი ს., ტერმინ „ბჭის“ მნიშვნელობისათვის ძველ ქართულ სამართალში, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2013, 16.

ტერმინი „მედიატორი“ და „სამედიატორო სასამართლო“<sup>8</sup> მკვიდრდება.

თანამედროვე სამართლებრივ სივრცეში საქართველომ, სხვა ქვეყნების მსგავსად, მიიღო მედიატორთა ეთიკის კოდექსი და კანონი „მედიაციის შესახებ“. აღნიშნულ სამართლებრივ აქტებში ვხვდებით მედიაციის საფუძვლებსა და პრინციპებს. სხვა პრინციპების პარალელურად, აღსანიშნავია მედიატორის თვითგამორკვევის ხელშეწყობის ვალდებულება, კერძოდ, მედიატორი ვალდებულია, წარმართოს პროცესი მხარეთა თვითგამორკვევის პრინციპის საფუძველზე და ხელი შეუწყოს დავის ნებაყოფლობით გადაწყვეტას.<sup>9</sup> იმისთვის, რომ მედიაცია თავის არსს არ ასცდეს, აუცილებელია რომ მხარემ ნებაყოფლობით, ინფორმირებული გადაწყვეტილება მიიღოს. ამისთვის საჭიროა მედიატორმა ხელი შეუწყოს და წახალისოს მისი თვითგამორკვევა. აღსანიშნავია, რომ მხარის თვითგამორკვევა, მედიატორის ნეიტრალობა და მის მიერ პროფესიული რჩევის მიცემის შეზღუდვა ურთიერთგანმაპირობებელ კავშირშია ერთმანეთთან, რაც ხშირად გავლენას ახდენს მედიატორის როლისა და ჩართულობის ფარგლებზე მედიაციის პროცესში.<sup>10</sup> სხვა შემთხვევაში, მედიატორმა თუ არ შეზღუდა თავისი ჩართულობა, ის გავლენას მოახდენს მხარეზე გადამეტებულად ნებსით თუ უნებლიეთ, და თვითგამორკვევის ხელშეწყობა გადაიზრდება მხარის ავტონომიის დარღვევასა და დამოუკიდებლობის უხემ შელახვაში. შესაბამისად, მხარეთა თვითგამორკვევა მედიაციის ფუნდამენტური

<sup>8</sup> *დავითაშვილი გ.*, სასამართლო ორგანიზაციასთან და პროცესთან დაკავშირებული ძირითადი ასპექტები ქართულ ჩვეულებით სამართალში, „ქართული სამართლის ისტორია“, პირველი გამოცემა, თბ., 2011, 86, 91, მითითებულია: *ყანდაშვილი ი.*, მედიაცია (დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება), თბ., 2020, 271.

<sup>9</sup> სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაცია“ მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 4.1 მუხლი „თვითგამორკვევის ხელშეწყობა“ 24/04/2021.

<sup>10</sup> *ჩიტაშვილი ნ.*, მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - ნელინდუელი 2016“, 2017, 30.

საფუძველია,<sup>11</sup> რომლისგანაც გამომდინარეობს მხარეთა ავტონომია და სამართლიანობა, როგორც საჯარო და კერძო ინტერესებს შორის არსებული წონასწორობა. ამ პრინციპებს შორის ბალანსის დაცვა და თანაზომიერების პოვნა მედიააციისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და ამ თანაზომიერების ხარისხი ერთმნიშვნელოვნად განაპირობებს მედიაციის ნაყოფიერებას.

### **3. თვითგამორკვევა როგორც მედიაციის პროცესის ხარისხის განმსაზღვრელი პრინციპი**

მედიაციის სასურველ მიზანს, ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, წარმოადგენს შეთანხმება. თუმცა, მედიაცია როდი გულისხმობს გარდუვალად შეთანხმების მიღწევას. მედიატორმა უნდა დაიცვას და წარმართოს მედიაცია მიუკერძოებლად და დამოუკიდებლად, მხარეთა თანაბრობის, თანასწორობის საფუძველზე, ის ასევე ვალდებულია მათი ნების შესაბამისად იმოქმედოს, პროცესის ყოველ ეტაპზე ხელი შეუწყოს და ნაახალისოს მხარეთა თვითგამორკვევა. სწორედ მხარეთა თვითგამორკვევის პრინციპია ის ამოსავალი წერტილი, რომლის დაცვისა ხარისხი პირდაპირპროპორციულია მთლიანად სამედიაციო პროცესის ხარისხისა. მედიაციის მთავარ „ხიზლს“ წარმოადგენს ის, რომ მოლაპარაკება არ არის მხოლოდ არც ერთი მხარისთვის სამედიაციო მორიგების ხელმონერამდე. ყოველი გადანყვეტილება მიიღება თავად მხარეების მიერ და თითოეული პროცესუალური არჩევანი მათ ნებაზეა დამოკიდებული. თამამად შეიძლება ითქვას, რომ თვითგამორკვევის პრინციპი არსებითად ნებაყოფლობითობის პრინციპთან მოდის კორელაციაში.<sup>12</sup> მხარეთა ნებაყოფლობითობისა და თვითგამორკვევის პრინციპი თანაარსებობენ მარტივი ლოგიკით – შეუძლებელია მხარემ გადანყვეტილება სრულად საკუთარი ნების

---

<sup>11</sup> იქვე.

<sup>12</sup> ყანდაშვილი ი., მედიაცია (დავის გადანყვეტის ალტერნატიული შუალეობა), თბ., 2020, 93.



საფუძველზე მიიღოს, თუ დარღვეულია მისი თვითგამორკვევა, არ არის ინფორმირებული შინაარსობრივ თუ პროცედურულ საკითხებზე ან მასზე დაუშვებელი ზემოქმედება ხორციელდება. სწორედ ამ ზეგავლენისგან ათავისუფლებს თვითგამორკვევის პრინციპი მხარეებს და გზას უხსნის მათ მიერ ნებაყოფლობითი გადანყვეტილების მიღებას. თვითგამორკვევის ხელშეწყობის პრინციპით, მედიატორი უზრუნველყოფს მხარეთა თვალსაწიერის გაზრდას, მათი „ძალაუფლების“ საზღვრების გაფართოებას სადავო საკითხთან შეჭიდებისას.

მედიაციაში მხარეებს არ „ემუქრებათ“ საჯარო გაკიცხვა, მედიის ქარ-ცეცხლი, სოციუმისა და საზოგადოების კრიტიკა. ვინაიდან თვითგამორკვევა არის ერთ-ერთი ყველაზე ფუნდამენტალური და წამყვანი პრინციპი მედიაციისა, ნებისმიერი კომპრომისი განეული ამ პრინციპის ხარჯზე,<sup>13</sup> დაუშვებელია. მედიატორმა არ უნდა მოახდინოს რაიმე სახის გავლენა<sup>14</sup> მხარეებზე მათ დასარწმუნებლად, რომ შეთანხმება გარანტირებულად მიიღწევა და აიძულოს მათ პროცესში შეთანხმება თავისუფალი ნების საწინააღმდეგოდ.<sup>15</sup> თავისი შესაძლებლობის ფარგლებში მედიატორმა არ უნდა დაუშვას მხარეთა გადანყვეტილებაზე რაიმე სახის ზემოქმედება გარეშე პირებისა.<sup>16</sup> მხოლოდ ამ კომფორტის შექმნის შემდეგ მიიღებენ მხარეები რეალურად ნებაყოფლობით გადანყვეტილებას და ამი-

<sup>13</sup> *Alfini J. J.*, Mediation as a Calling: Addressing the Disconnect Between Mediation Ethics And the Practices of Lawyer Mediators, *South Texas Law Review*, Vol. 49, 2008, 830-831, მითითებულია: *Chitashvili N.*, Specificity of Some Ethical Duties of Lawyer Mediator And Necessity of Regulation, “*Journal of Law*”, №2, 2016, 2017, 37.

<sup>14</sup> *Shin C. P.*, Drafting Agreements as an Attorney-Mediator: Revisiting Washington State Bar Association Advisory Opinion 2223, 89 *Wash. L. Rev.*, 2014, 1040. See also, *Alfini J.J.*, Mediation as a Calling: Addressing the Disconnect between Mediation Ethics and the Practices of Lawyer Mediators, *South Texas Law Review*, Vol. 49, 2008, 830, მითითებულია: იქვე.

<sup>15</sup> იქვე.

<sup>16</sup> სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაცია“ მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 4.6 მუხლი „თვითგამორკვევის ხელშეწყობა“, 24/04/2021.

ტომაც თვითგამორკვევის პრინციპის ჯეროვანი ხელშეწყობა სამედიაციო პროცესში, წარმოადგენს ჯეროვანი და სათანადო მედიაციის პროცესის წარმართვის საფუძველს.

მხარეთა რეალური თვითგამორკვევის საფუძველზე შესაძლებელია შეწყდეს კიდევ სამედიაციო პროცესი მხარეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. მედიაცია არ არის პროცესი, რომელიც მხოლოდ შეთანხმებით დასრულებაზეა ორიენტირებული, არამედ ის უქმნის გარემოს მხარეებს, განსაზღვრონ რა არის მათთვის საუკეთესო გამოსავალი. ლიეტუვის მედიაციის ეთიკის კოდექსით და საკანონმდებლო აქტით<sup>17</sup> დადგენილია, რომ მხარეთა მიერ უკანონო, ამორალური გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში შეთანხმება არააღსრულებადი იქნება და მედიატორმა ან უნდა შეწყვიტოს მედიაცია, ან უარი თქვას მასში მონაწილეობაზე.<sup>18</sup> თუ მედიატორმა თავიდან არ ააცილა მხარეებს შეთანხმების იძულების, მოტყუების ან არაკეთილსინდისიერების პირობებში წარმართული მოლაპარაკება, ეს დააზიანებს არა მხოლოდ მედიაციის ინსტიტუტს, არამედ ჩაითვლება მხარეთა მიმართ მედიატორის ვალდებულების დარღვევად.<sup>19</sup> შესაბამისად, სამედიაციო პროცესი არსობრივ სამართლიანობასა და საჯარო ინტერესის დაცვის აღიარებას ეფუძნება. თვითგამორკვევის პრინციპის ნაყოფია მხარეთა მიერ ავტონომიური გადაწყვეტილების მიღება კანონის უზენაესობის ფარგლებში.

თვითგამორკვევის პრინციპზე მსჯელობისას ყურადსაღებია საქართველოს მედიატორთა ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის მე-5 ნაწილი, რომლის თანახმადაც მედიატორი უფლებამოსილია საჭიროებისამებრ წახალისოს პროცესში მონაწილე მხარე, მიიღოს და-

<sup>17</sup> Law of Lithuania on Conciliatory Mediation in Civil Disputes, 2008, Art. 5 (4), მითითებულია: ჩიტაშვილი ნ., სამართლიანი შეთანხმება, როგორც მედიაციის ეთიკური ურდევობის საფუძველი, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწდეული 2016“, 2017, 19.

<sup>18</sup> Shapira O., Conceptions and Perceptions of Fairness in Mediation, 54 South Tex. L. Rev., 2012, 317, მითითებულია: იქვე.

<sup>19</sup> Shapira O., Conceptions and Perceptions of Fairness in Mediation, 54 South Tex. L. Rev., 2012, 339, მითითებულია: იქვე, 21.

მატებითი რჩევა, მათ შორის სხვა დამოუკიდებელი პროფესიონალებისგან.<sup>20</sup> შესაბამისად, მედიატორმა მხარეთა მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილების ხელშესაწყობად უნდა წაახალისოს იურიდიული რჩევის ან სხვა სახის საჭირო კონსულტაციის მიღება შესაბამისი დარგის სპეციალისტისგან. იურისტ-მედიატორი არ უნდა გასცემდეს იურიდიულ რჩევას და უნდა სთხოვდეს მხარეებს, რომ მოიძიონ დამოუკიდებელი იურისტი იურიდიული რჩევისთვის მედიაციის დაწყებამდე, დასრულებამდე და სამედიაციო მორიგების შედეგისას.<sup>21</sup> სამართლიანი იქნება ითქვას, რომ მედიატორისეული ფუნქციების შესრულება დასაშვებია მხოლოდ მხარეთა თვითგამორკვევის ხელშეწყობის ვალდებულების დაურღვევლად.<sup>22</sup>

#### **4. თვითგამორკვევის პრინციპის ნორმატიული მნიშვნელობა უცხოურ მართლწესრიგში**

მედიაციის ძირითადი პრინციპებია მიუკერძოებლობა, თვითგამორკვევა და ინფორმირებული თანხმობა.<sup>23</sup> თვითგამორკვევა წარმოადგენს ძირითად, ფუნდამენტურ და ერთდერთ მთავარ პრინციპს სამედიაციო პროცესში, ამდენად, აღნიშნული პრინციპი ნორმატიულად დამკვიდრებული ეთიკური სტანდარტია, რომელსაც საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მიერ შემუშავებულ მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსსა და სხვა მრავალ უცხოურ კოდექსში ვხვდებით.

<sup>20</sup> სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაცია“ მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 4.5 მუხლი „თვითგამორკვევის ხელშეწყობა“, 24/04/2021, <<https://mediators.ge/uploads/files/60a4d7fd3f27f.pdf>> [15.11.2022].

<sup>21</sup> Hughes P., Ethics In Mediation: Which Rules? Whose Rules? 2019, 8, <<https://journals.lib.unb.ca/index.php/unblj/article/view/29487/1882524676>> [15.11.2022].

<sup>22</sup> Patil R.A., Consumer Handbook on Mediation (FAQ), 2021, 21 <[https://consumeraffairs.nic.in/sites/default/files/file-uploads/latestnews/ConsumerHandbook\\_-\\_Mediation.pdf](https://consumeraffairs.nic.in/sites/default/files/file-uploads/latestnews/ConsumerHandbook_-_Mediation.pdf)> [15.11.2022].

<sup>23</sup> Şimşek N.S., Bölten K., Mediation as a Charming Dispute Resolution Mechanism, 11.

„მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი<sup>24</sup>, თვითგამორკვევის პრინციპს ნორმატიულად ადგენს და მას, როგორც მედიაციის წარმართვის ერთ-ერთ პრინციპს გვთავაზობს. თვითგამორკვევის პრინციპი ნორმატიულად მოცემულია ასევე ალაბამას მედიატორთა ეთიკის კოდექსში. ვირჯინიის ეთიკის კოდექსის მიხედვით, მედიაცია დაფუძნებულია მხარეთა თვითგამორკვევის პრინციპზე, სადაც, თვითგამორკვევა არის ნებაყოფლობითი, არაიძულებითი გადაწყვეტილების მიღების აქტი.<sup>25</sup> აღნიშნული პრინციპი ხანგრძლივი გამოცდილებისა და პრაქტიკული დაკვირვების შედეგადაა რეალიზებული ამერიკის შეერთებული შტატების ეთიკის კოდექსებში და მათი ანალიზის შედეგად მარტივად ვასკვნით, რომ თვითგამორკვევის ხელშეწყობის გარეშე, მედიაცია, ფაქტობრივად კარგავს თავის არსობრივ მიზანს. მაგალითად, ლოს-ანჯელესის მედიატორთა ეთიკის კოდექსის თანახმად, მედიატორებს აქვთ „ძალაუფლება“ დაარწმუნონ და დაიცვან, მაგრამ არა უბრძანონ მხარეებს რაიმეს გაკეთება.<sup>26</sup> ატლანტის შტატის მედიატორთა ეთიკის კოდექსის მიხედვით კი, თვითგამორკვევის პრინციპი არის ქცევის ერთ-ერთი მოდელური სტანდარტი<sup>27</sup> სხვა პრინციპებთან ერთად.

კანადის მედიატორთა ეთიკის კოდექსში დეტალურად არის მონესრიგებული თვითგამორკვევის პრინციპი<sup>28</sup> და მედიატორის მიერ მისი ხელშეწყობის ვალდებულება. მათ შორის ვხვდებით დამოუკიდებელი პროფესიონალისგან რჩევის მიღების ინფორმირებაზე წახალისებას და რომ მედიატორმა არ უნდა მოახდინოს რაიმე

<sup>24</sup> საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“, 22/06/2021.

<sup>25</sup> *Virginia Office of The Executive Secretary of The Supreme Court of Virginia, Standards of Ethics And Professional Responsibility for Certified, Mediators Adopted by the Judicial Council of Virginia April 5, 2011, 01/07/2011, 4.*

<sup>26</sup> *Michael D.M. (Ret.), Mediation Ethics, ADR Services, Inc. 1900 Avenue of the Stars, Suite 250 Los Angeles, California 90067 310-201-0010; <<http://Marcusmediation.Com>> [15.11.2022], The Mediator’s Ethical Duties, 2.*

<sup>27</sup> *Sherrill A. J., Ethics for Lawyers Representing Clients in Mediations, 11.*

<sup>28</sup> *ADR Institute of Canada, Code of Conduct for Mediators, 3. Principle of Self-Determination.*

სახის ზეგავლენა მხარეზე. აღნიშნული დანაწესი მართლაც ჰგავს საქართველოს მედიატორთა ეთიკის კოდექსში არსებულ დანაწესს.

თვითგამორკვევის პრინციპზე მსჯელობა უფრო ფართო და მასშტაბური რომ გახდეს, უნდა განვიხილოთ ევროპული მიდგომა, რომლის მიხედვითაც ნებაყოფლობითობა, კონფიდენციალურობა, მედიატორის ნეიტრალურობა, მხარეთა თვითგამორკვევა, მხარეთა თანასწორობა, კრეატიულობა, მოქნილობა და ხარჯთა ეფექტურობა სწორედ საბაზისო პრინციპებია.<sup>29</sup> შესაბამისად, თვითგამორკვევის პრინციპი მედიაციის ერთ-ერთი ძირითადი საფუძველია. ამასთან ერთად, სხვა უპირატესობების გვერდით, თვითგამორკვევის პრინციპის აქტიური როლი სამედიაციო პროცესში მისი განსაკუთრებული ხელსაყრელობის საფუძველია, ვინაიდან, მაშინ როდესაც სასამართლო პროცესები არის ავტორიტეტული, ფორმალური და სარჩელზე ორიენტირებული, მედიაცია გვთავაზობს მოქნილ, თვითგამორკვეულ,<sup>30</sup> ინფორმირებულ მიდგომას დავის გადაწყვეტის მიმართ.

თვითგამორკვევის პრინციპის ხელშეწყობის ხარისხზეა აგებული სამედიაციო პროცესის მთელი მიმართულება. მედიატორმა უნდა მიაწოდოს მხარეებს ინფორმაცია პროცესის შესახებ და დაეხმაროს მათ რომ გამოარკვიონ თავიანთი რეალური ნუხილი და შესაძლებლობები.<sup>31</sup>

ამრიგად, თვითგამორკვევის ხელშეწყობა არის მედიაციის ფუნდამენტური პრინციპი, თუმცა მისი საზღვრები შეთანხმების შინაარსობრივი მართლზომიერებითა და სამართლიანობით დგინდება.

<sup>29</sup> European Commission for the Efficiency of Justice (CEPEJ), Mediation Development Toolkit, Basic Mediator Training Curriculum, 2018, 20.

<sup>30</sup> *Steffec F.*, Mediation In The European Union: An Introduction, 2012, 1.

<sup>31</sup> Ministry of Labour, Industrial Relations, Tourism & Environmet, Code of Ethics for Mediators, Fijj, 2007, Article 5.1.4.

## 5. შინაარსობრივი სამართლიანობა მედიაციაში

სამართლიანობის პრინციპი ცალკეული ქვეყნის ნორმატიულ აქტებში განმტკიცებული სტანდარტია, თუმცა კი ცალკეული ქვეყნის მართლწესრიგი არ ითვალისწინებს მედიაციაში აღნიშნული პრინციპის მოწესრიგებას.<sup>32</sup>

პროცესის სამართლიანობა მედიაციაში გამოიხატება მედიატორის მიერ ყველა ეთიკურ-ნორმატიული პრინციპის ზედმინევენით დაცვაში. სამართლიანობის ცნება მედიაციაში აერთიანებს ეთიკურად განმტკიცებული პრინციპების დაცვას, რომელიც მორგებულია კონკრეტულ შემთხვევაზე და სუბიექტურად, მხარეთათვის მისაღები, უმჯობესი და კანონიერია. შესაბამისად, მედიატორმა უნდა დაიცვას მედიაციისთვის დამახასიათებელი პრინციპები, იმოქმედოს მხარეთა ნების შესაბამისად, უზრუნველყოს მათი სუბიექტური სამართლიანობის ობიექტურ სტანდარტებთან შეხამება სამედიაციო პროცესის მიმდინარეობისას და შემდეგ სამედიაციო შეთანხმების შედგენის ეტაპზე.

მედიაციის მეშვეობით მხარეები ცდილობენ საკუთარი სიმართლე შეათანხმონ ერთმანეთთან.<sup>33</sup> თუმცა, ასეთ შემთხვევაში უგულვებელყოფილი არ უნდა იყოს კანონიერებისა და ეთიკური პრინციპების მნიშვნელობა, საჯარო წესრიგის დაცვის აუცილებლობა. სამართლიანობის შეფასებისთვის საჭიროა მედიაციის კონკრეტული მონაწილეების სუბიექტური ხედვა და არა ის, თუ ობიექტურად რას მიიჩნევდა სამართლიანად ნებისმიერი საყოველთაოდ მიღებული მორალური ღირებულებების მქონე პირი, ამ პროცესის მონა-

<sup>32</sup> Code of Conduct for Mediators, ADR Institute of Canada, 2011, Ethical Guidelines for Mediators, Law Council of Australia, 2002, მითითებულია: *ჩიტაშვილი ნ.*, სამართლიანი შეთანხმება, როგორც მედიაციის ეთიკური ურღვეობის საფუძველი, *ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწდეული 2016“*, 2017, 7.

<sup>33</sup> *Wendland M.*, *Mediation und Zivilprozess*, Mohr Siebeck, Tübingen, 2017, 216-217, მითითებულია: *ყანდაშვილი ი.*, მედიაცია (დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება), თბ., 2020, 22.

ნილე რომ ყოფილიყო.<sup>34</sup> პრაქტიკაც მოწმობს, რომ მედიატორთა უმეტესობა ხელს უწყობს მხარეთა ავტონომიას სამართლიანობისა და კანონიერების აუცილებელი მოთხოვნების დაკმაყოფილებით.<sup>35</sup>

შეუძლებელია არსებობდეს სამედიაციო მორიგების შინაარსობრივი სამართლიანობის ერთიანი, უნიფიცირებული გაგება. მათ შორის ეთიკის კოდექსები არ მოიცავს მის განმარტებას, მაგალითად ჯორჯიის შტატის მედიატორთა ქცევის ეთიკური სტანდარტების<sup>36</sup> თანახმად, ნეიტრალური მესამე პირი მედიაციის სამართლიანი პროცესის გარანტია<sup>37</sup> და მასვე ეკისრება სამართლიანი შედეგის უზრუნველყოფის ვალდებულება.<sup>38</sup> თუმცა, რას წარმოადგენს სამართლიანი შედეგი და ზოგადად სამართლიანი სამედიაციო პროცესი, არ არის დადგენილი. სამართლიანობა მოქმედებს სამედიაციო მორიგების მიღწევის ეტაზეც. მხარეთა ავტონომიით მიღწეული შეთანხმება უნდა ასახავდეს კერძო და საჯარო ინტერესებს შორის აუცილებელ წონასწორობას.

<sup>34</sup> *ჩიტაშვილი ნ.*, სამართლიანი შეთანხმება, როგორც მედიაციის ეთიკური ურღვევების საფუძველი, *ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - ნელინდეული 2016“*, 2017, 11.

<sup>35</sup> *Waldman E.*, *Mediation Ethics: Cases and Commentaries*, USA, 2011, 6, მითითებულია: *ნულაია ო.*, თვითგამორკვევა, როგორც ძირითადი ღირებულება მედიაციის პროცესში ეთიკის კოდექსებსა და სამართლებრივ ნაშრომებში: კონკურენცია დავის მონაწილე მხარეთა ავტონომიასა და შინაარსობრივ სამართლიანობას შორის, *ჟურნ. „დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება – ნელინდეული 2017“*, 2019, 265.

<sup>36</sup> *Ethical Standards for Mediators*, Georgia Commission on Dispute Resolution, § IV. A, მითითებულია: *ჩიტაშვილი ნ.*, სამართლიანი შეთანხმება, როგორც მედიაციის ეთიკური ურღვევების საფუძველი, *ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - ნელინდეული 2016“*, 2017, 10.

<sup>37</sup> იხ. ასევე, *Rützel S., Wegen G., Wilske S.*, *Commercial Dispute Resolution in Germany*, 2nd ed., *Beck C.H.*, 2016, 202, მითითებულია: იქვე.

<sup>38</sup> *Hopt K. J., Steffek F.*, *Mediation: Principles and Regulation in Comparative Perspective*, Oxford University Press, Oxford, 2013, 664, მითითებულია: იქვე.

## 6. მხარეთა ავტონომიისა და შინაარსობრივი სამართლიანობის თანაზომიერება

არისტოტელეს მიხედვით, სამართლიანობა, თავისი შინაარსით გამორჩეულია, ვინაიდან შეუძლებელია მისი განმარტება საზოგადოებისგან იზოლირებულად. სამართლიანობა კი აუცილებლად საზოგადოებასთან ურთიერთმიმართებაში უნდა იქნეს განხილული. მედიაციაში, შინაარსობრივი სამართლიანობა და მხარეთა ავტონომია იმგვარად უნდა იყოს თანაზომიერად რეალიზებული, რომ არ მოხდეს ერთის ხარჯზე მეორის შეზღუდვა. თვითგამორკვევის პრინციპი და მხარეთა ავტონომია არის ის სტანდარტები, რომლის ხარისხიანი დაცვა და ხელშეწყობა სამედიაციო პროცესს სძენს თავის არსს, თუმცა სამედიაციო მორიგების შინაარსობრივი სამართლიანობის აუცილებლობის უარყოფა დაუშვებელია. მედიაცია არის პროცესი, სადაც მხარეები მოქმედებენ სახელშეკრულებო თავისუფლების პარადიგმისა და სრული ავტონომიის ფარგლებში.<sup>39</sup> ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, სამედიაციო შეთანხმება, რომელიც შინაარსობრივი სამართლიანობის გარეშე არის დადებული, წარმოადგენს ფაქტობრივად კანონის გვერდის ავლას და რიგ შემთხვევაში მის დარღვევასაც. მედიაცია არ უნდა იყოს, ნებისთი თუ უნებლიეთ ბოროტად გამოყენებული იმ ინსტიტუტის სახით, რომელიც ფუთავს მხარეთა უკანონო ზრახვებს სამედიაციო შეთანხმებაში. მედიატორს კი თავის მხრივ გააჩნია დიდი მორალური და პროფესიული პასუხისმგებლობა, წარმართოს სამედიაციო პროცესი კეთილსინდისიერებისა და სამართლიანობის პრინციპთა დაცვით.

ეთიკის კოდექსებით მედიაციაში ხდება კანონისა და მორალის ნორმების ინკორპორირება და უკანონო შეთანხმება სამართლიანად არ ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის მხარეთა თვითგამორკვევის უფლების საფუძველზეა მიღწეული და მათთვის მისა-

---

<sup>39</sup> European Commission for The Efficiency of Justice (CEPEJ), Mediation Development Toolkit, Basic Mediator Training Curriculum, 2018, 61.



ლებია.<sup>40</sup> თუნდაც მხარეთა ავტონომიის სრული დაცვით მიღწეული შეთანხმება არ ჩაითვლება სამართლიანად თუ იგი უკანონოა.

აღსანიშნავია, რომ მედიატორს არ შეუძლია თავად გასცეს იურიდიული რჩევა, იგი მხოლოდ დამოუკიდებელ პროფესიონალთან კონსულტირებას სთავაზობს მხარეებს. მედიატორს ეკისრება ინფორმირებული თანხმობის არა უზრუნველყოფის, არამედ ხელშეწყობის ვალდებულება.

სასამართლო უკანონო სამედიაციო შეთანხმებას არ აღასრულებს. ასეთი მიდგომა ნორმატიულ დონეზე მოწესრიგებულია საქართველოში, ბელგიაში, ფინეთში და ევროპის მრავალ ქვეყანაში. ევროპული მიდგომით, მედიაცია მოხსენიებულია როგორც სამართლიანობაზე ხელმისაწვდომობა.<sup>41</sup> მედიატორმა მაქსიმალურად თავიდან უნდა აირიდოს უსამართლო პროცესი, უსამართლო შედეგი და უკიდურეს შემთხვევაში, უფლებამოსილია შეწყვიტოს იგი. უკანონობა ზიანს აყენებს საჯარო და კერძო ინტერესებს, ეწინააღმდეგება მედიაციის არსსა და მიზნებს.

სამედიაციო პროცესი გვთავაზობს მორიგების გზების ფართო არეალს რომელიც შემოსაზღვრულია მხოლოდ მხარეების წარმოსახვით<sup>42</sup> და წახალისებულია მედიატორის მიერ. მედიატორმა არ უნდა შეწყვიტოს თვითგამორკვევის ხელშეწყობა მაშინ, როდესაც მხარეებს მიჰყავთ მედიაციის პროცესი მედიაციის რომელიმე მხარისთვის თუ მესამე პირებისთვის ფუნდამენტურად უსამართლო შედეგისკენ. თანაზომიერება მორიგების სამართლიანობასა და მხარეთა ავტონომიას შორის წარმოადგენს სამედიაციო პროცესში მედიატორის სახელმძღვანელო ორიენტირს. თვითგამორ-

<sup>40</sup> *Shapira O.*, *Conceptions and Perceptions of Fairness in Mediation*, 54 *South Tex. L. Rev.*, 2012, 317, მითითებულია: *ჩიტაშვილი ნ.*, სამართლიანი შეთანხმება, როგორც მედიაციის ეთიკური ურღვევების საფუძველი, *ჟურნ. „ღავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწადეული 2016“*, 2017, 12.

<sup>41</sup> *European Commission for the Efficiency of Justice (CEPEJ)*, *Mediation Development Toolkit, Basic Mediator Training Curriculum*, 2018, 61.

<sup>42</sup> *Şimşek N. S., Bölten K.*, *Mediation as a Charming Dispute Resolution Mechanism*, 4, <<https://www.gsg hukuk.com/en/publications-bulletins/articles/mediation-as-a-charming-dispute-resolution-mechanism-gsg.pdf>> [15.11.2022].

კვევის ხელშეწყობის პრინციპი მედიაციაში უნდა აძლიერებდეს მორიგების შინაარსობრივ სამართლიანობას, მხარეთა უსაფრთხოებას, ყველა მხარის ინტერესებისადმი თანასწორ და ღირსეულ მოპყრობას.<sup>43</sup>

თანაზომიერება მხარეთა ავტონომიასა და შინაარსობრივ სამართლიანობას შორის, არის ის ფაქტორი, რომელიც მედიაციას სძენს თავის რეალურ მიზნობრიობასა და არსს. მედიატორი უნდა ესწრაფვოდეს ამ ორ ფუნდამენტურ ღირებულებას შორის გონივრული ნონასწარობის უზრუნველყოფას.

## 7. დასკვნა

დაუშვებელია მედიაცია გამოყენებულ იქნეს კანონის დარღვევის და არაკეთილსინდისიერი ზრახვების განხორციელების საშუალებად. ნებისმიერი შეთანხმება, ქმედება, რომელიც ზიანს აყენებს პროცესში მონაწილე მხარეებს და მესამე პირებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს, უკანონო და ამორალურია, აზიანებს მედიაციის ინსტიტუტს და უნდა ჩაითვალოს უსამართლოდ.<sup>44</sup> მედიატორმა ნებისმიერ შემთხვევაში ხელი უნდა შეუწყოს მხარეთა თვითგამორკვევას, განსაკუთრებით მაშინ, თუ სახეზეა მხარეთა მოლაპარაკების ძალაუფლების არათანაბრობა ან რაიმე სხვა დისბალანსი. მედიაციის პროცესი შეიცავს უსამართლო შედეგის მიღ-

<sup>43</sup> Tyler R. T., Multiculturalism and the Willingness of Citizens to Defer to Law and to Legal Authorities, 25 LAW & Soc. INQUIRY 983 (2000); Welsh A.N., Remembering the Role of Justice in Resolution: Insights from Procedural and Social Justice Theories, 54 J. LEGAL EDUC. 49 (2004) (discussing benefits of procedural justice in conflict resolution processes), მითითებულია: Fordham Law School Flash: The Fordham Law Archive of Scholarship And History: Self-Determination In International Mediation: Some Preliminary Reflections, 2005, 278.

<sup>44</sup> Shapira O., Conceptions and Perceptions of Fairness in Mediation, 54 South Tex. L. Rev., 2012, 341, მითითებულია: ჩიტაშვილი ნ., სამართლიანი შეთანხმება, როგორც მედიაციის ეთიკური ურღვევების საფუძველი, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - ნელინდეული 2016“, 2017, 23.

ნევის საფრთხეებს, როდესაც მხარეები აშკარად არათანაბარი მოლაპარაკების ძალაუფლებითა და ავტორიტეტით გამოირჩევიან.<sup>45</sup>

შეუძლებელია ითქვას, რომ მხარეთა ავტონომიურობა უპირატესია სამართლიანობაზე, ან პირიქით. მედიაციისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია არსებობდეს აღნიშნულ პრინციპთა შორის თანაზომიერი წონასწორობა.

მედიაცია, მისი უმთარესი არსითა და დანიშნულებით, ნებაყოფლობითი პროცესია, რომელიც სრულად მხარეთა ავტონომიურობის პრინციპზეა აგებული,<sup>46</sup> თუმცა მედიატორის მიერ თვითგამორკვევის ხელშეწყობის შედეგად ფორმირებული მხარეთა ავტონომიური პოზიცია ჰარმონიაში უნდა იყოს სამართლიანობის ფუნდამენტურ მოთხოვნებთან და საზოგადოებაში საყოველთაოდ აღიარებულ სოციალურ ღირებულებათა სისტემასთან.

### **ბიბლიოგრაფია:**

1. საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“, 22/06/2021.
2. სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაცია“ მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, 24/04/2021, <<https://mediators.ge/uploads/files/60a4d7fd3f27f.pdf>> [15.11.2022].
3. საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 22/06/2021, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4646868?publication=2>> [15.11.2022].
4. *ორჯონიკიძე ე.*, მედიაციის გზამკვლევი, თბ., 2021, 21.
5. *ონიანი ს.*, ტერმინ „ბჭის“ მნიშვნელობისათვის ძველ ქართულ სამართალში, თსუ იურიდიული ფაკულტეტის სამართლის ჟურნალი, №2, 2013, 16.

<sup>45</sup> *Kressel K., Pruitt G.D.*, Conclusion: A Research Perspective on The Mediation of Social Conflict, in: *Kressel K., Pruitt G.D.*, Mediation Research The Process and Effectivness of Third Party Intevention, “Jossey-Bass Publishers”, San-Francisco, London, 1989, 404, მითითებულია: *ცერცვაძე გ.*, მედიაცია - დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 2010, 224.

<sup>46</sup> *ორჯონიკიძე ე.*, მედიაციის გზამკვლევი, თბ., 2021, 21.

6. ოსტერმილერი ს. მ., სვენსონი დ. რ., დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 124.
7. ყანდაშვილი ი., მედიაცია (დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება), თბ., 2020, 22, 81, 93, 270-271.
8. ჩიტაშვილი ნ., მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - ნელინდეული 2016“, თსუ-ს გამომცემლობა, 2017, 30.
9. ჩიტაშვილი ნ., სამართლიანი შეთანხმება, როგორც მედიაციის ეთიკური ურღვეობის საფუძველი, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – ნელინდეული 2016“, თსუ-ს გამომცემლობა, 2017, 7, 10-12, 19, 21, 23.
10. ცერცვაძე გ., მედიაცია - დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 2010, 224.
11. ნულაია ო., თვითგამორკვევა, როგორც ძირითადი ღირებულება მედიაციის პროცესში ეთიკის კოდექსებსა და სამართლებრივ ნაშრომებში: კონკურენცია დავის მონაწილე მხარეთა ავტონომიასა და შინაარსობრივ სამართლიანობას შორის, ჟურნ. „დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება - ნელინდეული 2017“, თსუ-ს გამომცემლობა, სპეციალური გამოცემა, თბ., 2019, 255, 265.
12. ADR Institute of Canada, Code of Conduct for Mediators.
13. Ministry of Labour, Industrial Relations, Tourism & Environmet, Code of Ethics for Mediators, Fiji, 2007.
14. Virginia Office of the Executive Secretary of the Supreme Court of Virginia, Standarts of Ethics And Professional Responsibility for Certified, Mediators Adopted by the Judicial Council of Virginia April 5, 2011, 01/07/2011.
15. Chitashvili N., Specificity of Some Ethical Duties of Lawyer Mediator and Necessity of Regulation, “Journal of Law”, №2, 2016, 2017, 37.
16. European Commission for the Efficiency of Justice (CEPEJ), Mediation Development Toolkit, Basic Mediator Training Curriculum, 2018, 20, 61.
17. Fordham Law School, Flash: The Fordham Law Archive of Scholarship And History: Self-Determination In International Mediation: Some Preliminary Reflections, 2005, 278, <<https://www.uvm.edu/~jbailly/courses/clas158/notes/kraut4.html#:~:text=Aristotle's%20method%20of%20defining%20justice,more%20than%20what%20is%20fair>> [15.11.2022].
18. Hughes P., Ethics In Mediation: Which Rules? Whose Rules? 2019, 8.

19. Law Reform Commission, *Alternative Dispute Resolution: Mediation And Conciliation*, Dublin, 2010, 8.
20. *Michael D.M.*, *Mediation Ethics*, ADR Services, Inc. 1900 Avenue of the Stars, Suite 250 Los Angeles, California 90067 310-201-0010, *The Mediator's Ethical Duties*, 11, <<http://Marcusmediation.Com>> [15.11.2022].
21. *Patil R.A.*, *Consumer Handbook on Mediation (FAQ)*, 2021, <[https://consumeraffairs.nic.in/sites/default/files/file-uploads/latestnews/ConsumerHandbook\\_Mediation.pdf](https://consumeraffairs.nic.in/sites/default/files/file-uploads/latestnews/ConsumerHandbook_Mediation.pdf)> [15.11.2022].
22. *Şimşek N. S., Bölten K.*, *Mediation as a Charming Dispute Resolution Mechanism*, <<https://www.gsg hukuk.com/en/publications-bulletins/articles/mediation-as-a-charming-dispute-resolution-mechanism-gsg.pdf>> [15.11.2022].
23. *Sherrill A. J.*, *Ethics for Lawyers Representing Clients In Mediations*, 11, <<http://www.americanjournalofmediation.com/docs/JOHN%20SHERRILL%20-Ethics%20for%20Lawyers%20Representing%20Clients%20in%20Mediation.pdf>> [15.11.2022].
24. *Steffec F.*, *Mediation In The European Union: An Introduction*, 2012, 1, <<https://e-justice.europa.eu/fileDownload.do?id=b3e6a432-440d-4105-b9d5-29a8be95408f>> [15.11.2022].

თამარ გობეჯიშვილი\*  
გვანცა ტაკაშვილი\*\*

## მედიაში საადვოკატო წარმომადგენლობის ეთიკური საფუძვლები და რეგულირების მნიშვნელობა

დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმი, მედია-ცია, დღითიდღე იძენს უფრო მეტ გამოყენებასა და პოპულარობას, რაც, რა თქმა უნდა, განსაკუთრებულ დაინტერესებას იწვევს იურისტებში, როგორც პრაქტიკული, ისე სამეცნიერო კვლევის თვალსაზრისით. მედიაციის განვითარებასთან ერთად გამოიკვეთა რიგი პრობლემური საკითხები, რომელთა გადაჭრისთვისაც სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული მექანიზმი ჩამოყალიბდა.

საქართველოში მედიაციის პროცესის რეგულირების კუთხით საჭირო ნორმატიული ბაზა უკვე მოქმედია, რომელიც საჭიროებს ცვლილებებს მედიაში იურიდიული წარმომადგენლობის ეთიკური ვალდებულების შინაარსისა და ფარგლების ნათლად განსაზღვრის თვალსაზრისით.

მედიაციის პროცესში თითოეულ მონაწილეს თავისი შეუცვლელი ფუნქცია და როლი აქვს. მედიაში ადვოკატი წარმომადგენლის ქცევას ერთ-ერთი გამომწვევი მნიშვნელობა ენიჭება, რამეთუ ის დიდწილად არის მხარის მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების ხელშემწყობი. ამდენად, მედიაში წარმომადგენლის ქცევა კონფრონტაციულ პროცესებში წარმომადგენლობისგან განსხვავებით თვისობრივად ახლებურ ეთიკურ სტანდარტსა და ნორმატიულ დანაწესს უნდა ემორჩილებოდეს. სწორედ ამიტომ, მედიაციის

---

\* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრის სტაჟიორი.

\*\* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრის სტაჟიორი.

პროცესში ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება იურიდიული წარმომადგენლობის ეთიკურ ვალდებულებებს, რადგან იგი დამყარებული და აგებულია ნდობასა და კონფიდენციალობაზე. აქედან გამომდინარე, სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება მედიაციაში წარმომადგენლობის ეთიკური ვალდებულების ეფექტიანი რეგულირება. გონივრული და დროული ეთიკის პრინციპების რეგულირება მედიაციაში საადვოკატო წარმომადგენლობის საკითხზე.

**საკვანძო სიტყვები:** მედიაცია, მედიაციის პროცესი, ადვოკატ წარმომადგენელი, ეთიკის კოდექსი, ადვოკატ წარმომადგენლის ეთიკური ვალდებულებები, ეთიკის კომისია, კონფიდენციალურობის დაცვა.

არ არსებობს უფრო ძნელი,  
წარმატების თვალსაზრისით უფრო საეჭვო და  
უფრო სახიფათო საქმე,  
ვიდრე ახალი წესრიგის დაფუძნება

**ნიკოლო მაკიაველი**

## 1. შესავალი

თანამედროვე მსოფლიოს სამართლებრივ სისტემებში ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს მედიაციის პროცესის სამართლებრივი რეგულირება. მართალია, მედიაციას გააჩნია მრავალსაუკუნეობრივი ისტორია და იგი ძველად, საქართველოში მეტად გამოყენებად ინსტიტუტს წარმოადგენდა, თუმცა თანამედროვე გაგებით ეს პროცესი ახალ საფეხურს წარმოადგენს სამართლებრივი დავების გადაწყვეტისას და მისი რეგულირებაც გამოწვევაა ქვეყნისთვის.

სამედიატორო საქმიანობის პოპულარიზაციასთან ერთად მით უფრო აქტუალური ხდება მედიაციის პროცესში ეთიკური საკითხების სამართლებრივი რეგულირება. მედიაციის განვითარებასთან ერთად გამოიკვეთა ადვოკატი წარმომადგენლის როლი ამ პრო-

ცესში. სწორედ ამიტომ, აქტუალური გახდა წარმომადგენლის ეთიკური ვალდებულებების საკანონმდებლო დონეზე მონესრიგება.

კვლევის მიზანია შეფასდეს ადვოკატი წარმომადგენლის, როგორც პროცესის მნიშვნელოვანი მონაწილის, ეთიკური ვალდებულებები მედიაციის პროცესში, რათა ხაზი გაესვას აღნიშნულ ვალდებულებათა სპეციფიკურ ხასიათს დავის გადაწყვეტის თანამშრომლობით პროცესში. ნაშრომში განხილულია აშშ-სა და ავსტრალიაში მოქმედი ცალკეული სტანდარტები, სადაც ნათლად ჩანს, თუ როგორ რეგულირდება საკანონმდებლო დონეზე ადვოკატის ეთიკური ვალდებულებები, რა შეიმუშავეს ამ ქვეყნებმა (შტატებმა), რათა მომხდარიყო მედიაციის პროცესში წარმომადგენელზე ეთიკური ვალდებულების გავრცელება.

კვლევის შედეგად შესაძლოა შეფასდეს თუ რა ეთიკური ვალდებულებები ვრცელდება მედიაციის პროცესში წარმომადგენელზე, მიიჩნევა თუ არა მედიაციაში წარმომადგენლობა საადვოკატო საქმიანობად და უნდა ვრცელდებოდეს თუ არა მასზე ადვოკატის უკვე დადგენილი ეთიკური ვალდებულებები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ეთიკური ვალდებულებების საკანონმდებლო დონეზე ახლებურ მონესრიგებას, ეთიკის კოდექსის გავრცელებას მედიაციის პროცესში წარმომადგენელზე და მასში ცვლილებებადამატებების შეტანას.

## **2. ადვოკატი წარმომადგენლის როლი მედიაციის პროცესში**

მედიაცია, როგორც დავის ალტერნატიული მეთოდი, უფრო მეტად გამოყენებადი ხდება. ქართული ჩვეულებითი სამართლისათვის მედიაციის ინსტიტუტი გარკვეულწილად დამახასიათებელი იყო. მე-18 საუკუნეში არსებობდნენ სპეციალიზებული მოსამართლეები, რომლებიც ბჭე-მედიატორების სახელით, მოიხსენიებოდნენ. ვახტან VI-ის სამართლის კრებული ნათელი მაგალითია იმისა, რომ მომრიგებელ-მოსამართლეები საქართველოში მედია-



ციის ინსტიტუტის განვითარებამდე არსებობდნენ.<sup>1</sup> 2019 წლის საპარლამენტო კანონშემოქმედების შედეგად, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“. ამ კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მედიაცია განიმარტა პროცესად, რომლის საშუალებითაც ორი ან რამდენიმე მხარე მედიატორის დახმარებით ცდილობს დავის ურთიერთშეთანხმებით დასრულებას.<sup>2</sup>

მედიაციის პლატფორმა, ეს არის მოლაპარაკების პროცესის ხელშეწყობა და მხარდაჭერა.<sup>3</sup> მედიაცია აღიქმება სტრუქტურირებული მოლაპარაკების პროცესად, რომელიც მედიატორის აქტიური მონაწილეობის შედეგად მიმდინარეობს. გერმანელი იურისტების ნაწილი მიიჩნევს, რომ დავის მოგვარების ალტერნატიული საშუალება - მედიაცია ინტერესების წინა პლანზე წამოწევას ემსახურება და ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს პრეტენზიებს.<sup>4</sup> იგი ხორციელდება მედიატორის (მესამე პირის) ჩართულობის შედეგად. სწორედ მისი მონაწილეობითა და ჩართულობით მიიღწევა მხარეთა შორის კონსენსუსი. მედიატორი არ აიძულებს მედიაციის მონაწილე მხარეებს შეასრულონ რაიმე გადაწყვეტილება, იგი ასრულებს ნეიტრალურად მდგომი მხარის ფუნქციას, ეხმარება მათ და ასევე მათი საჭიროებების, ინტერესებისა და მოსაზრებების საფუძველზე უწევს დახმარებას.<sup>5</sup>

დავების ალტერნატიული გადაწყვეტა მოიცავს სასამართლო პროცესის გარდა ნებისმიერ ფორმას, *inter alia*, მედიაციასაც. დღეს „Alternative Dispute Resolution“ და მისი ქართულენოვანი შესატყვისი:

<sup>1</sup> *ონიანი ს.*, ტერმინ „ბჭის“ მნიშვნელობისათვის ძველ ქართულ სამართალში, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2013, 14-25.

<sup>2</sup> საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“, სსმ, 18/09/2019, მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.

<sup>3</sup> *Stitt A.*, *Mediation: a Practical Guide*, “Cavendish Publishing”, London, Sydney, Portland, Oregon, 2004, 1.

<sup>4</sup> *ცერცვაძე გ.*, მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 2010, 26.

<sup>5</sup> *Dingle J., Kelbie J.*, *The Mediation Handbook*, the London School of Mediation, London, 2013-2014, 9.

„მედიაცია“ იდენტური მნიშვნელობის ტერმინებად აღიქმება მთელ ევროპაში და მათ შორის დიდ ბრიტანეთშიც.<sup>6</sup> შეიძლება ითქვას, რომ მედიაცია ისწავვის არა წარსულში მომხდარი მოვლენების ანალიზისაკენ, არამედ დავის პროდუქტიულად მოგვარებისაკენ, რადგან იგი სოციალურ-სამართლებრივი მოვლენაა და მისი მთავარი მიზანი მასში მონაწილე მხარეების საერთო თანაბარმნიშვნელოვანი ინტერესების შეჯერებაა.

მედიაციის პოპულარიზაციასთან ერთად უფრო და უფრო საინტერესო და პრობლემური ხდება პროცესის ეთიკური საკითხების სამართლებრივი მოწესრიგება. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ადვოკატი წარმომადგენლის როლს მედიაციის პროცესში. წარმომადგენელი არის ფიზიკური პირი, რომელიც ცდილობს მხარის ინტერესებისათვის საუკეთესო შედეგის მიღებას. მედიაციის პროცესის დროს ადვოკატები არ მოქმედებენ წინასწარ განსაზღვრული საპროცესო სამართლებრივი შეზღუდვების პირობებში.<sup>7</sup> წარმომადგენელი მედიაციაში მშვიდობის დამამყარებლად განიხილება.<sup>8</sup> მან უნდა მოამზადოს საკუთარი კლიენტი მედიაციისთვის, სწორედ მან მედიატორთან ერთად უნდა დაანახოს მხარეს სხვაობა რეალურ ინტერესებსა და მის მიერ დაყენებულ სამართლებრივ მოთხოვნებს შორის. ეს უნდა გაკეთდეს იმ მიზნით, რომ მხარემ აქცენტი გააკეთოს რეალურ ინტერესებზე და დაინცოს შეთანხმების მიღწევის მიზნით ოფციების შემუშავება.<sup>9</sup>

მედიაციაში წარმომადგენლობა ადვოკატის მხრიდან გულისხმობს გარკვეული ვალდებულებების შესრულებას, საკუთარი მარ-

<sup>6</sup> ცერცვაძე გ., მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 2010, 28.

<sup>7</sup> ჩანტლაძე რ., ადვოკატი წარმომადგენლის ეთიკური ვალდებულებები მედიაციის პროცესში (ქართული და ამერიკული მოდელის შედარებით სამართლებრივი ანალიზი), ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – წელიწდეული 2018-2019“, 2019, 229.

<sup>8</sup> Walker S., Smith D, Advising and Representing Clients at Mediation, Simonds & Hill Publishing, London, 2013, 3.

<sup>9</sup> ყანდაშვილი ი., მედიაცია დავის გადაწყვეტის ეფექტური ალტერნატიული საშუალება, თბ., 2020, 190.

ნმუნებლისათვის პროცესის შესახებ სრული ინფორმაციის მიწოდებას და სწორი რჩევის მიცემას მედიაციის საჭიროების შესახებ. მთავარ საკითხს წარმოადგენს ის, რომ ადვოკატს სწორად უნდა ესმოდედეს მედიაციის მიზანი და შინაარსობრივად აღიქვამდეს მედიაციის პროცესს - სჯეროდეს მედიაციის სარგებლიანობის და მედიატორში არ ხედავდეს პროფესიულ კონკურენტს. მედიაციის პროცესში ადვოკატი წარმომადგენლის მონაწილეობის შემთხვევაში მასზე ვრცელდება ანალოგიური ეთიკური წესები და სტანდარტები, რასაც არეგულირებს ამა თუ იმ ქვეყნის ადვოკატთა ეთიკის კოდექსი.<sup>10</sup>

ამერიკის შეერთებულ შტატებში მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან იწყება მედიაციის პროცესში ადვოკატის არსსა და მნიშვნელობაზე დისკუსიები.<sup>11</sup> აშშ-ს ადვოკატთა ასოციაციის „მოდელური წესის“ პრეამბულის მიხედვით, ადვოკატს ეკისრება გარკვეული ვალდებულებები, რომელიც გულისხმობს კლიენტის ინტერესების გულმოდგინედ დაცვას.<sup>12</sup> კანონმდებლობის მიხედვით, ადვოკატს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია არა მხოლოდ წარმომადგენლობითი იურიდიული მომსახურების განევა, ასევე იურიდიული მომსახურების განევა, როგორც მესამე ნეიტრალურ პირს. შესაბამისად, ივარაუდება, რომ მედიაციის პროცესში ადვოკატის ჩართულობაზე უნდა გავრცელდეს ეს მითითებები. აღსანიშნავია, ავსტრალიის მოდელი, რომელიც ჰგავს აშშ-ს მოდელს. ავსტრალიაში მედიაციის პროცესში მონაწილე იურისტებისთვის არსებობს სპეციალური, სარეკომენდაციო სახის სახელმძღვანელო. მოცემული სახელმძღვანელო მითითებები შემუშავებულია ავსტრალიის სამართლის საბჭოს მიერ დროდადრო გადახედვის პერსპექტივით და დამატებების შეტანით.

<sup>10</sup> *Chern C., International Commercial Mediation, London, 2008, 122.*

<sup>11</sup> *ჩანტლაძე რ., ადვოკატი წარმომადგენლის ეთიკური ვალდებულებები მედიაციის პროცესში (ქართული და ამერიკული მოდელის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – ნელინდეული 2018-2019“, 2019, 231.*

<sup>12</sup> *Model of Rules of Professional Conduct, American Bar Association, 2004, Preamble.*

ადვოკატის მიერ უნდა მოხდეს ყველა შესაძლო რისკის შეფასება და მხარის ინტერესების შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება. სწორი კონსულტაციის გაწევის მიზნით, აუცილებელია კლიენტსა და ადვოკატს შორის ჩამოყალიბდეს ნდობა. ნდობის პრინციპს აქვს უაღრესად დიდი მნიშვნელობა, რადგან მისი დარღვევის შემთხვევაში ადვოკატს ეკისრება ვალდებულება შეწყვიტოს კლიენტის სახელით მოქმედება/საქმიანობა.<sup>13</sup> კლიენტს უნდა ჰქონდეს ადვოკატის ნდობა, რომელიც ხელს უწყობს კონსულტაციის მოდელს დაფუძნებული მედიაციის პროცესის წარმართვას.

მედიაციაში ადვოკატებისგან მოელიან მთავარს, რომ ისინი არ წარმოჩინდებიან როგორც მთავარი სპიკერები და ეს ადგილი დაეთმობა თავად კლიენტს. „ადვოკატი მზად უნდა იყოს ინტერესებზე დაფუძნებული (*Interest-Based*) მოლაპარაკებისთვის“.<sup>14</sup> კვალიფიციურ ადვოკატ წარმომადგენელს მოეთხოვება, რომ მხარი დაუჭიროს კლიენტის უშუალო მონაწილეობას პროცესებში. გაეროს ძირითადი პრინციპებით, ადვოკატები ნებისმიერ დროს უნდა ზრუნავდნენ მათი პროფესიის პატივისა და ღირსების შესანარჩუნებლად.<sup>15</sup>

### 3. ზოგადად მედიაციაში ადვოკატი წარმომადგენლის ეთიკური ვალდებულების შესახებ

საადვოკატო ცნების განსაზღვრასთან ერთად მნიშვნელოვანია დადგინდეს მედიაციის პროცესში რა ეთიკური ვალდებულებე-

<sup>13</sup> კვაჭაძე მ., გასიტაშვილი ე., ბოჭორიშვილი კ., კობახიძე ი., ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის კომენტარები ეთიკის კომისიის პრაქტიკაზე დაყრდნობით, თბ., 2011, 8-9.

<sup>14</sup> ხარებავა გ., ადვოკატის ეთიკური ვალდებულება მედიაციაში წარმომადგენლობის ეტაპზე, ყურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწდეული 2020“, 2020, 107.

<sup>15</sup> Basic Principles on the Role of Lawyers, Adopted by the Eighth United Nations Congress on the Prevention of Crime and the Treatment of Offenders, Havana, Cuba, 27 August to 7 September 1990.

ბი აკისრია ადვოკატ წარმომადგენელს და როგორ არეგულირებს ამ საკითხს საქართველოს კანონმდებლობა.

დღესდღეობით, მედიაში მონაწილე მხარის წარმომადგენელთან მიმართებით არ არსებობს პირდაპირი ნორმატიული მონესრიგება, რაც ზუსტად მონესრიგებდა თუ რა ეთიკური ვალდებულებები აკისრია ადვოკატს, როგორც მხარის წარმომადგენელს, მედიაციის პროცესში. აქედან გამომდინარე, საჭიროა, დავადგინოთ რამდენად ვრცელდება „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი“<sup>16</sup> წარმომადგენელზე. კოდექსის მე-11 მუხლი ადგენს მოქმედების ფარგლებს, რომლის თანახმად, ეთიკის კოდექსის მოქმედება ვრცელდება ადვოკატებზე. ადვოკატი პასუხისმგებელია იმ პირთა ეთიკურ ქცევაზე, რომელიც მოქმედებს ადვოკატის დავალებით ან მისი სახელით ახორციელებს ქმედებას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ადვოკატმა მიიღო ყველა გონივრული ზომა იმისთვის, რომ ამ პირების ქცევა შესაბამისობაში ყოფილიყო ეთიკის კოდექსის მოთხოვნებთან.<sup>17</sup>

საინტერესოა იურიდიულ პრაქტიკაში ჩამოყალიბებული განმარტებები თუ ვისზე და როდის ვრცელდება კოდექსის მოქმედება. კერძოდ, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2014 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილებაში<sup>18</sup> აღნიშნულია შემდეგი: „ეთიკის კოდექსის“ მე-11 მუხლის, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის და უზენაესი სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ ადვოკატს დაეკისრება ადვოკატის ზოგადი ეთიკური ვალდებულებები ადვოკატის სტატუსის შექმნისთანავე და ეთიკური ნორმების ფარგლები არ შემოიფარგლება კონკრეტულ საქმეზე საადვოკატო საქმიანობის მიმდინარეობით.“<sup>19</sup>

<sup>16</sup> სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი“, 15/04/2006, მე-2 მუხლი.

<sup>17</sup> იქვე, მე-11 მუხლი.

<sup>18</sup> სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2014 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება №164/13, 5.

<sup>19</sup> ჩანტლაძე რ., ადვოკატი წარმომადგენლის ეთიკური ვალდებულებები მედიაციის პროცესში (ქართული და ამერიკული მოდელის შედა-

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა ერთ-ერთ საქმესთან<sup>20</sup> მიმართებით აღნიშნავს, რომ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს ადვოკატთათვის ეთიკის წესებს, რომლებიც უკავშირდება უშუალოდ მათ სტატუსსა და საადვოკატო საქმიანობას. თავის მხრივ, პალატა განმარტავს, რომ ადვოკატის საქმიანობა არ შემოიფარგლება მხოლოდ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლში ჩამოთვლილი შემთხვევებით<sup>21</sup> და მოქმედებს ადვოკატთა შორის ურთიერთობის დროსაც.<sup>22</sup>

განმარტებაში აღნიშნულია, რომ ადვოკატის ეთიკური ვალდებულებები ვრცელდება სასამართლოს გარეთ ადვოკატთა შორის ურთიერთობაზეც და არ შემოიფარგლება მხოლოდ რომელიმე კონკრეტული საქმით.<sup>23</sup> აქედან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ ადვოკატის ეთიკური ვალდებულებები დაკავშირებულია მის სტატუსთან, პირი შეიძენს თუ არა ადვოკატის სტატუსს მასზე ვრცელდება ეთიკის კოდექსით დადგენილი ნორმები და შესაბამისად, ვალდებულია ეს ნორმები, როგორც ადვოკატმა ნებისმიერ სიტუაციაში დაიცვას. აღნიშნულის მიხედვით, უნდა დავასკვნათ, რომ მედიაციის პროცესში ადვოკატზე, რომელიც მხარის წარმომადგენლად გამოდის, ვრცელდება ეთიკის კოდექსით დადგენილი ნორმები, იგი პროცესის განმავლობაში ვალდებულია ამ ნორმებით

---

რებითსამართლებრივი ანალიზი), ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – წელიწდეული 2018-2019“, 2019, 235. იხ. ციტირება: სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2014 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება, №164/13, 5.

<sup>20</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2015 წლის 6 მაისის №დს-შ/5-15 გადაწყვეტილება, 4-5.

<sup>21</sup> საქართველოს კანონი „ადვოკატთა შესახებ“, სსმ, 22, 20/06/2001, მე-2 მუხლი.

<sup>22</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2015 წლის 6 მაისის №დს-შ/5-15 გადაწყვეტილება, 4-5.

<sup>23</sup> ჩანტლაძე რ., ადვოკატი წარმომადგენლის ეთიკური ვალდებულებები მედიაციის პროცესში (ქართული და ამერიკული მოდელის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – წელიწდეული 2018-2019“, 2019, 235.

განახორციელოს საქმიანობა მედიაციაში მხარეების მიმართ. ასევე მნიშვნელოვანია არსებობდეს სპეციფიკური ნორმები მედიაციის პროცესში წარმომადგენელთან მიმართებით, რომელიც მედიაციის პროცესის სპეციფიკიდან გამომდინარე ზუსტად იქნება მორგებული ამ პროცესსა და საჭირო ეთიკურ ვალდებულებებზე.<sup>24</sup>

### **3.1. მედიაციაში საადვოკატო წარმომადგენლობის ზოგადი კონცეპტუალური საფუძველი**

ადვოკატთა ეთიკის კოდექსი იცავს პროცესში მხარეს ადვოკატის არამართლზომიერი ქმედებისგან და გარკვეულ სანქციასაც ითვალისწინებს ეთიკური ვალდებულების გადაცდომისთვის, თუმცა მედიაციის განვითარებასთან ერთად ადვოკატის ეთიკური ვალდებულებების რეგულირება აქტუალური ხდება.<sup>25</sup>

ადვოკატს, იმის მიუხედავად რომელ მხარესთან ურთიერთობს, აქვს ვალდებულება გამოიჩინოს პატივისცემა ყველა მხარის მიმართ და იყოს კეთილსინდისიერი.<sup>26</sup> ამ შემთხვევაში აღსანიშნავია კეთილსინდისიერების პრინციპი. ნებისმიერ შემთხვევაში, ადვოკატი ვალდებულია მედიაციის მიმდინარეობის დროს კეთილსინდისიერების პრინციპზე დაყრდნობით წარმართოს პროცესი. მედიაციის პროცესში კეთილსინდისიერების პრინციპს კი გადამწყვეტი როლი ენიჭება მედიაციის კონცეპტუალური მიზნისა და თანამშრომლობითი ბუნებიდან გამომდინარე.

ადვოკატს ნებისმიერი მხარის მიმართ გააჩნია კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება. იმისთვის რომ მედიაციის პროცესი თავისი შინაარსობრივი წესების დაცვით წარმართოს აუცილებელია, რომ მხარეებს შეეძლოთ ყველა საკითხზე გულახდილად

<sup>24</sup> *Wolski B.*, On Mediation, Legal Representatives and Advocates, University of New South Wales Law Journal, Vol. 38 (1), 2015, 15-16.

<sup>25</sup> *Golann D.*, Mediation Advocacy, the Role of Lawyers in Mediation, Jams International, 2008, 5.

<sup>26</sup> *Walker M.*, Guidelines for Lawyers in Mediations, ADR Bulletin, Vol. 9, №8, 2015.

და დაუფარავად საუბარი, სწორედ ამიტომ, კონფიდენციალურობის პრინციპი წარმოადნს მედიაციის პროცესის საყრდენ ინსტიტუტს და თავის მხრივ, წარმომადგენელი ვალდებულია კონფიდენციალურობა დაიცვას ნებისმიერი მხარის მიმართ, მაშინაც კი თუკი სამედიაციო პროცესი დასრულებულია.

პრაქტიკაში დიდ პრობლემას წარმოადგენს ადვოკატთა ფინანსური დაინტერესების საკითხი მედიაციის პროცესში. ამასთან მნიშვნელოვანია ერთ-ერთი საქმე, რომელშიც ადვოკატი მანიპულირებდა კლიენტის ინტერესებით, რათა საქმიდან მეტი თანხა მიეღო.<sup>27</sup> მოცემული საქმიდან ნათლად გამოიკვეთა, რომ ადვოკატის ფინანსური დაინტერესების გამო მედიაციის პროცესი არასწორი კუთხით მიმდინარეობდა, რადგან ერთ-ერთი წარმომადგენელი არ მოქმედებდა ეთიკური ვალდებულების ფარგლებში, არ იყო კონცენტრირებული კლიენტის საუკეთესო ინტერესებზე და დავის შეთანხმებით გადაწყვეტაზე.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი თანამშრომლობის ვალდებულებაა, რაც გულისხმობს ადვოკატის მონაწილეობას პროცესში შეჯიბრითობის პრინციპს მიღმა, რომელიც ძირითადად გამოიყენება სასამართლო საქმისწარმოების დროს. წარმომადგენელი მედიაციის პროცესში არის მომლაპარაკებელი, რომლის მიზანს წარმოადგენს არა საქმის მოგება, არამედ საქმის მორიგებით დასრულება, ისე რომ მეორე მხარის ინტერესებიც იყოს გათვალისწინებული დამდგარ შედეგში, ხოლო თუკი ადვოკატი იმოქმედებს შეჯიბრებითობის პრინციპით და არა მოლაპარაკებასა და დიპლომატიურ პრინციპებზე დაყრდნობით, მედიაციის პროცესში დასაწყისშივე განწირული იქნება. მედიაციის პროცესში მიზანს წარმოადგენს საერთო შეთანხმების მიღწევა და არა გამარჯვებულის გამოვლენა.

---

<sup>27</sup> იხ. ბოსტონის ადვოკატთა ასოციაციის კვლევა, იურისტების ეთიკური ვალდებულებების მიმოხილვა მედიაციის პროცესში ჩართულობისას, <<https://rothadr.com/>> [18.02.2022].



### 3.2. ადვოკატის ეთიკური ვალდებულებები მედიაციაში მონაწილე მხარეთა მიმართ

მნიშვნელოვანია ადვოკატის ეთიკური ვალდებულებები, რომლებიც მას სასამართლოს წინაშე აქვს აღებული. Hopeshore Ply Ltd v Melroad Equipment Ply Ltd საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ მხარის ადვოკატმა დააღვია სასამართლოს წინაშე აღებული ვალდებულება საქმე წარემართა ეფექტურად, რადგან ვერ შედგა მხარეთა შორის მედიაცია.<sup>28</sup> მედიაციის პროცესში მხარის ადვოკატმა არ უნდა თქვას ტყუილი და განზრახ შეცდომაში არ უნდა შეიყვანოს როგორც კლიენტი, ასევე სასამართლო.

სასამართლოს შეცდომაში შეყვანაში იგულისხმება ისეთი სამედიაციო აქტის წარდგენა სასამართლოსთვის, რომლითაც მტყიცდება რომ მხარეებს შორის მოხდა სამედიაციო შეთანხმება, თუმცა რეალურად ამას ადგილი არ ჰქონია.<sup>29</sup>

იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს დავა იმასთან მიმართებით თუ რა ეთიკური ვალდებულებები აქვს ადვოკატს მედიატორის წინაშე, რადგან თუკი მედიატორი აღქმული იქნება მხარედ, ადვოკატს ნაკლები ეთიკური ვალდებულება გააჩნია მის მიმართ, ხოლო თუკი მედიატორს გავუთანაბრებთ მოსამართლეს, ადვოკატის ვალდებულებაც მის მიმართ იზრდება და უთანაბრდება მოსამართლის წინაშე აღებულ ვალდებულებას.<sup>30</sup> ასეთ დროს ადვოკატი ვალდებულია მის ხელთ არსებული ყველა სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე ფაქტის შესახებ მიაწოდოს მედიატორს ინფორმაცია.

ადვოკატი ვალდებულია მეორე მხარის მიმართ გამოიჩინოს თავაზიანობა და სამართლიანობა.<sup>31</sup> „თავაზიანობა“ ყოველ კონ-

<sup>28</sup> *Wolski B., On Mediation, Legal Representatives and Advocates, University of New South Wales Law Journal, Vol. 38 (1), 2015, 15.*

<sup>29</sup> იქვე, 14-15.

<sup>30</sup> იქვე, 14-17.

<sup>31</sup> იხ. *ჩიტაშვილი ნ.,* სამართლიანი შეთანხმება, როგორც მედიაციის ეთიკური ურღვევობის საფუძველი, *ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწდეული 2016“*, თსუ-ის გამომცემლობა, 2017, 10.

კრეტულ შემთხვევაში განიმარტება და ადვოკატისგან ზოგადი ფორმალური წესების დაცვის მოლოდინს ქმნის, როგორცაა თვალთ კონტაქტი, დროულად გადარეკვა, წერილზე პასუხი და ა.შ.<sup>32</sup> თანამშრომლობის მოვალეობა (Duty to Cooperate) მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში აკისრია ადვოკატს და არ გულისხმობს მხარისთვის დახმარების განევას. ეს ვალდებულება მაშინ აკისრია ადვოკატს თუ იგი გათვალისწინებულია სპეციალური კანონით ან კონტრაქტით და გულისხმობს მხარეთა კოლეგიალურ მოპყრობას ერთმანეთის მიმართ, ხოლო ინტერესთან კონკურენციის პირობებში ცალსახად კლიენტის ინტერესების დაცვას ენიჭება უპირატესობა.<sup>33</sup> ადვოკატს აკისრია პატიოსნობისა და პირდაპირობის ვალდებულება, რაც გულისხმობს აკრძალვას, ადვოკატმა განზრახ შეცდომაში შეიყვანოს მხარე დასაქმესთან დაკავშირებულ საკითხებში.

იმის მიუხედავად ადვოკატი სასამართლოში წარმოადგენს კლიენტს თუ მედიაციაში, აუცილებელია იმოქმედოს კლიენტის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, რისთვისაც აუცილებელია კლიენტთან კომუნიკაცია და მისი აზრისა და შეხედულების გათვალისწინება მოლაპარაკების პროცესში, რათა შედეგი იყოს კლიენტის ინტერესებზე ორიენტირებული.<sup>34</sup> ადვოკატს მედიაციის პროცესში კლიენტის მიმართ აკისრია თვითგამორკვევის ხელშეწყობის ვალდებულება, ასევე ერთგულების მოვალეობა, რაც გულისხმობს იმას, რომ ადვოკატი კლიენტს უნდა უჭერდეს მხარს მედიაციის პროცესში და დაეხმაროს მას საკითხის უკეთ გააზრებაში. ადვოკატს კლიენტის მიმართ აკისრია კონფიდენციალობის ვალდებულება, რაც მოიცავს მედიაციის დროს მიღებული ინფორმაციის გაუმჟღავნებლობას, როგორც მედიაციის პროცესის მიმდინარეობისას, ასევე მისი დასრულების შემდეგაც, ვინაიდან, „კონფი-

<sup>32</sup> *Wolski B., On Mediation, Legal Representatives and Advocates, University of New South Wales Law Journal, Vol. 38 (1), 2015, 19.*

<sup>33</sup> იქვე, 18-24.

<sup>34</sup> იხ. *კვაჭაძე მ., გასიტაშვილი ე., ბოჭორიშვილი კ., კობახიძე ი., ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის კომენტარები ეთიკის კომისიის პრაქტიკაზე დაყრდნობით, თბ., 2011, 18.*

დენციალობა მედიაციისათვის განმსაზღვრელი უპირატესობა და ფუნდამენტური საფუძელია.“<sup>35</sup>

#### **4. ეთიკური ვალდებულების მოქმედების ფარგლები**

##### **4.1. ამერიკის შეერთებული შტატების სტანდარტი**

ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედებს „ადვოკატის ქცევის მოდელური წესი“ (The Model Rules of Professional Conduct)<sup>36</sup>. ასევე, ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის მიერ მიღებულია „შეთანხმების ეთიკური გაიდლაინები“, რომელიც წარმოადგენს სარეკომენდაციო სამართლებრივ დოკუმენტს. ის განსაზღვრავს მხარეთა შორის მოლაპარაკების ეტაპზე კერძო სამართლის ადვოკატი წარმომადგენლებისთვის ეთიკურ ნორმათა სისტემას.<sup>37</sup> ე.წ. „გაიდლაინების“ პრეამბულაში დოკუმენტის მიზნად სახელდება სამოქალაქო სამართლებრივი დავების დროს, მოლაპარაკების მხარეთა შორის დავის სამართლიანად გადაწყვეტის წახალისება.<sup>38</sup>

გაიდლაინების გამოყენება შესაძლებელი და რეკომენდებულია არა მარტო სასამართლო დავის, არამედ დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ფარგლებში. ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ „გაიდლაინებით“ დადგენილი რეგულაციები მიმართულია მედიაციის პროცესში მონაწილე ადვოკატი წარმომადგენლისადმი. მას ეკისრება რა გარკვეული ეთიკური ვალდებულებები, რაც თავის მხრივ, შინაარსით ემთხვევა ეთიკურ ნორმებს, რომლებიც

<sup>35</sup> *ჩიტაშვილი ნ.*, მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2016, 34.

<sup>36</sup> Model Rules of Professional Conduct, American Bar Association, 2004.

<sup>37</sup> *ჩანტლაძე რ.*, ადვოკატი წარმომადგენლის ეთიკური ვალდებულებები მედიაციის პროცესში (ქართული და ამერიკული მოდელის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – ნელინდეული 2018-2019“, 2019, 237.

<sup>38</sup> The Ethical Guidelines for Settlement Negotiations, American Bar Association, 2002, Preamble.

დადგენილია „მოძღვრული წესით“. მოცემული წესი წარმოადგენს ეთიკური ქცევის სტანდარტის დამდგენ დოკუმენტს, რომელიც ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის წევრებისთვისაა განკუთვნილი. „გაიდლაინების“ მიხედვით მედიაციის პროცესში მონაწილე ადვოკატ წარმომადგენელს, განსხვავებით „მოძღვრული წესისგან“, მიზნულია რომ ეკისრება გარკვეული ეთიკური ვალდებულებები არა მხოლოდ კლიენტის, არამედ მედიაციის პროცესში თითოეული მხარის მიმართ.<sup>39</sup> ეს ყოველივე მიზნად ისახავს მედიაციის პროცესში ყოველი მხარისთვის სამართლიანი შეთანხმების მიღწევას.<sup>40</sup> ეთიკურ ვალდებულებებში შეგვიძლია ვიგულისხმოთ: კომპეტენტურობის, ცოდნის ეთიკური ვალდებულება, კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება და სხვა. ამასთან, „გაიდლაინებით“ დანესებულია სპეციალური ეთიკური ვალდებულებები უშუალოდ კლიენტის მიმართ ადვოკატ წარმომადგენლებისთვის. შედარებისთვის, საქართველოში მოქმედი „ადვოკატთა ეთიკის კოდექსი“ ადგენს კომპეტენტურობის, ინტერესთა კონფლიქტის და კონფიდენციალურობის ზოგად პრინციპებს. შეიძლება ითქვას, რომ აშშ-ს ადვოკატთა ასოციაციის „მოძღვრული წესი“ და ამ შინაარსის საქართველოში მოქმედი ეთიკის კოდექსი მსგავს რეგულაციას აწესებს ზოგადი პრინციპების მიმართ. ამერიკელ ადვოკატებს არ აქვთ აკრძალული კლიენტის საქმეში ჩართულ ისეთ პირებთან ურთიერთობა, რომლებსაც წარმომადგენლობა არ გააჩნიათ, მაგრამ დანესებულია ფარგლები, რომლის დაცვაც ასეთი ურთიერთობის დროს ვვალდებულია.

საინტერესოა, თუ რა ხდება მაშინ, როდესაც ადვოკატი წარმომადგენელი არღვევს ეთიკურ ვალდებულებებს და როგორ რეგულირდება ეს ყოველივე. ამერიკული სამართლის დოქტრინაში

<sup>39</sup> ჩანტლაძე რ., ადვოკატი წარმომადგენლის ეთიკური ვალდებულებები მედიაციის პროცესში (ქართული და ამერიკული მოდელის შედარებითსამართლებრივი ანალიზი), ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – ნელინდელი 2018-2019“, 2019, 235, 240.

<sup>40</sup> Sheril J. A., *Ethics for Lawyers Representing Clients in Mediation*, Atlanta, 2012, 3.

მედიაციის პროცესში ადვოკატი წარმომადგენლის მხრიდან ეთიკური ვალდებულების დარღვევის კერძო შემთხვევები არსებობს. ეს შემთხვევები შესაძლებელია დაიყოს ე.წ. „ბლეფად“ და მოთხოვნის უფლების ღირებულების გადაჭარბებად. აშშ-ში ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ვრცელდება „მოდელური წესის“ ნორმები.<sup>41</sup> მაგალითად, მედიაციის პროცესში ადვოკატის მიერ გახმაურებული საქმის არსებითი და მნიშვნელოვანი გარემოებები, რომლებიც არ უნდა გახმაურებულიყო, შეფასებულ იქნება „მოდელური წესის“ კეთილსინდისიერების პრინციპის უხეშ დარღვევად.<sup>42</sup>

„მოდელური წესის“ პრეამბულის მიხედვით, დავის გადაწყვეტის მიზნით, ადვოკატი უფლებამოსილია კლიენტს გაუწიოს არა მხოლოდ წარმომადგენლობითი იურიდიული დახმარება, არამედ იურიდიული მომსახურებაც, როგორც მესამე ნეიტრალურმა პირმა. შესაბამისად, ამერიკულ სამართლებრივ დოქტრინაში მიიჩნევა, რომ „მოდელური წესის“ გამოყენება და გავრცელება შესაძლებელია სხვა სამართლებრივ ურთიერთობებზე ადვოკატსა და კლიენტს შორის.

სამართლებრივი აქტით განმტკიცებული ადვოკატის ეთიკური ვალდებულებები მიიჩნევა, რომ ვრცელდება მედიაციის პროცესზეც, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურ ტექსტში არ არსებობს ამ ყოველივეზე მითითება.<sup>43</sup> ასევე, დეტალური რეგულირების თვალსაზრისით, შექმნილია „შეთანხმების ეთიკური გაიდლაინები“, რომლებშიც განსაზღვრულია ეთიკურ ნორმათა სისტემა, რომელიც გამოიყენება, როგორც სასამართლო დავის, ასევე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ფარგლებში. მოცემული სარეკომენ-

<sup>41</sup> *Roth B. J., Ethical Considerations for Advocates in Mediation, Massachusetts Lawyer's Weekly, 2005, 2.*

<sup>42</sup> *ჩანტლაძე რ.*, ადვოკატი წარმომადგენლის ეთიკური ვალდებულებები მედიაციის პროცესში (ქართული და ამერიკული მოდელის შედარებითსამართლებრივი ანალიზი), *ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – წელიწდეული 2018-2019“*, 2019, 243.

<sup>43</sup> *იქვე*, 2.

დაციო ხასიათის დოკუმენტი „მოდელური წესის“ მსგავსად არეგულირებს გარკვეულ საკითხებს და ზოგ შემთხვევაში გარკვეული ნორმები ეყრდნობა.<sup>44</sup>

ადვოკატებს საზოგადოების მიმართ მაღალი პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობა აკისრიათ. რა თქმა უნდა, კლიენტის ინტერესებს უპირატესობა ენიჭება. სწორედ ამიტომ ამერიკის შეერთებული შტატებში, კანონმდებელი მოქმედებს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და მიიჩნევს, რომ მედიაციის პროცესში წარმომადგენლობისას ადვოკატზე ვრცელდება, როგორც პროფესიის წარმომადგენელზე, სათანადო ეთიკური ქცევის სტანდარტი, რომელიც განსაზღვრულია როგორც „მოდელური წესით“, ასევე „გაიდლაინებით“. ამ მხრივ საინტერესოა, ვირჯინიის შტატში დამკვიდრებული პრაქტიკა. 1999 წელს მიღებულ იქნა სპეციალური „წესები“, რომლებიც მოქმედებს ადვოკატის მიმართ მედიაციის პროცესის დროს.<sup>45</sup> მოცემული დოკუმენტი დეტალურად განიხილავს ადვოკატის ვალდებულებებს და ამახვილებს ყურადღებას მის კონფიდენციალობასა და ინფორმირების ვალდებულებებზე.<sup>46</sup> ვირჯინიაში მოქმედი კოდექსი (Virginia Code of Professional Responsibility) ძირითადად ყურადღებას ამახვილებს ადვოკატის ქცევაზე, „წესები“ კი ფართოდ აღწერს ადვოკატის, როგორც პრობლემის გადაწყველის, მრჩეველის, შუამავლის, მესამე მხარის ნეიტრალური და შუამავლის როლს.<sup>47</sup>

ამერიკის შეერთებული შტატების პრაქტიკა, საკანონმდებლობა და დოქტრინური განმარტებები ნათელყოფს, რომ ადვოკატ წარმომადგენლის საქმიანობა საადვოკატო საქმიანობად მიიჩნევა და მასზე სრულად ვრცელდება ადვოკატის მიმართ დადგენილი რეგულაციები.

<sup>44</sup> Model Rules of Professional Conduct, American Bar Association, 2004.

<sup>45</sup> The Virginia Rules of Professional Conduct (“Rules”), 1999.

<sup>46</sup> The Virginia Rules of Professional Conduct (“Rules”), 1999, Rule 1.4.

<sup>47</sup> Lawrence H., Hoover Jr., Advocacy in Mediation: Ethics, CLE Programs “Advocacy in Mediation”, 1999.

## 4.2. ავსტრალიაში მოქმედი სტანდარტი

ავსტრალიას აქვს ხანგრძლივი, 112-წლიანი ისტორია შერიგებისა და არბიტრაჟის გამოყენების სფეროში დავების მოსაგვარებლად და მის ინდუსტრიულ სასამართლოებს ხშირად უწოდებდნენ შემათანხმებელ და საარბიტრაჟო კომისიებს.<sup>48</sup>

მიუხედავად ამდენწლიანი განვითარების ისტორიისა, ავსტრალიას არ ჩამოუყალიბებია სპეციფიკური მოდელი მედიაციაში, რომელიც მხოლოდ ამ ქვეყნისთვის იქნებოდა დამახასიათებელი და გამოირჩეოდა სპეციფიკით, მეტიც, ავსტრალიული მედიაციის მოდელი ადვილად ამოსაცნობია ამერიკელი მედიატორებისთვის, რადგან ძირითადი ნაწილი სწორედ ამერიკის მოდელზეა აგებული.<sup>49</sup>

1990-იანი წლებისთვის მედიაცია კარგად იყო ჩამოყალიბებული და მიღებული იურისტების მიერ, როგორც საქმეების გადაწყვეტის სასარგებლო მექანიზმი. ახალი სამხრეთ უელსის უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე, ენდრიუ როჯერსი, კონფერენციაზე გამოსვლისას, დაუპირისპირდა იურისტების აუდიტორიას იმის შესახებ, რასაც იგი უწოდებდა მათ ახლად აღმოჩენილ ენთუზიაზმს შუამავლობის მიმართ. მოსამართლის განცხადებაში არსებობდა კითხვა, რომ მედიაცია იყო თუ არა პოპულარული კონფიდენციალობის გამო და თუკი ეს კონფიდენციალობა შეიზღუდებოდა კანონის დონეზე იქნებოდა მედიაცია ისევ მოთხოვნადი?!<sup>50</sup> ეს კითხვა დღესაც პოპულარულია მედიატორებს შორის და ამ კითხვაზე პასუხის გაცემა საკმაოდ რთულია, რადგან კონფიდენციალობა მედიაციის განუყოფელი ეთიკური სტანდარტია.

ავსტრალიის მოდელი ჰგავს აშშ-ს და სხვა ქვეყნების მოდელს და არ გამოირჩევა რაიმე თავისებურებით, მიუხედავად ამდენწლი-

<sup>48</sup> *Kalowski J., Through the Cultural Prism: Mediation in Australia, Publication: Diversité des Médiations du Monde: Afriques - Orientes - Amériques ... et Europes, Paris, 2009.*

<sup>49</sup> იქვე.

<sup>50</sup> იქვე.

ანი ისტორიისა, თუმცა, ავსტრალიაში მედიაციის პროცესში მონა-  
ნილე იურისტებისთვის არსებობს სპეციალური, სარეკომენდაციო  
სახის სახელმძღვანელო.<sup>51</sup>

მოცემული სახელმძღვანელო მითითებები შემუშავებულია ავ-  
სტრალიის სამართლის საბჭოს მიერ დროდადრო გადახედვის პერ-  
სპექტივით და დამატებების შეტანით. სახელმძღვანელოს მიხედ-  
ვით, მედიაციის დროს ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფი-  
დენციალურობა როგორც კლიენტთან ურთიერთობისას, ასევე მე-  
დიაციის პროცესის მიმართ და მიმდინარეობისას ნებისმიერ ასპექ-  
ტში. უფრო მეტიც, კანონის შესაბამისად, ადვოკატმა უნდა დაიც-  
ვას კონფიდენციალურობა, რომელიც მოთხოვნილია მხარეების მი-  
ერ და რომელიც განსაზღვრულია სამედიაციო შეთანხმებით.<sup>52</sup>

მედიაციის დროს ადვოკატი და მისი კლიენტი აუცილებლად  
უნდა მოქმედებდეს კეთილსინდისიერად. სახელმძღვანელოს კო-  
მენტარების თანახმად, ადვოკატი ვალდებულია კლიენტს ურჩიოს  
კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვა.<sup>53</sup> ადვოკატმა უნდა შეწყ-  
ვიტოს პროცესში ისეთი კლიენტის წარმოდგენა, რომელიც გან-  
ზრახ არღვევს კეთილსინდისიერების პრინციპს. ასევე, თუ ადვოკა-  
ტი ეჭვობს, რომ მედიაციისას სხვა მხარეები მოქმედებენ არაკე-  
თილსინდისიერად, ეს ჯერ პირადად უნდა განიხილოს შუამავალ-  
თან.<sup>54</sup> ამასთან მიმართებით მნიშვნელოვანია საქმე *Western  
Australia v Taylor*,<sup>55</sup> რომელშიც ტრიბუნალმა განერა კრიტერიუმე-  
ბი, ჰქონდა თუ არა მთავრობას კეთილსინდისიერად მოლაპარაკე-  
ბის ვალდებულება. მოცემულ კრიტერიუმებს თუკი აკმაყოფილებ-  
და მხარე, მაშინ მიიჩნეოდა, რომ კეთილსინდისიერების პრინციპი  
არ იყო დაცული. მოცემულ კრიტერიუმებს შორისაა, მომლაპარა-  
კებლის გაგზავნა უფლებამოსილების გარეშე, რომელიც მოსმენა-

<sup>51</sup> Guidelines for Lawyers in Mediation, Law Council of Australia, 2019, 2, 5-6.

<sup>52</sup> იქვე, Art. 2.1.

<sup>53</sup> იქვე, Art. 2.2.

<sup>54</sup> იქვე.

<sup>55</sup> (1996) 134 FLR 211 at 224-225 (National Native Title Tribunal, Member 51 Sumner).



ზე და დისკუსიაზე მეტს აკეთებს; შეთანხმებიდან გადახვევა; ხისტი და არასათანადო პოზიციის მიღება; საპირისპირო წინადადების წარდგენის ჩავარდნა; უარი წერილობით შეთანხმებაზე ხელისმონერაზე, რომელიც მოლაპარაკების პროცესთანაა დაკავშირებული; კონკრეტულ ვითარებაში წარუმატებლობის მიღწევა, მაშინ, როცა საშუალო ადამიანი მოცემულ სიტუაციაში მოლაპარაკებას წარმატებით დაასრულებდა. მოცემული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში მხარის არაკეთილსინდისიერება გვაქვს სახეზე.

სახელმძღვანელო მიუთითებს ადვოკატის ვალდებულებაზე აუხსნას მხარეს რას წარმოადგენს მედიაცია და მასთან ერთად მოახდინოს რისკების ანალიზი. ადვოკატმა პროცესში ფართო ჭრილში უნდა იფიქროს და არ უნდა შემოისაზღვროს თავი მხოლოდ სამართლებრივი კუთხით, აუცილებელია რომ წარმომადგენლის მიერ მოხდეს კლიენტის ინტერესების გათვალისწინება, მასთან დისკუსია და საერთო მიზნამდე მისვლა.

მედიაციის პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს კლიენტის პირადი, ბიზნეს და კომერციული ინტერესი, რაც დავის მის სასარგებლოდ გადანყვეტას შეუწყობს ხელს. ადვოკატმა უნდა აუხსნას მხარეს, რომ მედიაცია არის მოლაპარაკების პროცესი საერთო კონსენსუსსამდე მისასვლელად, ეს არ არის შეჯიბრითობის პრინციპი,<sup>56</sup> რომელშიც გამარჯვებული და დამარცხებული მხარე არსებობს.<sup>57</sup>

სახელმძღვანელოში მითითებულია ის უნარები, რომელიც ეხმარება ადვოკატს წარმატებული მედიაციისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ მედიაციის პროცესში საჭირო უნარები განსხვავდება ადვოკატირების დროს გამოსაყენებელი უნარებისგან. ადვოკატისთვის მნიშვნელოვანია აქტიური მოსმენის უნარის გამოვლენა მაშინაც კი თუკი პროცესი არ მიმდინარეობს სამართლებრივ ჭრილში.

<sup>56</sup> იქვე, Art. 5.1

<sup>57</sup> რაზმაზე ნ., მედიაციის პროცესში ადვოკატ-წარმომადგენლის ეთიკის სტანდარტი და რეგულირების ფარგლები, ნაშრომი მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2019, 44.

წარმომადგენელი, რომელიც იყენებს დამარწმუნებელ და არა შეჯიბრითობისა და აგრესიულ მეთოდს და ითვალისწინებს მეორე მხარის ინტერესებსაც უფრო დიდ წარმატებას მიაღწევს მედიაციის პროცესში, ვიდრე ადვოკატი, რომელიც მხოლოდ საკუთარი კლიენტის ინტერესებს დაიცავს და არ იქნება დიპლომატი ამ პროცესში.<sup>58</sup>

მოცემული სახელმძღვანელო არის ძირითადი პრინციპების ერთობლიობა, რომელზე დაყრდნობითაც მოქმედებს წარმომადგენელი მედიაციის პროცესში. მოცემული დოკუმენტის არსებობით მეტად გამარტივებულია ამ პროცესის შესწავლა ადვოკატ-წარმომადგენლისთვის, თავმოყრილი წესები ერთგვარი სახელმძღვანელო პრინციპებია წარმომადგენლისთვის, რომლისთვისაც ახალი სამედიაციო საქმიანობა. სწორედ ამიტომ არის მოცემული სახელმძღვანელო პრინციპების არსებობა მნიშვნელოვანი საქართველოში, რადგან, რეალურად, მედიაცია ახლა აღწევს პოპულარობის მწვერვალს საქართველოში და შესაბამისად, გამოუცდელეები არიან მოცემულ საკითხში ადვოკატ-წარმომადგენლები და მათთვის საჭრია იმ სახელმძღვანელო პრინციპების ერთობლიობის არსებობა, რომელიც მათ მედიაციის პროცესის შესწავლასა და წარმართვას გაუადვილებს.

## **5. ადვოკატი წარმომადგენლის ეთიკური ვალდებულების რეგულირების ფარგლები და არსებული გამოწვევები საქართველოში**

საქართველოში ადვოკატი წარმომადგენლის საქმიანობის რეგულირება მედიაციის პროცესში გარკვეული პრობლემების წინაშე დგას. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის საფუძველზე სადვოკატო საქმიანობად განიხილება: ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემა იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა (კლიენტი); კლიენტის

---

<sup>58</sup> Guidelines for Lawyers in Mediation, Law Council of Australia, 2019, Art. 6.

წარმომადგენლობა საკონსტიტუციო დავის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოში, არბიტრაჟში, დაკავების, გამოძიების ორგანოებში; მესამე პირის მიმართ სამართლებრივი დოკუმენტების მომზადება და კლიენტის სახელით ნებისმიერი დოკუმენტაციის წარდგენა; ისეთი იურიდიული დახმარების განევა, რომელიც არ უკავშირდება მესამე პირის წინაშე წარმომადგენლობას.<sup>59</sup>

მოცემული მოწესრიგებით ჩამოთვლილია იურიდიული მომსახურების ის სახეები, რომლებიც ადვოკატმა უნდა გაუწიოს კლიენტს. სამწუხაროდ, ნორმის სიტყვა-სიტყვითი განმარტების საფუძველზე, იგი არ იძლევა შესაძლებლობას, რომ ადვოკატის მონაწილეობა მედიაციის პროცესში ადვოკატ წარმომადგენლად განიხილებოდეს საადვოკატო საქმიანობად. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლში არ არის განხილული საადვოკატო საქმიანობად მედიაციის პროცესი, მოხსენიებულია მხოლოდ დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ხერხებიდან არბიტრაჟი და კითხვის ნიშნის ქვეშ დგება საკითხი, რამდენად შეიძლება რომ ანალოგის სახით გავრცელდეს ეს დათქმა მედიაციის პროცესზე.

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი იძლევა შესაძლებლობას, რომ გაფართოვდეს ადვოკატის უფლებები, კერძოდ არსებული რეგულირებით: „ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით.“<sup>60</sup> თუ განხილულ სამართლებრივ ნორმებს განვმარტავთ ტელეოლოგიური განმარტების მეთოდით,<sup>61</sup> მაშინ შესაძლებელი იქნება, რომ ისინი გავრცელდეს მედიაციის პროცესზე და ნორმის ობიექტური მიზნიდან გამომდინარე ვიხელმძღვანელოთ.

<sup>59</sup> საქართველოს კანონი „ადვოკატთა შესახებ“, სსმ, 22, 20/06/2001, მე-2 მუხლი.

<sup>60</sup> იქვე, მე-6 მუხლი.

<sup>61</sup> შენიშვნა: ტელეოლოგიური განმარტება ნიშნავს სამართლის ნორმის ობიექტური მიზნის განსაზღვრას. მისი მიზანია განსაზღვროს სამართლის ნორმის განხორციელების შესაძლებლობა.

აუცილებელია, ყურადღება გავამახვილოთ, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ეთიკის კოდექსის პრეამბულასა და პირველ მუხლზე.<sup>62</sup> კოდექსით დეკლარირებულია ადვოკატის ქცევის წესები საზოგადოებისა და კლიენტის წინაშე. მის მიზნად განიხილება საზოგადოების წინაშე დაკისრებული პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე პროფესიული ეთიკის ნორმების შესაბამისი ქცევის წესის განსაზღვრა.

ეთიკის კოდექსის პირველი მუხლის თანახმად, ადვოკატს ეკისრება ვალდებულება პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას იხელმძღვანელოს გარკვეული ძირითადი პრინციპებით, რომლის შეუსრულებლობა ეთიკური ვალდებულების უხეშ დარღვევად განიხილება.<sup>63</sup> დღეს მოქმედ ნორმატიულ აქტებში, არ გხვდება მითითება გენერალური ეთიკური ვალდებულებების დარღვევის შესახებ ადვოკატ წარმომადგენლის მიერ მედიაციის პროცესში.

ეთიკის კოდექსის მე-11 მუხლი ნათელყოფს, რომ მისი მოქმედება ვრცელდება ადვოკატებზე. ისინი განიხილებიან პასუხისმგებელ პირებად იმ ქმედებებზე, რომლებიც განხორციელებულია მათი დავალებით ან მათი (ადვოკატის) სახელით. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის ერთგვაროვანი პრაქტიკის ანალიზის შედეგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადვოკატს ეკისრება ადვოკატის ზოგადი ეთიკური ვალდებულებები ადვოკატის სტატუსის შექმნისთანავე და ეთიკური ფარგლები არ შემოიფარგლება მხოლოდ კონკრეტულ საქმეზე საადვოკატო საქმიანობით. ამ მხრივ ყურადსაღებია, 2014 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება,<sup>64</sup> რომელსაც საკასაციო სასამართლოს დისციპლინური პა-

<sup>62</sup> სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი“, 15/04/2006, პრეამბულა.

<sup>63</sup> იქვე.

<sup>64</sup> ჩანტლაძე რ., ადვოკატი წარმომადგენლის ეთიკური ვალდებულებები მედიაციის პროცესში (ქართული და ამერიკული მოდელის შედარებითსამართლებრივი ანალიზი), ყურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – წელიწდეული 2018-2019“, თსუს გამომცემლობა, 2019, 235.

ლატაც დაეთანხმა. მოცემული საქმე მნიშვნელოვანია, რადგან უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ ადვოკატის ეთიკური ვალდებულებები დაკავშირებულია უშუალოდ მის სტატუსთან, არ შემოიფარგლება ადვოკატის საქმიანობით კონკრეტულ შემთხვევაში.<sup>65</sup> ეს განმარტება საშუალებას გვაძლევს, რომ მედიაციის პროცესში ადვოკატ წარმომადგენელზე გავრცელდეს ეთიკის კოდექსით დადგენილი ეთიკური ნორმები. ადვოკატი მედიაციის პროცესში ვალდებულია დაიცვას ეთიკის კოდექსით განეწილი ნორმები კლიენტისა და მედიაციის პროცესის სხვა მონაწილეების მიმართ.

მხოლოდ ტელეოლოგიური განმარტებებისა და განხილული გადანყვეტილების საფუძველზე მედიაციის პროცესში მონაწილე ადვოკატ წარმომადგენლის საქმიანობის რეგულირება აზრს მოკლებულია. კითხვის ნიშნის ქვეშ დგას ადვოკატ-წარმომადგენლის მიერ ეთიკური ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში მისი პასუხისმგებლობის საკითხი. საქართველომ უნდა გადადგას ქმედითი ნაბიჯები ზოგადად მედიაციის ინსტიტუტისა და მოცემული ბუნდოვანი საკითხის გადაჭრის კუთხით. აუცილებელია გამოცდილების გაზიარება ამერიკის შეერთებული შტატებისგან, სადაც „მოდელური წესით“ დადგენილი რეგულაციები სრულად ვრცელდება ადვოკატ-წარმომადგენლის საქმიანობაზე.

ამ მიზნის განსახორციელებლად უნდა შეიქმნას განსაზღვრულობის მაღალი სტანდარტის მქონე ნორმატიული ბაზა, რომელიც ადვოკატი წარმომადგენლის საქმიანობას საადვოკატო საქმიანობად მიიჩნევს. ასევე შესაძლებელია ეთიკის კოდექსში მე-11 მუხლის მიმართ განხორციელდეს დამატება, რომელიც მოაწესრიგებს მედიაციის პროცესში ადვოკატის როლსა და ვალდებულებებს.

რეკომენდაციის თვალსაზრისით, უპრიანი იქნება, ცალკე ე.წ. „გაიდლაინების“ მსგავსი ინსტრუმენტის შექმნა, რომელიც დეტალურად მოაწესრიგებს ადვოკატ წარმომადგენლის ფუნქციას მედიაციის პროცესში და იქნება მხარეთა შორის მოლაპარაკებების

<sup>65</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2015 წლის 6 მაისის №დს-შ/5-15 გადანყვეტილება, 4-5.

ეტაპზე, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ფარგლებში ადვოკატ წარმომადგენლებისთვის ეთიკურ ნორმათა სისტემა.<sup>66</sup>

ავსტრალიის მაგალითის საფუძველზე, საქართველოში სასურველია მიღებულ იქნას მედიაციის პროცესში მონაწილე იურისტებისთვის სპეციალური, სარეკომენდაციო სახის სახელმძღვანელო. მნიშვნელოვანია, „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატების სახით შეტანილ იქნეს ცვლილება, რომლის მიხედვით, ადვოკატის მიერ მედიაციაში მხარის წარმომადგენლობა განმარტების საჭიროების გარეშე, მიჩნეულ იქნება საადვოკატო საქმიანობად.

## 6. დასკვნა

საქართველოში მოქმედი ნორმატიული დანაწესების სისტემური და ტელეოლოგიური განმარტებები, საშუალებას იძლევა ადვოკატის ეთიკური ვალდებულებები გავრცელებული იყოს მედიაციის პროცესში მხარეთა ადვოკატ წარმომადგენელზე.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, ისევე როგორც ავსტრალიაში, მედიაციაში ადვოკატ წარმომადგენელზე ადვოკატის ზოგადი ეთიკური ვალდებულებები ვრცელდება, ამის დასკვნის საშუალებას გვაძლევს აღნიშნულ ქვეყნებში მოქმედი საკანონმდებლო ბაზა. ასევე დოქტრინული განმარტებები საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ საადვოკატო საქმიანობად მიიჩნევა მედიაციაში წარმომადგენლობითი საქმიანობა და მასზე ვრცელდება როგორც ზოგადი, ასევე სპეციალური ეთიკური ვალდებულებები, რომლებიც გამტკიცებულია შესაბამის საკანონმდებლო აქტებში.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, მედიაციაში წარმომადგენლობის კონცეპტუალური თავისებურებისა და მედიაციის ბუნების გათვალისწინებით მნიშვნელოვანია, რომ მედიაციაში წარმომად-

---

<sup>66</sup> შენიშვნა: ადვოკატთა ასოციაციის მიერ გამოცემული იყოს ერთიანი სისტემატიზირებული აქტი, რომელიც მოაწესრიგებს მედიაციის პროცესში ადვოკატ წარმომადგენლის ეთიკურ ვალდებულებებს.

გენლობის ეთიკური საფუძვლები დამოუკიდებელ რეგულირებას დაექვემდებაროს. საჭიროა, ცვლილებები შევიდეს მოქმედ ეთიკის კოდექსში დამატების სახით, რომლითაც მედიაციის პროცესში ადვოკატი წარმომადგენლის საქმიანობა მიიჩნევა საადვოკატო საქმიანობად და მოხდება ზოგადი ეთიკური ვალდებულების განმარტების გარეშე გავრცელება მედიაციაში ჩართულ ადვოკატ წარმომადგენელზე. მოცემული ცვლილებები ხელს შეუწყობს აზრთა სხვადასხვაობის აღმოფხვრას მოცემულ საკითხზე და ჩამოაყალიბებს მედიაციაში კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ერთგვაროვან გაგებას.

### **ბიბლიოგრაფია:**

1. საქართველოს კანონი „ადვოკატთა შესახებ“, სსმ, 22, 20/06/2001.
2. სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი“, 15/04/2006.
3. საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“, სსმ, 18/09/2019.
4. *კვაჭაძე მ., გასიტაშვილი ე., ბოჭორიშვილი კ., კობახიძე ი.*, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის კომენტარები ეთიკის კომისიის პრაქტიკაზე დაყრდნობით, თბ., 2011, 8-9, 18.
5. *რაზმაძე ნ.*, მედიაციის პროცესში ადვოკატ-წარმომადგენლის ეთიკის სტანდარტი და რეგულირების ფარგლები, სამაგისტრო ნაშრომი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2019, 44.
6. *ონიანი ს.*, ტერმინ „ბჭის“ მნიშვნელობისათვის ძველ ქართულ სამართალში, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2013, 14-25.
7. *ყანდაშვილი ი.*, მედიაცია დავის გადაწყვეტის ეფექტური ალტერნატიული საშუალება, თბ., 2020, 190.
8. *ჩანტლაძე რ.*, ადვოკატი წარმომადგენლის ეთიკური ვალდებულებები მედიაციის პროცესში (ქართული და ამერიკული მოდელის შედარებითსამართლებრივი ანალიზი), ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – წელიწდეული 2018-2019“, 2019, 229, 231, 235, 237, 240, 243.

9. ჩიტაშვილი ნ., მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2016, 34.
10. ჩიტაშვილი ნ., სამართლიანი შეთანხმება, როგორც მედიაციის ეთიკური ურღვეობის საფუძველი, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - ნელინდეული 2016“, 2017, 10.
11. ცერცვაძე გ., მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 2010, 26, 28.
12. ხარებავა გ., ადვოკატის ეთიკური ვალდებულება მედიაციაში წარმომადგენლობის ეტაპზე, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, ნელინდეული 2020“, 2020, 107.
13. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2015 წლის 6 მაისის №დს-შ/5-15 გადაწყვეტილება.
14. სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2014 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება №164/13.
15. Basic Principles on the Role of Lawyers, Adopted by the 8<sup>th</sup> United Nations Congress on the Prevention of Crime and the Treatment of Offenders, Havana, Cuba, 27 August to 7 September 1990.
16. Guidelines for Lawyers in Mediation, Law Council of Australia, 2019.
17. Model of Rules of Professional Conduct, American Bar Association, 2004.
18. The Ethical Guidelines for Settlement Negotiations, American Bar Association, 2002.
19. The Virginia Rules of Professional Conduct (“Rules”), 1999.
20. Chern C., International Commercial Mediation, London, 2008, 122.
21. Dingle J., Kelbie J., The Mediation Handbook, the London School of Mediation, London, 2013-2014, 9.
22. Kalowski J., Through the Cultural Prism: Mediation in Australia, Publication: Diversité des Médiations du Monde: Afriques - Orients - Amériques ... et Europes, Paris, 2009.
23. Lawrence H. Hoover, Jr., Advocacy in Mediation: Ethics, CLE programs “Advocacy in Mediation” 1999.
24. Roth B. J., Ethical Considerations for Advocates in Mediation, Massachusetts Lawyer’s Weekly, 2005, 2.
25. Sheril J. A., Ethics for Lawyers Representing Clients in Mediation, Atlanta, 2012, 3.



26. *Stitt A.*, *Mediation: a Practical Guide*, “Cavendish Publishing”, London, Sydney, Portland, Oregon, 2004, 1.
27. *Walker S., Smith D.*, *Advising and Representing Clients at Mediation*, Simonds & Hill Publishing, London, 2013, 3.
28. *Wolski B.*, *On Mediation, Legal Representatives and Advocates*, University of New South Wales Law Journal, Vol. 38 (1), 2015, 14-17, 18-24.

# ნანული შაკინოვი\*

## მიუკერძოებლობისა და ნეიტრალობის პრინციპთა არსობრივ-პროცესუალური შინაარსი მედიაციის პროცესში

სტატიაში განხილულია მიუკერძოებლობისა და ნეიტრალობის პრინციპთა არსობრივ-პროცესუალური შინაარსი მედიაციის პროცესში. განხილული საკითხის აქტუალობას განაპირობებს აღნიშნულ პრინციპთა პრაქტიკული ასახვის გამოწვევები და რთული შემთხვევების შეფასების თანადროული მნიშვნელობა. მედიაციის პროცესში აღმოცენებულ ეთიკურ პრინციპთა დილემას შეუძლია მედიატორის მიუკერძოებლობისა და ნეიტრალობის თაობაზე ეჭვები წარმოშვას. ამიტომ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მიუკერძოებლობისა და ნეიტრალობის პრინციპთა არსობრივ-პროცესუალური შინაარსის სამართლებრივი და სოციალური ნიშნების არსებითად სწორი განმარტება და მისადაგება მედიაციის პროცესში წამოჭრილი რთული შემთხვევის მიმართ.

**საკვანძო სიტყვები:** მედიაცია, ნეიტრალობა, მიუკერძოებლობა, სამართლიანობა, სამედიაციო მორიგება, მედიატორი.

### 1. შესავალი

სტატიის მიზანია შეისწავლოს მედიაციის ფუნდამენტური პრინციპების - მიუკერძოებლობისა და ნეიტრალობის შინაარსი და მოქმედების ფარგლები. საკითხი აქტუალურია იქედან გამომდინარე, რომ ხშირად უშუალოდ მედიაციის პროცესში მედიატორის მხრიდან ნეიტრალობისა და მიუკერძოებლობის დაცვა-შენარჩუნება რთული გამოწვევის წინაშე დგება. მნიშვნელოვანია განისაზღ-

---

\* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრის სტაჟიორი.

ვროს, რას მოიცავს ამ ვალდებულებათა პროცესუალური შინაარსი და ზოგადად, არის თუ არა შესაძლებელი აბსოლუტური ნეიტრალობის მიღწევა მედიაციის მიმდინარეობისას. მედიაციის პროცესში ხშირად აღმოცენდება ეთიკურ პრინციპთა დილემა, კერძოდ, მედიატორმა სრულად მიანდოს მხარეებს სამედიაციო მორიგების შინაარსობრივი კონტროლი, დაიტოვოს მორიგების პროცესუალური მართვის ფუნქცია, თუ იგი თავად ჩაერიოს სოციალური სამართლიანობის მისაღწევად სათანადო აუცილებლობისას, რამაც თავისთავად შესაძლოა რომელიმე მხარის მხრიდან მიუკერძოებლობისა და ნეიტრალობის თაობაზე ეჭვები წარმოშვას.

## **2. მედიაცია, როგორც ნდობაზე დაფუძნებული პროცესი და არსობრივი კავშირი მედიატორის ნეიტრალობისა და მიუკერძოებლობის მოთხოვნებთან**

თანამედროვე მედიაციის ინსტიტუტის არსს საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“ შემდეგნაირად განმარტავს: „*მისი სახელწოდების მიუხედავად, რომლის საშუალებითაც ორი ან რამდენიმე მხარე მედიატორის დახმარებით ცდილობს ღავის ურთიერთშეთანხმებით დასრულებას, მიუხედავად იმისა, ეს პროცესი დანყებულია მხარეთა ინიციატივით თუ კანონით გათვალისწინებული საფუძვლითა და წესით*“.<sup>1</sup> მედიაციის ნორმატიულ განმარტებაში ამოსავალ პრინციპად მხარეთა ნებაყოფლობითობის პრინციპია გაცხადებული, ხოლო მედიატორი მხარეთა ნების ავტონომიის მხარდამჭერ ფასილიტატორად მოიხსენიება.

მედიაცია არსებითად ეფუძნება მხარეთა ნდობას. მედიატორის უპირველესი მიზანია დაანახოს მხარეებს, რომ მას სჯერა მათი ქეშმარიტების, ენდობა მათ და მოელის მათგან თანამშრომლობასა და გახსნილობას. შუამავლის მიერ რჩევისა თუ კონსულტაციის მიღების შემთხვევაში ირყევა მედიაციის ფუნდამენტური საფუძველი მხარეთა

<sup>1</sup> საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“, სსმ, 18/09/2019, მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.

ნდობა და მიუკერძოებლობა. ამის თავიდან ასაცილებლად კი, მედიატორმა უნდა წარმართოს მხოლოდ მოლაპარაკების პროცესი და არ განსაზღვროს მოლაპარაკების შინაარსი.<sup>2</sup>

ამდენად, ნდობის დაკარგვის პრევენციასა და მედიაციის პროცესის გამართულობას უზრუნველყოფს მედიატორის მიუკერძოებლობისა და ნეიტრალობის გარანტია. მედიატორთა ქცევის ევროპული კოდექსის მე-2 მუხლი განმარტავს: „მედიატორები ყოველთვის უნდა მოქმედებდნენ და ცდილობდნენ იმოქმედონ მხარეთა მიმართ მიუკერძოებლად, მონოდებული იყვნენ იმისთვის, რომ თითოეულ მხარეს მოეპყრან თანაბრად და მედიაციის პროცესის მიმართ იქონიონ პატივისცემა“.<sup>3</sup>

ნეიტრალობა წარმოადგენს მედიაციის პროცესის ქვაკუთხედს<sup>4</sup>. აუცილებელია, რომ მედიატორმა შეძლოს, განაცალკევოს საკუთარი აზრი მოდავე მხარეების სურვილებისა და ინტერესებისგან, დაეხმაროს მხარეებს გადანყვეტილების გზების მოძიებაში, ერთ-ერთი მათგანისთვის უპირატესობის მინიჭების გარეშე.<sup>5</sup>

ნეიტრალობის ცნების ქვეშ ერთიანდება რამდენიმე კონცეპტუალური ელემენტი: მცირე ან არანაირი გავლენა მხარეებზე, მაღალი სანდოობა მხარეების მხრიდან, ფოკუსირება პროცესზე და არა შედეგზე, სრულყოფილი ინფორმირება. ნეიტრალობის განმარტებას იძლევა აგრეთვე ქრისტოფერ მურიც, რომლის მიხედვითაც ნეიტრალობა ეხება „ურთიერთობას ან ქცევას შუამავალსა და მოდავე მხარეებს შორის“, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტერმინის სრულყოფილი განმარტება სამართლებრივ სივრცეში არ მოიპოვება.<sup>6</sup>

---

<sup>2</sup> Helm B., Scott S., Advocacy in Mediation, Mediation Quarterly, Issue 13, 1986, 69.

<sup>3</sup> European Code of Conduct for Mediators, July 2, 2004, Art. 2.2., <<https://www.kearns.co.uk/wp-content/uploads/2017/06/European-code-of-conduct-for-mediators.pdf>> [31.01.2022].

<sup>4</sup> Margaret S. H., The Blackwell Handbook of Mediation, Wiley-Blackwell, Oxford, 2006, 415.

<sup>5</sup> Cobb S., Rifkin J., Practice and Paradox: Deconstructing Neutrality in Mediation, Cambridge, 1991, 45.

<sup>6</sup> Douglas S., Neutrality In Mediation: A Study of Mediator Perceptions, Law & Justice Journal, Vol. 8, №1, 2008, 142.

ცნობილია, რომ თავად მედიატორებსაც კი „საკმაოდ ლიბერალური ლექსიკონი აქვთ იმისთვის, რომ ახსნან, როგორ ფუნქციონირებს ნეიტრალობა“.<sup>7</sup> მიუხედავად აღნიშნულისა, ნეიტრალობას მოექცხნება ორი სინონიმი - ნეიტრალობა, როგორც მიუკერძოებლობა და ნეიტრალობა, როგორც სამართლიანობა/თანასწორი მოპყრობა (Even-handedness).<sup>8</sup> აუცილებელია, აღვნიშნოთ მედიაციის პროცესსადა მის შედეგს შორის განსხვავება, რომელსაც უკავშირდება კიდევ ნეიტრალობის იდეა.

### **3. მიუკერძოებლობისა და ნეიტრალობის პრინციპთა ურთიერთმიმართება**

მიუკერძოებლობა გულისხმობს თავისუფლებას ფავორიტიზმისგან. მიკერძოება შესაძლოა გამოვლინდეს, მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ მხარე ან მხარეები იცნობენ მედიატორს ან თუ მედიატორს დავის შედეგისადმი პირდაპირი ინტერესი აქვს ან თუ იგი დაუფარავად გამოხატავს სიმპათიას ერთი მხარის მიმართ ან პირიქით, მის წინააღმდეგ მოქმედებს.<sup>9</sup>

სწორედ მიუკერძოებელი მიდგომა წარმოადგენს წარმატებული მედიაციის პროცესის ერთ-ერთი გარდამტეხ პუნქტს. ამავდროულად იგი წარმოადგენს მედიატორის ვალდებულებას, დაეხმაროს ნებისმიერ მოდავე მხარეს ორმხრივად დამაკმაყოფილებელი შედეგის მიღწევაში.<sup>10</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ნეიტრალობასა და მიუკერძოებლობას უმეტეს შემთხვევაში მიიჩნევენ სინონიმურ ცნებებად, მათ

<sup>7</sup> *Riftkin J., Millen J., Cobb S., Toward a New Discourse for Mediation: A Critique of Neutrality, Mediation Quarterly, Vol. 9, Issue 2, 1991, 152.*

<sup>8</sup> *Boulle L., Mediation: Principles, Process, South Wales, 2005, 4 მითითებულია: Douglas S., Neutrality In Mediation: A Study of Mediator Perceptions, Law & Justice Journal, Vol. 8, №1, 2008, 143.*

<sup>9</sup> *Douglas S., Neutrality In Mediation: A Study Of Mediator Perceptions, Law & Justice Journal, Vol. 8, №1, 2008, 144.*

<sup>10</sup> *Cooks L. M., Hale C. L., The Construction of Ethics in Mediation, Mediation Quarterly, Vol. 12, №1, 1994, 63-64.*

შორის განსხვავებაც გამოსაკვეთია. მაგალითად, მედიატორი შესაძლოა, რომ ყოველთვის ნეიტრალური არ იყოს, მაგრამ იგი ნებისმიერ შემთხვევაში უნდა დარჩეს მიუკერძოებელი.<sup>11</sup> მაგალითად, მხარეთა მოთხოვნით წარმართულ შეფასებით მედიაციაში მედიატორები მხარეთა ინტერესების ფარგლებში ახდენენ შეფასებებს, გამოკვეთენ მორიგების პირობებს, რაც რეალურად, პრაქტიკაში ლეგიტიმურად მიიჩნევა. შეფასებითი მედიაცია შესაძლებელია ეწინააღმდეგებოდეს შინაარსობრივი ნეიტრალობის პრინციპს, თუნც კი თავსებადი იყოს მიუკერძოებლობის მოთხოვნებთან.<sup>12</sup>

მიუკერძოებლობა მოითხოვს ყოველგვარ მიუმხრობლობას-იგი არ ანიჭებს უპირატესობას რომელიმე მხარეს. ნეიტრალობა კი ფოკუსირებას ახდენს წინა ან ამჟამინდელ ურთიერთობებზე შუამავალსა და მოდავე მხარეებს შორის. თუ ასეთი ურთიერთობა ფიქსირდება, მედიატორს არ აქვს უფლება, რაიმე სარგებელი მიიღოს აღნიშნულისგან.<sup>13</sup>

ერთ-ერთი ღირებულება - „თანაბარი დისტანცია“ (Equidistance) არის მედიატორის უნარი, თითოეულ მხარეს ხელი თანაბრად შეუწყოს, გამოხატონ თავიანთი პოზიცია. ასეთ დროს შესაძლოა, მედიატორი „მოერგოს“ დროებით ცალკეულ მხარეებს, როცა ისინი თავიანთი პოზიციების ჩამოყალიბების პროცესში იმყოფებიან. თანაბრად დისტანცირებულობა ნიშნავს იმას, რომ მედიატორმა მხარი უნდა დაუჭიროს, სიმამაცე და გაბედულობა შესძინოს მხარეს, რათა თითოეულმა თანაბრად შეძლოს საკუთარი ინტერესის წარმოდგენა. აღნიშნული შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს: თანაბარი დისტანცირება არის აქტიური პროცესი, რომლის დროსაც მიკერძოება სიმეტრიის შესაქმნელად გამოიყენება.<sup>14</sup>

მიუკერძოებლობასა და ნეიტრალობას შორის უნდა აღინიშნოს შინაარსობრივი განსხვავება: ნეიტრალობა მიემართება მედიატო-

<sup>11</sup> Boulle L., *Mediation: Principles, Process, Practice*, Sydney, 2005, 20.

<sup>12</sup> Douglas K., Field R., *Looking for Answers to Mediation's Neutrality Dilemma in Therapeutic Jurisprudence*, Johannesburg-Cape Town, 1997, 187.

<sup>13</sup> Lee S., *Mediator Impartiality and Mediator Interest*, Kentucky, 2013, 22.

<sup>14</sup> Cohen O., Dattner N., Luxenburg A., *The Limits of the Mediator's Neutrality*, *Mediation Quarterly*, Vol. 16, №4, 1999, 344.

რის ცოდნას/ინტერესს დავის შედეგისადმი, ხოლო მიუკერძოებლობა უკავშირდება მედიატორის ქცევას მხარეთა მიმართ უშუალოდ პროცესის განმავლობაში.<sup>15</sup> შეუძლებელი თუ არა, მეტად რთულია, მივიღოთ სამართლიანი და თანასწორუფლებიანობაზე დაფუძნებული მედიაცია, თუ იგი მიკერძოებულად წარიმართება.

ნეიტრალობა თვისობრივად ნაკლებად აბსოლუტური ხასიათის მოთხოვნაა. მიუკერძოებლობა მუდამ უნდა იყოს მედიაციის თანმდევი ნაწილი, როცა ნეიტრალობის არსებობა ხარისხობრივად შეიძლება განისაზღვრებოდეს.<sup>16</sup> ამ მოსაზრებას იზიარებს ქრისტოფერ მურიც<sup>17</sup>, რომელიც ამტკიცებს, რომ მედიატორის ნეიტრალობას ორი განზომილება აქვს - ნეიტრალობისა და მიუკერძოებლობის. პირველი მათგანი დაკავშირებულია მედიატორისა და მხარეების ურთიერთობასთან და ნიშნავს მათ შორის ყოველგვარი კავშირის არარსებობას, ხოლო თუ ასეთი კავშირი არსებობდა, მაშინ მედიატორმა არცერთ შემთხვევაში არ უნდა მიანიჭოს უპირატესობა რომელიმე მათგანს. მიუკერძოებლობა კი დაკავშირებულია იმ პოზიციასთან, რომელსაც მედიატორი დავის პროცესში იკავებს, რაც ნიშნავს იმას, რომ მედიატორი უნდა იყოს თავისუფალი პირადი ან პროფესიული ინტერესისგან, რომელიც მხარეთა ინტერესებს ან კონკრეტულ შედეგს უკავშირდება.<sup>18</sup>

#### **4. ნეიტრალური და მიუკერძოებელი მედიატორის პროფესიული ქცევის მახასიათებლები**

მედიაციის პროცესის წარმატებულად წარმართვისთვის გარდამტეხი როლის შემსრულებელი სწორედ მედიატორია, რომელიც,

<sup>15</sup> იქვე, 222.

<sup>16</sup> იქვე, 224.

<sup>17</sup> Moore C., *The Mediation Process: Practical Strategies for Resolving Conflict*, San Francisco, 1986, 52 მითითებულია: Kishore S., *The Evolving Concepts of Neutrality and Impartiality in Mediation*, *Commonwealth Law Bulletin*, Vol. 32, №2, 2006, 222.

<sup>18</sup> Model Standards of Conduct for Mediators, American Arbitration Association, the American Bar Association's Section of Dispute Resolution, and the Association for Conflict Resolution, 2005, Standard II.

როგორც უკვე აღინიშნა, მართავს მოლაპარაკებას და არ განსაზღვრავს მოლაპარაკების შინაარსს. მედიატორი ვალდებულია უზრუნველყოს პროცესის ჯეროვანი წარმართვა.<sup>19</sup> საინტერესოა, როგორი უნდა იყოს შუამავლის ქცევა, მისი მოპყრობა და ზოგადად, რა უნდა ახასიათებდეს იმისთვის, რომ მედიატორი ჩაითვალოს ნეიტრალურ, მიუკერძოებელ მესამე პირად?

მედიატორის პროფესიული მახასიათებლები მრავალმხრივია: გულწრფელობა, სანდოობა, ემპათია, კონფიდენციალობა, მხარეთა საჭიროებების სათანადო გააზრება.<sup>20</sup>

ჩამოთვლილ მახასიათებლებთან ერთად მნიშვნელოვანია, რომ მედიატორს შეეძლოს მეგობრული, კეთილგანწყობილი დამოკიდებულება აჩვენოს მხარეებს, აგრძნობინოს, რომ მას შეუძლია მათი მხარდაჭერა, არის ენერგიული, მომთმენი და მათ შორის, აქვს იუმორის გრძნობაც.<sup>21</sup> მრავალი პრაქტიკოსი კი გამოყოფს და ხაზს უსვამს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მახასიათებელს - მიუკერძოებლობას. მაშასადამე, მედიატორის უნარს, იყოს და აღიქმებოდეს ნეიტრალურ, მიუკერძოებელ მესამე პირად.

კლასიკური გაგებით ნეიტრალური მედიატორი: არ ერევა დავის შინაარსობრივი გადაწყვეტის ფარგლებში, ინდიფერენტულია კლიენტთა კეთილდღეობის მიმართ (welfare of the clients); არ აქვს წარსული ან ამჟამინდელი ურთიერთობა მხარეებთან მედიაციის მიღმა, არ არის დაინტერესებული შედეგით, არ ცდილობს შეცვალოს ძალათა შორის თანაზომიერი ბალანსი.<sup>22</sup>

მიუკერძოებლობაზე საუბრისას, უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს აშშ-ის მედიატორთა ქცევის მოდელური სტანდარტები, რომელიც 1994 წელს მომზადებულ და 2005 წელს მიღებულ იქნა ამერიკის ადვოკატთა, ამერიკის არბიტრაჟისა და კონფლიქტების

<sup>19</sup> საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“, სსმ, 18/09/2019, მე-8 მუხლი.

<sup>20</sup> *Smith D. D. J., Mediator Impartiality: Banishing the Chimera, Journal of Peace Research, Vol 31, №4, 1994, 445.*

<sup>21</sup> იქვე.

<sup>22</sup> *Robert B., The Risks of Neutrality - Reconsidering the Term and Concept, Ethics Forum, Mediation News, Vol. 17, №3, 1998, 8-9.*



მართვის ასოციაციათა მიერ. აღნიშნული დოკუმენტის ერთ-ერთი სტანდარტი სწორედ მიუკერძოებლობაა და მასში აღნიშნულია შემდეგი ფაქტორები: მედიატორმა შესაძლოა, უარი თქვას მედიაციაზე, თუ იგი ვერ იმოქმედებს რომელიმე მხარისთვის მიუმხრობლად - რაც ნიშნავს ფავორიტიზმისგან, მიკერძოებისა და მცდარი მოსაზრებებისგან თავისუფლებას, აგრეთვე - მედიატორმა უნდა იმოქმედოს მიუკერძოებლად, თავი აარიდოს ისეთ ქცევას, რომელიც შექმნის მიკერძოებულობის შთაბეჭდილებას, რაც გულისხმობს იმას, რომ მედიატორმა არ უნდა იმოქმედოს მონაწილე მხარეების პიროვნული თვისებების, ფონის, ღირებულებების, წარმოდგენების საფუძველზე, არ უნდა გასცეს ან მიიღოს რაიმე სახის საჩუქარი, სიკეთე, სესხი ან ნებისმიერი სხვა ნივთი, რომელიც მის ფაქტობრივ მიკერძოებულობასთან დაკავშირებით შეკითხვებს გააჩენს<sup>23</sup>.

მედიატორმა შესაძლოა მიიღოს ან გასცეს *de minimis* საჩუქრები ან შემთხვევითი საჩუქრები/მომსახურება, რაც ცალსახად გათვალისწინებულია მედიაციის პროცესის გასაადვილებლად და მოიაზრება კულტურული ნორმების პატივისცემად იმ ფარგლებით, რაც აღნიშნული მედიატორის მიკერძოებულობასთან დაკავშირებით ეჭვებს არ გამოიწვევს. ამდენად, თუ მედიაციის პროცესისას, მედიატორისთვის შეუძლებელი ხდება, რომ იმოქმედოს მიუკერძოებლად, მან უნდა შეწყვიტოს პროცესი და უარი თქვას მედიაციაზე.<sup>24</sup>

## **5. პრინციპთა შინაარსი ევროპისა და აშშ-ის მოდელური აქტებისა და ცალკეული ქვეყნის/შტატის ეთიკის კოდექსის მაგალითზე**

მედიატორები სარგებლობენ ფართო დისკრეციით, რომ განსაზღვრონ მედიაციის პროცესში გამოსაყენებელი სტრატეგიები. თუმცა, არსებობს პრაქტიკის კონკრეტული სტანდარტები და ეთიკის კოდექსები, რომლებიც არეგულირებენ მედიატორის ქცევას.

<sup>23</sup> Model Standards of Conduct For Mediators, 2005, Standard II B, 1-2.

<sup>24</sup> იქვე, Standard B, 3.

მოცემულ ქვეთავებში განხილული იქნება ევროპის და აშშ-ის მოდელური კოდიფიცირებული აქტებისა და ცალკეული შტატის ეთიკის კოდექსები, რამეთუ სწორედ ისინი წარმოადგენენ მედიაციის ფუნდამენტური პრინციპის- დამოუკიდებლობის / ნეიტრალობისა და მიუკერძოებლობის დეფინიციის, პროცესუალური გამოვლინების მიმართულების მიმცემ მნიშვნელოვან წყაროებს.

მაგალითად, აშშ-ის ყველა შტატს მედიატორთა ქცევის სულ მცირე ერთი კოდექსი გააჩნია. მიუხედავად ზემოთ აღნიშნული განსხვავებისა ნეიტრალობასა და მიუკერძოებლობას შორის, კოდექსთა უმრავლესობა ამ ტერმინებს ერთმანეთის მონაცვლეობით, სინონიმებად იყენებს.<sup>25</sup> მნიშვნელოვანი საკითხია, უშუალოდ პრინციპის სახელდებაც, კერძოდ, აშშ-ის კოდიფიცირებულ აქტებში შევხვდებით ტერმინს - „ნეიტრალობა“, მედიატორთა ქცევის ევროპულ კოდექსში ტერმინს - „დამოუკიდებლობა“. თითოეულის განხილვით ნათელი გახდება აღნიშნულ პრინციპთა მთავარი მახასიათებლები.

### **5.1. აშშ-ის მოდელური ეთიკის კოდექსის და ცალკეული შტატის რეგულირების მოდელი**

საინტერესოა, რომ აშშ-ის ზოგიერთი შტატის მედიატორთა ქცევის კოდექსში უშუალოდ ნეიტრალობის დეფინიცია არ მოიპოვება, თუმცა მოცემულია მოთხოვნა, რომ მედიატორმა უნდა აუხსნას მხარეებს - იგი „არ წარმოადგენს არცერთ მხარეს და არ გასცემს პროფესიულ რჩევას“. ამგვარად ასე არის გაცხადებული მედიატორის მიუკერძოებლობა არკანზას შტატის მედიატორთა ეთიკის კოდექსში.<sup>26</sup> მსგავსი დებულება მოიპოვება ჯორჯიის შტატის ეთიკის კოდექსშიც, რომ მედიატორი არის: ნეიტრალური პი-

---

<sup>25</sup> *McCorkle S., The Murky World of Mediation, Conflict Resolution Quarterly, Vol. 23, №2, 2005, 171.*

<sup>26</sup> *Requirements for the Conduct of Mediation and Mediators, Arkansas Alternative Dispute Resolution Commission, 2004, III. 3. A. 5, <<http://courts.state.ar.us/courts/adr.html>> [17.01.2022].*

რი, რომელიც ფასილიტატორობს დისკუსიას მხარეთა შორის, მაგრამ არ ზემოქმედებს ან აკონტროლებს შედეგის დადგომას.<sup>27</sup>

ყურადსაღებია, თუ როგორ მიჯნავს ილინოისის მედიაციის საბჭო ნეიტრალობასა და მიუკერძოებლობას სამართლიანობისგან: „მიუკერძოებლობა არ არის იგივე, რაც ნეიტრალობა სამართლიანობისთვის. მიუხედავად იმისა, რომ მედიატორი ფასილიტატორია და არც მხარეს წარმოადგენს მოლაპარაკებებისას, თუ არსებითად უსამართლოდ მიიჩნევა რაიმესაკითხს, მან წერილობით უნდა მიუთითოს თავის სანინალმდეგო პოზიციაზე“.<sup>28</sup>

ტეხასის მედიაციის ასოციაციის ეთიკის კოდექსში ნეიტრალობა აღნიშნულია,<sup>29</sup> როგორც ურთიერთობის მახასიათებელი მედიატორსა და მონაწილე მხარეებს შორის. თუ მედიატორი გრძნობსან რომელიმე მხარე ან მათი ადვოკატები აცხადებენ, რომ მედიატორის პირადი გამოცდილება არასწორ ზეგავლენას მოახდენს მედიატორის მუშაობაზე, მედიატორმა უნდა შეწყვიტოს მედიაცია, თუ ყველა მხარე გაგრძელებაზე არ დათანხმდება.

რაც შეეხება მიუკერძოებლობას, ზოგიერთმა შტატმა ზემოთ უკვე აღნიშნული აშშ-ის მედიატორთა ქცევისმოდელური სტანდარტების ნაწილი ასახა ქცევის კოდექსში. მაგალითად, ალაბამას, ფლორიდის, ტეხასის, ტენესის, მეინის, ჰავაის, არკანზასის შტატები ითვალისწინებენ, რომ მედიატორმა უნდა მოახდინოს მხარეთა გაფრთხილება იმ გარემოებათა შესახებ, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიოს მედიატორის მიკერძოება. მედიატორი ვალდებულია მოემსახუროს ორივე მხარეს თანაბრად და არა რომელიმე ერთს, იყოს მიუკერძოებელი სამართლიანობისა და თანასწორობის ფარ-

<sup>27</sup> Georgia Alternative Dispute Resolution Rules Ethical Standards for Neutrals, 2000, I. A. 1,

<<http://www2.state.ga.us/courts/adr/appendxc.htm>> [17.01.2022].

<sup>28</sup> Professional Standards of Practice for Mediators, The Mediation Council of Illinois, 2003, IV. A, <<http://www.mediationcouncilofillinois.org/standardspractice.htm>> [17.01.2022].

<sup>29</sup> Standards of Practice for Mediators and Code of Ethics, Texas, 2002, 9. <[https://www.txmca.org/fileman/Uploads/Misc%20Documents/Standards\\_of\\_Practice\\_and\\_Code\\_o.pdf](https://www.txmca.org/fileman/Uploads/Misc%20Documents/Standards_of_Practice_and_Code_o.pdf)> [17.01.2022].

გლებში და განაცხადოს, როდის შეიძლება შეწყდეს მედიაციის პროცესი.<sup>30</sup>

თუმცა არსებობს შტატები, რომლებიც მიუკერძოებლობას განსხვავებულად, უნიკალურად განმარტავენ. მაგალითად აიდაჰოს, კოლორადოს, ჯორჯიისა და იუტასშტატები რამდენიმე სიტყვით მიმოიხილავენ მიუკერძოებლობას ან წარმოადგენენ მას ინტერესთა კონფლიქტთან ერთად.

საინტერესოა იმ შტატების ქცევის კოდექსები, რომლებიც მოითხოვენ შეწყდეს მედიაციის პროცესი, თუნდაც მხარეებს ჰქონდეთ მისი გაგრძელების სურვილი. მასაჩუსეტსის, კალიფორნიის სასამართლო საბჭო და ილინოისი სწორედ ამგვარად აწესრიგებენ აღნიშნულ საკითხს. „თუ რომელიმე დროის მონაკვეთში შუამავალს არ შეუძლია პროცესის მიუკერძოებლად წარმართვა, მან უნდა აცნობოს მხარეებს ამის შესახებ და უარი თქვას მომსახურებაზე, თუნდაც მხარეებმა არ გააპროტესტონ აღნიშნული და თანხმობა განაცხადონ მომსახურების მიღების გაგრძელებაზე“ - მოცემულია მასაჩუსეტსის ეთიკის კოდექსში.<sup>31</sup>

ზემოაღნიშნულის მსგავს დებულებას ითვალისწინებს კალიფორნიის სასამართლო საბჭო, რომელიც აცხადებს: „შუამავალმა უარი უნდა თქვას მედიაციაზე მხარეთა თანხმობის მიუხედავად, თუ იგი ვერ შეინარჩუნებს მიუკერძოებლობას.“<sup>32</sup>

ერთ-ერთი კვლევის მიხედვით,<sup>33</sup> სულ მცირე ერთი შტატის მედიატორთა ქცევის კოდექსი მაინც შეიცავს შემდეგ კომპონენტებს: 1. მოთხოვნას, რომ მედიატორმა მხოლოდ იმ შემთხვევაში წარმართოს მედიაციის პროცესი, თუ მას შეუძლია მიუკერძოებელი იყოს; 2. მოთხოვნას, რომ შეწყდეს მედიაცია, თუ მიუკერძოებლობაშეუძლებელია; 3. მითითებებს გამონაკლის შემთხვევებზე მედიაციის

---

<sup>30</sup> McCorkle S., The Murky World of Mediation, Conflict Resolution Quarterly, Vol. 23, №2, 2005, 172.

<sup>31</sup> იქვე, 175.

<sup>32</sup> Standards of Practice for California Mediators, California Dispute Resolution Council, 2000, 2. B, <<http://www.mediate.com/articles/cdrconstds.cfm>> [17.01.2022].

<sup>33</sup> McCorkle S., The Murky World of Mediation, Conflict Resolution Quarterly, Vol. 23, №2, 2005, 175.

შენწყვეტის თაობაზე; 4. დებულებას, რომ ყველა მხარე მოპყრობილ უნდა იქნეს სამართლიანად, თითოეულმა მხარემ უნდა მიიღოს თანაბარი დახმარება; 5. მიუკერძოებლობის განმარტებას; 6. ინფორმირებულობის მოვალეობას, სავარაუდო სამომავლო მიკერძოებულობასთან დაკავშირებით; 7. შედეგისადმი პირადი ინტერესის არქონის ვალდებულებას.<sup>34</sup>

## **5.2. მედიატორთა ქცევის ევროპული კოდექსისა და გერმანული სამართლის მოდელი**

მედიატორთა ქცევის ევროპული კოდექსი ითვალისწინებს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპს: თუ არსებობს ისეთი გარემოება, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მედიატორის დამოუკიდებლობაზე ან წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი, ასეთ შემთხვევაში, მედიატორმა მედიაციის პროცესის დაწყებამდე უნდა გააცნოს აღნიშნული გარემოებები მხარეს. თუ რა იგულისხმება ამ გარემოებებში, კოდექსში განმარტებულია: ნებისმიერი პირადი თუ საქმიანი ურთიერთობა ერთ ან რამდენიმე მხარესთან, ნებისმიერი ფინანსური ან სხვა ინტერესი მედიაციის შედეგისადმი და შუამავლის ან მისი ფირმის წევრის/ბიზნესპარტნიორის მოქმედება მედიატორის გარდა სხვა უფლებამოსილებით ერთი ან რომელიმე მხარისთვის. ასეთ დროს შუამავალმა მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა გააგრძელოს მედიაციის პროცესი, თუ დარწმუნდება, რომ იგი იმოქმედებს სრული დამოუკიდებლობისა და ნეიტრალიტეტის დაცვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას მიუკერძოებლობა და ამას მხარეები ცალსახად უნდა ეთანხმებოდნენ.<sup>35</sup>

მედიატორთა ქცევის ევროპულ კოდექსში ცალკეა მიუკერძოებლობის შესახებ დანაწესი მოცემული, რომლის მიხედვითაც აუცილებელია, რომ მედიატორები ყოველთვის მოქმედებდნენ და

<sup>34</sup> იქვე, 176.

<sup>35</sup> European Code of Conduct for Mediators, July 2, 2004, Standard 2.1., <<https://www.kearns.co.uk/wpcontent/uploads/2017/06/European-code-of-conduct-for-mediators.pdf>> [18.01.2022].

ცდილობდნენ, იმოქმედონ მხარეთა მიმართ მიუკერძოებლად, მონოდებული იყვნენ იმისთვის, რომ თითოეულ მხარეს მოეპყრანთანაბრად და მედიაციის პროცესის მიმართ იქონიონ პატივისცემა.<sup>36</sup>

რაც შეეხება გერმანულ სამართალს, ისიც მედიაციას, როგორც კონფლიქტის მოგვარების სტრუქტურირებულ და სისტემატიზირებულ ფორმას,<sup>37</sup> ასევე საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ანიჭებს. მას აწესრიგებს „კანონი მედიაციის შესახებ“ რომელშიც დამოუკიდებლობისა და ნეიტრალობისა პრინციპი მედიაციის ერთერთ არსებით მახასიათებლად არის წარმოდგენილი. კერძოდ, აღნიშნული კანონით მედიატორმა უნდა შეატყობინოს მხარეებს ნებისმიერი გარემოების შესახებ, რომელმაც შესაძლოა მის დამოუკიდებლობასა და ნეიტრალობაზე გავლენა მოახდინოს. გერმანული სამართალი შესაძლებელს ხდის ამ გარემოებათა მიუხედავად განაგრძოს მედიატორმა პროცესი, თუ მხარეები ცალსახად, პირდაპირ დააფიქსირებენ მედიაციის გაგრძელების სურვილს თუნდაც ზეგავლენის პირობებში.<sup>38</sup>

გერმანიის კანონი „მედიაციის შესახებ“ ითვალისწინებს მედიატორის საქმიანობის შეზღუდვას. პირს ეკრძალება მედიატორობა ერთი და იმავე საქმესთან ან მასთან დაკავშირებულ სხვა საქმეზე თუ მხარეს წარმოადგენდა უშუალოდ მედიაციის პროცესის დაწყების წინ და აგრეთვე: პირს, რომელიც იმავე საქმეში რომელიმე მხარის ინტერესების დასაცავად მოქმედებდა მედიაციის დაწყებამდე, არ აქვს უფლება ამავე საქმეში იყოს მედიატორი. ასევე, საქმის დამთავრების ან მის განმავლობაშიც ეკრძალება იმავე ან არსებითად დაკავშირებულ საქმეზე მედიატორად ყოფნა.<sup>39</sup> გერმანული მონესრიგების მიხედვით პირს ასევე ეკრძალება საქმეზე მედიატორობა, თუ იმავე საქმეზე რომელიმე მხარეს წარმოადგენდა, თუმ-

<sup>36</sup> იქვე, 2.2.

<sup>37</sup> *Berces V., Principles and Practice of Mediation as Effective Conflict-Treating Solution, Debreceni Jogi Muhely / Legal Workshop of Debrecen, №1, 2013, 74.*

<sup>38</sup> *Mediationsgesetz, 21/07/2012, §3Abs.1, <<https://www.gesetz-im-internet.de/mediationsg/BJNR157710012.html>> [18.01.2022].*

<sup>39</sup> იქვე, Abs.2.

ცა, თუ ცალკეულ შემთხვევებში დაინტერესებული მხარეები ინფორმაციის ამომწურავად გაცნობის შემდგომ თანხმობას განაცხადებენ და ეს მართლმსაჯულების განხორციელებასაც არ ეწინააღმდეგება, ზემოაღნიშნული შეზღუდვა არ გამოიყენება.<sup>40</sup>

## **6. დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპთა მინაარსი საქართველოს მედიატორთა ეთიკის კოდექსის მიხედვით**

მნიშვნელოვანია განხილულ იქნეს, თუ როგორ განმარტავს საქართველოს მედიატორთა ეთიკის კოდექსი დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებს.<sup>41</sup>

ეთიკის კოდექსი მედიატორს ავალდებულებს, მიიღოს ყველა გონივრული ზომა იმის დასადგენად, არსებობს თუ არა ისეთი ფაქტი ან გარემოება, რომელმაც შესაძლოა გონივრული შეფასების საფუძველზე პოტენციური ან რეალური ინტერესთა კონფლიქტი წარმოშვას ან მისი მიუკერძოებლობა ეჭვქვეშ დააყენოს - აღნიშნული მოიცავს როგორც მედიაციის პროცესის დაწყებამდე, ასევე მედიაციის პროცესსა და მის შემდგომ პერიოდსაც.<sup>42</sup>

თუ მედიატორი ზემოაღნიშნულ ფაქტს ან გარემოებას აღმოაჩენს, მას წარმოეშობა შეტყობინების ვალდებულება. ამ ვალდებულების წარმოშობის საფუძველები მედიატორთა ქცევის ევროპული კოდექსის ანალოგიურადაა მოწესრიგებული საქართველოს მედიატორთა ეთიკის კოდექსშიც ერთი მნიშვნელოვანი დამატებით, რომელიც ეხება მედიატორის მიერ ისეთი კონფიდენციალური ინფორმაციის ფლობას, რომელიც უკავშირდება რომელიმე მხარეს ან დავის საგანს, გარდა ინფორმაციისა, რომელიც მედიაციის მიზნების-

<sup>40</sup> იქვე, §3 Abs.3-4.

<sup>41</sup> მაშასადამე, სახელდება ემთხვევა მედიატორთა ქცევის ევროპული კოდექსით გათვალისწინებულ ტერმინებს.

<sup>42</sup> სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაცია“ მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მე-2 მუხლის მე-2 ნაწილი, <<https://ncadr.tsu-ge/ka/CODEX/31/ethics>> [21.01.2022].

თვის გაანდო მას რომელიმე მხარემ. ასეთ დროსაც მედიატორი ვალდებულია ამ გარემოებების შესახებ შეატყობინოს მხარეებს.

მსგავსად მედიატორთა ქცევის ევროპული კოდექსისა, საქართველოს კოდექსიც ანიჭებს პირს შესაძლებლობას, მიუხედავად ზემოაღნიშნული გარემოებებისა, იყოს მედიატორი მხარეთა ცალსახა თანხმობის გამოხატვის შემთხვევაშიც. განსხვავება იკვეთება თანხმობის ფორმას შორის, კერძოდ, საქართველოს კოდექსი მოითხოვს ფორმასავალდებულობას - მხარეებმა უნდა განაცხადონ წერილობითი თანხმობა, თუმცა მედიატორს შეუძლია ამის მიუხედავად უარი თქვას მედიაციის წარმართვაზე, რის საფუძველსაც მოცემული გარემოებები წარმოადგენს.<sup>43</sup>

ყურადსაღებია აღნიშნული კოდექსის ის დანაწესი, რომლის მიხედვითაც მედიატორმა მედიაციის წარმართვაზე უარი უნდა თქვას, თუ იგი თვლის, რომ მონაწილის გარკვეული ნიშნის, იქნება ეს კანის ფერი, წარმოშობა, ენა, რელიგია და ა.შ. შესახებ არსებული სტერეოტიპების გამო მას პროცესის მიუკერძოებლად წარმართვა არ შეუძლია.<sup>44</sup> მსგავსი შინაარსის ნორმას, მედიატორთა ქცევის ევროპული კოდექსი არ შეიცავს.

აღნიშნული კოდექსის მე-2 მუხლის მე-8 ნაწილი ითვალისწინებს საჩუქრის მიღების წესს-მედიატორმა არ უნდა გასცეს ან მიიღოს საჩუქარი, გარდა ერთი გამონაკლისისა, თუ ეს მნიშვნელოვანია პროცესის ხელშეწყობისთვის, ან კულტურული ნორმებისადმი პატივისცემას გამოხატავს. - ანალოგიურად, აქტის - „ქცევის მოდელური სტანდარტები მედიატორთათვის“ მიხედვით, მედიატორის მიერ საჩუქრის გაცემა ან მიღება ფაქტობრივ მიკერძოებულობასთან დაკავშირებით შეკითხვებს გააჩენს, თუმცა კულტურული ნორმების პატივსაცემად ან პროცესის გასაადვილებლად გათვალისწინებული *de minimis* სახის საჩუქრები დაშვებულია გაიცეს ან მიღებულ იქნას მედიატორის მიერ.<sup>45</sup>

<sup>43</sup> იქვე, მე-5 ნაწილი.

<sup>44</sup> იქვე, მე-6 ნაწილი.

<sup>45</sup> Model Standards of Conduct For Mediators, 2005, Standard II (B).



## 7. მიუკერძოებლობისა და ნეიტრალობის ვალდებულების პროცესუალური გამოვლინება

საინტერესოა მედიატორის მიუკერძოებლობისა და ნეიტრალობის ვალდებულებათა პროცესუალური გამოვლინება.

თეორიულად მედიატორი ნეიტრალურ ფასილიტატორს წარმოადგენს, რომელსაც შეუძლია იმოქმედოს პროცესის ფარგლებში საკუთარი კულტურული, ისტორიული, იდეოლოგიური შეხედულებებით მხარეებზე გავლენის მოხდენის გარეშე. თუმცა ემპირიული მტკიცებულებების მიხედვით, მედიატორები, რომლებიც ნეიტრალობისპრაქტიკაში განხორციელებაზე საუბრობენ, ამას არ აკეთებენ. პროცესისა და შინაარსის კონტროლს შორის ხშირად რთულია საზღვრის გავლება. ხელშემწყობი მედიაციის დროს მედიატორები გავლენას ახდენენ შედეგზე.

ხელშემწყობ მედიატორთა რაოდენობის ზრდა ადასტურებს, რომ თითქმის ყველაპროცესისას ინტერვენციას არსებით შედეგზე გეგავლენის მოხდენა შეუძლია.<sup>46</sup>

ბოული აღნიშნავს, რომ ბოლო ათწლეულში ავსტრალიელი მედიატორები ტენდენციურად „უფრო და უფრო ინტერვენციონისტები“ ხდებიან.<sup>47</sup> ეს გაცილებით უფრო თვალსაჩინოა მაშინ, როდესაც მედიატორი მიდრეკილია აქტიურობისკენ მედიაციის პროცესში, რამეთუ იგი სოციალური სამართლიანობის მიღწევით არის მოტივირებული,<sup>48</sup> განსხვავებით იმ მედიატორისაგან, რომელიც ამ-

<sup>46</sup> *Wolski B.*, Mediator Settlement Strategies: Winning Friends and Influencing People, Vol. 12(4), Australasian Dispute Resolution Journal, 2001, 248-249 მითითებულია: *Bogdanoski T.*, The ‘Neutral’ Mediator’s Perennial Dilemma: To Intervene or not to Intervene?, Queensland University of Technology Law and Justice Journal, Vol. 9, №1, 2009, 9.

<sup>47</sup> *Boulle L.*, Mediation: Principles, Process, Practice, 2005 მითითებულია: *Bogdanoski T.*, The ‘Neutral’ Mediator’s Perennial Dilemma: To Intervene or not to Intervene?, Queensland University of Technology Law and Justice Journal, Vol. 9, №1, 2009, 34.

<sup>48</sup> *McCormick M.*, Confronting Social Injustice as a Mediator, 1997, 293; *Gunning I.*, ‘Diversity Issues in Mediation: Controlling Negative Cultural Myths’, 1995, 55 მითითებულია: *Bogdanoski T.*, The ‘Neutral’ Mediator’s Perennial Dilemma: To

ჯობინებს შეინარჩუნოს პასიურობა და მხარეებს სრულად მიანდოს პროცესის შინაარსის კონტროლი.

რაც შეეხება კობისა და რიფკინის კონსტრუქციას, რომელიც ნეიტრალობას განიხილავს როგორც „თანაბარ დისტანციას“ (Equidistance), იგი შესაძლებელია ნეიტრალობის ხელახალი კონცეფციის ჩამოყალიბებაში საკმაოდ დიდი მნიშვნელობის მატარებელი გახდეს, კერძოდ, „მიკერძოებულობა“ განიხილებოდეს პოზიტიურად, თუ იგი (პარადოქსულად) გამოყენებულ იქნება სიმეტრიის შესაქმნელად. გამოცდილი მედიატორისთვისაც ხშირად რთულდება მხარეთა შორის ძალთა დისტალანსის რეგულირება, ამიტომაც ზემოაღნიშნული კონსტრუქცია ხშირად გამოსადეგია და ემსახურება სამართლიანი შედეგის უზრუნველყოფას<sup>49</sup>.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, მთავარია, მედიატორმა შეძლოს პროცესის მიმდინარეობასა და მის შედეგს შორის არსებითი განსხვავება იპოვოს, რათა ნეიტრალობისა და მიუკერძოებლობის პრინციპთა შესაბამისად იმოქმედოს. თუმცა ეს საკმაოდ პრობლემატურია უშუალოდ მედიაციის პროცესში, რამეთუ ეს ორი ელემენტი ერთმანეთთან განუყოფლად არის დაკავშირებული. მხარეთა მიერ მიღწეული შეთანხმებები ფორმირდება პროცესის განმავლობაში და არა მხოლოდ დასასრულს. ცხადია, მედიატორის აქტიური როლი, მხარეთათვის ღია კითხვების დასმა, მათ საჭიროებებზე მორგება უზრუნველყოფს მედიაციის პროცესში მხარეთა მაქსიმალურ ჩართულობას.<sup>50</sup>

მედიატორისთვის დიდ გამოწვევას წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც იკვეთება „სუსტი“ და „ძლიერი“ მხარე. ასეთ დროს, თუ მედიატორი მხარეებს გადაანდობს სრულ სუვერენიტეტს და შედეგის განსაზღვრას მათ სრულიად მიანდობს, შესაძლოა, დადგეს

---

Intervene or not to Intervene?, Queensland University of Technology Law and Justice Journal, Vol. 9, №1, 2009, 34.

<sup>49</sup> Cobb S., Rifkin J., Practice and Paradox: Deconstructing Neutrality in Mediation, 1991, 43-45.

<sup>50</sup> Zamir R., The Disempowering Relationship Between Mediator Neutrality and Judicial Impartiality: Toward a New Mediation Ethic, Pepperdine Dispute Resolution Law Journal, Vol. 11, 2011, 486.

პროცესის სამართლიანობის საკითხი დღის წესრიგში, მედიაცია დასრულდეს შეთანხმებით, რომელიც სუსტი მხარის პოზიციასა და ინტერესებს უგულვებლყოფს და ზიანს აყენებს. ალტერნატივას წარმოადგენს სუსტი მხარის გაძლიერების პრაქტიკა, რაც ძლიერი მხარის მიერ შესაძლოა აღიქმებოდეს როგორც მედიატორსა და თითოეულ მხარეს შორის თანაბარი მანძილის ხელისშემშლელი ფაქტორი. თუმცა „სამართლიანობის“ თვალსაზრისით, ეს მეთოდი გამართლებულია.<sup>51</sup> აღნიშნული ქმნის ნეიტრალობის პარადოქსს: მედიაციის პროცესის დასაწყისში მედიატორები თავს ნეიტრალურ პირებად აიდენტიფიცირებენ, რომ ისინი მხოლოდ ისმენენ და არ ახდენენ ზეგავლენას მოდავე მხარეთა პოზიციების დაფიქსირებისას. შემდგომ მედიატორები ხშირად პირად შეხვედრებს იყენებენ მოდავე მხარეებთან, რათა განსაზღვრონ მედიაციის პროცესის კურსი. შუამავლები ხელს უწყობენ მხარეებს, გაამჟღავნონ ინფორმაცია, რომელსაც ისინი მნიშვნელოვნად მიიჩნევენ, აქ კი კვლავ „თანაბარი დისტანციის“ მეთოდი გამოიყენება, რაც, გარკვეული მოსაზრებით, უპირისპირდება მიუკერძოებლობის პრაქტიკას.<sup>52</sup>

პროფესიონალი მედიატორი ფარავს პირად ემოციებს და მაინც შეუძლია მოდავე მხარეების ნახალისება, მხარდაჭერა, რჩევა ობიექტურ პირად და ამასთან ერთად, მიმართულებას აძლევს სესიას.<sup>53</sup> პოსტმოდერნისტული გაგებით, ინტერვენცია აღარ წარმოადგენს ნეიტრალობის დარღვევას, ნეიტრალობა მრავალმხრივი მნიშვნელობის ცნებად იქცა, რომელიც ერთი მხრივ, მედიატორს უტოვებს ლეგიტიმურად პროცესში ინტერვენციის შესაძლებლობას, რათა მოახდინოს პოტენციური უსამართლობის პრევენცია ან

<sup>51</sup> *Exon S. N.*, How Can a Mediator Be Both Impartial and Fair: Why Ethical Standards of Conduct Create Chaos for Mediators, Missouri, 2006, 20-27 მითითებულია: *Bogdanoski T.*, The ‘Neutral’ Mediator’s Perennial Dilemma: To Intervene or not to Intervene?, Queensland University of Technology Law and Justice Journal, Vol. 9, №1, 2009, 26.

<sup>52</sup> *Riftkin J., Millen J., Cobb S.*, Toward a New Discourse for Mediation: A Critique of Neutrality, *Mediation Quarterly*, Vol. 9, Issue 2, 1991, 154.

<sup>53</sup> იქვე, 160.

მხოლოდ მხარეებს მიანდობს პროცესის არსებითად კონტროლს. მიუხედავად მედიაციის ტიპისა, ახდენს თუ არა ინტერვენციას მედიატორი, გაცნობიერებულ უნდა იქნეს, რომ შუამავალი დავის შედეგზე გარკვეულ გავლენას ახდენს, რომლის მისაღებობა საბოლოოდ მხარეებმა უნდა გადაწყვიტონ სწორედ თვითგამორკვევისა და მხარეთა ავტონომიის პრინციპზე დაყრდნობით.<sup>54</sup>

## 8. დასკვნა

მედიატორისადმი ნდობა არსებითად განაპირობებს მისი ნეიტრალობისა და მიუკერძოებლობის ვალდებულებას და პირიქით, აღნიშნული პრინციპები მხარეთა, საზოგადოების ნდობის არსებითი შემადგენელია. ნეიტრალობა მოიაზრებს ორიენტირებას უშუალოდ პროცესზე და არა მის შედეგზე, ეხება შუამავალსა და მოდავე მხარეებს შორის ურთიერთობას, ქცევას. მიუკერძოებელი მედიატორი თავისუფალია ფავორიტიზმის, მიკერძოებისა და მცდარი მოსაზრებებისგან. მიუხედავად ამ ცნებებს შორის არსებული მჭიდრო კავშირისა, მოიძებნა განსხვავებაც. კერძოდ, ნეიტრალობა უკავშირდება მედიატორის ინტერესს დავის შედეგისადმი, ხოლო მიუკერძოებლობა დაკავშირებულია მედიატორის ქცევასთან მხარეთა მიმართ უშუალოდ პროცესის განმავლობაში. ამასთან ნეიტრალობა შესაძლოა ხარისხობრივად დიფერენცირდებოდეს, ხოლო მიუკერძოებლობა ნარმოადგენს აბსოლუტურ მოთხოვნას.

მედიატორს სხვა ადამიანების მსგავსად, რა თქმა უნდა, შეიძლება ჰქონდეს თავისი პირადი სიმპათია, შეხედულებები, სუბიექტური განცდა მხარეთა სამართლიანობასთან დაკავშირებით, თუმცა გრძნობები და ფიქრები მან აუცილებლად მედიაციის პროცესის მიღმა უნდა დატოვოს. პროფესიონალებს აქვთ წესი: „გადადი მედიაციაზე „ცარიელი“, პირადი შეხედულებების გარეშე და როცა

---

<sup>54</sup> Bogdanoski T., The ‘Neutral’ Mediator’s Perennial Dilemma: To Intervene or not to Intervene?, Queensland University of Technology Law and Justice Journal, Vol. 9, №1, 2009, 43.

თვლი, რომ ვერ შეძლებ მიუკერძოებლობის შენარჩუნებას, უარი თქვი პროცესზე“.<sup>55</sup>

ნებისმიერი სტილის - შემფასებელსა თუ ხელშემწყობ მედიატორს ეკისრება მხარეთა თვითგამორკვევისა და კერძო ავტონომიის ხელშემწყობის მოვალეობა, ხოლო მედიატორის ლეგიტიმურ ინტერვენციას მხარეთა ნების თავისუფლებაში ფუნდამენტური უსამართლობისა და უკანონობის დაუშვებლობის მოთხოვნა განსაზღვრავს.

### **ბიბლიოგრაფია:**

1. საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“, სსმ, 18/09/2019.
2. სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაცია“ მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, 24/05/2021.
3. Ethical Standards for Neutrals, Georgia, 2002.
4. Ethical Standards for Mediators, California, 2002.
5. Professional Standards of Practice for Mediators, Illinois, 2003.
6. European Code of Conduct for Mediators, 2004.
7. Requirements for the Conduct of Mediation and Mediators, Arkansas, 2004.
8. Model Standards Of Conduct For Mediators, 2008.
9. Mediationsgesetz, Deutschland, 2012.
10. *Berces V.*, Principles and Practice of Mediation as Effective Conflict-Treating Solution, Debreceni Jogi Muhely / Legal Workshop of Debrecen, №1, 2013, 74.
11. *Bogdanoski T.*, The ‘Neutral’ Mediator’s Perennial Dilemma: To Intervene or not to Intervene?, Queensland University of Technology Law and Justice Journal, Vol. 9, №1, 2009, 9, 34, 43.
12. *Boulle L.*, Mediation: Principles, Process, Practice, Sydney, 2005, 20, 143.
13. *Cobb S., Rifkin J.*, Practice and Paradox: Deconstructing Neutrality in Mediation, Cambridge, 1991, 43-45.
14. *Cohen O., Dattner N., Luxenburg A.*, The Limits of the Mediator’s Neutrality, Mediation Quarterly, Vol. 16, №4, 1999, 344.

---

<sup>55</sup> *Gren M. N.*, The Principles of Mediation, Journal of Eastern European Law, №24, 2016, 78.

15. *Cooks L. M., Hale C. L.*, The Construction of Ethics in Mediation, *Mediation Quarterly*, Vol. 12, №1, 1994, 63-64.
16. *Douglas K., Field R.*, Looking for Answers to Mediation's Neutrality Dilemma in *Therapeutic Jurisprudence*, Johannesburg-Cape Town, 1997, 187.
17. *Douglas S.*, Neutrality In Mediation: A Study of Mediator Perceptions, *Law & Justice Journal*, Vol. 8, №1, 2008, 142.
18. *Gren M. N.*, The Principles of Mediation, *Journal of Eastern European Law*, №24, 2016, 78.
19. *Helm B., Scott S.*, Advocacy in Mediation, *Mediation Quarterly*, Issue 13, 1986, 69.
20. *Kishore S.*, The Evolving Concepts of Neutrality and Impartiality in Mediation, *Commonwealth Law Bulletin*, Vol. 32, №2, 2006, 222.
21. *Lee S.*, Mediator Impartiality and Mediator Interest, *Kentucky*, 2013, 22.
22. *Margaret S. H.*, *The Blackwell Handbook of Mediation*, Wiley-Blackwell, Oxford, 2006, 415.
23. *McCorkle S.*, The Murky World of Mediation, *Conflict Resolution Quarterly*, Vol. 23, №2, 2005, 171-173.
24. *Riftkin J., Millen J., Cobb S.*, Toward a New Discourse for Mediation: A Critique of Neutrality, *Mediation Quarterly*, Vol. 9, Issue 2, 1991, 152, 154.
25. *Robert B.*, The Risks of Neutrality - Reconsidering the Term and Concept, *Ethics Forum, Mediation News*, Vol. 17, №3, 1998, 8-9.
26. *Smith D. D. J.*, Mediator Impartiality: Banishing the Chimera, *Journal of Peace Research*, Vol 31, №4, 1994, 445.
27. *Zamir R.*, The Disempowering Relationship Between Mediator Neutrality and Judicial Impartiality: Toward a New Mediation Ethic, *Pepperdine Dispute Resolution Law Journal*, Vol. 11, 2011, 486.

გამოცემაზე მუშაობდნენ:

ანა მღვდელაძე  
დავით ჭიჭიკოშვილი  
ანა ადამია

გარეკანის დიზაინერი – მარიამ ებრალიძე  
დამკაბადონებელი – ეკა თეთრაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

---

თბილისი  
2022

0128 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 1  
1 Ilia Tchavtchavadze Avenue,  
Tbilisi 0179 Tel +995 (32) 225 04 84, 6284, 6278  
<https://www.tsu.ge/ka/publishing-house>

